ეროსია

3

ნატო
ლავითაშვილი

ქართული ფანტასტიკა

ლიტერატურული ჟურნალი-გზამკვლევი ფანტასტიკის სამყაროში

რედაქტორის სვეტი **4**

- ნატო დავითაშვილი - მთვარის შვილობილები **5**
(ნაწილი პირველი – ამბავი მექოლგეთა და ჭაშნაგირთა)
- ნატო დავითაშვილი – ლურჯი ჩიტი **25**
(სცენარი. ქალაქური მისტიკა)
- ნატო დავითაშვილის მოდელირებული ახალი სამყაროები – ქართული ფენტეზის ქრონიკები **27**
(ნატო დავითაშვილს ესაუბრება ინა იმედაშვილი)

ქართული ფანტასტიკის არქივიდან
- იაკობ მანსვეტაშვილი – სხვათა შორის **33**
- ედიშერ ყიფშიანი – დროთა კავშირი **57**

კლუბის წევრთა შემოქმედება
- ანა ჩიქოვანი – სამსალა **52**
- ილია ბაბუნაშვილი – რომანოზ და ქანეტა **58**
- რეზო ჩარკვიანი – ულტიმატუმი **60**
- ზია აბაზაძე – კონკურსი (ქალაქური მისტიკა) **65**
- ლევან ბეიტრიშვილი – პანიკა (ჰორორის წინათგრძნობა) **70**
- მაია (მარინე) ქავთარაშვილი – ბზრილა **74**
- კონსტანტინე ქარდავა – "კუსტოს" დაღუპვა **78**
- კობა ცხაკაია – დურაქი ანგელინა და კალატოზი გულივერი **83**
- ირაკლი ლომოური – ორუელის სპილო (ქრონოსკოპისტის ჩანაწერებიდან) **94**
- ნათია როსტიაშვილი – ღმერთს მზე დარჩა ჩართული **105**

წერილები
- ნინო აბაკელია – მითის, როგორც განცდილი რეალობის და ფენტეზის, როგორც შეუძლებელი რეალობის მიმართებისთვის **111**
- ლევან გელაშვილი – ქართული ფანტასტიკის სათავეებთან. **117**

რედაქტორის სვეტი

ძვირფასო მკითხველო!

ჩვენი ჟურნალის მესამე ნომერი ქართულ ფანტასტიკას ეძღვნება.

– ქართულ ფანტასტიკას?! – შეიძლება გაიოცოს მავანმა და კითხვაც დასვას, – არსებობს კი ქართული ფანტასტიკა?

ჩემი ღრმა რწმენით, ქართული ფანტასტიკა არსებობს. მაგრამ იქნება ვცდები, იქნებ სასურველს არსებულად ვაცხადებ? მოდი, მკითხველო, ამ ნომერში დაბეჭდილ ტექსტებს გაეცანი და მავანის მიერ დასმულ კითხვას თავადვე გაეცი პასუხი, ანუ – დარწმუნდი.

ცნება „ფანტასტიკას" მაქსიმალურად ფართო გაგებით ვხმარობ – ჩემთვის ფანტასტიკაა ფენტეზიც, სამეცნიერო ფანტასტიკაც, ჰორორიც, მისტიკაც, აბსურდიც, მაგიური პროზაც და ლიტერატურული ზღაპარიც... ანუ ყველაფერი, რაც წარმოსახვის, ფანტაზიის ნაყოფია და რეალისტურ განზომილებას სცდება.

ნომრის ავტორია მშვენიერი ქართველი მწერალი ნატო დავითაშვილი, რომელიც უკვე იმით შევიდა ჩვენი კულტურისა თუ ლიტერატურის ისტორიაში, რომ ფენტეზის ჟანრი განავითარა საქართველოში.

ამ ღირსშესანიშნავ ფაქტსა თუ მოვლენას გვერდს, ცხადია, ვერ ავუვლიდით – მით უფრო, რომ ჩვენი კლუბისა და ჟურნალის მიზანს, საქართველოში ფანტასტიკის პოპულარიზაცია წარმოდგენს.

რუბრიკით „ქართული ფანტასტიკის არქივიდან" ვბეჭდავთ იაკობ მანსვეტაშვილის ფელეტონს და შესანიშნავი ქართველი მწერლის, ედიშერ ყიფიანის სამეცნიერო-ფანტასტიკურ მოთხრობას, რომელიც 1967 წელს გამოქვეყნდა. ტექსტი მომაწოდა მწერლის ქალიშვილმა, ბაო ყიფიანმა, რაზეც უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

„ფანტასტის" მესამე ნომერს ორი ილუსტრატორი ჰყავს: ახალი – ანა ჩიქოვანი და ძველი – მალხაზ რუსაძე (თანაც ორივე ძალზე საინტერესო ფანტასტიკას წერს!). მავანმა შეიძლება იკითხოს, განსხვავებული სტილი აქვთ და ჟურნალს როგორ მოუხდებაო? პასუხად ვიტყვი: ექსპერიმენტული გამოცემა გვაქვს, მრავალფეროვნებას მივესალმებით! და ვიწვეთ ილუსტრატორებს სათანაშრომლოდ!

გარდა მოთხრობებისა, ვაქვეყნებთთ ორ სამეცნიერო წერილს ფენტეზის არსისა და ქართული ფანტასტიკის ადრეული ნიმუშების შესახებ. რამდენად გამართლებულია მეცნიერული სტატიების ბეჭდვა ლიტერატურულ ჟურნალში? – შეიძლება იკითხოს მავანმა. ამით გვსურს ქართველ მკვლევარებს ერთგვარი სტიმული მივცეთ, ფანტასტიკის სფეროში რომ იმუშაონ.

კლუბი „ფანტასტი" ყველანაირად ცდილობს, დამწყებ ავტორებს ხელი შეუწყოს, – საუკეთესო მოთხრობებს ვუქვეყნებთ, დაოსტატებაში ვეხმარებით. ჩვენი კლუბი, ფაქტობრივად, ლიტერატურული სტუდიაა – შემოქმედებითი სახელოსნო.

ფანტასტიკის მოყვარულებს, დამწყებ ავტორებს, მწერლებსა და ილუსტრატორებს ვიწვევთ კლუბში, მოგვამართეთ – ჩემი ტელეფონია: 595 943 888. მეილი: ilomouri@hotmail.com

ჩვენს მეგობრებსა და გულშემატკივრებს კი მოვუწოდებ: დაგვეხმარეთ!

სს "საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდიBABAGAGE22

მიმღების დასახელება: ააიპ „ფანტასტი"

მიმღების ანგარიშის ნომერი: GE11BG0000000908842500

გაუმარჯოს ფანტასტიკას და ფანტასტებს!

ნატო დავითაშვილი

მთვარის შვილობილები

ნაწილი პირველი

ამბავი მექოლგეთა და ჭაშნაგირთა

ახალი მთვარის გამოჩენიდან მეშვიდე დღე გადიოდა. ორმა ქარავანმა ჩაუარა აბელ ნასან მურს — მურების მიტოვებულ ციხე-ქალაქს. ამინდები იდგა უმოწყალოდ ცხელი, ფეხქვეშ მიწა ლღვებოდა, ასეთ გავარვარებულ ქვიშას ძველი მურები მზეწამოწოლილს ეძახდნენ. ქალაქის სტუმრობა, დასვენება და წყლის მარაგის შევსება არც ერთ მექარავნეს ქვიშის უმცირესი მარცვლისოდენა აზრადაც არ გასჩენია. თუმცა, ყველას კარგად მოეხსენებოდა, გამოცდილ გამყოლებს, მხცოვან და ახალბედა ვაჭრებს, რომ ძველი მურების ქალაქი ასე ასი ხელისმოსმა, მწვანეში ჩაფლული დაუშრობელი ლურჯი ტბის გარშემო, მაცოცხლებელ ოაზისში იყო გაშენებული. ამაზე ყვებოდნენ უხუცესები, ეს ეწერა მურების ფურცლებგაყვითლებულ უძველეს წიგნებში, რომლებიც ბაზრობებზე ძველმანებით მოვაჭრე ფარდულებში უხვად ელაგა. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ოაზისის შესახებ მექარავნეებმა უფრო გადმოცემებითა და უდაბნოს ცივ და გრძელ ღამეებში თანამგზავრთა მონათხრობებიდან იცოდნენ, ვიდრე წიგნებიდან, რადგან მურების უძველესი დამწერლობის მცოდნენი თითებზე ჩამოსათვლელებიღა დარჩენილიყვნენ და ისინიც მათ დაწყევლილ ხელნაწერებს ახლოს არ იკარებდნენ. მარტო ოაზისი კი არა, მისი მნახველებიც კი ლეგენდების, უკაცრავად, უფრო ზუსტად, ზღაპრების, უშრეტ წყაროდ ქცეულიყო.

ახალმთვარობის მერვე დღეს აბელ ნასან მურს ერთმა მომცრო ქარავანმა ჩაუარა. მერვე დღე მურებისა და მგზავრთათვისაც, ყველასთვის, ვისაც მთვარეზე მონადირეთა არსებობის სჯეროდა, ერთი და იმავე მნიშვნელობისა იყო და მას დაუსრულებელს ეძახდნენ. მთვარის კალენდრის ყოველი დღის დასახელების მიზეზთა ახსნა-აღწერა ერთობ საინტერესო კი არის, მაგრამ მთავარ ამბავს აგვაცდენს. თუმცა, მექოლგეთა და ჭაშნაგირთა შესახებ თხრობისას მთვარის დღეების განმარტებებს გვერდს ვერ ავუვლით და გზადაგზა ყველას შესახებ თუ არა, ნაწილს მაინც გაიგებთ.

აბელ ნასან მურის კედელზე გადმომდგარმა ასან ბასარმა, ქალაქის ერთადერთმა ცოცხალმა მკვიდრმა, გრძელ თეთრ წვერზე ხელი უიმედოდ ჩამოისვა და უკან, ქვიშისგან სანახევროდ ავსებულ სახლში დაბრუნება გადაწყვიტა, რომ ქარავანი შედგა. ბერიკა-

ცი ადგილზე გაშეშდა, თვალები გაუფართოვდა და სუნთქვა აუჩქარდა.

— ფიქრობენ ! იფიქრეთ... იფიქრეთ!... — ისე ამოისისინა, როგორც ქვიშისგან ჩაფხაჭნილმა და ხველისგან გახევებულმა ყელმა საშუალება მისცა.

ქარავანი იდგა და არ იძვროდა. პატრონთა გადაწყვეტილებას ელოდა შვიდი ნახევრად დატვირთული კაჟადაც. მექარავნეები სამნი იყვნენ და ერთად შექუჩულნი ბჭობდნენ.

— თუ ტიკებში სამი ყლუპი წყალი მაინც გაქვთ, გზა გააგრძელეთ!.. — შორიდან უკარნახა ასან ბასარმა, — თუ არც ეგ გაქვთ, მაინც გააგრძელეთ, ბოლოს და ბოლოს ერთ კაჟადას დაკლავთ და მის სისხლს დალევთ.

მოქარავნეებზე ზრუნვის გამო არ ირჯებოდა ასე ასან ბასარი. დიდი ხნის უმოქმედობას გაეზარმაცებინა, გონებასა და ძვლებზე ჟანგი მოჰკიდებოდა და მარადიული სიმშვიდისთვის ემზადებოდა. ქარავანი ადგილიდან არ იძვროდა, სამაგიეროდ, მოხუცის გული ძგერდა გამალებით, არც დროს ეპუებოდა, არც ჟანგსა და არც ასან ბასარის სიზარმაცეს. მოხუცს მოეჩვენა, ქარავანი შეირხა, წასასვლელად გაემზადა და მანაც კედლის მიტოვება გადაწყვიტა.

ასან ბასარს არ მოსჩვენებია, ქარავანი მართლა შეირხა, მაგრამ არა გზის გასაგრძელებლად, არამედ ქალაქში შესახვევად. მექარავნეებმა პირველ კაჟადას პირი უბრუნეს. სხვებიც მას მიჰყვენენ.

ასან ბასარს ტუჩის მარცხენა კუთხე აუთამაშდა. ტანში სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა. სულ გადაავიწყდა ძვლებში ჩაკირული ჟანგი და მარადიულ სიმშვიდეში გადაშვების ნეტარება. ათწლიანი სიმარტოვის შემდეგ გზააცდენილი სტუმრების დასახვედრად ქვიშის სქელი ფარდაგდაგებული ქუჩებით კარიბჭისკენ გაემართა. ქალაქში ჩაკირული მდუმარება ასან ბასარის ქოშინმა (მოხუცს სიარული უჭირდა) და ქვიშის ჭრაჭუნმა დაარღვია. გზად ფანჯრის რაფებზე მთვლემარე ორად ორი ხვლიკი გადაეყარა, ჭარმაგს მხედველობა და სმენა ჰქონდა მახვილი და ისინი ადვილად შეამჩნია. მდინარე ოსანის კლდოვანი სანაპიროებიდან მოტანილი ქვისგან გამოჭრილი კარიბჭის გაღებისას ზედა ტუჩის კუთხეში ღიმი კიდევ ერთხელ შეეპარა, როცა სტუმრები ახალ მექოლგეებად და ჭაშნაგირებად წარმოიდგინა.

ქარავანი კარიბჭეს მიადგა. აბელ ნასან მურს ისეთი მაღალი გალავანი ერტყა, ქალაქის ყველა ნაგებობას ფარავდა. მხოლოდ ორი ტყუპი კოშკის ისრებივით წამახვილებული წვეროები მოჩანდა. კაჟადებმა ოაზისიდან მონაბერი სასიამოვნო სურნელი იკრეს, წყალი იგულეს, დარწყულების მოლოდინში დაჭრილებივით აბღავლდნენ და ქალაქისკენ გაიწიეს. მოქარავნეებს მათ დასაწყნარებლად დიდი ძალისხმევა დასჭირდათ. კაჟადები მშვიდი ცხოველები იყვნენ. თვინიერი ხასიათისა და წარმოუდგენელი გამძლეობის გამო უდაბნოს გადასასვლელად მათ ირჩევდნენ. უწყლოდ კვირები ძლებდნენ, სქელი ჩლიქებისა და ტყავის წყალობით გავარვარებულ ქვიშას არ ეპუებოდნენ, გრძელი ბეწვის ფერს კი იმის მიხედვით იცვლიდნენ, თუ როგორი მწველი იყო მზე. ასან ბასარი მზად იყო. სტუმართა შეძახილს ან დაბრახუნებას ელოდა, გასაღები უკანასკნელად, მეშვიდედ რომ გადაებრუნებინა და კარიბჭეც გაღებულიყო. მაგრამ მექარავნეები არ ჩქარობდნენ. პირიქით, ცხოველების დამშვიდების შემდეგ კვლავ ერთად დადგნენ და საუბარი გააბეს. ასან ბასარი მათ კარგად ხედავდა, მაგრამ ერთი სიტყვაც არ ესმოდა. ცოტა არ იყოს გაბრაზდა, თუ შემოსვლას არ აპირებდნენ, რას ამაფორიაქეს, ამხელა გზა რად გამომატარესო. ასან ბასარმა მოქარავნეებში ერთი საშუალო ასაკის, ერთიც ჭარმაგი და ერთიც ახალგაზრდა ამოიცნო. თავჩაქინდრულ ჭარმაგს გოგრასავით გამოზნექილ მუცელზე ხელები შემოეწყო, პატრონის რამდენიმედღიანი შიმშილობა საკმარისი იქნებოდა, ისედაც ჩამოწელილ ღაბაბს თითები მთლიანად რომ დაეფარა. კაცი დროდადრო თავს აწევდა, სახეს შეჭმუხნიდა, კაჟადებს გახედავდა, მერე ქვიშას დააცქერდებოდა, ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და ახალგაზრდა მოქარავნეს უსმენდა. საშუალო ასაკის კაცი ვირთხას ჰგავდა, წვრილ მოჭუტულ თვალებსაც საკბილოს მაძიებელი მღრღნელივით აცეცებდა. სიმაღლით ყველას ჩამორჩებოდა. უფრო ზუსტად, დაბალი იყო. ასან ბასარს ის განსაკუთრებით არ მოეწონა. მისგან შესანიშნავი ჭაშნაგირი დადგება, წესით, — იფიქრა მოხუცმა მურმა. მესამეს, ახალგაზრდას, ასან ბასარი მხოლოდ ზურგიდან ხედავდა. არც ხელების ქნევით, არც თავის მოძრაობით, არაფრით არ ემჩნეოდა, რომ იგი რამეს ამბობდა, ყვებოდა, ან მოსაუბრეებს რაღაცას უმტკიცებდა. თავდაჯერებული და მშვიდია, — გაიფიქრა ასან ბასარმა, — ჰო... ეს დარდს გამიჩენს, იქნებ, ჯობს, არც შემოვიდნენ, — უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

სამთაგან მხოლოდ ფადი, ყველაზე ახალგაზრდა, იდგა უარზე. ქალაქში შესვლისგან თავს იკავებდა და დანარჩენებსაც ამას ურჩევდა. ფადი ორჭოფობდა. ეს შვიდი კაჟადა და სავაჭროდ მოძიებული ტვირთი მათი დიდი ოჯახის უკანასკნელი იმედი

იყო. გვარის ვალდებულებებისგან, სხვებისგან განსხვავებით, ფადი ყველაზე თავისუფალი იყო, მაგრამ დიდი სანათესაოსთვის უწინდელი კეთილდღეობის დაბრუნებას ფადიზე მეტად არავინ ცდილობდა. შვიდი წლიდან დაობლებულს არც ერთმა ნათესავმა არ გაუწოდა დახმარების ხელი და დიუნებში ბედისა და უდაბნოს ქარის ანაბარა უცხო კაცთან ერთად გაუშვეს. დიდმა ბებიამ ერთხელ მოიკითხა, უთხრეს, არსად ჩანს, ეტყობა, დედის ნათესავებმა წაიყვანესო. ეს იყო და ეს. ფადიმ ესეც არ იცოდა, თვრამეტი წლის შემდეგ დაბრუნებულისთვის ვინმეს რომ მოეყოლა, გაუხარდებოდა, მაგრამ დიდი ბებიის მოკითხვა არავის ახსოვდა. საერთოდ ასეა, უგულოდ და ყასიდად ნათქვამი სიტყვები, მავანს თავად თუ არ ეხება, დიდხანს არ ამახსოვრდებათ. უკანდაბრუნებულ ფადის ერთ დროს საქვეყნოდ ცნობილი ვაჭართა დიდი ოჯახი სავალალო მდგომარეობაში დახვდა. გვარის უკან-უკან სვლა ჯერ კიდევ ფადის დიდი პაპის – სოხარის დროს დაიწყო. დიდი პაპა ერთი უნდო და ეჭვიანი კაცი იყო. ჭკუას არ უჩიოდა, ზუსტად იცოდა, მოქარავნეთა ჩამოტანილი საქონლიდან ქალაქელები რას დაიტაცებდნენ და საწყობებში რა ჩაწვებოდა. ისიც კარგად მოეხსენებოდა, რა ხმები უნდა გაევრცელებინა, რომ ჩაწოლილი საქონელი დახლებზე არ გაეჩერებინათ. წელი არ გავიდოდა, სავაჭრო ფარდული რომ არ გაეფართოვებინა, ან სულაც ახალი არ მიემატებინა. მიუხედავად ასეთი გამჭრიახობისა და, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბედიც გვარიანად სწყალობდა, თავად საქონლის ჩამოსატანად არსად დადიოდა, შორს მანძილზე მოგზაურობას ვინ ჩივის, სახლიდან ორ ნაბიჯზე გასვლის ეშინოდა. სოხარი თავის საქმეებში არავის ახედებდა, მხოლოდ ბრძანებებს იძლეოდა, მისმა არც ერთმა შვილმა, არადა, როგორც ახსოვდა, ათი მაინც უნდა ჰყოლოდა, არ იცოდა, მამას რას, რატომ და რა ფასად ყიდულობდა; კიდობნებში რა ფული ჰქონდა შავი დღისთვის შემონახული და სავაჭროდ რამდენი ტრიალებდა. არასდროს არავის არაფერს უხსნიდა. იტყოდა, ეს გააკეთეთო და ამით ყველაფერი სრულდებოდა. არც ერთ სავაჭრო გარიგებას შინაურს არ ასწრებდა. ყველაფერს მარტო წყვეტდა. საცოდაობა იყო პირდაპირ, სოხარის მრავალწლიანი გამოცდილება და ცოდნა მხოლოდ კიდობნებში ფულის დაგროვებასა და ფარდულების მომრავლებას ემსახურებოდა და არა მომავალი ვაჭრების გაწვრთნასა და განსწავლას. როცა ვინმე ახსნა-განმარტებას შეფარვით მოსთხოვდა, პირდაპირ თქმას ვინ გაუბედავდა, ან დამოუკიდებლი საქმიანობისთვის წილს გამოითხოვდა, აქ უფროსი ჯერ მე ვარო, დიდი პაპა ბღვერით ამბობდა და სიტყვას ვეღარავინ უბრუნებდა.

ასი წლის ასაკში გარდაიცვალა, განახევრებული შვილები დატოვა, მრავალი შვილიშვილი და უფრო მრავალი შვილთაშვილი.

იმ წელს გახდა ფადი შვიდის და იმავე წელს დაობლდა. ფარდულს, რომელშიც მისი მშობლები მცირე გასამრჯელოს სანაცვლოდ მსახურობდნენ, თავს ყაჩაღები დაესხნენ და ორივე მოკლეს. დედამ ფადი ზეთის განახევრებულ თიხის ჭურჭელში დამალა და ბიჭი ასე გადარჩა. ფარდული სამკაულებით ვაჭრობდა, უხვად იყო ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი თვლები, მაგრამ ზედმეტი ხარჯის ასაცილებლად მცველები არ ჰყავდა. დაყაჩაღებული ოჯახი მეზობელმა კაცმა აღმოაჩინა, მანვე მიაფარა სუდარა დაღუპულებს და ფადიც ზეთის ჭურჭლიდან დაიხსნა. მეზობელს ულო ერქვა. იქაური არ იყო. ჭაბუკობისას სურნელოვანი ზეთებით დატვირთულ ქარავანს ჩამოჰყვა და სამუდამოდ იქ დარჩა. ცოლი მოიყვანა, ვაჟი შეეძინა და დაქვრივდა კიდეც. ულომ ფადის მამის გვერდით ერთ გულსაკიდს მოჰკრა თვალი. სისხლში ლალის თვალი არც გამოჩნდებოდა, რომ არა ვარდისფერი ოქროს ჯაჭვი, რომელსაც დაღუპული ჩაბღაუჭებოდა. ირგვლივ სხვა სამკაულებიც ეყარა, ყაჩაღებს სიჩქარეში დაფანტვოდათ. ულომ მხოლოდ ლალისთვლიანი სამკაული აიღო და ჯიბეში ჩაიდო. ეს ქურდობა არ იყო, რადგან ის ძვირფასი ნივთი დაიბრუნა, რომელიც წინა დღეს კახების ქვეყნიდან მეგობრებთან ერთად დაბრუნებულ შვილს აჩუქა.

ულოს შვილის მეგობრები პირველსავე შეხვედრაზე არ მოეწონა. ალალი ხალხის გამოხედვა არ ჰქონდათ, მსხვერპლის მოლოდინში ჩასაფრებული კატებივით იცქირებოდნენ. ერთი-ორი ისეთი ამბავიც გაიხსენეს, პატიოსან კაცს რომ არასგზით გადახდებოდა. ღამით ერთად გავიდნენ, გამთენიისას დაბრუნდნენ და გამომშვიდობების გარეშე წავიდნენ. შვილმა მამას მაგიდაზე ფურცლის ნაგლეჯი დაუტოვა, საჩქარო საქმეების გამო გტოვებ და ქარავანს მივყვებიო. იმ დილით ქალაქიდან, რომელიც მრავალ გზათა გასაყარზე იდგა, ათი ქარავანი მაინც გადიოდა.

დაყაჩაღების ამბავი ქალაქს ელვის სისწრაფით მოედო. ფარდულს ზღვა ხალხი მიაწყდა. ნათესავებმა ძლივს გაარღვიეს ცნობისმოყვარეები და სახლში ვაი-ვაგლახით შეაღწიეს. სოხარს წლების გამო სიარულის თავი აღარ ჰქონდა, ამიტომ უმ-

ცროს ვაჟს, ფადის ბიძას, დანაკარგის აღსაწერად ის დავთარი ანდო, რომელშიც ფარდულში გასაყიდად შეტანილი სამკაულების სია იყო ჩამოწერილი. სია გრძელი იყო, გვერდზე სამი რიცხვი ეწერა, პირველი – რა ფასად შეისყიდეს, მეორე – რა ფასად უნდა გაყიდულიყო, მესამე – რა მოგებას ელოდა დიდი პაპა. დანაკარგების აღრიცხვის შემდეგ ნათესავებს ულომ შეშინებული, ხმაჩავარდნილი ფადი მიუყვანა. ბიჭს, როგორც ლენცოფანაჭამ კაჟადას, ისე შეხედეს, ტვირთის ზიდვის ნაცვლად თავად ქარავნისთვის ტვირთად რომ ქცეულიყო და დასაკლავად არავის ენანებოდა. რომელი წაიყვანთ, – იკითხა დავთრიანმა ნათესავმა. ყველამ ცხვირი იბრუნა. ნათესავების გაზრდილი ფადის უღიმღამო მომავალი ულომ მაშინვე დაინახა, ასაკისთვის შეუფერებელი მძიმე შრომისგან წელში მოხრილი კაფანდარა დამშეული ბიჭი ცხოვრებას მათხოვრად დაასრულებდა, ან რომელიმე ქარავანს მსახურად გაჰყვებოდა, უფულოდ, უწყლოდ, უპატრონოდ და ცხოვრებას მაინც მათხოვრობით დაასრულებდა. თავისი უმსგავსო შვილისა და მისი ყაჩაღი მეგობრების გამო მთელი ოჯახი ნადგურდებოდა. ამ ბიჭს დროებით მე წავიყვან, თქვენ ბევრი საქმე გაქვთ და მის მისახედად სად გცალიათ. მე მოვუვლი, – შესთავაზა ფადის ნათესაობას ულომ. ნათესავებმა ერთმანეთს გაკვირვებულებმა გადახედეს და თავი, როგორც ერთმა, ყველამ ისე დაუქნია. ნათესავებს მართლა ბევრი საქმე აღმოაჩნდათ. როცა სოხარმა დავთარში ჩამოწერილი სამკაულების სია მთლიანად გადახაზული დაინახა, გულმა ვერ გაუძლო და ისე გარდაიცვალა, ფადის ბედი არ უკითხავს. თუმცა, ფადის არსებობა, ალბათ, არც იცოდა, სოხარი ვაჭრობისთვის უმნიშვნელო ამბებს არ ისმენდა და არ იმახსოვრებდა. დიდი პაპას თვალების დახუჭვის დღიდან ყველა ფარდულის ვაჭრობის საქმე უკან წავიდა. მრავალი პატრონის ხელში სოხარის ქონება უპატრონოდ დარჩა. მონაგარი, იცოცხლე, დიდი ჰყავდა, მაგრამ, რად გინდა, ყველა ერთმანეთზე ბედოვლათი. ზუსტად მაშინ ჩამოიქცა ბრძენი სოხარის მითი, – იმქვეყნად ისე წავიდა, ერთი ღირსეული შთამომავალი არ დატოვა.

ულომ მთელი თავისი ქონება იმ საღამოსვე გაყიდა, ბევრი არაფერი მისცეს. ცოლის დატოვებული ლალის გულსაკიდიც გაიმეტა, წინა დღეს სიამაყით შვილს რომ გადასცა. სამკაულის დანახვაზე ოქრომჭედელს ხელი აუკანკალდა, თხილის ტოლა ცრემლივით კრიალა სპეკალმა თვალი მოსჭრა. ულოს ჰკითხა, რა ჰქვიაო, ულომ ვერაფერი უპასუხა, ან რა უნდა ეპასუხა, რაც არ იცოდა. ოქრომჭედელი კი თავისას გაიძახოდა, ასეთ ბრწყინვალე თვალს უსახელოდ ვინ გაუშვებდაო. დაჟინებამ რომ აღარ გაუარა, ულომ სახელი შეაშველა – "იმედის გზა". ლალის ფასმა ულოს მთელი ქონების გაყიდვით მიღებული შემოსავალს რამდენჯერმე აჯობა. იმავე დღეს ულომ მთელი თანხა მთვარეზე მონადირეთა ორდენს შესწირა. კარგად იცოდა, მიუხედავად ასეთი ძღვენისა, ორდენში არავინ მიიღებდა, მით უმეტეს, შვიდი წლის ბიჭთან ერთად, მაგრამ მათი ხაზინადარი ულოს ცოლისძმა იყო, რომელიც დისა და დის ოჯახისგან ბავშვობიდანვე დიდად დავალებული ბრძანდებოდა. ულოს ამან უშველა. ორდენის კეთილშობილი და მრავალმხრივ განსწავლული წევრები მომდევნო მონადირის მოსაძებნად ქალაქის დატოვებას დილისთვის აპირებდნენ და ორ ახალ წევრსაც გაიყოლებდნენ.

ლამის ორი ათეული წლის შემდეგ დაბრუნდა შინ ფადი. ერთხელ ერთ გამოცდილ მთვარეზე მონადირეს შესჩივლა, კი ვიცი, ორდენში რა უნდა ვაკეთო, მაგრამ რისთვის და რატომ, ვერაფერი გამიგიაო. ორდენის წესდებიდან კი ამოვიკითხე, მონადირეთა ქანდაკებების შეგროვებით ახალი დროებისთვის ვემზადებითო.

– თავი გალიაში გამომწყვდეული ფრინველი მგონია. გალობით მსმენელს რომ ვატკბობ, მაგრამ ამას საკუთარი თავისუფლების ხარჯზე ჩავდივარ, – დაიჩივლა ფადიმ, – ახალი დროებისთვის ვემზადებით, მაგრამ იქნებ, პირიქით, ხელს სულ არ მაძლევს და უმჯობესია, მის დადგომას შევუშალო ხელი. მივადექი ჩიხს და გასასვლელს ვერსად ვპოულობ. ხალხი ორდენის წევრის მსახურობას ნატრობს, მე, ასე ახალგაზრდა, თან ორდენის წევრიცა ვარ და მთვარეზე მონადირის ქანდაკებაც კი მიპოვნია, მაგრამ თავს მაინც დამარცხებულად ვთვლი, რადგან ჩემი ძალისხმევის აზრს ვერ ვხედავ.

– არა, გეშლება. მარცხი შენგან ძალიან შორსაა. რასაც შენ წარუმატებლობას ეძახი, გამოცდილებაა. ასეთ გამოცდილებას ამ ჩიხის გარდა, ვერსად მიიღებდი. გამოცდილება კი განძი არის, შენი შრომითა და წვალებით დაგროვილი, ვერავინ რომ დაგამადლის და დაგაყვედრის და მის გამოსაყენებლად ჭკუაც თუ გიჭრის, სხვა ჩიხებს აგაცილებს. ყველაფერი გამოცდილებაზეა დამოკიდებული, სადღაც რაღაც არ გისწავლია, გამოგრჩენია, აბა, წარსული მომიყევი.

ფადის ბავშვობის გახსენებას შეეცადა. ყველაფერი ბუნდოვნად ახსოვდა. გონებაში ის ავბედითი დღეც კი გაცრეცოდა, როცა ოჯახი დაუყაჩაღეს და დედ-

მამა დაუხოცეს.

— შინ უნდა დაბრუნდე, — ურჩია კაცმა.

— და იქ რაღა მინდა, არაფერი დამრჩენია? — გაუკვირდა ფადის.

— რასაც შენ არაფერის ეძახი, შენი ფესვებია. შენ მათზე არასდროს გიზრუნია. შენს ცხოვრებას ეს აკლია, ეს გამოცდილება არ გაქვს. მთვარეზე მონადირეთა ორდენამდე მოსასვლელი გზა თავიდან გამოიარე და მერე ვილაპარაკოთ.

ფადი ჯერ ახლა, აბელ ნასან მურის კედლებთან მდგომი, იყო ახალგაზრდა. რამდენიმე წლის წინ კი იმ კაცთან საუბრისას სულ მთლად ნორჩი ყმაწვილი გახლდათ, მაგრამ თანატოლთაგან განსხვავებით, ჭკვიანი კაცის რჩევის ფასი ესმოდა. ულო, მისი მამობილი, ორდენში გაწევრიანების მესამე წელსვე ფრიად საეჭვო ვითარებაში მოიწამლა და ფადიც მფარველის გარეშე დარჩა. რჩევების მოსმენის სიყვარულმა გავლენიანი პატრონის გარეშე დარჩენილი მთვარეზე მონადირეთა ორდენის წევრი სიკვდილს არაერთხელ გადაარჩინა. ფადის უმართლებდა. ყოველთვის ხვდებოდა ისეთ ადამიანს, ვინც ღირებულს ამბობდა. მარტო ბედის ამბავიც არ იყო, ფადი თავად ეძებდა მათ.

დაკვირვებულ ადამიანს ერთი შეხედვით დაფარული კანონზომიერების აღმოჩენაც არ გაუჭირდება. ფადიც მიხვდა, ხალხი ყველაზე დიდი ინტერესით გასართობი, არაფრის მომცემი საუბრებით იქცევს თავს. რასაც ფიქრი და განსჯა სჭირდება, დამღლელად ეჩვენებათ და თუ იმწამიერ სარგებელს არ ხედავდნენ, გონებას ზედმეტად არ ძაბავენ. და თუ ეს ხდებოდა მთვარეზე მონადირეთა ორდენში, სადაც, წესით, წიგნიერებასა და განსწავლულობას პატივს სცემდნენ, სხვაგან რაღა იქნებოდა. ფადიც ეძებდა მარტოხელებს, წვეულებებზე მსმენელების გარეშე დარჩენილებს, ღვინის სახლებში თანამეინახეთა გარეშე კუთხეში მჯდომთ და მრავალ საინტერესოსა და გამოსაყენებელ ამბებს იგებდა.

შინდაბრუნებულ ფადის დაცარიელებული ფარდულები, რომლებიც გაყიდვას მხოლოდ და მხოლოდ სავალალო მდომარეობის გამო გადაურჩნენ და ლამის სამათხოვროდ ხელგაწვდილი დიდი ნათესაობა დახვდა. თვრამეტი წელი სოხარის ქონების გასაფლანგად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე ბიძაშვილი აგრძელებდა დიდი პაპის საქმეს, მეორად ტანსაცმელს ყიდიდნენ ან აქირავებდნენ კუდაბზიკობის მოყვარული ღარიბ-ღატაკთათვის. ფადიმ საქმის გამოსწორება და ნათესაობის გადარჩენა გადაწყვიტა. როცა მთვარეზე მონადირეთა ორდენიდან შვებულება აიღო, გასამრჯელოს მცირედი ნაწილიც გამოიყოლა, რაც მისცეს და გამოცდილების დასაგროვებლად შინ დაბრუნდა, ოჯახის საშინაო საქმეებით დაკავდა. ეს საქმე კი ვაჭრობა იყო. თუმცა, ვაჭრობისას მიღებული გამოცდილება მთვარეზე მონადირეთა ორდენის წევრს რაში უნდა გამოსდგომოდა, წარმოდგენა არ ჰქონდა.

მშობლიურ ქალაქში ყველაფერი მრავალი თაობის წინ დაენაწილებინათ, არც ერთი მოქარავნე სხვათათვის შეპირებულ ერთ უმნიშვნელო ნივთსაც კი არ უწილადებდა ფადის და ძველ შეჩვეულ ფარდულს არც ერთი ქალაქელი არ მიატოვებდა, საჭირო საქონლისთვის თვრამეტი წლის შემდეგ დაბრუნებულ უცხოდ ქცეულ შინაურს არ მიაკითხავდა. საჭირო იყო სიახლე. ფადი პირველი და ერთადერთი უნდა ყოფილიყო. და ფადიმ დიდი ფიქრის შემდეგ მშობლიურ ქალაქში წითელი ყვავილის მტვრის შემოტანა გადაწყვიტა. ყველა ცნობილ და უცნობ მკურნალსა თუ ჯადოგს ჩამოუარა. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ვაჟს უნდობლად შეხედეს, მის სიტყვებს გაფრენილი წიწკანების ფასი დაადეს, თვალის გაყოლების ღირსადაც რომ არ თვლიდნენ, მაგრამ ფადიმ მსმენელებს მთვარეზე მონადირეთა ორდენის ნიშანი — ასანური ხმალი და მკლავზე ამოტვიფრული მოისრე აჩვენა. ამის შემდეგ მკურნალებიცა და ჯადოგებიც ფადის სიტყვებით უმალ ინტერესდებოდნენ და სოლიდურ შეკვეთებსაც აძლევდნენ. წითელი ყვავილის მტვრის გარდა სხვა ძვირფასი და ფრიად საჭირო ფხვნილები და მცენარეებიც აინტერესებდათ. ფადიმ ყველას დანიშნულება იცოდა. ასეთი განსწავლულობის გამო მისდამი პატივისცემა და ნდობა კიდევ უფრო გაიზარდა. ერთი-ორმა ფადის მცირეოდენი თანხა წინასწარ გადაუხადა, მან კი, რაც თავად ჰქონდა, ისიც დაუმატა და საქონლის ჩამოსატანად გაემგზავრა. მხოლოდ ორი ბიძაშვილი გაჰყვა, რომლებთანაც ერთად ახლა იდგა აბელ ნასან მურის კარიჭესთან.

ფადიმ უფროსი ბიძის უმცროს შვილს ავთი მუსუნს (იგი ერთხელ უკვე ვახსენე) ღაბაბი ლამის ღიპზე რომ სცემდა და ერთადერთ მამიდაშვილს პუტი ნისას (ეს კი ისაა, ვირთხასავით რომ იყურებოდა), დალოდებას სთხოვდა. მზად იყო, ქალაქში პირველი თავად შესულიყო. იქაურობა დაეზვერა და, თუკი უკან მშვიდობიანად გამოვიდოდა, ლურჯი ტბიდან წყლის დასალევად კაჟადები გალავანს შიგნით მხოლოდ მას შემდეგ შეეყვანათ. ამ ცხოველებს კი შეეძლოთ უწყლოდ დიდ ხანს გაეძლოთ, თან ისე დიდ ხანს, რომ მთელ დიუნებს გადაივლიდნენ და

წყურვილისგან შეწუხებულები ერთხელ არ დაიბღავლებდნენ, მაგრამ ახლა ისინი სიკვდილის პირას იყვნენ და მათი გადარჩენა მხოლოდ წყალს შეეძლო.

ქარავნის დატვირთვის შემდეგ ფადიმ ნათესავებს კაჟადების საბალახოდ გაშვება აუკრძალა და მათი გამოკვებისთვის საკმარისი თანხაც მისცა, მაგრამ ასე რად უნდა მოქცეულიყვნენ, არ აუხსნა და არაფერი განუმარტა. თავად იმ ადგილებში მყოფ მთვარეზე მონადირეთა ორდენის წევრების სანახავად გაეშურა და მხოლოდ ორი დღის შემდეგ დაბრუნდა. ნათესავებმა ფული დაზოგეს და კაჟადები სოფლის გარშემო გადაშლილ თვალუწვდენელ ამწვანებულ მინდვრებში გაუშვეს. იქაურობა კი ლენცოფით იყო სავსე. კაჟადებს ძალიან მოსწონდათ მისი მოტკბო-მომწარო გემო და ბალახობისას სამყურებსა და ესპარცეტს შორის მხოლოდ მას ეძებდნენ. ლენცოფა შეჭმისთვის, თითქოს, სამაგიეროს უხდიდა მჭამელს, ენას უშრობდა, ნაწლავებზე წყლულებს უჩენდა, შიგნიდან ჭამდა და რამდენიმე დღეში ბოლოს უღებდა. ერთადერთი წამალი წყალი იყო, არა წამალი და მალამო, არამედ ჩვეულებრივი მტკნარი წყალი. მწყურვალ კაჟადას, რაც შეიძლება ბევრი წყალი უნდა დაელია.

გაზაფხული იდგა და ლენცოფა სულ ნორჩი იყო, ის ძალა და ღონე არ ჰქონდა, ცხოველი მაშინვე რომ დაეგდო, ამიტომ კაჟადების დასაავადებლად დიდი დრო დასჭირდა და ავადმყოფობის ნიშნებმა გზაზე დადგომიდან მხოლოდ მეორე კვირის ბოლოსთვის იჩინა თავი. ფადის ნათესავები უმტკიცებდნენ, საწამლავი ნამდვილად კაჟადებისთვის ნაყიდ საკვებს შეჰყვაო. სულ იმ ფლიდი გამყიდველის ბრალია, გარჩეული, აბრეშუმივით ბალახის ფული გამოგვცანცლა და მის ნაცვლად სარეველებიანი შემოგვაპარაო. იფიცებოდნენ ოჯახს, შვილებს, ნამუსსა და კაცობას და თან საიდუმლო ჯიბეებში ჩამალულ დაზოგილ გროშებს ხელით სინჯავდნენ, თვალები კი მორიგი ახალი ტყუილის მოსაფიქრებლად სულ ზევით გაურბოდათ. ამას ფადის რას გამოაპარებდნენ. ახალგაზრდა კი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ სულ მთლად ბავშვს ულო ასწავლიდა, ვინც თვალებში არ გიყურებს, იმას ბოლომდე არ ენდოო. ულოს სიკვდილის შემდეგ იმდენი მასწავლებლის შეგირდობა მოუწია, იმდენი დარიგება და დამოძღვრა მოისმინა, ტყუილ-მართალის გარჩევა არ უჭირდა.

ერთხელ ერთი ისეთი სქელშუბლა და გამოცდილი ფლიდი შეხვდა, თან სახეში კრავივით უცქერდა, თან ხაფანგში ჩასავარდნ ორმოს უთხრიდა. ფადის სიმართლის გასაგებად არც ერთი ნასწავლი მოძღვრება არ გამოადგა და დაკვირვების წყალობით თავად შექმნა. ამ შემთხვევის შემდეგ გამოცდილებას უკვე სხვებს უზიარებდა. ფადი სქელშუბლა ფლიდს ყურადღებით აკვირდებოდა, მაგრამ კაცს საეჭვოს ვერაფერს ამჩნევდა. თუმცა, ჩასავარდნი ორმო საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი და კარგად იცოდა, რა ხაფანგშიც აგდებდა. მოულოდნელად, ბოლო კითხვის შემდეგ, გაიყოლებდა თუ არა ტასმანის შორეული მიწებზე, ფადიმ მოსაუბრის უარის შიშით გაჟღენთილი ოფლის მძაღე სუნი იგრძნო. ამ სუნმა გაყიდა კაცი. ფადის ნათესავების ქცევაში კი თითქმის ყველა ნასწავლი ნიშანი იყო გაერთიანებული. ავთი მუსუნისა და პუტი ნისას ფარღალალა შარვლების ჯიბეებში მათ მომუშტულ ხელები ისე ცხადად იყო გამოკვეთილი, მათი შემჩნევა კაცს უდაბნოს მტვრით ამოვსებული თვალებითაც არ გაუჭირდებოდა, ფადიც კარგად ხედავდა, ყოველი კითხვის დასმისას გამორჩენადახარბებულ ნათესავებს მუშტები როგორ უთრთოდათ. ვაჟმა ისიც ზუსტად იცოდა, რას მალავდნენ ამ მუშტებში, — საკუთარი თავებისთვის განაჩენად ქცეულ ორიოდე გროშს.

ფადიმ აბელ ნასან მურის შესახებ დაზუსტებული ბევრი არაფერი იცოდა, ან ვინ იცოდა, მაგრამ, რაც გაეგო, ისიც საკმარისი იყო, შესვლისგან თავი რომ შეეკავებინა. ქალაქი საქარავნო გზებიდან მოშორებით იყო. ტასმანის შორეული მიწების, კარკადებისა და ჩრდილოეთის ღვინისფერი ზღვის სანაპიროს მონახულების მსურველები ან ოაზისების ძებნაში გზააცდენილები თუ გადაეყრებოდნენ დიუნებში გამომწყვდეულ აბელ ნასან მურს. სამივე ეს ადგილი, თავის მხრივ, ნამდვილად იმსახურებს აღწერას, მაგრამ გუმანით ვგრძნობ, ადრე თუ გვიან გვერდს ვერ ავუვლით, ამიტომ ამჯერად ისევ კარიბჭეს დავუბრუნდეთ. მით უმეტეს, თავად აბელ ნასან მურის შესახებ ჯერ ბევრი არაფერი გვითქვამს.

— ფადი, ჩემო ღირსეულო ბიძაშვილო, პუტი ნისა დამემოწმება, შარშარ ჩვენს ქალაქში გამოჩნდა ერთი ფრიად პატივცემული ვაჭარი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ სხვადასხვა მოულოდნელ ვითარებათა გამო აბელ ნასან მურის ჭიშკარს მიადგა. მასაც სმენოდა იმ საშიშროებებზე, რაც კედლებს მიღმა იმალებოდა, მაგრამ, როგორც თავად თქვა და მეც იმავეს გავიმეორებ, იმედი მაქვს, პუტი ნისაც დამეთანხმება, ზუსტად რა საშიშროებებზეა საუბარი, არავინ ვიცით. თუმცა, ბევრს მოეხსენება იმ შესანიშნავი ოაზისისა და მაცოცხლებელი ტბის შესახებ, რომლითაც ცნობილია ქალაქი. ის ფრიად პატივცემული ვაჭარი ქალაქის ნახვის სურვილმა ისე აიტანა, ყველა შეგონება და გაფრთხილება მიავიწყდა და აბელ ნასან

მურის დათვალიერების მიზნით და საიდუმლოსთვის ერთხელ და სამუდამოდ ფარდის ახდის იმედით ამ კარიბჭეს მიადგა. მიადგა და შევიდა კიდეც. მსგავსი მდიდარი ქალაქი, მანამდე თვალით არ მენახაო. რა მოსატანია, დასავლეთის ოქროსგუმბათიანი სასახლეები და აღმოსავლეთის ძვირფასი ქვებით დაგებული მოზაიკები და მოპირკეთებული კედლებიო. სულ ერთი დღე გაჩერებულა, მოვალეობა მეტის უფლებას არ აძლევდა, საქონელი ვადაში უნდა ჩაებარებინა დამკვეთთათვის. ვაჭრის სიტყვა კი, თავად მოგეხსენება, გაუხსნელი კვანძია, წამახვილებული ფრჩხილებითაც რომ ვერაფერს დააკლებ. ქალაქიდან იქაური საქონელიც გამოაყოლა ხელს, განსაკუთრებულ ფასად ყიდიდა, მაგრამ არავინ ევაჭრებოდა, ისეთი ძვირფასი და განუმეორებელი იყო. დიდ პაპას ახსოვდა, მისი მადლიერი იყო, ახალგაზრდობისას ხელი გამიმართაო და რამდენიმე ნივთი მე და პუტი ნისას ჩვენთვის სარფიანი ფასდაკლებით მოგვცა. სხვა ნივთებიც დაგვათვალიერებინა, რაც ქალაქიდან საჩუქრებად გამოატანეს. ყველაფერი მდიდრული ელფერით ბრწყინავდა.

ფადი ბიძაშვილის ამ მონათხრობს უკვე მესამედ ისმენდა. ამჯერად ავთი მუსუნი ერთ სიტყვას არ ტყუოდა. ყველაფერს ალალად ყვებოდა. აღარც ზევით გაურბოდა თვალი და გაცრეცილი მდოგვისფერი შარვლის ჯიბეებიდანაც ხელები ამოეღო და საკუთარი ღირსებებით თვითკმაყოფილს მეტი დამაჯერებლობისთვის მუცელზე შემოეწყო, მაგრამ ბიძაშვილის სიმართლე ფადის ეჭვებს რას გაფანტავდა, როცა ავთი მუსუნი იაფად ნაყიდი საეჭვო ღირებულების ჭინჭების ყიდვით გახარებული გაცურებული თავად ბრძანდებოდა. როგორც კი ბიძაშვილმა ქალაქიდან გამოტანებული საჩუქრები ახსენა, ფადი ყველაფერს მიხვდა. ნათესავებს ეშინოდათ, კედლებს მიღმა დაგროვილი სიკეთე მხოლოდ მას არ შეხვედროდა. არც ერთი და არც მეორე ფადის ჭეშმარიტ განზრახვას — დაეზვერა ქალაქი — იოტისოდენადაც არ ივჯერებდა. მაშინ ფადიმ ჭკუა იხმარა და ნათესავებს კარიბჭის მიღმა გასვლის პირველობა დაუთმო. თქვენ ნახეთ, რა ხდება და თუ მშვიდობა დაგხვდათ, კაჟადებს მერე შევიყვანთო. თანამგზავრებს არც ეს ეამათ, მაგრამ იქით საჩუქრების მიღების პირველობა უმღვრევდათ გონებას, აქეთ კაჟადების შემხედვარე მშვიდდებოდნენ. ასეთი დაავადებული ცხოველებით ფადი ვერსად გაიქცეოდა და თან არ წაიყოლებდა უძვირფასეს ფხვნილებს, სამკურნალო მცენარეებსა და ათას საჯადეგო წამალსა თუ ნივთს. ფადიმ ნათესავებს პირველობა შესთავაზა და იქვე დასძინა, თუ გგონიათ, მე მიხარია, საკუთარი ნებით ხაფანგში თავის შეყოფა, ძალიან ცდებითო. ხაფანგი დროულად ახსენა. ამ სიტყვამ ავთი მუსუნი შეაცბუნა, პუტი ნისა კი შეაშინა. მაშინვე უკან დაიხიეს და საიდანღაც ჩამოთრეულ ნათესავს, ზურგს უკან ფადის ასე ეძახდნენ, გზა დაუთმეს. ფადი კარიბჭისკენ გაემართა. მაინც რა მრჯის, — გაიფიქრა მწარედ. ქარავანს შინ მშვიდობიანად მიიყვანდა თუ არა, ისევ მთვარეზე მონადირეთა ორდენში აპირებდა დაბრუნებას. ორდენის წევრები მრავალმხრივი გამოცდილების მიღების მიზნით ხშირად სხვა საქმიანობით კავდებოდნენ და მთავარი გზიდანაც უხვევდნენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც თავიანთ უპირველეს მიზანს უბრუნდებოდნენ. ფადიც ხომ იმ გამოცდილების მისაღებად დაბრუნდა შინ, მაგრამ ვითარებათა გამო, მურების ქალაქთან მოხვდა. ნუთუ შინ დაბრუნებაც მხოლოდ ამისთვის იყო საჭირო, რომ აქ მოვხვედრილიყავი? — გაიფიქრა ფადიმ და ფეხს აუჩქარა.

ჭიშკრისკენ მომავალი ფადის დანახვაზე ასან ბასარმა გასაღები ბოლოჯერაც გადააბრუნა და სტუმრის შესახვედრად ფრუტუნით გაემართა. გზადაგზა გრძელი თეთრი წვერიდან, ლამის მუხლებამდე რომ სდევდა, ქვიშის მარცვლებს იბერტყავდა. საკუთარ თავზე გაბრაზდა, ამდენ ხანს ელოდა სტუმარს და ახლა არ იცოდა, უცხოელს რა სახით ჩვენებოდა. ამდენ ფიქრში ისიც კი დაავიწყდა, ქალაქისთვის ქვიშა მიეყარა, მხოლოდ სახელურის ჩამოწევის წინ გაახსენდა. დაიხარა. ერთი მუჭა ოქროსფერი ქვიშა აიღო და ქალაქს ისე მიაყარა, იქით არც კი გაუხედავს. მოხუცის უკან მკვდარი ქალაქი მყისვე გაცოცხლდა და ქუჩებში მოსიარულე ხალხით გაივსო. კაცმა კარის გაღების ნაცვლად ჭუჭრუტანიდან გაიხედა და სტუმარს დააკვირდა. დანარჩენი ორისგან განსხვავებით უდაბნოში მოგზაურთათვის ჩვეული მოთეთრო-მონაცრისფრო ფარღალალა სამოსი არ ეცვა. მზის მწველი სხივებისგან დასაცავად გრძელი საბურველის ნაცვლად თავი მცირე ზომის ჩალისფერი სამკუთხა ნაჭრით წაეკრა. ვიწრო შარვალსა და მოკლე პერანგში გამოწყობილი უფრო მეომარსა ჰგავდა, ვიდრე უდაბნოდან მოსულ მოქარავნეს ან მოხეტიალე დავრიშს. ოცდახუთს გადაცილებული იქნება, მაგრამ სამი ათეულის შესრულებამდე ასე ორი-სამი ზამთარ-ზაფხული კიდევ უნდა გაიაროს, — გაიფიქრა მასპინძელმა. ასან ბასარმა მის სახეზე ისეთი ვერაფერი ამოიკითხა, რაც სტუმრის ხასიათზე, ფიქრებსა და ჩვევებზე მიუთითებდა. გაუკვირდა. აქამდე გამომეტყველებით

გონების ყველაზე ბნელ კუნჭულ-ჩიხებში ისეთ დამტვერილ საცავს შეამჩნევდა, გასაღებს მოარგებდა, ჩაიხედავდა და იქაურობას ნათელს მოჰფენდა, რომ ხშირად მისი არსებობა თავად დამმალავმა არ იცოდა. ასან ბასარი ადამიანებზე ზეგავლენას სწორედ ასე მოპოვებულ განძის წყალობით ახდენდა. ჭკუა თუ არ ვიხმარე, ამას ვერაფერს დავტყუებ, – გაიფიქრა ასან ბასარმა. ქალაქისკენ გაიხედა, ჭიშკართან ახლოს მომუსაიფე ორ კაცს ხელის დაქნევით უხმო და სტუმრის მიღება დაავალა. მხოლოდ ჭიშკარი მაშინვე არ უნდა გაეღოთ. უცხოელი მანამ უნდა ელოდინებინათ, სანამ ასან ბასარი ციხე-ქალაქის მთავარ სასახლეს არ მიაღწევდა. თუმცა არც იმდენ ხანს, რომ ქალაქში შემოსვლა გადაეფიქრებინა.

მთავარი სასახლე ზუსტად ქალაქის უკანასკნელი ხორციელი მაცხოვრებელის ხნისა იყო და სადღაც ერთი თაობის შემდეგ ათასი წლის გახდებოდა. იგი იმ სახლის ადგილას წამოჭიმეს, სადაც ასან ბასარი – მთვარის პირველი შვილობილი დაიბადა. ამჯერად სასახლემდე მიმავალ გზას ქვიშაში ჩაფლული, სახურავჩამოქცეული შენობების ნაცვლად თეთრი კირით შეთეთრებული და ლურჯი საღებავით მოხატული კედლები მიჰყვებოდა. თანაბარი მანძილებით დაშორებულ მრგვალთაღიან და ორფრთიან ხის ლილისფერი კარების უკან, სამსართულიანი სახლების ნახევრად ღია ეზოები იწყებოდა, შუაში მცირე შადრევნიანი აუზით. ასან ბასარს ქალაქის ასეთი გარდასახვა ესიამოვნა. ასიოდე წლის წინანდელი მთვარის მეოცე დღე გაახსენდა, ამ დღეს გამოღვიძება ერქვა. მთვარის ამ დღეს საჭირო ბგერების გამოცემით ნებისმიერი ადამიანის გამოღვიძება შეიძლებოდა, რაც უნდა შორს ყოფილიყო და რაც უნდა დიდი ხნის დაძინებული. იმ დღესაც ქალაქის კარიბჭეს ახალგაზრდა ვაჟი მიადგა, დღევანდელი სტუმარივით მშვიდი სახით. სულ არ ეტყობოდა, რომ რამდენიმე დღის მშიერ-მწყურვალი იყო, ტანსაცმელშემოძარცვული და უდაბნოს მწველი მზისგან კანდამწვარი. დავრიშობისთვის ძალიან ახალგაზრდა იყო, თუმცა, მისი სამოსის მონარჩენი ზუსტად ამაზე მეტყველებდა. ერთადერთი კაჟადა ახლდა თან. ცხოველს საპალნეც არ ჰქონდა დადგმული. სულ ეს იყო მისი ქარავანი. გუშაგებს ვაჟმა არც წყალი სთხოვა და არც თავშესაფარი, წყალთან და საკვებთან ახლოს ცხოველის დატოვება უნდოდა. ასან ბასარი, მომავალში მთვარის შვილობილადაც მოვიხსენებ-ხოლმე, ასეთებს უშიშრებს ეძახდა.

სტუმარს თავად ასან ბასარი არ დახვედრია, მაგრამ ვაჟმა რაც ითხოვა, მთვარის შვილობილმა მაშინვე გაიგო, რადგან ქალაქში ყველას, უფროსისა თუ უმცროსის, ქალისა თუ კაცის, მექოლგისა თუ ჭაშნაგირის გონებას, ყველასას, ასან ბასარის გონება მოიცავდა. ასან ბასარი იმ უცნაურ სტუმარს მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად უდაბნოს დედოფლის სახით წარუდგა და სტუმრისგან, აი, რა გაიგო: ვაჟი მართლა დავრიში აღმოჩნდა და არც ისეთი ახალგაზრდა იყო, როგორც მასპინძელს წარმოედინა. ბავშვობაში ნიშანი მიეღო, ირწმუნებოდა, წინ მნიშვნელოვანი საქმეები მელისო. ყოველი დღის გასვლა უხაროდა. დრო ხომ მისიასთან აშორებდა. სიკვდილის არ ეშინოდა, მისიის შეუსრულებლად ამქვეყნიდან მის წაყვანას მაინც არ დაუშვებდნენ, ხოლო საქმის გასრულების შემდეგ კი მარადისობას შეუერთდებოდა, სადაც არც დრო და არც მანძილი აღარ იარსებებდა, ვერც ერთი გრძნობა თუ შეგრძნება მის სულს ვეღარ ააფორიაქებდა და ათასგვარ გამოცდას ვეღარავინ მოუწყობდა. მისი სახელი მთვარის შვილობილს აღარ ახსოვდა, ამ სტუმარს ყოველთვის გამოღვიძებად იხსენებდა, რადგან აბელ ნასან მურს მთვარის მეოცე დღეს – გამოღვიძების დღეს მიადგა.

ასან ბასარი მთავარ სასახლეში უდაბნოს დედოფლად შევიდა. ტანთ ქვიშის ქარიშხლის კაბა ეცვა, მხრებმოშიშვლებული, მკერდს ძლივს რომ უფარავდა. კაბის კალთათა ფრიალი დიუნებივით დატალღულ სველქვიშისფერ თმას მოსვენებას არ აძლევდა. ტახტისკენ მიდიოდა და სახეზე ჩამოყრილ კულულებს უკან იყრიდა. ისეთი ნორჩი და შეურყვნელი ჩანდა, თითქოს მის დასაბადებლად უდაბნოს ესაა ემშობიარა. სულ ორჯერ ჰყავდა ასან ბასარს ნამდვილი უდაბნოს დედოფალი ნანახი და პირველივე ნახვის შემდეგ მისი ზმანება მუდამ თან დასდევდა. თვალის ერთი შევლებისთანავე მის მსახურად ყოფნა ისურვა, მთელ ცხოვრებას მისი კაბის დანატოვარ ქვიშის მარცვლების სათითაოდ აკრეფაში გაატარებდა, ოღონდაც მისი ნახვის უფლება ჰქონოდა. უდაბნოს დედოფალმა მე რომ ასე მომნუსხა, სხვას რას დამართებსო, ფიქრობდა მთვარის შვილობილი და საშიშ სტუმრებს მისი სახით ხვდებოდა. აქამდე მხოლოდ ერთს, მთვარის მეოცე დღეს შემოსულ სტუმარს, ვერ დამართა ვერაფერი. მეორედ უდაბნოს დედოფალს ათი წლის შემდეგ შეხვდა. უფრო ზუსტად, უდაბნოს დედოფალი მთვარის შვილობილის გასაცნობად ქალაქს თავად ესტუმრა. ათ წელიწადს ერთი წამის კვალიც ვერ დაემჩნია მისთვის. ასან ბასარისთვის ისევ ისეთი მიმზიდველი და სასურველი იყო, ისევ ქვიშის ჩანჩქერებად იღვრე-

ბოდა მისი კაბა და ისევ დიუნებად იშლებოდა მისი სველიქვიშისფერი თმები. ასან ბასარი გრძნობებისა და მოვალეობების ჭიდილმა ლამის ჭკუიდან შეშალა. ხომ მრავალის გონებას მოიცავდა, ხომ ბევრზე ბევრი ადამიანი იყო მასში, მაგრამ მთლიანობის შეგრძნება არასდროს ტოვებდა, ახლა კი ცეცხლში შესაკეთებელად გამზადებული შუაზე გაპობილი კუნძივით ელოდა გარდაუვალ განაჩენს, სულ მალე ორივე ნაწილი აუცილებლად ნახშირად ექცეოდა.

იმ დღეს ასან ბასარმა, მთვარის ოცდამერვე – სრულყოფილ დღეს, უდაბნოს დედოფალი ხაფანგში ვერ გააბა, ქალი იმაზე ბევრად დიდსულოვანი აღმოჩნდა, ვიდრე მისი მდგომარეობისა და შეძლების ადამიანებს იმ დროს სჩვეოდათ და ახლაც სჩვევიათ. მართალია, იმ დღეს უდაბნოს დედოფალმა ქვიშის მბრძანებლობის უნარი დაკარგა და, თითქოსდა, ჩვეულებრივ ქალად იქცა, სამაგიეროდ, ქალაქი ახალი სახელით დატოვა. დღეიდან იგი ოცდამერვე ბრძანდებოდა, ხოლო სახელი მისი იყო სრულყოფილება.

ასან ბასარმა გადაწყვეტილება მყისიერად შეცვალა და სტუმრის დახვედრა ქვიშის დედოფლის სახის მიღების შემდეგ სასახლის ნაცვლად ტბის პირას ისურვა.

მაშ ასე, ქვიშის დედოფალი უნაყოფო ლეღვის ხეთა ჩრდილქვეშ ტბის პირას სეირნობდა და მგალობელ ფრინველთა სიმღერას უსმენდა. ბრძანებების მოლოდინში ლამის ყოველი ხის ძირში თითო მსახური მაინც იდგა. სულ სხვადასხვა ასაკისა და შესახედაობის იყვნენ. ზოგი ციდან ჩამოგზავნილ ქალღვთაებასა ჰგავდა, ზოგიც ისეთი სახიჩარი იყო, მის შემხედვარეს ქვის გულიც რომ ჰქონოდა, შიშისგან შეუტოკდებოდა.

უდაბნოს დედოფალი მოქანავე ოთახში ავიდა, სტუმრის მოლოდინში თივთიკის ოქრომკედით ნაქარგ ბალიშებს მიეყრდნო – მოლივლივე ტბას რწევა-რწევით გასცქეროდა. ლეღვის სუსხიანი სურნელი რომ არა, ირგვლივ ისეთი მომთენთავი სიმშვიდე იყო, ნამდვილად ჩაეძინებოდა. წრიული ფორმის მოქანავე ოთახში ორი კაცი თავისუფლად დაეტეოდა და კიდევ ორი იპოვიდა ადგილს, თუ ჯვარედინად დასხდებოდნენ. თეთრი ჰაეროვანი ნაჭრით ნახევრადდაბურული მოსასვენებლის ასასვლელთან ძირს დაფენილ ხალიჩებზე ოთხი მსახური იჯდა: ორი ქალი და ორი კაცი, მოშორებით სხვებიც იდგნენ. მწვანეში ჩაფლული საქანელა მდინარეში მიშვებულ იალქნიან ტივს ჩამოჰგავდა. ფადიმაც ზუსტად ეს იფიქრა, როცა ლეღვის ტოტებს უდაბნოს შორის უდაბნოს დედოფლის ფრიალაკედლებიანი მოსასვენებელი დალანდა. უდაბნოს დედოფალმა სტუმრის მოახლოება იგრძნო, ხელი ასწია და მსახურებმა მოსასვენებლის რწევა შეწყვიტეს. ორმა მცველმა ფადი მიწიდან სამი-ოთხი მტკაველით დაშორებულ ასასვლელთან მიიყვანა. ქვიშის დედოფალმა სტუმარს ხელი დაუქნია და თავისთან უხმო. საქანელაზე ასასვლელად მსახურებმა ფადის სამსაფეხურიანი კიბე მიუდგეს. სანამ მცველები და მსახურები ფაციფუცობდნენ, ფადი მოლივლივე ტბას გასცქეროდა და იხსენებდა, უკანასკნელად როდის ნახა ამდენი და თან ასეთი კრიალა წყალი. ხუთი წლის წინ მაინც იქნებოდა.

ერთხელ მთვარეზე მონადირეთა ორდენში ამბავი მოიტანეს, ჩრდილოეთის ზღვის ხორდაჯის უბეში მინის კლდეების ქვაბულებში ძვირფასი ქვების მაძიებელი ბროლისგან გამოკვეთილ მშვილდოსნის ფიგურას გადაეყარაო. ორდენის მეთაურმა ხორდაჯის უბის დასათვალიერებლად და სიმართლის დასადგენად ფადიც გააგზავნა. დაუთვალერებელი მინის ქვაბულების ერთი კუთხე-კუნჭულიც არ დარჩათ, მაგრამ ბროლის მშვილდოსანს ვერსად მიაკვლიეს. მორიგი ცრუ შეტყობინებით გულდამძიმებულებმა შინ დაბრუნების წინ პატარა ტბასთან შეისვენეს. ტბას ორ ადგილას ამოჭრილი მინის კლდე სახურავივით დაჰყურებდა. ფადი გულაღმა დაწვა. ზემოდან ცის ორი უზარმაზარი ლურჯი თვალი დასცქეროდა, ის დრო იყო, როცა ახალამოწვერილ მზეს მთვარე ჩასვლას ვერ ასწრებს და კლდეში ამოტეხილი ერთ თვალის მთვარე-გუგაში მთელი მღვიმე ირეკლებოდა: – რძისფერი ფილები, მისი მეგობრები, თავად ფადი, ცაზე უფრო ლურჯი ტბის ფსკერზე დამალული თეთრი მშვილდოსანი მთვარის განსაგმირად მოზიდული მშვილდით.

მცველებმა სტუმარს ხელი მოჰკიდეს, უდაბნოს დედოფლის მოსასვენებელ ოთახში ასასვლელ კიბესთან მიიყვანეს და თავად იქაურობა დატოვეს. ფადის მათი საქციელი ძალიან გაუკვირდა, დედოფალს უცხო, გადამთიელ კაცთან, რომლის შესახებ არაფერი იცოდნენ, მარტო ტოვებდნენ. იარაღი მაინც მოეკითხათ, ჰქონდა თუ არა. კიბე რომ აიარა და უნაზესი, სიფრიფანა ფარდა გადასწია, უდაბნოს დედოფალს თვალი შეავლო თუ არა, მაშინვე ყველაფერს მიხვდა. უმალ საკუთარ სიცოცხლეს დაემშვიდობებოდა, ვიდრე მას – დედოფალს იოტისოდენად ავნებდა რამეს. ფადი მთვარეზე მონადირეთა ორდენის უმაღლესი წოდების მფლობელი იყო. ჩრდილოეთის ზღვის ხორდაჯის უბეში მინის კლდეების ქვაბულებში მიკვლეული მსროლელის პოვნის შემ-



დეგ დიდი სჯა-ბაასის გარეშე მპოვნელის წოდება მიანიჭეს. ასეთი შემთხვევა ორდენის დაარსების დღიდან ხუთასი წლის განმავლობაში მხოლოდ ათჯერ მოხდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ ამ ხნის მანძილზე მხოლოდ ათი მთვარეზე მონადირის, იგივე მსროლელის ფიგურა იყო ნაპოვნი. ეს წოდება ფადის სრულ უფლებას აძლევდა მხარეების, ქვეყნებისა თუ ქალაქის მმართველების წინაშე მუხლმოუდრეკლად წარდგენილიყო. უდაბნოს დედოფალმა ფადის უმაღლესი წოდებაც დაავიწყდა და მთვარეზე მონადირეთა ორდენის წევრობაც. ფადიმ მის წინ ცალი მუხლი მოიყარა და თავი მდაბლად დაუკრა. დედოფლის ქვიშის მოლივლივე კაბიდან აფრენილი უწმინდესი მარცვლები სტუმარს სახეში სცემდა. ფადის ესეც სიამოვნებდა და განაკაწრები საამოდ ეჩვენებოდა. დედოფალმა სტუმარს წამოდგომა და თავის წინ დაჯდომა უბრძანა. ფადიც დაემორჩილა და ქალის მოპირდაპირე მხარეს, რბილზურგიან და ბალიშებშემოწყობილ, მომრგვალებულ ტახტზე დაჯდა. დედოფალმა ფადის ვინაობა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. ფადიმაც მოახსენა, ვინ იყო, საიდან მოდიოდა და აბელ ნასან მურს რატომ ესტუმრა. კარიბჭესთან მომლოდინე ქარავანიც ახსენა და დაავადებული კაჟადებიც. მთვარეზე მონადირეთა ორდენის წევრობა კი არ ახსენა. თხრობისას ჯერ ტუჩები გაუშრა, მერე ენაც გაუხევდა და ყელმაც ფხაჭნა დაუწყო. ყოველი სიტყვის თქმის შემდეგ წყურვილის გრძნობა უათმაგდებოდა და საუბარი სულ უფრო და უფრო უჭირდა. ამიტომ ისე გამოწურულად ყვებოდა, თითო წინადადებაში იმდენ სათქმელს ატევდა, თხრობა მალე დაასრულა. ფადი ცოტა დაცხრა, დედოფალს თვალი გაუსწორა და მის ყოველი ნაკვთი გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა. უცნაური თვალები ჰქონდა ქალს, მოყვანილობით ულამაზესი ოვალის, მაგრამ ღრმა მოხუცებულივით ამღვრეული, სავსე მთვარესავით ლაქიანი და გუგაგაცრეცილი. თითქოს უდაბნოს დედოფლის უმშვენიერესი თვალებიდან სულ სხვა არსება იცქირებოდა. ფადის წყურვილი უწინდებურად ტანჯავდა. ასე ეგონა, ქალის წინაშე მთლიანად გამომშრალი იჯდა და სადაცაა მისი ქარიშხალივით აბობოქრებული სამოსი უდაბნოს ქვიშასავით შეისრუტავდა.

– მგონი, ყელი გაგიშრა, ძვირფასო სტუმარო, წყალს ხომ არ მიირთმევდი, – თხოვნაზე პასუხის გაცემის ნაცვლად ჰკითხა უდაბნოს დედოფალმა ფადის, ბალიშებიდან წამოდგა და ხელი გაუწოდა, ფადიც მაშინვე ფეხზე წამოიჭრა. ბიძგებისგან მოსასვენებელი ოთახი შეირხა და ქალი მოშიშვლებული მხრით სტუმარს რამდენჯერმე შეეხო. ფადის საპასუხო ქმედებამაც არ დააყოვნა, დედოფალს შეეშ-

ველა და წონასწორობის აღსადგენად ხელი ხელზე ოდნავ უფრო მძლავრად მოუჭირა. ნაღვერდალზე ბევრად მწველი აღმოჩნდა ფადის მუშტში გამომწყვდეული თითები. მხოლოდ ხელისგული კი არ დაეწვა, ერთიანად წაეკიდა ცეცხლი, თითქოს ქვიშის ათასობით გავარვარებული მარცვალი ეძგერა. ფადის ერთი სული ჰქონდა, ტბას როდის მიაღწევდნენ, წყლიდან მონაბერ სიგრილეს როდის შეუშვერდა ავარვარებულ სახეს.

— გმადლობ, — წარმოსთქვა დედოფალმა. მათი მზერა სულ რამდენიმე წამით ერთმანეთს შეხვდა. ამჯერად ქალის თვალებიდან ისეთი გაყინული მზერა გამოსჭვიოდა, რომ სულ უმნიშვნელო დრო ფადის გონზე მოსასვლელად საკმარისი აღმოჩნდა, ლავასავით ადუღებული გონება დაეწმინდა და ქვიშის მარცვლებივით დასაშლელად განწირული სხეული შეუკრა. წყურვილმაც სულ ოდნავ იკლო. უდაბნოს დედოფალი ტბისკენ წავიდა, ფადი გვერდით მიჰყვებოდა. კიბესთან მომლოდინე მსახურებიც უკან გაჰყვნენ. — წყალი! — წარმოსთქვა ქალმა. მსახურმა ქალმა ტბისკენ თასი გაიშვირა. ფადის წყლის ჩხრიალი მკაფიოდ მოესმა. თასის თავზე ჭავლი გამოჩნდა, რომელმაც სასმისი შეავსო. მსახურმა თასიდან ჯერ თავად მოსვა ერთი ყლუპი, შემდეგ ქალბატონს მიაწოდა. დედოფალმა დალია, თასი მსახურს დაუბრუნა და ფადის მიუტრიალდა. — აირჩიე შენი ჭაშნაგირი! — თქვა ქალმა და ხელით მსახურებზე ანიშნა, — აბელ ნასან მურის ტბის წყალს მაცოცხლებელი ძალა აქვს, მაგრამ არა ყოველთვის. არავინ ვიცით, როდის აგვავსებს უშრეტი ენერგიით და შხამად როდის გვექცევა. დღეს მთვარის მერვე დღეა — უსასრულობის დღე. ბედი გქონიათ, სწორედ ამ დილით რომ მოადექით ჩვენი ქალაქის კარიბჭეს, დღეს ყველა სტუმარს მექოლგისა და ჭაშნაგირის არჩევის უფლება ეძლევა, მათ შორის შენც.

ფადიმ მსახურებს გადახედა. ყველას ხელში თასი ეჭირა და არჩევნის მოლოდინში სტუმარს გაშეშებულები შესცქეროდნენ.

— დახმარება ხომ არ გჭირდება, იქნებ თავად გირჩიო, — უდაბნოს დედოფალი ისე ახლოს მივიდა ფადისთან, ვაჟს მისი სუნთქვა ესმოდა.

ქალის მიახლოვებისთანავე ისევ დაუოკებელმა წყურვილმა აიტანა ვაჟი. ფადიმ პასუხად მხოლოდ თავი გააქნია. გახევებული და გამომშრალი ყელის წყალობით ხმის ამოღება ვერ შესძლო, ბგერა ვერ დასცდა.

— მესმის თქვენი, უცნაური არჩევანია, მაგრამ მაინც მოგიწევთ. მიუხედავად იმისა, რომ წყლით ჭაშნაგირები ხშირადაც არ იწამლებიან, ბედის გამოცდას მაინც არ გირჩევთ. ერთი უცნაურობა სჭირს ჩვენს ტბას, განსაკუთრებით უცხოელებს არ ინდობს.

ფადიმ წელიდან მათარა მოიხსნა, შიგ ცოტაოდენი წყალი ეგულებოდა. სასწრაფოდ თავი მოხსნა და მოიყუდა. მაცოცხლებელი წვეთების ნაცვლად იქიდან ქვიშა წამოვიდა. ფადიმ იყოჩაღა, თორემ პირი მთლიანად ქვიშით აევსებოდა და სულ ადვილად დაიხრჩობოდა. ისედაც აუტანელი მდგომარეობა, მთლად გაუსაძლისი გახდა. ფეხარეული ფადი ერთ-ერთ მსახურთან მიიჭრა. დედოფალმა გამარჯვებულის მზერა გააყოლა. ვაჟმა აცრემლებული თვალებით ვერც კი გაარჩია, მის წინაშე ვინ იდგა, ახალგაზრდა თუ ჭარმაგი, ქალი თუ კაცი, ხელიდან თასი წაგლიჯა და ტბისკენ გაიშვირა. რაკრაკის ხმა გაისმა და თასიც დამძიმდა. ფადიმ წყალი სულმოუთქმელად დალია, უკანასკნელი წვეთები მუჭში ჩაიცალა და ნამიანი ხელი სახეზე მოისვა. ქვიშის დარჩენილ მარცველს პირში მაინც კრაჭუნი გაჰქონდათ. ფადიმ ეს უსიამოვნო შეგრძნება დასძლია და დედოფალს ჩვეული ხმით მიმართა.

— რა გადაწყვიტეთ, დედოფალო, აბელ ნასან მური მიიღებს ჩვენს ქარავანს? უწილადებთ ჩვენს კაჟადებს გამოსაჯანმრთელებლად წყალს? თუ უარს ამბობთ, უნდა ვიცოდეთ, ლოდინში დრო რომ ტყუილად არ დავკარგოთ.

— მიიღებს! — არცთუ ხალისიანად წარმოსთქვა უდაბნოს დედოფალმა.

— მაშინ ხვალ გეწვევით, მთვარის მეცხრე დღეს. მას როგორც მახსოვს, თავისუფლება ჰქვია.

— მართალი ხარ, სტუმარო, მეცხრე დღეს თავისუფლება ჰქვია, მე კი ასან ბასარი მქვია და ამ ქალაქის ერთადერთი ხორციელი მაცხოვრებელი გახლავარ!

ფადის გარშემო ყველაფერი მტვრად იქცა: ფრიალა ფარდებიანი მოსასვენებელი ოთახისგან გამხმარი ფიჩხი დარჩა, მსახურები თანდათან გაიცრიცნენ და ერთ მუჭა ქვიშად ჩამოიყარნენ, ლეღვის ხეებმა სიმწვანე და ტანადობა დაკარგეს და მიწაზე ძლივსაცილებულ ჯუჯა ტოტებად განერთხნენ, უდაბნოს უმშვენიერესი დედოფალი, თავისი ქარიშხალსამოსით უფერო, გახუნებულ მოსასხამში გახვეულ თეთრწვეროსან მოხუცად იცა. უცვლელი მხოლოდ ლურჯი კრიალა ტბა და მოხუცის ამღვრეული, სავსე მთვარესავით ლაქიანი და გუგაგაცრეცილი თვალები დარჩა.

ასან ბასარი ერთდროულად გამარჯვებასაც ზეიმობდა და იმედგაცრუების გრძნობაც სტანჯავდა.

მიუხედავად იმისა, რომ მის მთავარ მისიას გამორჩეულთა აღმოჩენა წარმოადგენდა და ახლა მის წინაშე სწორედ ასეთი გამორჩეული სტუმარი იდგა, ქალაქისთვის კიდევ ერთი მექოლგისა და ჭაშნაგირის შემატება ენით აუწერელ სიამოვნებას ჰგვრიდა. მოხუცს თუ რამე აბერებდა, წვერს უთეთრებდა და თვალებს უმღვრევდა, ეს შედეგების ორსახოვნად აღქმა იყო. ერთი და იგივე უხაროდა და სწყინდა, ერთსა და იმავეს გამარჯვებადაც აღიარებდა და მარცხადაც ნათლავდა. სულ საკუთარ თავს ეპაექრებოდა, სულ საკუთარი თავი ჰყავდა დასამარცხებელი.

— მე კი ფადი საილმ ალმია მუქთაშავი ვარ, — გადასხვაფერებული ქალაქის შემხედვარე ფადიმ საკუთარი ვინაობა აღარ დამალა და მოხუცს სახელი სრულად წარუდგინა.

ფადის სრული სახელის გაგონებაზე მოხუცი შეცბა. ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ მთვარეზე მონადირეთა ორდენის უმაღლესი წოდების მატარებელი ადამიანი აბელ ნასან მურს, როგორც ერთი უბრალო ვაჭარი, ისე მოადგებოდა. სიტყვასიტყვით ფადის ვინაობა ასე ითარგმნებოდა — წყალში ისრის მპოვნელი. ასან ბასარის წინ მუქთაშავი ანუ თავად მპოვნელი იდგა. ასეთი კი მისი დაბადების შემდეგ, მთელი ათასი წლის განმავლობაში მხოლოდ ათი იყო. ასან ბასარმა პირველად იგრძნო სიმშვიდე, პირველად მისიის შესრულებით გამოწვეული სიხარული არ დაეჩრდილა მექოლგეებისა და ჭაშნაგირების დაკარგვით გამოწვეული მწუხარებით. მოხუცის ამღვრეულ თვალებს სიწმინდე დაეტყო, გაცრეცილმა გუგებმა კი თაფლისფერი დაიბრუნეს. განცდილი ბედნიერების გამო ასან ბასარი მზად იყო ამ გზაცდენილ მუქთაშავს გადახვეოდა და მრავალი წლის დახურული გული გადაეშალა.

ფადიმ მასპინძლის ასაკს პატივი სცა, ნათქვამს სიტყვა აღარ დაამატა და პასუხს დაელოდა. საუბრის გაგრძელებისა და მომხდარის ახსნის იმედით მოსმენისთვის გაემზადა. ასან ბასარმა სტუმარს ხელი დაუქნია, მომყევიო და შინისკენ გასწია. სათქმელი ისეთი ჰქონდა, ქუჩა-ქუჩა ლაპარაკს ვერ აკადრებდა. ყველაფერი დინჯად და დაფიქრებულად უნდა ეთქვა. შემთხვევით არც თავად გამოპარვოდა და არც მსმენელის ყურსმიღმა დარჩენილიყო რამე. რამდენიმე ნაბიჯი არ ჰქონდა გადადგმული, რომ შეჩერდა და ფადის მიუბრუნდა.

— სანამ წავალთ, წყალს კიდევ ხომ არ დალევ. ახლა ეს ტბა ისევეა შენი, როგორც ჩემი და შეგიძლია სამუდამოდ გვერდით იგულო.

— რას ნიშნავს სამუდამოდ გვერდით ვიგულო? — ვერ მიუხვდა ასან ბასარს ფადი.

— თავად მიხვდები! — ჩაიქირქილა მოხუცმა, გრძელ, დამტვერილ წვერზე ხელი რამდენჯერმე ჩამოისვა და თეთრი ფერი დაუბრუნა.

ფადი წყლის დალევაზე უარს როგორ იტყოდა, თან საკუთარი ტბიდან. ქვიშა პირში ჯერ კიდევ უსიამოდ კრაჭუნობდა. ფადი ტბასთან მივიდა. მათარა გადმოაპირქვავა. ამჯერად ქვიშის ერთი მარცვალიც არ გადმოვარდნილა, სამაგიეროდ, ძირში მონარჩენი მცირეოდენი წყალი გადმოიღვარა. დაიხარა და ჭურჭლის შევსება დაიწყო. წყალი პირთამდე მივიდა თუ არა, მათარა ამოიღო. ფადიმ წყალი გულიანად მოსვა და წყურვილი მოიკლა, მაგრამ ჭურჭელს არაფერი დაკლებია. რამდენიმე ყლუპი კიდევ მოსვა, მაგრამ მათარა კვლავ პირთამდე სავსე იყო. ახლა კი მიხვდა ფადი, რას ნიშნავდა მოხუცი მასპინძლის სიტყვები.

— ახლა ჩემთან წაგიყვან, მოსაყოლი ძალზე ბევრი მაქვს. დარწმუნებული ვარ, როცა სიმართლეს შეიტყობ, გაოცებული დარჩები, ფადი საილმ ალმია მუქთაშავ! დღეიდან შენი ვინაობა დაივიწყე, აბელ ნასან მურის სტუმრობის აღსანიშნავად ახალი სახელი გექნება — ფადი ელქომარ დასამენ ალიაუმ, რაც მურების ენაზე ფადი მთვარის მერვე დღეს ნიშნავს. მაშ, გამომყევი უკან ფადი ელქომარ დასამენ ალიაუმ.

— დიდი სიამოვნებით გამოგყვებით და საუბარსაც დიდი ინტერესით მოვისმენ, მაგრამ, მნიშვნელობა არ აქვს, რას დამიძახებენ ფადი საილმ ალმია მუქთაშავს, თუ ფადი ელქომარ დასამენ ალიაუმს, ახლა ერთი უბრალო ვაჭარი ვარ და აქ გაჭირვებამ მომიყვანა. თუ რა გაჭირვებამ, კარგად მოგეხსენებათ, უკვე მოვყევი ერთხელ და აღარ გავიმეორებ. ამ ქალაქში მოხვედრას და ახალ ვინაობას ჩემს ვაჭრულ საქმიანობას უნდა ვუმადლოდე, მით უმეტეს, ამის გამო შუა გზაზე ვერ მივაგდებ. იქნებ კაჟადების დასარწყულებლად ჯერ ქარავანი შემომაყვანინოთ. ისეთ მდგომარეობაში დავტოვე, მალე დაეცემიან. და კიდევ ერთი, გზა დღესვე უნდა გავაგრძელოთ.

ასან ბასარი ჭიშკრის მიღმა დარჩენილი ორი მექარავნის ვინაობით დაინტერესდა. ძალიან გაუკვირდა, როცა ისინი ფადის ნათესავები აღმოჩნდნენ. კი იცოდა, საერთო სისხლი ყველაფერს არ ნიშნავდა და ღვიძლი ძმებიც ხშირად ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა, მაგრამ მაინც გაუკვირდა. სულ არ ადარდებდა, ერთიც და მეორეც თუ მექოლგედ ან ჭაშნაგირად იქცეოდა, ორით მეტი,

ორით ნაკლები, მაგრამ ფადი ელქომარ დასამენ ალიაუმის მიმართ პატივისცემის ნიშნად, მზად იყო მათ სულებზე უარი ეთქვა. ორივე რომ ქალაქის გამოცდას ვერ გაუძლებდა, ამას რა დიდი გამოცნობა უნდოდა, ამიტომ ფადის, აი, რა შესთავაზა: ქალაქი ლენცოფანაჭამ კაჟადებს მიიღებდა და დაარწყულებდა, მექარავნეებს კი, მათივე უსაფრთხოების მიზნით, გალავანს გარეთ მოუწევდათ დარჩენა. ფადის მოხუცის ზრუნვა ესიამოვნა. ავი იყვნენ თუ კარგი, ავთი მუსუნი და პუტი ნისაც მისი ნათესავები ბრძანდებოდნენ, ამ მოგზაურობაში მისი რჩევით წამოვიდნენ და ფადის კაჟადებსა და მათზე აკიდებულ საქონელზე მეტად ისინი ედარდებოდა. ასან ბასარის წინადადება ფადიმ უსიტყვოდ მიიღო და ცხოველების შემოსაყვანად გაეშურა. მასპინძელიც თან გაჰყვა. აყვავებული ქალაქის ნაცვლად სტუმარს ჩამოქცეულ სახლებს შორის, ქვიშით სავსე ქუჩებით მოუწევდა სიარული და გამყოლის გარეშე გზა აუცილებლად აერეოდა.

— ფიქრის დრო არ არის. გინდაც რომ აბელ ნასან მურში თვე დაჰყო, ამას შენი ნათესავები და ვერც თქვენი კაჟადები ვერ მიხვდებიან. ამაზე მე ვიზრუნებ, — უთხრა ასან ბასარმა ფადის გასვლისას.

ფადის ნათესავები მოუთმენლად ელოდნენ. უმოწყალო სიცხეში კედლის ჩრდილში ისხდნენ. ცხოველებიც იქ შეერეკათ. ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ერთმანეთის ფიქრებს ზუსტად ხვდებოდნენ, — ორივე საიდანღაც მოთრეულ ნათესავს წყევლას უგზავნიდა, დარჩენილ წყალს გონებაში წყავდნენ და უახლოეს ოაზისამდე მისასვლელად საჭირო დღეებზე ყოფდნენ. წესით, ცოცხლებს უნდა მიეღწიათ, თუ გზად რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდებოდა, მაგალითად, ქვიშის ქარიშხალი დაატყდებოდათ თავს, დიუნაზე ასულებს ფეხი დაუცდებოდათ, გზა აერეოდათ... ორიდან ერთს ხომ მაინც ეყოფოდა დარჩენილი წყალი, — ესეც ხომ გამოსავალი იყო, ერთი მეორეს მოიშორებდა. როგორც იქნა ჭიშკარი გაიღო და ფადი გამოვიდა. სიცხითა და ფიქრებით გათანგულ ნათესავებს ყველაფერი გადაავიწყდათ და ლომის ღრიალით დამფრთხალი მთვლემარე ქურციკებივით წამოხტნენ.

— ქალაქი ჩვენს ქარავანს მიიღებს, კაჟადებს დაარწყულებენ და წყლის მარაგსაც შეგვივსებენ. მხოლოდ ერთი პირობა აქვთ, თქვენ აბელ ნასან მურში არ შემოხვალთ, აქ დამელოდებით. მშვიდობით გაგიშვებთო, ასე მითხრეს და მე მათი მჯერა, — ფადი პასუხს დაელოდა.

— ჰო... — თქვა ავთი მუსუნმა და ხელი მუცელზე დაიტყაპუნა.

— ჰო... — თქვა პუტი ნისამ და თვალები მოჭუტა.

არც ერთის წარმოთქმული "ჰო" თანხმობის მანიშნებელი არ იყო. სულ რამდენიმე წამში ორივემ საიდანღაც ჩამოთრეული ნათესავის ღალატის იმდენი შესაძლებლობა წარმოიდგინა, ამის გამგონე, ვინ იცის, საკუთარ გულწრფელობაში თავად ფადიც კი დაეჭვებულიყო. ამდენი გამომგონებლობა, წარმოსახვა და ფანტაზია ავთი მუსუნსა და პუტი ნისას ვაჭრობაში რომ გამოეჩინათ, საკერებლებდადებული კედლებიანი ძველმანების ფარდულების ნაცვლად ქარვასლები უნდა ჰქონოდათ. რა აღარ მოისაზრეს: ქალაქს მეორე კარი ექნება და ფადი იქიდან გაიპარებაო; კარგი მყიდველი იპოვა და საქონელს აქვე გაყიდისო; ვითომ ქალაქში შესვლა არ უნდოდა, არადა, ნამდვილად აქედანაა წამოსული, შინ დაბრუნდა და ჩვენ მშრალზე დაგვტოვაო. ყველაფრის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მით უმეტეს, ჭკუასთან ახლოს ერთიც არ იყო.

ნათესავებმა ფადის ერთი სიტყვაც არ უთხრეს, მხოლოდ ეჭვითა და სიძულვილით სავსე თვალებით შესცქეროდნენ და ნერვიულობისგან ერთს მხარი უთამაშებდა, მეორე გამწარებული მუცელზე ხელს იტყაპუნებდა. აღარც ფადიმ გამოიდო თავი საუბრით, ენაგადმოგდებული კაჟადები ფეხზე ძლივსღა იდგნენ. ქალაქში შესაყვანად პირველს სადავეზე მოქაჩა.

— არ გაგატანთ! — წამოიძახა ორივე ნათესავმა და ფადის წინ გადაუდგნენ. — უჩვენოდ არ გაგატანთ, — დააზუსტა ავთი მუსუნმა.

— ამ ქალაქში ფეხს თუ შედგამთ, დაიღუპებით. ცხოველებს თუ არ მატანთ, მაშინ არც შევიდეთ, ბედს მივენდოთ და გზა გავაგრძელოთ, — პასუხად ფადიმ ესღა მოიფიქრა.

ფადის პასუხად პუტი ნისა კარიბჭისკენ გაიქცა და ბრახუნი დაუწყო. თან განწირული ხმით ყვიროდა, შემომიშვითო. ავთი მუსუნმაც ცხოველებს თავი მიანება და ქალაქში შესასვლელად წაფრუტუნდა. არა, არას ძახილით გაეკიდა ფადი, მაგრამ ანჯამების ჭრიალმა ორ ნაბიჯშივე გააჩერა. ამჯერად ქალაქის კარიბჭე ერთი კაცის შესაშვებად კი არ გაიღო, არამედ — მთლიანად, — ქარავნის შესასვლელად. ფადის ისღა დარჩენოდა, ნათესავებს უკან გაჰყოლოდა და მოვლენებს დალოდებოდა.

ფადის ქალაქი ისეთივე დახვდა, როგორიც დატოვა — უკაცრიელი. უდაბნოშემოტეული საცხოვრებელი სახლები შვილებისგან მიტოვებული მოხუცი მშობლებივით ქვიშისგან დაფარულ ქუჩებს საწყლად გაჰყურებდნენ. ფადიმ ავთი მუსუნისა და პუტი

ნისას თვალებში სულ სხვა ქალაქი ამოიცნო. ორივე აშკარად სხვანაირ აბელ ნასან მურს ხედავდა. სახეგაბრწყინებულები აქეთ-იქით იყურებოდნენ. ერთმანეთს ისეთი კმაყოფილები გადახედავდნენ, აშკარად ქალაქის ბრწყინვალებით რეტდასხმულები ბრძანდებოდნენ. როცა ფადის თვალი მოჰკრეს, უკმაყოფილოდ შეიშმუშნენ. ავთი მუსუნმა შეუბღვირა კიდეც და კბილებში გამოსცრა, მოგვშორდი თავიდანო. პუტი ნისამ მაშინვე ზურგი აქცია და კაჟადები ქალაქის შუაგულისკენ წაასხა.

— შენ მე გამომყევი! — შემოესმა ფადის ასან ბასარის ხმა, რომელიც აქამდე კარიბჭესმოფარებული უთვალთვალებდა სტუმრებს.

— ამათ რა ეშველებათ? — გააყოლა თვალი ნათესავებს ფადიმ.

— აბა, რა გითხრა. თვალი ერთად მივადევნოთ, — თქვა მოხუცმა და კარიბჭის აღმოსავლეთით მიმავალ ვიწრო ქუჩას დაადგა, — მიხვდი, ალბათ, ისინი ქალაქს ასეთად არ ხედავენ. ავთი მუსუნს მექოლგის არჩევას შესთავაზებენ, პუტი ნისას — ჭაშნაგირისას, როგორც შენ შემოგთავაზეს — ისე. რას ფიქრობ, რომელიმე გაუძლებს ცდუნებას? მე რაღაც არა მგონია.

— არ ვიცი... — თავი გააქნია ფადიმ, მაგრამ მაშინვე დააზუსტა, — არა. ვერ გაუძლებენ. გამოცდას ისევ ის ქალი ჩაუტარებთ? — ვაჟს უდაბნოს დედოფალი გაახსენდა და სახეზე ალმურმა გადაურბინა.

— არა, რას ამბობ! სხვები გამოცდიან. ესეტის სახეს განსაკუთრებულ შემთხვევებისთვის ვიყენებ. ჰეჰ... გატყობ, გამოცდა კი ჩაბარე, მაგრამ უდაბნოს დედოფლის ალს ვერ გადაურჩი, — ნიშნისმოგებით ჩაიქირქილი ასან ბასარმა.

— მაშ, ის ქალი აბელ ნასან მურის კი არა, უდაბნოს დედოფალი ესეტი იყო? — შეცბუნდა ფადი, — რაღაც მეშლება, არა? ის ხომ შენ იყავი?!

— ამიტომაც შემოგთავაზე, დავსხდეთ, ვისაუბროთ, მოსაყოლი ბევრი მაქვს-მეთქი. მალე ყველაფერს მიხვდები, მაგრამ თავდაპირველად შენს ახლობლებს მივადევნოთ თვალი. ქალაქს უგამოცდოდ თავს ვერ დააღწევენ.

მასპინძელი და სტუმარი ამასობაში ასან ბასარის სახლს მიადგნენ — ერთ სართულიან ყვითელ ბათქაშჩამოცვენილ შენობას. ერთადერთი ღია ფანჯრიდან ფარდა, უფრო ზუსტად, ნახატებგაცრეცილი ფარდის მონარჩენი მოჩანდა. კართან ქოთნის ნამსხვები ეყარა, იქვე ძეძვისგან შეკოწიწებული გრძელტარა ცოცხი ეგდო. ასან ბასარმა ცოცხი აიღო და პარმაღიდან ქვიშის მოზრდილი ფენა გადახვეტა. მერე სტუმარს საწყლად გადახედა, ყველაფერი ჩემი გასაკეთებელიაო, კარი შეაღო და ხელით ანიშნა, შესულიყო. კარს მიღმა იმდენად პატარა ოთახი დახვდათ, ოთახი არც ეთქმოდა, უფრო შესასვლელსა ჰგავდა. მის წინ კიდევ ერთი კარი იყო, რომელიც გაუდაბნოებულ ქალაქში საქათმეში დასაძინებლად შესული არწივივით უცხოდ და შეუსაბამოდ გამოიყურებოდა. ნაყშებიანი ძვირფასი ტარუტოს ხისგან გამოჭრილი კარი ისე პრიალებდა, თითქოს ხელოსანს სულ რამდენიმე წამის წინ გაეპრიალებინა და ტარუტოს ფოთლის მსგავს ბრინჯაოსფერ ანჯამებზე ჩამოეკიდა, სახელურიც ფოთლის მოყვანილობისა იყო. ფადიმ კარის ნაყშებში უცხო მხარეებში ნანახი მცენარეები ამოიცნო. ჭრის კუთხის ცვალებადობით, გლუვი გადასვლებითა და მერქნის განუმეორებელი ნახატის გამოყენებით, მცენარეები ცოცხლებივით გამოიყურებოდნენ. ასან ბასარმა სანდლები იქვე გაიხადა და კუთხეში უდიერად მიყარა. მასპინძელს სტუმარმაც მიბაძა.

— აბა, ფადი მთვარის მერვე დღე, კეთილი იყოს შენი ფეხი ჩემს სამფლობელოში, — მასპინძელმა შეამჩნია, სტუმარი რომ კარს განსაკუთრებული ყურადღებით ათვალიერებდა, — ეს კარი ძალიან ძველია. ჩემს დაბადებამდე გამოჭრა კეთილმა ოსტატმა, დედაჩემის მზითვია. მურებში ასეთი წესი იყო, ახალი ოჯახისთვის სახლს კაცი აშენებდა, კარს კი ქალი აბამდა. გატყობ, მოგეწონა. ეს ერთადერთია, რასაც ვერ შეველიე და ძველი აბელ ნასან მურის გასახსენელად დავიტოვე, — მოხუცმა კარის ზედაპირს ხელი ფრთხილად გადაუსვა, — საოცარი სირბილე აქვს ტარუტოს, ამ რკინასავით მკვრივ ხეს. მოკიდე ხელი, ცოცხალივით მოგეალერსება. წარმომიდგენია, ამ კარის გასაკეთებლად დურგალმა რამდენი საჭრეთელი გატეხა.

ასან ბასარმა ტარუტოს კარი შეაღო. ამჯერად სტუმარს გზა არ დაუთმო და ზღურბლს პირველმა თავად გადააბიჯა. ფადი უკან მიჰყვა. მას შემდეგ, რაც მის თვალწინ უმშვენიერესი დედოფალი მოხუც წვეროსნად, აყვავებული ქალაქი კი გაუდაუბნებულ ნანგრევებად იქცა, ფადის რა უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ აბელ ნასან მური საოცრებების ქალაქი იყო და არა მხოლოდ სტუმრის, თავად ასან ბასარის გაკვირვებასაც ახერხებდა. მართალია, ეს ძალიან იშვიათად ხდებოდა, ასე ას, ან ორას წელიწადში ერთხელ, მაგრამ მაინც ხომ ახერხებდა.

ქალაქსა და მის ერთადერთ ხორციელ მაცხოვრებელს ჩუმი მეტოქეობა ჰქონდათ. არც ასან

ბასარი აკლებდა ქალაქს. ამისთვის თავის ოთახში მყუდროდ მოკალათებული დროის პირობითობას არღვევდა და მუდმივად მრავალი დღის სავალითა და მრავალი საუკუნეებით დაშორებულ ქალაქებს და მათ მაცხოვრებლებს აკვირდებოდა. სწორედ ეს წარსულსა და მომავალში ხეტიალი აძლებინებდა ასან ბასარს აბელ ნასან მურის კედლებში. შემოხეტიალებული სტუმრების გამოსაცდელად აბელ ნასან მურს ნანახ ქალაქთა ორეულებად აქცევდა.

კარს მიღმა ფადის მოძრავი ნახატებიანი კედლები დახვდა. ასეთი რამ ვაჟს არასდროს ენახა. მის გარშემო, ოთხივე მხარეს, თეთრად შეღებილი კედლებიდან სულ სხვადასხვაგვარი ქალაქის ხედები მოჩანდა, ერთი-ორი ნაცნობს მიამსგავსა, უფრო მეტი ნანახი არ ჰქონდა. ზოგი ისეთი უცნაური იყო, ისეთი წარმოუდგენელი აგებულების სასახლეები და სახლები იდგა, უცხენოდ მოძრავი ისეთი ბორბლებიანი ეტლები დაქროდნენ, ფადის გაუკვირდა, მხატვარს მათი დახატვა აზრად როგორ მოუვიდაო.

ფადის წოდების გამო წვეულებებზე ხშირად იწვევდნენ. წინდახედული ადამიანები საილმ ალმია მუქთაშავის ანუ წყალში ისრის მპოვნელის სტუმრობას შთამომავლობას გამოსაჩენ ადგილზე დადებული განძივით უტოვებდნენ. ფულის, ოქროს, თვალმარგალიტის განიავება და დაკარგვა შეიძლებოდა, ფადის სტუმრობა კი სამუდამო სიამაყისა და თავმოწონების საგნად დარჩებოდა (ფადის ნათესავებმა მისი წოდების შესახებ არაფერი იცოდნენ. რომ სცოდნოდათ, ვალს დაიდებდნენ და არნახულ წვეულებას გამართავდნენ, ფადის სანახავად წვეულებაზე მოსახვედრად კი თანაქალაქელებისთვის ბილეთებს ისე სარფიანად გაყიდდნენ, მარტო წვეულების მომწყობი ოჯახი კი არ აშენდებოდა, შემოსული თანხა, ფადის მთელ ნათესაობას ეყოფოდა).

კარკადების ჩრდილოეთის ღვინისფერი ზღვის ქვეყნის ჩამოკიდული ქალაქების ფუფუნებაშიც ეცხოვრა და ტასმანის შორეული მიწების გოლიათების კლდეში გამოკვეთილ უმშვენიერეს ქვაბულებში, ლულუბას მინის საცხოვრებლებშიც გაეთია რამდენიმე ღამე და შადრევნების ბაღშიც, რა თქმა უნდა, ბევრგან კედლები ათასგვარი ნახატით უხვად იყო მოფენილი, მაგრამ მათზე გამოსახულებები არსად მოძრაობდნენ. ასან ბასარის მოძრავნახატიან კედლებზე კი ყველაფერი ცოცხალი იყო: ხეები შრიალებდნენ, ქარი ქროდა, ფარდები ფრიალებდა, ადამიანები ზოგან ეულად მიუყვებოდნენ ქუჩებს, ზოგან ჭიანჭველებივით მიედინებოდნენ. ამ უწესრიგო, ყოველმხრივმა მოძრაობამ და ფაციფუცმა ფადის თავგზა აუბნია, აღარ იცოდა, მზერა რაზე შეეჩერებინა. ვაჟის დაბნეულობას ასან ბასარი კარგად ხვდებოდა. ფადი პირველი არ იყო, ვინც მის ოთახში თვალებს გაოცებული აქეთ-იქით აცეცებდა. ყველა გამოცდაგავლილი, რომელმაც მისი საგანძური ნახა, ზუსტად ამ დღეში ვარდებოდა. მოხუცი სტუმრისთვის რაიმეს ახსნას არ ჩქარობდა და ხანმოკლე უპირატესობით ტკბობას შეძლებისდაგვარად იხანგრძლივებდა.

— მოდი, აქ დავსხდეთ, — როგორც იქნა მიიპატიჟა მოზრდილი ოთახის შუაში მოწყობილ მოსასვენებელში მასპინძელმა სტუმარი და თავად პირველი მოკალათდა იატაკიდან ერთი მტკაველ სიმაღლეზე ბალიშებ და მუთაქებმიყრილ ხალიჩაგადაფენილ ტახტზე. ტახტი იმდენად დიდი იყო, მასპინძელთან ერთად მისი მხოლოდ ერთი კი არა, ოთხიხუთი სტუმარიც თავისუფლად მოისვენებდა.

ფადიმ კედლებს მზერა ძლივს მოსწყვიტა და მითითებული ადგილი დაიკავა. — რა გირჩევნია, თხრობა საიდან დავიწყო, რა უფრო გაინტერესებს?! თან ტკბილეული მიირთვი. ასეთი დაგემოვნებული არ გექნება, — ასან ბასარმა ოქროსფერი ბურთულებით სავსე თასი მიუჩოჩა სტუმარს. თავად ერთი აიღო და პრიალა გარსი შემოაცალა, — ფერმა არ შეგაშინოს, შავია, მაგრამ უგემრიელესია. ყველა სასუსნავზე ვიტყვი უარს, ამას კი ვერ შეველევი. შევეჩვიე, მისი სურნელიც კი მათრობს, — მასპინძელმა შავ ბურთულას თვალებგაბრწყინებულმა დახედა და პირისკენ ნეტარებით წაიღო. ფადის ნუგბარის დაგემოვნება და განუმეორებელი სურნელი სულ არ აღელვებდა, მისი ფიქრები თავის ორ ნათესავს დასტრიალებდა, ახლა მხოლოდ მათი ბედი აინტერესებდა, მაგრამ სტუმარმასპინძლობის წესების მიხედვით ოქროსფერი ბურთულა მანაც აიღო, პრიალა ოქროსფერი შესახვევი შემოაცალა და პირისკენ წაიღო.

— მოიცა, — შეჰყვირა განაწყენებულის ხმით ასან ბასარმა. ფადის ხელი გაუშეშდა. მასპინძელს გაოცებულმა შეხედა, ასეთი რა დავაშავეო, — მოიცა, — გაუმეორა მოხუცმა, — ჯერ მისი სურნელი შეიგრძენი, — უსაყვედურეს ფადის. ფადიმ დაყნოსა, სურნელმა წამიერად მისი გონება დაიპყრო და თითქოს მთელ მის სხეულში გაჯდა. ვაჟმა ანგარიშმიუცემლად თვალები დახუჭა. — ჰო!.. — ესიამოვნა სტუმრის რეაქცია მასპინძელს, — ახლა ჩაკბიჩე! — გასცა ბრძანება. ფადიმ ნუგბარს კბილი ფრთხილად დააჭირა და ისიც სულ უმნიშვნელო შეხებით პირში მთლიანად ჩაეღვარა. ასეთი გემო ფადის მართლა არასდროს ეგემნა — მომწარო სიტკბო, მაგრამ ეს სიცხ-

არე მისთვის ნაცნობ არც ერთი სანელებლის სიცხარეს არ ჰგავდა. სულ სხვაგვარად რბილი და სასიამოვნო იყო და ყელი სიტკბოს გამო უფრო აეწვა ვიდრე სიმწარისგან. ასან ბასარი სტუმარს ისე შეჰყურებდა, ფადი მიხვდა, შთაბეჭდილება აუცილებლად უნდა გაეზიარებინა. მხოლოდ ერთი სიტყვა მოახერხა, დიდებულიაო.

— აი, ასე! — მასპინძელი შეფასებით ფრიად კმაყოფილი დარჩა. — ეს ნუგბარი ჩვენებური არ არის, უფრო ზუსტად, ჩვენი დროის არ არის, მის მართლაც დიდებულ გემოზე მომავალში ისაუბრებენ, ვინ იცის, იქნებ ქალის მშვენიერებას, მწველ სხეულსა და მზერასაც კი შეადარონ. ახლა წყალი მიაყოლე, თვალები აგიწყლიანდა. თავდაპირველად მეც ყელი ჩამწვა. მაშ, ასე! საიდან დავიწყო?

— მექარავნეთა ბედი მაინტერესებს, რა დღეში არიან? — იკითხა ფადიმ.

— მაოცებ, სტუმარო! ასეთი უმნიშვნელო რამ რომ გადარდებს, ორი კაცი აქეთ, ორი კაცი — იქით. რაც ამ ოთახში ხდება, მერწმუნე, იმ ორ სულელზე მეტად მნიშვნელოვანია. დარწმუნებული ვარ, გამოცდას ვერ გაუძლებენ, მაგრამ, რადგან მათი მომავალი ასე გაინტერესებს, სად და როგორ არიან, თვალს შეგავლებინებ, ჩემი ახსნაც არ დაგჭირდება, მათ ბედს თავად მიხვდები. ახლავე გაჩვენებ, სად არიან, — ასან ბასარი ხვნეშით წამოდგა და ოთახის ბოლოში გავიდა და კედელს ხელი დაადო. ნახატებმა მოძრაობას უმატეს, ისე სწრაფად დაქროდნენ, რამის გარჩევა შეუძლებელი იყო. ფადის გარშემო სურათები ქარბორბალასავით ტრიალებდნენ.

— ერთი ვიპოვე! — წამოიძახა ასან ბასარმა. ნახატებმა ტრიალ-ბზრიალი შეწყვიტეს და ფადის წინ ზღვისპირა ქალაქის ხედი გადაიშალა, — აი, სად გადაუგდიათ.

ფადიმ ერთ ჩასუქებულ შუა ხნის კაცს მოჰკრა თვალი. სიარულის მანერა რომ არა და მუცელზე ხელების შემოწყობის სიყვარული, ვერც კი იფიქრებდა, მის წინ უცნობი კი არა ნაცრისფერ სამოსში გამოწყობილი წვერ-ულვაშგაპარსული ავთი მუსუნი იდგა. მუცელი ორჯერ უფრო დიდი უჩანდა, ღაბაბს უერთდებოდა. ასე სწრაფად სად გასუქდაო, გაუკვირდა ფადის, მაგრამ ახალ იერთან წონის მომატება არაფერ შუაში არ გახლდათ. უკანგადაბრექილი ავთი მუსუნი ქვიან სანაპიროზე იდგა და პატარა ფანჩატურიდან ზღვას გაბღენძილი ქვეშ-ქვეშ გასცქეროდა. სახეზე ისეთი კმაყოფილება ეწერა, ფადის თავდაპირველად გამოცდაგავლილი ეგონა. გვერდით ერთი კაცი ედგა. ჩაცმულობით ავთი მუსუნისგან არაფრით განსხვავდებოდა, ფადის აზრით, ერთი წოდებისანი უნდა ყოფილიყვნენ. ჟინჟღლავდა. ფადის გიშრის ზღვის სანაპირო გაახსენდა. იქაც ასე იცოდა, ისე წმინდად ცრიდა ხოლმე, ვერც კი ხვდებოდა, რომ წვიმდა და დანამვის მიზეზი სულ ნოტიო ჰაერი ეგონა. ავთი მუსუნმა თანმხლებს გახედა და რაღაც უთხრა. მან სასწრაფოდ დოქიდან სითხე ჩამოუსხა და მიაწოდა. ნათესავმა მოსვა და ისეთი დაიჯღანა, თითქოს ღველფი და საწამლავი შესვა.

— ჭაშნაგირის გარეშე შესვა! — წამოიძახა ფადიმ, — თან რაღაც საშინელება!

— ჩვეულებრივი შარბათია, ვისთვის ტკბილი, ვისთვის — არა. არ დაგავიწყდეს, ყველაზე მძაღე გემოს თვითტკბობისას შესმული შარბათი ტოვებს, — მიუგო ასან ბასარმა.

ფადიმ ნათესავს თვალი ისევ მიადევნა. ფანჩატურს დახურული, ცხენშეუბმელი ეტლი მიადგა, ქვიან ნაპირზე არ გადავიდა და ათიოდე ნაბიჯში ფილებდაგებულ გზაზე გაჩერდა. ავთი მუსუნმა თანმხლებს გადახედა და რაღაც თქვა. ფადიმ სიტყვები ვერ გაიგო. მხოლოდ ახლა დააკვირდა სახეზე მექოლგეს. მასში ავთი მუსუნის მეზობელი კაცი ამოიცნო. ისიც ვაჭარი იყო, უცხო ქვეყნებიდან ქსოვილები და ტანსაცმელი ჩამოჰქონდა. მთელ ქალაქში ცნობილი ფარდული ჰქონდა. განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალები წყალობდნენ, განსაკუთრებულ საქორწილო და სადღესასწაულო კაბებს უკვეთავდნენ. ავთი მუსუნის ცოლი იმ კაცს შორეულ ნათესავად ერგებოდა. შეიძლება, ეს იყო მიზეზი, რომ საქვეყნოდ ცნობილი და ყისმათიანი ვაჭარი გაჭირვებული ნათესავის ოჯახს ეხმარებოდა და მოძველებულ საქონელს ჩუქნიდა. ავთი მუსუნი კი ძველმანებთან შედარებით ერთობ სარფიანად ყიდდა.

კიდევ ერთხელ დააკვირდა ფადი ნათესავის გვერდით მდგომ კაცს, ნამდვილად მისი ქალაქელი ვაჭარი იყო. ავთი მუსუნმა ცას უკმაყოფილოდ ახედა, ხელები მუცელზე შემოიწყო და ფანჩატურის გასასვლელისკენ გასწია. მისმა თანმხლებმა საიდანღაც შავი ქოლგა აიღო, იქვე გაშალა, ავთი მუსუნს გადაეფარა და ასე ქოლგამომარჯვებულმა ეტლამდე მიაცილა.

— ეს ერთი! — ხელები მოიფშვნიტა ასან ბასარმა.

— ამ მექოლგეს ვიცნობ, ავთი მუსუნის მეზობლად ცხოვრობს. ისიც ვაჭარია. კარგი სახელი აქვს, მასთან საქმის დაჭერას ყველა ცდილობდა. არც სხვას ატყუებდა და არც თავს ატყუებინებდა ვინმეს. აქეთ გამომგზავრების წინ ჩემს ნათესავს ხელი გაუმართა, მეძველმანის ფარდული ისეთი საქონლით აუვსო,

ავთი მუსუნმა ყველაფერი სარფიანად გაყიდა და კარგი მოგება ნახა. ეს რომ არა, ვერც ქარავნის წილშიც შემოვიდოდა. მაგრამ ავთი მუსუნს ეს კაცი მაინც არ უყვარდა, ბრაზობდა, იმის ნაცვლად ფული ესესხებინა, თავისი ჩაწოლილი ნაგავი გამაყიდინაო. ჭკუასა და სიკეთეს ვერ პატიობდა.

— და არც აპატია, — ხელი ჩაიქნია მასპინძელმა, — თავი უპირატესად რომ ეგრძნო, როგორც კი საშუალება მიეცა, მექოლგედ დაიყენა.

— ეს ქალაქი არ მეცნობა. ნამდვილად არ მინახავს. საითაა? რომელი ზღვის პირია?

— ეს ქალაქი ჯერ არ გაშენებულა. მის გაჩენამდე ძალიან ბევრჯერ ჩავა-ამოვა მთვარე. ის ავთი მუსუნი მომავალში განხორციელებული შენი ნათესავია. საჩუქარი გავუკეთე, ისეთ დროში მოვახვედრე, სადაც არც მექოლგეებია მიღებული და არც ჭაშნაგირების იმედად სვამს ხალხი წყალსა და შარბათს. უმარტივესი გამოცდა მოვუწყვე. ეს შენთვის უფრო გავაკეთე, ვიდრე მისთვის. ვინ იცის, იქნებ მთვარის მესაიდუმლე შენ გახდე. შენს კეთილგანწყობას ვუფრთხილდები, — ჩაიქირქილა მოხუცმა, — ახლა მეორეს შევხედოთ. მისთვის ქალაქი თავად ამოარჩიე.

— ავთი მუსუნს რა ბედი ელის? გამოცდის ჩაუბარებლობა რას ნიშნავს, ამის შესახებ არაფერი გითქვამს.

— დამაცადე? რისი გაგებაც გაინტერესებდა, ჯერ ის განახე. კარგი, შენი ნება იყოს, ახლა იმას მოგახსენებ, შენს ნათესავებს რა ბედი ელოდება. ქალაქი ორივეს, გინდ გამოცდა ჩააბარონ, გინდ — არა, მაინც გაუშვებს. შენ გამოცდაგავლილი — საკუთარი სულის პატრონად დარჩები, ამათ სულს კი ქალაქი დაეპატრონება. თავად სულის არსებობას ვერასდროს შეიგრძნობენ, ვეღარასდროს შესძლებენ მისი სრულყოფისთვის ზრუნვას. უნდა ვაღიაროთ, ამისთვის თავი დიდად არც აქამდე შეუწუხებიათ.

სანამ კაცი ხორციელად ცოცხალია, ყოველთვის აქვს შესაძლებლობა, შიმშილისგან დასუსტებულ სულს საკვები მიაწოდოს. ყველაზე სულმდაბალსაც კი აქვს სულიერად მოღონიერების შანსი. ამათ კი ამის საშუალება აღარ ექნებათ და მომავალში, სხვადასხვა დროებში კი არ მოევლინებიან სამყაროს, არამედ მხოლოდ განხორციელდებიან. მიწაში განძის ჩამმარხველებს დაემსგავსებიან. სიმდიდრეს უკანასკნელად ჩამარხვის დროს რომ ხედავენ და რაც არ უნდა მოხდეს, როგორც არ უნდა შიოდეთ, სწყურიოდეთ, სტკიოდეთ, თავს ერთ გროშსაც არასდროს მოახმარენ. სამყარო თითეული ადამიანის ყოფნა-არყოფნას უსასრულოდ წერს. გარდაცვალებაც კი არ ნიშნავს წერტილის დასმას.

სულ გვაინტერესებს, ჩვენი ცხოვრება რად არ არის მყარი, რად ხდება მოულოდნელი ცვლილებები, რად გვიმძაფრდება ან გვიჩლუნგდება გრძნობები, თითქოს ყველაფერი კალაპოტს მიუყვება, თითქოს ყველა აგური უმტკიცეს საძირკველზეა დალაგებული, მაგრამ ხშირად ჰეპლის ფრთებისგან გაჩენილი ნიავი ყველაფერს თავიდან დასალაგებელს გვიხდის. ეს იმიტომ, რომ დაუსრულებელი წიგნები ვართ და ჩვენი მწერლები, არ ვიცი, ჩვენ სასიკეთოდ თუ თავის შესაქცევად, სულ უფრო და უფრო მოულოდნელობებით სავსე თავებს იგონებენ. და ჩვენც ახალი თავების ლაბირინთებიდან დასახსნელად, ვიკვლევთ გზებს, ამ გზებზე გადაყრილი ადამიანებისა და საკუთარი თავის მნიშვნელობას, ხშირად თვით მწერალთა ამოცნობასაც ვცდილობთ. ამ კვლევაში მთელი სულით, გონებითა და ხორციელად ვართ ჩაბმულები. ვარჯიში კი, მოგეხსენება, ყველაფერს უხდება. ობისგან გვიცავს. გამოცდაგაუვლელთა წიგნებში კი ბოლო თავიც დაწერილია, წერტილიც დასმულია და ამბავიც დამთავრებულია. უმოქმედოდ არც ისინი არიან. პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად პირობებს თავად აწესებენ და ამ პირობების შესრულების შემდეგ თვითტკბობას ეძლევიან. არადა, ყველაზე მძაღე გემოს სწორედ თვითტკბობისას შესმული შარბათი ტოვებს.

გაიხსენე ავთი მუსუნი, რომელმაც პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ათასი შესაძლებლობიდან მისთვის სიკეთისმქნელი ადამიანის მექოლგედ ხილვა ისურვა. არცაა გასაკვირი, სად ადამიანთა გამომგონებლობა და წარმოსახვა და სად ჩვენი ცხოვრების მწერალთა შესაძლებლობები.

— შენი ლაპარაკიდან ისე გამოდის, ჩვენ, ადამიანები, მხოლოდ ჩვენი ცხოვრების მწერალთა ნება-სურვილზე ვართ დამოკიდებულები. ასეთი განმარტება, არ დაგიმალავ, ძალიანაც არ მხიბლავს, — ხაფანგში გაბმულად იგრძნო თავი ფადიმ.

— არც გამტყუნებ. არც მე მომეწონებოდა, ერთი რამ რომ არ მცოდნოდა.

— რაა ასეთი, მე რომ გუნებას გამომიკეთებს?

— მწერალთა ნიჭიერება თავად ჩვენზეა დამოკიდებული. გამოგიკეთდა გუნება? — ნიშნისმოგებით ჰკითხა მასპინძელმა სტუმარს. — მაშ ასე, ავთი მუსუნის მომავალი გავარკვიეთ. პუტი ნისას მომავალიც გაინტერესებს?

— მაინტერესებს ბოლო თავს როგორ დაუწერ, მწერალო!

ასან ბასარმა ჩაიცინა და წვერს ხელი რამდენჯერმე ისე ჩამოუსვა, თითქოს კალთაში პატარა ცხოველი ეჯდა და მას ეფერებოდა. დაკვირვებული მოსაუბრე მაშინვე მიხვდებოდა, მოხუცი სტუმრის მიმართ კეთილგანწყობას ასე გამოხატავდა. რაც დრო გადიოდა, მასპინძელს ფადი სულ უფრო და უფრო მოსწონდა. ეს სტუმარი სხვა დანარჩენებისგან გამორჩეული იყო. მას მოვლენებზე მეტად ამ მოვლენათა მონაწილეები აინტერესებდა. ეს იგივე იყო, დიუნაზე მეტად ქვიშის ერთი მარცვალი უფრო მნიშვნელოვნად მოგჩვენებოდა. მასპინძელმა არ იცოდა, როგორ აეხსნა ეს, სტუმრის ზედაპირული ხასიათის მაჩვენებლად მიეღო, თუ სიღრმეებში წვდომის სურვილით გაემართლებინა. ახლაც იმის ნაცვლად, რომ ფადის ასან ბასარისთვის ეკითხა, ამ ქალაქში რა ხდებოდა, ან ოთახის კედლებზე როგორ გამოისახებოდა უცხო ქალაქები, ან რად უწოდეს ფადი ელქომარ დასამენ ალიაუმ ანუ მთვარის მერვე დღე, მასპინძელს ერთი სულელი და ფლიდი ნათესავის მომავლის ჩვენებას სთხოვდა. მომავალი მაინც ჰქონოდა იმ უდღეურსა და ფლიდ კაცს, თვალები მუდმივად ხაფანგში გაბმული ვირთხასავით აქეთ-იქით რომ დაურბოდა.

ფადიმ თვით უდაბნოს დედოფლის შესახებაც კი ხეირიანად არაფერი გამოიკითხა, არადა, ასან ბასარმა მის თვალებში ქალის დანთებული ისეთი კოცონი დაინახა, ალი ვარსკვლავებს ახლაც კი წვდებოდა. იქნებ ნათესავების მარცხის ხილვა სიამოვნებს, — გაიფიქრა ასან ბასარმა და ფადის ამრეზით შეხედა, მაგრამ მის სევდიან სახეზე მხოლოდ გულისტკივილი რომ ამოიკითხა, შერცხვა და თვალი აარიდა.

მასში საკუთარი თავი ამოიცნო, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ახლა ბრძანდებოდა. თავდაპირველად ისიც ფადის მსგავსად მტკივნეულად განიცდიდა სტუმართა მარცხს, ათას გზებს ეძებდა, ისეთ ქალაქებს არჩევდა, სადაც გამოცდის გავლა იოლი იქნებოდა და აბელ ნასან მურიდან გასულ გამოცდავერგავლილებს თვალს ნაღვლიანად აყოლებდა. თანდათან ყველაფერი გაჩვეულებრივდა. ქალაქიდან გასულს ერთ ცალკეულ ადამიანად აღარ აღიქვამდა და ზოგადი სახელით — წასულებით იხსენიებდა. წასულები ქალაქიდან უხვწყლიან მდინარესავით მიედინებოდნენ და ასან ბასარიც მდინარეში თითო წვეთის ამოცნობასა და გარჩევას აღარ ცდილობდა.

— გინდა, თავად გამოსცადე? — შესთავაზა ასან ბასარმა ფადის, — ანუ, როგორც შენ თქვი, მისი წიგნის ბოლო თავი დაწერე?

— მე მწერლად არ გამოვდგები, — იუარა სტუმარმა.

— კარგი, ნება შენია! აი, მისთვის რა მოვიფიქრე. პუტი ნისა ერთი ვირთხასავით ქურდბაცაა კაცია. ვის რა აწაპნოს, სულ ამაზეა გამეცადინებული. უქონლობაზე მეტად გამოჭერის ეშინია. ამიტომ ყველაზე დიდ მონდომებას ადამიანთა ნდობის, სიყვარულისა და პატივისცემის ქურდობისას იჩენს და მათ მითვისებას დაუმსახურებლად ცდილობს. მე მას ყველაზე მდიდარ ადამიანად გავხდი, საქურდალი რომ არაფერი ჰქონდეს და აღარც გამოჭერაზე იფიქროს. სარკეში ჩახედვისას ორეული მუდმივად კუთხეში მიმწყვდეული ვირთხის თვალებით რომ აღარ უყურებდეს. მას გადავცემ ყველაზე ვრცელ მინდვრებსა და ტყეებს. მისი სამფლობელო გადაჭიმული იქნება უდაბნოებსა და ზღვებზე, მისი მიწის წიაღი ყველაზე დიდი განძის მფლობელი იქნება.

— ყველაზე მდიდარი — ეს ხომ უკვე განაჩენია?! — წამოიძახა ფადიმ. — ერთი კი არა, ერთდროულად რამდენიმე ჭაშნაგირი ეყოლება. საკუთარ სიცოცხლეს ისე გაუფრთხილდება, შიშით არავინ მომწამლოსო, წვეთს არ დალევს და ლუკმას არ გადაყლაპავს. ამას გამოცდა რადა უნდა, ისედაც ყველაფერი ნათელია. რამე განსაკუთრებული პირობა დაამატე. მეტი გამომგონებლობა გამოიჩინე, მწერალო!

— კარგია, მეტი გამომგონებლობა გამოვიჩინო. ხომ გითხარი, მწერალთა ნიჭიერება რაზეც არის დამოკიდებული. ეს კაცი მეტი გამომგონებლობის საშუალებას არ მაძლევს, — დაიჩივლა ასან ბასარმა, — მაგრამ მაინც ვცდი. შენი ნათესავი რომ არ იყოს, თავს ნამდვილად არ გამოვიდებდი. კი ვთქვი, დიდ სიმდიდრეს მივცემ-მეთქი, მაგრამ შეინარჩუნებს თუ არა, ეს არ მითქვამს. ჰოდა, ვერ შეინარჩუნა, მაინც სხვათა სამფლობელოებისკენ ეჭირა თვალი და უმდიდრესი მიწების პატრონი სხვის ხრიოკებს მუჭამუჭა იპარავდა. თავდაპირველად უბატონოდ ხმას ვერ სცემდნენ, ეშინოდათ, მის უმსგავსობაზე ჯერ თვალს ხუჭავდნენ, ამასაც მეტი რა უნდოდა, სულ მთლად გახელდა, მაგრამ როცა თავი გამარჯვებულად მიიჩნია, მაშინ აღმოჩნდა ყველასგან შერისხული, დამცირებული და დამარცხებული. ყველა განუდგა — შინაური თუ გარეული. ქურდობით მოპოვებული ნდობა, სიყვარული და პატივისცემა პირველი ფეხის წამოკვრისთანავე მრავალწლიან ტყვეობას თავსდაღწეულმა ქარიშხალმა გაფანტა. ნაქურდალის დაბრუნება მოსთხოვეს, თავის გადასარჩენად ამანაც ფანტა და ფანტა თავისი თუ სხვისი მიწები, ეს კიდევ აპატიეს, შეაქეს კიდეც, მაგრამ პატი-

ვაყრილებმა არ დაინდეს, მე რომ მკითხო, საკადრისი სამაგიერო გადაუხადეს და ერთადერთი დარჩენილი საკუთრებაც წაართვეს.

— თავისუფლება? — წამოიძახა ფადიმ.

— ასეა! — დაეთანხმა ასან ბასარი და თხრობა განაგრძო. — ჰოდა, ზის ახლა მარტოდმარტო საპყრობილეში. ერთადერთი არსება, რომელიც ტუსაღს აკითხავს გაქუცული ვირთხაა. გამოყოფს სოროდან თავს და მისჩერებია. უყურებს შენი ნათესავი და ასე ჰგონია, რომ სარკეში იცქირება. ის ოხერიც რომ თავს არ ანებებს, გავა-გამოვა, ისევ საკანს მიაკითხავს. აი, აქედან ვნახოთ, რა მოხდება.

ფადიმ ოთახის ერთ-ერთ კედელზე საკნის კუთხეში მიმჯდარი პუტი ნისა დაინახა. ხელში პურის ყუა ეჭირა და ლოღნიდა. ისეთი გალეული იყო, არც მანამდე იყო გოლიათი, მაგრამ ახლა ცოტაც და ვირთხის სოროშიც გაეტეოდა. იმ სოროში, საიდანაც მღრღნელს თავი გამოეყო და ტუსაღს უსმენდა. პუტი ნისამ თანდათან ხმას აუწია და ყვირილზე გადავიდა. ვირთხას უმტკიცებდა, ამ საკნის ბატონ-პატრონი მე ვარ და ჩემი სამფლობელი ახლავე დატოვეო. ვირთხა ყურს არ იბერტყავდა. ალბათ, ყრუ თუ იყო. ხმაურზე ზედამხედველი შემოვარდა და პუტი ნისას ხმის ჩაკმენდა უბრძანა, თან ძირს ჯამით სალაფავი და წყლიანი დოქი მიუგდო და საკნიდან გავიდა. ტუსაღი ვირთხას მაშინვე მოულბა. ცოტა ავღელდი, არაფერი გეწყინოს, ჩვენ ხომ ძველი მეგობრები ვართო, წინ ჩამოუჯდა და ლაპარაკი ჩურჩულით განაგრძო. ფადიმ ბევრი ვერაფერი გაიგო, მხოლოდ ერთს მიხვდა, მის ნათესავს მოწამვლის ეშინოდა. ვირთხას უმტკიცებდა, ესენი ისე მიფრთხიან, უნდათ სიცოცხლეს გამომასალმონო. ამიტომ ერთი ეს სალაფავი და წყალი გამისინჯეო.

— გასაგებია! — თქვა ფადიმ და კედელს თვალი მოაცილა.

— ვაა... — მხრები აიჩეჩა ასან ბასარმა, — ამას კი არ ველოდი. ვირთხა აქცია ჭაშნაგირად, ვირთხა! — მოხუცი ერთს გულიანად გადაიხარხარებდა, მაგრამ სტუმრის ნაღვლიან გამომეტყველებას პატივი სცა და თავი შეიკავა.

* * *

ასან ბასართან დაშორების შემდეგ ფადის გამოცანებით სავსე ცხოვრებას ზუსტად ერთ იმდენი კითხვა დაემატა, რაც აქამდე ჰქონდა. მოხუცმა თითქოს ბევრი რამ უთხრა ფადის, მაგრამ მთავარი — არა: რისთვის ირჩევდა მთვარე შვილობილებს.

ფადი საილმ ალმია მუქთაშავი — წყალში ისრის მპოვნელი ვერც მთვარის შვილობილებისა და მთვარეზე მონადირეთა პაექრობის მიზეზს ხვდებოდა. ერთნი რატომ ეძებდნენ მეორეთა დამალულ ქანდაკებებს. ასან ბასარმა ამაზე არაფერი უპასუხა. არც ორდენის წესდება ხსნიდა მიზეზებს, რომელშიც ეწერა: ყოველი წევრი იღვწის, რათა ორდენი ახალი დროების მოსვლისთვის მზად იყოს. ამისთვის კი მთვარეზე მონადირეთა ოცდარვა ქანდაკება უნდა ეპოვნათ. ეს ახალი დროება რას წარმოადგენდა, არც ფადიმ და არც სხვა წევრებმა არაფერი იცოდნენ. წესდებაში ამაზე არაფერი ეწერა. არც იმ ადამიანებმა იცოდნენ, რომლებიც ახალი დროების მოლოდინში თავინთი ქონების დიდ ნაწილს ორდენს წირავდნენ. თავად თუ არა, მომავალში მათი შთამომავლები მაინც რომ მზად დახვედროდნენ. ახალი დროების შესახებ წესდებაში მხოლოდ ის ეწერა, რომ იგი ახალი მბრძანებლის მოსვლის შემდეგ დაიწყებოდა. და არ დარჩებოდა არაფერი ცოცხალი თუ მკვდარი, სულიერი თუ უსულო, მეფე თუ მონა, რომელიც მას არ დაემორჩილებოდა.

ფადის იმედი ჰქონდა, მთვარის სხვა შვილობილებისგან რამეს მაინც გაიგებდა და მათი მოძებნა გადაწყვიტა. ასან ბასარი ფიქრებს მიუხვდა და მკაცრად გააფრთხილა, მართალია, მთვარის შვილობილები ღირსების წყალობით გახდით, მაგრამ, არ დაგავიწყდეს, ღირსება ძალიან მძიმე ტვირთია და მას ხშირად აყროლებული ტყავივით იშორებენო.

დით, ღმერთო გადაარჩინეო, რომ მომდევნო წიგნი დაეწერა. ყველაზე მეტად ამ წიგნში სხვადასხვა ჟანრების - ფენტეზისა და ჰორორიც სინთეზი მომწონს.

- ამ ეტაპზე რას საქმიანობთ?

- ვწერ და თან სკოლაში ქართულ მითოლოგიას ვასწავლი, ასევე შემოქმედებითი წერის გაკვეთილებსაც ვატარებ. რაც შეეხება ფენტეზის, როგორც უკვე აღვნიშნე, ვწერ წიგნს, რომელსაც „მთვარის შვილობილები“ ჰქვია. ნახევარზე მეტი დაწერილი მაქვს. ფინალისკენ მივდივარ.

- სკოლაში ბავშვებს, ალბათ, ძალიან ბევრ საინტერესო ამბებს უყვებით?

- კი, ბავშვებს ძალიან უყვართ ამბების მოსმენა. ხშირად მეუბნებიან, რომ ჩემგან კარგი ბებია დადგება, რადგან ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი ვიცი და საინტერესოდაც ვყვები. მე და ჩემი მოსწავლეები ავირჩევთ ხოლმე რომელიმე მითოლოგიურ ან

ზღაპრულ პერსონაჟს და ერთმანეთს მასზე გამოგონილი ზღაპრებითა და მოთხრობებით ვეჯიბრებით. კვირაში თითო ამბავს იგონებენ, შემდეგ ერთმანეთს უყვებიან, მსჯელობენ, რა მოეწონათ და რა - არა, როგორაა გამოყენებული ფოლკლორული მასალა, რა დაუმატა ავტორმა, დაარღვია თუ არა ტრადიციულობა.

— ამ ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა ფანტასტიკის ჟანრის ტელე- სერიალები, რომელს მათგანს უყურებთ?

— ვკითხულობ და ვუყურებ „სატახტოთა თამაშებს“. მარტინმა ახალი სიტყვა თქვა ფენტეზიში ისტორიული ელემენტების ნატურალური გადმოცემით და გმირების ხასიათების წინ წამოწევით გაამრავალფეროვნა ეს ჟანრი, თუმცა ფენტეზისთვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი უკან გადაიტანა, რეალურთან დამსგავსების გამო. საინტერესო სინთეზი გააკეთა. სამყაროს ალტერნატიული ისტორიაა.

— პროექტ ინსომნიას შესახებ რას იტყვით?

საქართველოში ჟანრული პროზის განვითარებისთვის ამ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. პროექტი შედგა, ფაქტია. სამივე კრებული ძალიან საინტერესოა, თუმცა ბევრად გამიხარდება, ავტორებმა შემდეგაც რომ გააგრძელონ ამ ჟანრში წერა. თუმცა, ისიც ვიცი, რომ ძნელია და ბევრ მუშაობას მოითხოვს.

— -თქვენი სამომავლო გეგმები როგორია?

— ძალიან მინდა ოდესმე ლურჯი სუფრა მოვხატო. ისე არა, როგორც ახლა ხატავენ ბატიკით, ან ხელით, არა, ცვილით, როგორც ეს ჩემს წიგნშია. რამდენიმე წლის წინ, კავკასიურ სახლში ლურჯი სუფრების გამოფენა იყო, იმ გამოფენიდან როდესაც გამოვედი, დავინახე, სანთლებიდან ჩამოღვენთილი ცვილით როგორ მოხატა სუფრა მოცეკვავე ქალმა, მაშინვე მივხვდი, რომ ამაზე წიგნი უნდა დამეწერა. მაშინ სამყაროსა და სიუჟეტზე წარმოდგენა არ მქონდა. მხოლოდ ამ სცენას ვხედავდი და წიგნიც „ლურჯი სუფრის მოცეკვავე“ მის გარშემო აეწყო. „ლომებს“ რომ ვწერდი („როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“), ვხედავდი, ხე როგორ გადაიქცეოდა ლომად და ლომი როგორ გადაიქცეოდა ხედ და სიუჟეტიც ისე განვავითარე, რომ ამ ამბავამდე მივსულიყავი. მგონი, კითხვიდან გადავუხვიე. ისევ მომავალსა და გეგმებს მივუბრუნდები. ზუსტად ვიცი, სამი წიგნი რომ დასაწერი მაქვს. როცა ერთ წიგნს ვასრულებდი, ასე ერთ თვეს ვისვენებდი და ახალს ვიწყებდი. ვფიქრობ, „მთვარის შვილობილების“ დასრულების შემდეგ ცოტა მეტი დავისვენე. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, დრო სწრაფად მიდის და უნდა ვიჩქარო.

წერა ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ რვა თვეში დავწერე. ყოველდღე, 6-7 საათი ვმუშაობდი. საშინლად დავიღალე, რომ დავასრულე ერთი- თვე ფეხზე ვეღარ ვდგებოდი. ძალიან ბევრი ემოცია ჩავდე შიგ. რაც დრო გადის, უფრო ხვდები, როგორ წერო ისე, როგორ გადაანაწილო დრო, რომ ნაკლებად დაიღალო.

- რამეს ხომ არ დაამატებდით?

- წარმატება მინდა ვუსურვო ჟურნალ „ფანტასტს“ და მადლობა ამ ინტერვიუსთვის.

ნატო დავითაშვილი

ლურჯი ჩიტი

(სცენარი, ქალაქური მისტიკა)

შემოდგომის მოღრუბლული დღეა. მშრალ ხიდზე ბაზრობისკენ მიდის წყვილი - ქალ-ვაჟი. ასე 30 წლისანი იქნებიან. ქალი საშუალო სიმაღლისაა, კუბოკრული ქვედაბოლო და ფერში შეხამებული პიჯაკი აცვია. მხარზე ფოტოაპარატი აქვს გადაკიდული. მამაკაცი მუქ ჯინსებში და მოგრძო პიჯაკშია, ყელზე ორად დახვეული ლურჯი შარფი უკეთია.

ქალი: მე ქუჩის მხარეს დავდგები. ხიდიდან გადახედვის მეშინია.

ვაჟი მაშინვე გაუცვლის ადგილს. თან გაეღიმება.

ქალი: რა გაცინებს?

ვაჟი: ადრე არასდროს გითქვამს.

ქალი: მხოლოდ ამ ხიდზე მეშინია.

ვაჟი: (გაკვირვებით) რატომ?

ქალი: აქ მდინარე არ არის. ჩვეულებრივი ხიდების არ მეშინია.

ვაჟი: აა... ასეთი რამ პირველად მესმის.

ქალ-ვაჟი ბაზრობასთან მივა. ქუჩის გაყოლებაზე გამყიდველებსა და მეწვრვილმანეებს გამოფენილი აქვთ ათასგვარი საქონელი. ყველა ოჯახიდანაა გამოტანილი. ქალი შეჩერდება ბუკინისტთან - ასაკოვან კაცთან. ხელში აიღებს ერთ გაყვითლებულ წიგნს და ინტერესით ათვალიერებს.

ქალი: შეხედე, მეტერლინკის "დაუპატიჟებლის" 1905 წლის გამოცემა.

გამყიდველი: რარიტეტია. ივერიის ბიბლიოთეკიდანაა. ამის ფასი თუ იცით, მე ძვირად არ მოგცემთ.

ქალი: მეტერლინკის? (ქალს ეღიმება და წიგნს ფურცლავს).

კაცი: რა ღირს?

გამყიდველი: 30 ლარი, ქალბატონისთვის - 25.

ქალი: დიდი მადლობა. (ხსნის ჩანთას).

კაცი ასწრებს და იხდის ფულს.

კაცი: "ლურჯი ფრინველი" ხომ არ გაქვთ?

I გამყიდველი (დანანებით): არა. მე არ მაქვს. იმასა აქვს (მიუთითებს გვერდით მდგომ გამყიდველზე, რომელსაც წინ ფაიფურის პატარა ფიგურები და ჭურჭელი, ბიჟუტერია ულაგია).

კაცი და ქალი ცნობისმოყვარეობით გადახედავენ მეორე გამყიდველის საქონელს.

ქალი: თქვენ გაქვთ მეტერლინკის "ლურჯი ფრინველი"?

II გამყიდველი: არა... არა მაქვს. (დაიხრება და ნივთების გადალაგებასა და გასწორებას იწყებს).

I გამყიდველი (ქალ-ვაჟს): სწორად ვერ გამიგეთ. მე ამ ლურჯ ფრინველს ვგულისხმობდი.

I გამყიდველი დაიხრება და მეზობლის ნივთებიდან ფაიფურის მუშტისტოლა ლურჯი ჩიტის ფიგურას აიღებს.

ქალი: აჰ... (გაეცინება ქალს.) ეს მთლად უკეთესი. რა ღირს?

II გამყიდველი ენის ბორძიკით: 5 ლარი.

ქალი ჯიბეში ჩაიყოფს ხელს და გამყიდველს ფულს გაუწვდის.

ქალ-ვაჟი აგრძელებენ გზას.

I გამყიდველი: გამაგიჟებ, ასეთ ძვირფას ფაიფურს კაპიკებში ყიდი.

II გამყიდველი ხელს ჩაიქნევს და არაფერს უპასუხებს.

ქალ-ვაჟი მიადგება ეზოს. გისოსებს მიღმა ჩანს ერთსართულიანი ძველებური სახლი. შედიან სახლში.

ქალი: ბუხარს ხომ დაანთებ? ახლა სახლში უფრო ცივა, ვიდრე გარეთ. თან აქ ისეთი ნესტია.

კაცი იწყებს ბუხრის ანთებას, იქვე ახლოს აწყვია ცეცხლში შესაკეთებლად გამზადებული ძველი პარკეტი.

ქალი ბუხრის თავზე ფაიფურის ჩიტს დასვამს.

ქალი: შენთვის ვიყიდე. რომ წახვალ წაიღე. ჩაი ავადულო, არა? კონიაკიც მაქვს. ხომ დალევ კონიაკიან ჩაის?

კაცი: აბა რა!

ქალი გადის სამზარეულოში.

ისმის ქალის ხმა: რა უცნაურად დაემთხვა...

კაცი: რა?

ქალი: ლურჯი ფრინველის გამოჩენა. მართალი იყო მეტერლინკი, რომ ამბობდა, ადამიანები უმწეოები ვართ და გულზეხელებდაკრეფილები ველოდებით ჩვენს ბედისწერასო.

კაცი ანთებს ბუხარს, იღებს ფაიფურის ჩიტს და გადის ქალთან სამზარეულოში.

ქალი (აგრძელებს): ეს დღეებია საშინელ განწყობაზე ვარ. გითხარი კიდეც. მყარი ფსიქიკის რომ არ ვიყო, იქნებ თავისთვის რაღაც ამეტეხა (ქალის ასხამს ჩაის და უმატებს კოვზით კონიაკს). ამ ამინდებმაც ხომ ბოლო მომიღო, ან წვიმს ან მოღრუბლულია. არადა, ჯერ სად ვარ. მთელი ზამთარი წინ მაქვს. რამე უნდა მოვიფიქრო, ამ ბუხრის იმედზე ველარ ვიქნები, ზამთარში გავიყინები. ახლა მივხვდი, თეატრში რა უნდა დავდგა. რა მჭირდება ახლა.

ქალი ლანგარზე ალაგებს ლამბაქებს და ბუხრის ოთახში გადის. დაბალ მაგიდაზე ალაგებს ფინჯნებს და დივანზე ჯდება. კაცი მიუჯდება გვერდით. ქალი იღებს იქვე მიდებულ შარფს და შიგ ეხვევა.

კაცი: აღარ დაამთავრე. რა გჭირდება?

ქალი: მეტერლინკის "ლურჯი ფრინველი" უნდა დავდგა. ხომ დამეხმარები? ეს ჩიტი დავინახე თუ არა, მაშინვე მივხვდი. ბედისწერაა, აბა რა.

კაცი: მაშინ შენთან იყოს.

კაცი მაგიდაზე დგამს ჩიტის ფიგურას.

ქალი: ხომ დამეხმარები?

კაცი: არა მგონია. საჩემო არაა.

ქალი მოსვამს ჩაის.

ქალი: უჰ რა კარგია. ცოტა გავთბი. სიცივის ადამიანი არ ვარ. სიცხე მინდა. მწველი სიცხე. ეს სახლი რომ ისე გამოაშროს, სულ ტკაცატკუცი გაჰქონდეს.

კაცი: დიდი კოცონი გდომებია შენ (სიცილი).

ქალი: დიდი, ვეებერთელა, მწველი კოცონი (ასევე სიცილით).

კაცი: წავალ ახლა. სცენარი მაქვს დასამთავრებელი.

ქალი: ჰო, წადი. დიდი მადლობა დღევანდელი დღისთვის, ცოტა აზრზე მომიყვანეთ შენ და შენმა ლურჯმა ჩიტმა.

ქალი აიღებს ფაიფურის ფიგურას და გაუწოდებს კაცს. კაცი გასასვლელისკენ წავა. ისმის ტელეფონის ზარი. ქალი შეტრიალდება. კაცი დროს იხელთებს და მის ჩუმად, ბუხრის თავზე შემოსვამს ლურჯ ჩიტს.

მშრალი ხიდი. ერთმანეთის გვერდით დგანან უწინდებურად ნაცნობი გამყიდვლები.

I გამყიდველი: რამდენი გაქვს მაგ ჩიტის ფიგურა. ახლახანს არ გაყიდე?

II გამყიდველი არაფერს უპასუხებს.

I გამყიდველი: ის ქალი ხომ გახსოვს, ჩემგან წიგნი რომ იყიდა, შენგან კი ეგ ჩიტი?

II გამყიდველი: ჰო, როგორ არა, ორი დღის წინ.

I გამყიდველი: ცნობილი რეჟისორი ყოფილა.

II გამყიდველი: რა მოუვიდა?

I გამყიდველი: რა იცი, რომ მოუვიდა?

II გამყიდველი: ისე ვთქვი.

I გამყიდველი: მის სახლს ცეცხლი გასჩენია, ძველი ბუხარი ჰქონია სახლში და დაღუპულა, საწყალი. გუშინ ტელევიზორში აჩვენეს.

II გაყიდველი: უჰ... (ჩიტს ხელში აიღებს და გაბრაზებული დახედავს. ხელს ისე უჭერს ფიგურას თითქოს თავის წაწყვეტას უპირებს). სულ ამის ბრალია. ეს შეუსრულებდა სურვილს. ასე იცის. სამწუხაროდ, იმ ქალს სურვილში არ გაუმართლა.

I გამყიდველი: (გაოცებული შეხედავს) რა უშნო ხუმრობა იცი.

II გამყიდველი: (ხელს ჩაიქნევს) ეჰ, ნეტა ვხუმრობდე.

I გამყიდველი: თუ არ ხუმრობ, მაშინ გადააგდე, რაღას ყიდი?

II გამყიდველი: არც მე გამიმართლა სურვილში, როცა პირველად ძალიან დიდ ფასად გავყიდე და მისი უკან დაბრუნება ვინატრე.

I გამყიდველი: გიჟი ხარ შენ. რას არ მოიგონებ? ზღაპრები უნდა წერო შენ. მე გაგიყიდი.

II მყიდველს მიუახლოვდება ახალგაზრდა წყვილი.

გოგო: ნახე რა ლამაზი ჩიტია. ამასთან ერთად დიდი სიამოვნებით გავფრინდებოდი.

ბიჭი: რა ღირს ეს ლურჯი ჩიტი?

ინტერვიუ

ნატო დავითაშვილის მოდელირებული ახალი სამყაროები – ქართული ფენტეზის ქრონიკები

ნატო დავითაშვილს ესაუბრება ინა იმედაშვილი

ქართული ფენტეზის ხსენებისას, აუცილებლად ნატო დავითაშვილის ქრონიკები უნდა გაგახსენდეთ, შეიძლება ითქვას, რომ მან ფენტეზის ჟანრი ჩვენთან შექმნა თუ არა, ახალი სიცოცხლე მაინც მისცა და ექვსი წიგნით გაამრავალფეროვნა.

"ქართული ფენტეზის" - ამას, ასე თამამად რომ ვწერ, ესეც ამ ქალბატონის დამსახურება უნდა იყოს, იმიტომ, რომ არ მახსენდება, ისეთი ქართული ტექსტი, რომელიც ამ ჟანრის კანონებს ბოლომდე აკმაყოფილებდეს, თუმცა ფენტეზური ელემენტები კი შეიმჩნევა რამდენიმე ქართველ ავტორთან.

ნატო დავითაშვილი დაიბადა 1964 წელს თბილისში. მან ტექნიკური განათლება მიიღო და 1980-იანი წლების ბოლოს გამოთვლით ცენტრში პროგრამისტ-ინჟინრად მუშაობდა, პარალელურად ლექციებს კითხულობდა. 90-იან წლებში ნატო საგამომცემლო-პოლიგრაფიულ სფეროში ინაცვლებს. ამავე წლებშია გამოქვეყნებული მისი პირველი პუბლიკაცია, თუმცა ნამდვილი სამწერლო მოღვაწეობა წიგნის "ამბავი ლილე ირეელისა" გამოქვეყნებით იწყება, რომელზეც მწერალი სამი წელი მუშაობდა. ამის შემდეგ 2008 წელს ნატო საბავშვო პროზის კონკურსში "ოქროს ბუმბული" იმარჯვებს გამოუქვეყნებელი ნაწარმოებით "როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან", რომელიც წიგნად გამოდის 2009 წელს. 2011 წელს ქვეყნდება მწერლის მესამე წიგნი "ნისლებში და ნისლებს მიღმა", რომელმაც ამავე წელს პრემია "გალა" დაიმსახურა. 2012 წელს მისი მეოთხე წიგნი "ოთხი მხარე და ოთხი სვეტი" გამოდის. ხოლო უკვე 2013 წელს გასაოცარი „ლურჯი სუფრის მოცეკვავე", 2015 წელს ისევ ქართულ მითოლოგიაზე დაფუძნებული "აიას გზა".

ნატოს "ლილე ირეელს" საფუძვლად ქართული მითოლოგია უდევს, მათზეა აგებული მისეული სამყარო, თუმცა „ლურჯი სუფრის მოცეკვავე", „ოთხი მხარე და ოთხი სვეტი", „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან" უკვე დამოუკიდებელი სამყაროებია, თავისი ფენტეზური ატრიბუტიკით: დრაკონებით, უცნაური ქალაქებით, მისტიური გმირებით და სიკეთისა და ბოროტების მარადიული ბრძოლით.

– ფენტეზიში რეალური და ირეალური ერთმანეთს ერწყმის, ზღვარი იშლება, ფენტეზი ჩვენს რეალობაში აშენებულ კედელს ცრიცავს და აპატარავებს, რომ იმის იქით გადავიხედოთ. გადაიხედავ და მიღმიერი სამყარო

შენთვის უკვე რეალური ხდება. იქ მიმდინარე მოვლენებს რეალურად განიცდი, ფიქრობ გმირებზე, ბრაზდები მათზე, უთანაგრძნობ. ვინც ჩარჩოს შემოივლებს და რეალურსა და ირეალურს არ გააერთიანებს, მათთვის ფენტეზის ჟანრის ლიტერატურა უბრალო ზღაპარია, ან საინტერესოდ არ თვლიან. გარკვეულწილად, ეს ფანტასტიკის ჟანრსაც ეხება. ასეთი მკითხველი ვერასოდეს მიხვდება, მაგალითად ფრენკ ჰერბერტის „დიუნას“ პრობლემების არსსა და მნიშვნელობას. ხშირად ფენტეზი ზუსტად არ ამბობს, რომ ეს არის შაქარი და ის ტკბილია, უმეტეს შემთხვევაში, მკითხველმა მისთვის უცხო სამყაროში თავად უნდა დააგემოვნოს და სახელიც დაარქვას. - საუბრობს ნატო ფენტეზის ჟანრზე და იმასაც ამატებს, რომ ის, რამდენადაც გასაოცარი არ უნდა იყოს ფენტეზი მწერლისთვის - რეალისტია, თანაც, ჩამოყალიბებული რეალისტი.

- მირჩევნია მყარად ვიარო მიწაზე და მყარად მდგომმა ვაშენო სამყაროები. მოდელირება მაქვს ნასწავლი და წერას სწორედ მოდილირებას ვამსგავსებ. უფრო ზუსტად, ვქმნი ახალი სამყაროების მოდელებს. ამ ჟანრში მუშაობისას მჭირდება ლოგიკა, მჭირდება გზების პოვნა, ნაპოვნი მოდელი ოპტიმალური რომ იყოს და ამასთან საინტერესოც, ემოციით დატვირთული, უბნები ერთმანეთს ორგანულად უნდა ერწყმოდეს. “ლურჯი სუფრის მოცეკვავეში” 12 თუ 13 დრაკონის პერსონაჟი მყავს. წერისას, რუქა და მათი ფრენის განრიგი შევადგინე, ვინიშნავდი ქრონოლოგიურად რომელი სად იმყოფებოდა, გზას რა დროში ფარავდა. არ უნდა შემშლოდა, მათი ფერი, რომელი სად გაფრინდა, რომელი მოფრინდა. ზოგადად, წერისას ვცდილობ, რაც შეიძლება მეტი ფაქტობრივი ცოდნა გამოვიყენო და ფანტაზიას მოვარგო. მაგ. როდესაც წიგნში „ამბავი ლილე ირელისა“ აღმოსავლეთში კოლხეთიდან ხმლისთვის გამოსაჭედი რკინის წამოღება დამჭირდა, უძველესი ქართული სანაოსნო გზები შევისწავლე; თუ იარაღს ვახსენებ, იმ იარაღის შესახებ ინფორმაციას ვაგროვებ.

- ვინ არის ნატო დავითაშვილი, ვისთვის წერს?

- ახლა უკვე მწერალი ვარ, ასე გამოდის - ექვსი წიგნის შემდეგ, მეშვიდეს ვწერ ახლა. ადრე ამას არ ვიტყოდი, ადრე უბრალოდ ვწერდი. ვისთვის ვწერ? ასაკს მნიშვნელობა არა აქვს, ფენტეზი ვისაც უყვარს, თავგადასავლები ვისაც უყვარს, ახალი სამყაროების გაცნობა, ყველასთვის ვწერ. მსგავს ლიტერატურას ახალგაზრდები უფრო ეტანებიან, ძალიან ბევრს ჰგონია, რომ მე მხოლოდ საბავშვო მწერალი ვარ, ეს ასე არ არის. ჩემ გარშემო ძალიან ბევრი მოზრდილი და ასაკოვანიც ფენტეზის დიდი ინტერესით კითხულობს და, მათ შორის, ჩემს წიგნებსაც. რამდენიმე ხნის წინ, ახალციხიდან ათი წლის თორნიკემ, ასეთი წერილი მომწერა: „თქვენ ალბათ არ დაიჯერებთ, მე ვარ ათი წლის და ერთ კვირაში თქვენი ყველა წიგნი წავიკითხე, ძალიან ბედნიერი ვარ“. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

- რატომ დაიწყეთ ეს საქმიანობა, წერა?

- თავიდან წიგნის წერა, მხოლოდ იმიტომ დავიწყე, რომ ჩემს შვილს წაეკითხა, ქართული მითოლოგიის შესახებ გაეგო. ქართულ მითოსს საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როდესაც არც წერა-კითხვა იცოდა ხალხმა, არც წიგნები იყო და არც ინტერნეტი. მრავალმა თაობამ მოიტანა დღემდე ჩვენი ფოლკლორი, მითების და ლეგენდების ჯაჭვი შეიკრა, თითო თაობა თითო რგოლია. ერთხელაც მივხვდი, რომ ჩვენ ის თაობა ვიყავით, რომელიც ამ ჯაჭვს ვწყვეტდით. ქართული მითოსი ჩაიკეტა მხოლოდ სამეცნიერო კვლევების მასალად. ძალიან მინდოდა, რომ ეს ყველაფერი მკითხველამდე ახლებურად მიმეტანა და ახლებურად გამეცოცხლებინა. ახლა, როდესაც ვიგებ, როგორი აღფრთოვანებით კითხულობენ და მწერენ ახალგაზრდები (და არა მხოლოდ), ვფიქრობ, რომ ჩანაფიქრი განვახორციელე..

- თავიდან წერა თქვენი შვილისთვის დაიწყეთ, ახლა თუ კითხულობს?

- კი, კითხულობს. ყველაზე ბედნიერი დღე, ჩემი შვილის დაბადების შემდეგ, ის დღე იყო, როდესაც “ლილე” წაიკითხა და ასეთი საჩუქრისთვის დიდი მადლობა გადამიხადა. ხოლო, როდესაც “ნისლებში და ნისლებს მიღმა“-ს კითხვა დაიწყო (რომელიც იწყება ისე რომ, ბავშვს ბებია ეღუპება), იმ პერიოდში ჩემს შვილს ბებია ახალი დაღუპული ჰყავდა, მოვიდა და მითხრა, შენ ულმობელი ადამიანი ხარ, წიგნი ძალიან ცუდად დაიწყეო, გადადო და მთელი ნახევარი წელი არ მიბრუნებია. შემდეგ მიუბრუნდა და დასაწყისის მნიშვნელობასაც მიხვდა. მითხრა, მივხვდი, სხვა გზა არ გქონდა, ისე ეს ბიჭი თავგადასავლების საძებნად არ წავიდოდაო.

- გარდა, ფენტეზისა, ხომ არ გიცდიათ ფანტასტიკის სხვა ჟანრი, მაგალითად სამეცნიერო ფანტასტიკა?

- სამეცნიერო ფანტასტიკის წერა ჯერჯერობით არ მიცდია. უბრალოდ რასაც ვწერ - ირელთა ქრონიკები, ისეთი მოცულობის აღმოჩნდა, რომ ჯერ ეს მაქვს ბოლომდე ამოსაწური. მერე არ ვიცი, ვნახ-

ოთ. ჯერჯერობით ფენტეზის ჟანრში ვწერ და სხვა ჟანრებისკენ გული არ მიწევს. ჩემი აზროვნებისა და გადმოცემის სტილი, ეტყობა, ყველაზე უკეთ ამ ჟანრს უხდება. ახალი წიგნი დავიწყე, რომელიც ირელთა ქრონიკებს არ ეკუთვნის, ასევე ფენტეზია, მაგრამ სხვებისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება.

— თქვენს ახალ წიგნში დამოუკიდებელი სამყარო გაქვთ აღწერილი?

- კი, დამოუკიდებელი სამყაროა. წიგნის სავარაუდო სათაური იქნება „მთვარის შვილობილები". ყველა ჩემს წიგნს ერთი საერთო ნიშანი აქვს, მათში ყოველთვის მოიძებნება რაღაც ისეთი ამბავი, რომელზეც შემდეგ დამოუკიდებელი წიგნის დაწერაა შესაძლებელი. ამ შემთხვევაში, მთვარის 28 ნიშნის/დღის მატარებელი გმირი მყავს, ასე რომ, რომ მომენდომებინა, ამ ქრონიკებში 28 წიგნს გავაერთიანებდი, მაგრამ შეგნებულად არ გავაკეთე, მკითხველი დავინდე და ერთ მოზრდილ წიგნში გავაერთიანებ ოცდარვავე გმირის თავგადასავლს.

- თქვენს ქრონიკებში, მაგალითად ბოლო წიგნში „ლურჯი სუფრის მოცეკვავე", ქართული მითოლოგიური ელემენტები გაქვთ გამოყენებული, კიდევ რომელი წიგნებშია ქართული სამყაროები?

- მართალი ბრძანდებით, ამ წიგნში ქართული რეწვის ელემენტი გამოვიყენე. ერთ-ერთი პერსონაჟი ჩვენებური გმირია, თუმცა სხვა დანარჩენი ორიგინალური სამყაროა. წიგნი „ამბავი ლილე ირელისა" ქართულ მითებზეა, ქართულ მითებზეა „ნისლებში და ნისლებს მიღმა" და "აიას გზაც". ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მთავარი გმირი ლილე ირელის ქალიშვილია, ჩემი აზრით, "აიას გზა" ამ ქრონიკების ბოლო იქნება. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ. თუმცა, სურვილი თუ გამიჩნდა და რაიმე ორიგინალური იდეა დამებადა, შეიძლება კიდეც გავაგრძელო. ხშირად ისე ხდება, რომ მომავალ ამბებს თუ არ დავწერ, წარსულში რა ხდებოდა, ვერ ვხვდები. ხოლო როცა გავარკვევ, წინაისტორიებში შეიძლება ისეთი საინტერესო თავგადასავალი დავინახო, წიგნად დაწერა მომინდეს. ქართული მითოლოგიის გამოყენებით კიდევ ორი წიგნის დაწერას ვაპირებ - ირელთა ქრონიკების პირველ წიგნს, ანუ საიდან დაიწყო ყველაფერი და „ნისლებში და ნისლების მიღმას" გაგრძელებას. ამ უკანასკნელის დასაწყისი მზად მაქვს, მრავალი დეტალი და ფინალი ვიცი, თუმცა, საფიქრალი კიდევ ბევრი მაქვს.

- საინტერესოა, იმ ქართულ მითებს, რომლებიც თქვენ თქვენს წიგნებში გამოყენებული გაქვთ, სად მოიპოვებთ, სად ეძებთ?

- სამეცნიერო კველევებში, სტატიებში, ნაშრომებში. ძალიან კარგი მასალა მოვაგროვე ბუკინისტურ მაღაზიებში. თან ისიც გასათვალისწინებელია, რომ მე არც ფოლკლორისტი ვარ და არც ფილოლოგი, თვითნასწავლი გამოვდივარ. სამეცნიერო კვლევებით მაქვს შესწავლილი ქართული მითოლოგია. შემდეგ წარმოსახვით მხატვრულ ფორმებს ვაძლევ, ვარგებ სასურველ სიუჟეტებს.

- თქვენს ნაწერებში სხვა ქვეყნების მითოლოგიას თუ იყენებთ?

- რა თქმა უნდა, ავიყენებ. მაგალითად, აფრიკული მითოლოგიდან რამდენიმე დეტალი გამოვიყენე წიგნში „როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან."

- ხომ არ გიცდიათ, რომ თავადვე ჩაგეწერათ ფოლკლორული ტექსტები, საქართველოს მთებში, სოფლებში?

- არა, არ მიცდია. შეიძლება, წერა ბევრად ახალგაზრდას რომ დამეწყო, - ასეც მოვქცეულიყავი. სტუდენტობისას თუშეთი მოვიარე, მაგრამ მაშინ სულ სხვა ინტერესები მქონდა, ქართული ხალხური რეწვის ორნამენტებს ვაგროვებდი. შემდეგ ეს ორნამენტები დავამუშავე, პატარა წიგნად გამოვუშვი და „ბებოს სკივრი" დავარქვი.

- რა გჭირდებათ, იმისთვის რომ წეროთ?

- დიდი მომთხოვნი არა ვარ. თუმცა, ჩემი ფავორიტი მაინც სიმწვანეში ჩაფლული აივანია, საიდანაც სივრცე მოჩანს. იდეები ჭურჭლის რეცხვისასაც მომდის და ტრანსპორტით მგზავრობისაც. შემიძლია ვწერო ხმაურშიც და სიწყნარეშიც. საბოლოოდ გამოდის, რომ ჩემთვის წერისთვის პირობებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, წერა მინდოდეს, განწყობა მქონდეს და, რაც მთავარია, იმ ამბის გაგრძელება მაინტერესებდეს, რომელსაც ვწერ. წერა ყველგან შემიძლია, მაგრამ განსხვავებული ტემპით. მთელი წელი შეიძლება ვიმუშაო და იმდენი ვერ დავწერო, რასაც ერთი თვით ქალაქიდან გასული დავწერ. ბუნებაში აზრი ფურცელზე უფრო სწრაფად და ნაყოფიერად გადამქავს. „აიას გზის" თითქმის მესამედი სამ კვირაში დავწერე, როდესაც დანარჩენზე მთელი წელი ვმუშაობდი.

- თუ გქონიათ ისეთი შემთხვევა, რომ ღამე იდეებს გაუღვიძებიხართ? ამდგარხართ და ჩაგიწერიათ?

- ჩემთან იდეები წერისას მოდის, ან როცა სპეციალურად ვფიქრობ. ასე მაგალითად, „ოთხ მხარეში და ოთხ სვეტში", ქალი (ერთ-ერთი პერსონაჟი) შემოდის, ამ დროს ასაკოვან კაცს ჯოხი უვარდ-

ება, ქალი მიაწვდის და ეტყვის: მამა, გამომართვი! „ვაიმე, შვილი ყოფილა!“ - წამოვიყვირე. ისეთი დაუგეგმავი იყო ეს ყველაფერი, ეს ქალი ამ ასაკოვანი კაცის შვილი აღმოჩნდა და სწორედ ეს ხაზი გავაგრძელე.

- რას ნიშნავს, თქვენთვის წერა, წერის პროცესი, როდესაც გადაწყვეტთ, რომ წიგნი უნდა დაწეროთ, რას აკეთებთ, როგორ ემზადებით?

- როდესაც ვიწყებ წერას, პირველად ვგრძნობ გარემოს, ბუნებას, ხმას, სუნს, შეგრძნებებს. ვხედავ იმ სამყაროს ლანდშაფტს, ვუყურებ, შევიგრძნობ და მერე ვიწყებ. სიუჟეტის განვითარებს წერის პროცესში მოდის. ეგ არის, წიგნის დაწყებისთანავე ვიცი სათაური და ფინალი.

ერთხელ სამეცნიერო კვლევისთვის დავიწყე მუშაობა „რა ვქნისას“ ციხეზე. ერთი გვერდის დაწერის შემდეგ აღმოვაჩინე, ტექსტი ისე მხატვრულად წარიმართა, რომ ამ სამეცნიერო ჟურნალს უარი ვუთხარი და შევინახე. ეს უკვე ახალი წიგნის, „ნისლების“ გაგრძელების დასაწყისია.

ვიცი, ახალს არ ვამბობ, - წერა ძალიან დიდ მუშაობასა და შრომას მოითხოვს. ჩემი პირველი წიგნის დასაწერად ორი წელიწადი ვსწავლობდი, ვკითხულობდი, ერთი წელი კი ვწერდი. ახლაც ვაგროვებ მასალას, ვკითხულობ, ვინიშნავ. დღეს სკოლაში ბავშვებს ვასწავლი და არ დავმალავ, მათთან ერთად მეც ვსწავლობ და ახლებურად ვიაზრებ.

ფენტეზიში ხშირად ისეთ რამეზე ვწერ, თუმცა, ალბათ, ეს მხოლოდ ამ ჟანრში არ ხდება, რის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი. ამ დროს წერას თავს ვანებებ და ამ საკითხების შესწავლას ვიწყებ. ასე მაგალითად, „ფრთოსან ლომებში“ მაქვს ერთი ასეთი გვერდი, სადაც ნადირობისას გმირები კაციჭამია ვეფხვს ხვდებიან. ამ ერთი გვერდის დასაწერად ორი წიგნი წავიკითხე, გავიგე ვეფხვებზე როგორ ნადირობენ. სხვათა შორის, ბავშვობაში ძალიან მიყვარდა წიგნები ნადირობაზე.

კიდევ ერთი მაგალითი, მჭირდება მთაში, ზამთარში, უხვ თოვლში როგორ უნდა გადარჩეს ადამიანი. ეს დოკუმენტური ფილმებიდან და მოგზაურობაზე წიგნებიდან გავიგე. რა თქმა უნდა, შემდეგ სიუჟეტს ვარგებ და საკუთარი ფანტაზიით ვიყენებ. ამიტომაც, ამ ბოლო ხანებში მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად სხვა ტიპის ლიტერატურის კითხვაც მიხდება. მრავალი დეტალის ცოდნაა საჭირო, ფაქტობრივი ცოდნა. ნაკითხობა მწერალს ძალიან ეხმარება, რომ შემთხვევით ტყუილი არსად გაგეპაროს. აი, თუნდაც, მთაში, ნაშალ მიწაზე როგორ უნდა იაროს ადამიანმა, ფეხი როგორ უნდა დაადგას. ნამყოფი თუ არ ხარ და პრაქტიკული ცოდნა არ გაქვს, შესაბამისი წიგნების წაკითხვაა საჭირო. „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ ერთი მომენტია, ივლისია თუ ივნისის თვე და გმირები ჩიტის კვერცხებს მიირთმევენ. ამ ეპიზოდისთვის გავიგე იმ სიმაღლეზე, ხევსურეთში, იმ პერიოდში, რომელი ჩიტი დებს კვერცხს და ამ ჩიტის ბუდემდე როგორ უნდა მიაღწიოს კაცმა.

წერის პროცესში, ხშირად ვიყენებ სულხან-საბას „სიტყვის კონას“. „ოთხ მხარესა და ოთხ სვეტში“ სიტყვა „ჯადოქრის“ გამოყენება ძალიან არ მინდოდა, „ჯადეგს“ რომ გადავაწყდი, ძალიან გამიხარდა. მისი გამოყენება გადავწყვიტე, ვთვლი გმირს ძალიან მოუხდა და მისი პერსონაჟი უფრო მრავალფეროვანი გახდა.

- წერის პროცესში მუსიკას თუ უსმენთ?

- ყოველთვის არა. ხშირად ვუსმენ ერთ-ერთი ჩემი უსაყვარლესი კომპიუტერული თამაშის საუნდტრეკს. ეს საუნდრეკი იმ დროიდან მიყვარს, როცა კომპიუტერული თამაშებით ვიყავი გატაცებული.

- „ლურჯი სუფრის მოცეკვავეში“ თქვენ ენა გაქვთ გამოგონილი (ზღვის ხალხის ენა), ასევე რუკები, ქვეყნების დასახელებები, ამას როგორ ახერხებთ, რა პროცესით მიდიხართ აქამდე?

- წევრისას პარალელურად რუკას ვხატავ. გამოგონილი სამყაროს მთლიანობაში დანახვა რუკის გარეშე წარმოუდგენელია. რუკაზე პირობით მანძილებს ვინიშნავ: ცხენით რა დრო სჭირდება მის გავლას, ფეხით - რამდენი, ხომალდით და დრაკონით რამდენ ხანში დაიფარება. რაც შეეხება ზღვის ხალხის ენას, რაღაც განსხვავებული ნიშანი უნდა ჰქონოდა. წყალში ყველა ბგერას ვერ გამოსცემ. ჩავატარე ექსპერიმენტი, როგორი ბგერებით შევძლებდი საუბარს. სხვათაშორის, ბევრმა მითხრა, რომ წიგნის წაკითხვის შემდეგ თავადაც სცადეს.

ხანდახან ისეთ სახელს ვიგონებ, რომ მაშინვე მეც ვერ ვიმახსოვრებ, სამუშაო გვერდზე მიწერია ყოველთვის პერსონაჟების და ქალაქების სახელები, ასევე ვინ ვისი ნათესავია. ვცდილობ, გმირის სახელი მის ხასიათს უხდებოდეს, ამის გამო დავარქვი ბნელთმეუფეს სამსალა, თასს - ბალღამის თასი, ზაარის მეფეს - უხთანესი და ა.შ.

„ლილეს“ წერისას ჯამას თავდაპირველად სახელი ვერ მოვარგე და მასზე ვერც ვწერდი. არაფერი არ გამოდიოდა. გადავწყვიტე, წიგნიდან საერთოდ

ამომეგდო. იმ დროს, როცა არ ვიცი, რა გავაკეთო, მითოლოგიურ ლექსიკონს ვკითხულობ ხოლმე. იქ აღმოვაჩინე, რომ სვანურ მითოლოგიაში ჯამა ნიშნავს ავ კაცს. ძალიან მოუხდა ეს სახელი, დაერქვა და სახეც გამოჩნდა.

- თქვენი ქრონიკების დასურათებაზე, ილუსტრაციებზე თუ ფიქრობთ?

- ილუსტრაციებზე როგორ ვფიქრობ, იცით? ჩემს წიგნებში სხვადასხვა ქალაქები დაგროვდა, მინდა, რომ ეს ქალაქები დაიხატოს და სანიშნესავით, ბარათებივით გამოიცეს. მსგავსი სერია შეიძლება დრაკონებზეც „ლურჯი სუფრის მოცეკვავიდან". უნდა ვიპოვო ის ადამიანი, რომელიც ამ წიგნებით აენთება.

- სადღეისოდ ფანტასტიკის ჟანრი (მწერლობაში) ჩვენთან უფრო განვითარებულია, ვიდრე წლების წინ, თუნდაც საბჭოთა კავშირის პერიოდში, როგორია თქვენი მოსაზრება, რამ გამოიწვია ეს ყველაფერი?

- საბჭოთა პერიოდში, რუსეთში ფანტასტიკა საკმაოდ პოპულარული იყო. ჩვენთან რატომაც არ განვითარდა, ამას თავის მიზეზები აქვს. ახლაც კი გამიგია ძალიან ბევრი ლიტერატურის მცოდნისაგან, რომ ფანატასტიკა ზღაპრებად და არასერიოზულად მიაჩნიათ. თვითონ დამოკიდებულებაში და შეხედულებებშია საძიებელი გასაღები. მათ თუ არ დაარღვიეს საკუთარი წარმოსახვით შექმნილი ჩარჩოები, ამ ჟანრების არაღიარებით ისევ თავიანთ თავს ვნებენ. ფენტეზი და ფანტასტიკა გონების რა გასაქანსაც იძლევა, ძალიან იშვიათად რომ სხვა ჟანრმა იგივე შეძლოს. ცხოვრებაშიც უფრო გამბედავი ხდები. სხვათაშორის, ასეთი კვლევა ყოფილა, ახლახანს მოვისმინე, რომელ ქვეყანაშიც ფენტეზია განვითარებული, იქ სამეცნიერო აღმოჩენათა რაოდენობა უფრო მეტი ყოფილა. თუმცა ეს არის ყველაზე მცირე, რაც კი შეიძლება ამ ჟანრზე ითქვას. ლოგიკური აზროვნების განვითარებასაც უწყობს ხელს. ირეალურ სამყაროში მწყობრი სახე რომ დაინახო, წარმოიდგინე, რამდენად განვითარებული ლოგიკური აზროვნება უნდა ჰქონდეს. ამიტომაც არის, რომ ყველაზე ნაკლებად შეცდომებს მწერალს ფენტეზისა და ფანტასტიკის მოყვარული მკითხველი პატიობს. ამ ჟანრის მოყვარული მკითხველი ბევრად უფრო მკაცრი და მომთხოვნია.

- თქვენი საყვარელი ნაწარმოები ან ავტორი ფანტასტიკის ჟანრში?

- ფენტეზის ჟანრში ყველაზე მეტად ჩემთან ახლოს არის - ურსულა ლე გუინი. მიყვარს ეს მწერალი, მაინტერესებს რას წერს. მიყვარს ფრენკ ჰერბერტი და "დიუნა"; კინგის „ბნელი კოშკი". როდესაც ამ სერიის პირველი წიგნი წავიკითხე, სადღაც 20 წლის წინ, ძალიან მომეწონა. გამოდიოდა შემდეგი წიგნებიც და სიამოვნებით ვკითხულობდი. იმ პერიოდში კინგი ავარიაში მოყვა და „ბნელი კოშკის" მოყვარულები, ლამის სადღეგრძელოსაც ვამბობდით, ღმერთო გადაარჩინეო, რომ მომდევნო წიგნი დაეწერა. ყველაზე მეტად ამ წიგნში სხვადასხვა ჟანრების - ფენტეზისა და ჰორორიც სინთეზი მომწონს.

- ამ ეტაპზე რას საქმიანობთ?

- ვწერ და თან სკოლაში ქართულ მითოლოგიას ვასწავლი, ასევე შემოქმედებითი წერის გაკვეთილებსაც ვატარებ. რაც შეეხება ფენტეზის, როგორც უკვე აღვნიშნე, ვწერ წიგნს, რომელსაც „მთვარის შვილობილები" ჰქვია. ნახევარზე მეტი დაწერილი მაქვს. ფინალისკენ მივდივარ.

- სკოლაში ბავშვებს, ალბათ, ძალიან ბევრ საინტერესო ამბებს უყვებით?

- კი, ბავშვებს ძალიან უყვართ ამბების მოსმენა. ხშირად მეუბნებიან, რომ ჩემგან კარგი ბებია დადგება, რადგან ძალიან ბევრი საინტერესო ამბავი ვიცი და საინტერესოდაც ვყვები. მე და ჩემი მოსწავლეები ავირჩევთ ხოლმე რომელიმე მითოლოგიურ ან ზღაპრულ პერსონაჟს და ერთმანეთს მასზე გამოგონილი ზღაპრებითა და მოთხრობებით ვეჯიბრებით. კვირაში თითო ამბავს იგონებენ, შემდეგ ერთმანეთს უყვებიან, მსჯელობენ, რა მოეწონათ და რა - არა, როგორაა გამოყენებული ფოლკლორული მასალა, რა დაუმატა ავტორმა, დაარღვია თუ არა ტრადიციულობა.

— ამ ბოლო პერიოდში ძალიან პოპულარული გახდა ფანტასტიკის ჟანრის ტელე- სერიალები, რომელს მათგანს უყურებთ?

— ვკითხულობ და ვუყურებ „სატახტოთა თამაშებს". მარტინმა ახალი სიტყვა თქვა ფენტეზიში ისტორიული ელემენტების ნატურალური გადმოცემით და გმირების ხასიათების წინ წამოწევით გაამრავალფეროვნა ეს ჟანრი, თუმცა ფენტეზისთვის დამახასიათებელი ბევრი ელემენტი უკან გადაიტანა, რეალურთან დამსგავსების გამო. საინტერესო სინთეზი გააკეთა. სამყაროს ალტერნატიული ისტორიაა.

— პროექტ ინსომნიას შესახებ რას იტყვით?

საქართველოში ჟანრული პროზის განვითარებისთვის ამ პროექტს დიდი მნიშვნელობა აქვს. პროექ-

ტი შედგა, ფაქტია. სამივე კრებული ძალიან საინტერესოა, თუმცა ბევრად გამიხარდება, ავტორებმა შემდეგაც რომ გააგრძელონ ამ ჟანრში წერა. თუმცა, ისიც ვიცი, რომ ძნელია და ბევრ მუშაობას მოითხოვს.

– -თქვენი სამომავლო გეგმები როგორია?

– ძალიან მინდა ოდესმე ლურჯი სუფრა მოვხატო. ისე არა, როგორც ახლა ხატავენ ბატიკით, ან ხელით, არა, ცვილით, როგორც ეს ჩემს წიგნშია. რამდენიმე წლის წინ, კავკასიურ სახლში ლურჯი სუფრების გამოფენა იყო, იმ გამოფენიდან როდესაც გამოვედი, დავინახე, სანთლებიდან ჩამოღვენთილი ცვილით როგორ მოხატა სუფრა მოცეკვავე ქალმა, მაშინვე მივხვდი, რომ ამაზე წიგნი უნდა დამეწერა. მაშინ სამყაროსა და სიუჟეტზე წარმოდგენა არ მქონდა. მხოლოდ ამ სცენას ვხედავდი და წიგნიც „ლურჯი სუფრის მოცეკვავე“ მის გარშემო აეწყო. „ლომებს“ რომ ვწერდი („როცა ფრთოსანი ლომები დაბრუნდებიან“), ვხედავდი, ხე როგორ გადაიქცეოდა ლომად და ლომი როგორ გადაიქცეოდა ხედ და სიუჟეტიც ისე განვავითარე, რომ ამ ამბავამდე მივსულიყავი. მგონი, კითხვიდან გადავუხვიე. ისევ მომავალსა და გეგმებს მივუბრუნდები. ზუსტად ვიცი, სამი წიგნი რომ დასაწერი მაქვს. როცა ერთ წიგნს ვასრულებდი, ასე ერთ თვეს ვისვენებდი და ახალს ვიწყებდი. ვფიქრობ, „მთვარის შვილობილების“ დასრულების შემდეგ ცოტა მეტი დავისვენე. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, დრო სწრაფად მიდის და უნდა ვიჩქარო.

წერა ძალიან დიდ ენერგიას მოითხოვს. „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ რვა თვეში დავწერე. ყოველდღე, 6-7 საათი ვმუშაობდი. საშინლად დავიღალე,

რომ დავასრულე ერთი- თვე ფეხზე ველარ ვდგებოდი. ძალიან ბევრი ემოცია ჩავდე შიგ. რაც დრო გადის, უფრო ხვდები, როგორ წერო ისე, როგორ გადაანაწილო დრო, რომ ნაკლებად დაიღალო.

- რამეს ხომ არ დაამატებდით?

- წარმატება მინდა ვუსურვო ჟურნალ „ფანტასტს“ და მადლობა ამ ინტერვიუსთვის.

ქართული ფანტასტიკის არქივიდან

1887 წლის 12 დეკემბერს გაზეთ "ივერიაში", ფსევდონიმით "დონ იავო", გამოქვეყნდა იაკობ მანსვეტაშვილის ფელეტონი, რომელსაც პირველი ქართული ფანტასტიკა შეიძლება ეწოდოს.

იაკობ მანსვეტაშვილი

უცხოთა შორის

რომელ წელს, არ მახსოვს, ამერიკელებმა, უამერიკელებოდ ხომ ახალი არა იქნება-რა, განიზრახეს მთვარეზე ასვლა და იქაური ამბების შეტყობა. მსწავლულები დიდი ხანია ლაპარაკობენ, რომ მთვარე ისეთივე ქვეყანაა, როგორც ჩვენი ცოდვილი დედამიწა და, მაშასადამე, იქაც უნდა ადამიანი იყოსო. ამერიკელებმაც ამის გაგება განიზრახეს: საკუთარის თვალით უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ, - მართალია, რასაც მსწავლულები ამბობენ, თუ არაო. განიზრახეს ეს და შეუდგნენ საქმესა. გააკეთეს ზარბაზანი, რომლის ლულასაც სიგრძე ერთ ვერსტამდე ჰქონდა და სიგრძის გვარადვე სიგანეც. ამ უზარმაზარ ზარბაზანს შესაფერი ყუმბარა მოუმზადეს, ყუმბარაში ჩასვეს კაცი. ამ ყუმბარით გატენეს ზარბაზანი, დაუმიზნეს მთვარეს და დაცალეს. დაცალეს და უყურებენ დურბინდებში, აბა რას იზამს ყუმბარა, მთვარეზე დეეცემა, თუ არაო. მაგრამ შენს მტერს, როომ ამერიკელები პირში ჩალა გამოვლებულები დარჩნენ. ყუმბარა მთვარესთან მივიდა ახლო და გაჩერდა, თითქოს ჰაერში დაეკიდაო. დარჩა ესე, ვეღარც მთვარისკენ წავიდა და ვეღარც დედამიწისკენ წამოვიდა... მიხვდნენ ამერიკელები თავის შეცდომას, მაგრამ რაღას უშველიდნენ. თურმე ნუ იტყვით, ცოტა ანგარიშში მოტყუებულიყვნენ და ზარბაზანი პატარა დეეჭირათ. რა მოუვიდა იმ კაცს, რომელიც ყუმბარაში ჩასვეს, დღესაც არ იციან. ამბობენ, ამერიკელები მთელის "ექსპედიციის" გაგზავნას აპირებენ ამ კაცის საძებნელად და მთვარეზე ასაგზავნელადაცაო. მაგრამ ჩქარა იქნება ეს ამბავი, თუ არა, და როგორ მოახერხებენ ამასა, ამისი არა ვიცი-რა. მხოლოდ იმას-კი ვიტყვი, რომ ტყუილუბრალოდ გაირჯებიან, რადგან ერთმა ჩემმა მე-

გობარმა დაასწრო ამერიკელებს და მთვარეზე ავიდა კიდეც და ჩამოვიდა კიდეც. მერე რომ იცოდეთ, რა ადვილი საქმე ყოფილა ამ მთვარეზე ასვლა-ჩამოსვლა, სწორედ გაგიკვირდებათ... მაგრამ, ჯერ ნება მომეცით, ერთი ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩემ მეგობარზე და გაგაცნოთ...

***

საოცარი, უცნაური კაცი იყო ჩემი მეგობარი. ერთ სადღაც მიყრუებული ქუჩაში და უფრო მივარდნილ სახლში სცხოვრობდა, თავისთვის მარტოდ-მარტო. თითონ არავისთან დაიარებოდა და იმასთანაც ბევრი არავინ მიდიოდა. ივჯდა ჩაკეტილ სახლში და რაღასაც ჩხირკედელეობდა, რაღასაც ჰნაყავდა, ლესავდა, რაღაც აბებს აკეთებდა. ექიმობას სწავლობდა ერთ დროს ძალიან ერთგულად და მაშინვე ასეთი ჩხირ-კედელაობა უყვარდა. მარტოობამ თავის ბეჭედი დაასვა ჩემს მეგობარს. ყველას ერიდებოდა, ლაპარაკი ეზარებოდა, თითქოს სიტყვა თითო ოქროდ ულირსო. მებრალებოდა ჩემი მეგობარი, მაგრამ მაინც მეც იშვიათად დავიწყე იმასთან სიარული, ვატყობდი, რომ ჩემი მისვლა აწუხებდა. გაიარა კარგა ხანმა. გამახსენდა ჩემი მეგობარი. ვთქვი, წავალ, ვნახავ, ხომ არა დაემართა რამ-მეთქი. მივედი. ვხედავ, ჩემს მეგობარს გარს შემოუგროვებია რაღაცა ძველი წიგნები და ისეა გართული კითხვაში რომ თითქო ამ ქვეყანაზე აღარ არისო. სახე როგორღაც შესცვლოდა, გამხდარიყო, ყვითელი ფერი დასდებოდა.

- გამარჯობა, კაცო! რას ჩასჩერებიხარ მაგ წიგნსა, ხომ არსად მირბის. გეფიცები, არც მე წაგართმევ...

- ოჰ, შენა ხარ... რომ იცოდე რა გავიგე ამ წიგნიდამ.

- ჯერ არ მეტყვი, რა წიგნია? - მაგრამ იმის პასუხს აღარ დავუცადე და მე თითონ გადავხედე წიგნებსა. ძველი კარაბადინები იყო.

- მერე რა ნახე მაგ წიგნში გასაოცარი? - ვკითხე კიდეც ჩემს მეგობარს, რომელიც ისევ წიგნს ჩასჩერებოდა.

- რა და ისა, რომ მთვარეზე ასვლა ადვილი მოსახერხებელი საქმე ყოფილაო. - სთქვა ესა და აღელვებული, აბრიალებული თვალები შემომაშტერა. ამ სიტყვებზე ცოტა შევკრთი. ვიფიქრე, საწყალი, სწორედ ჭკუაზე შერყეულა-მეთქი. იმის თვალებმაც, ცოტა არ იყოს შემაფიქრეს, მაგრამ თავი შევიმაგრე, გულში დანაბადი აზრი გულშივე ჩავიკალ და დამშვიდებულმა ვკითხე ჩემს მეგობარს:

- საიდუმლოა, თუ შეიძლება, მეც გავიგო, როგორ უნდა მთვარეზე ასვლა?

- აი, ჯანილოზი რას ამბობს?

- ეგ ჯანილოზი ვიღაა?

- როგორ? არ იცი, ჯანილოზი ვინ არის?

- გულის წყრომით მითხრა ჩემმა მეგობარმა, გადაშალა რამდენიმე ფურცელი და წამიკითხა: "ბრძანებითა ღვისათა ჯანილოზ ექიმი და ფილოსოფოსი კაცი ვინმე იყო, რომ საცა გაიარი და რაც ხე და ბალახი ნახის, ყოველმან ხემან და ბალახმან ენა ამოიდგას, ჯანილოზ ექიმს ხმა გასცის და უამბის თუ ბრძანებითა და შეწევნითა ღვთისათა, მე ეს-და-ეს სახელი მქვიანო და ამა-და-ამ სენისა და ჭირის მკურნალი წამალი ვარო"

მე გულწრფელად ვაღიარე ჩემი შეცოდება, რომ აქამომდე არ ვიცოდი სახელი "ასეთის ექიმისა და ფილოსოფოსის ვინმე კაცისა" და მხოლოდ ამის კითხვა-ღა გავბედე:

- ძალიან კარგი, მწამს, რომ ჯანილოზი გულთამხილავი, ჯადოსანი კაცი ყოფილა, მაგრამ მთვარეზე წასვლასთან რა საქმე აქვს ჯანილოზის გულთა მხილაობას?

- - ყური დამიგდე, -აი, ჯანილოზი რას გვასწავებს, - და ჩემმა მეგობარმა კვლავ განაგრძო კითხვა:

"მერცხალი რომ პირველად ჰნახოთ, მარჯვენა ქუსლზე სამჯერ შემოტრიალდით. ამ ქუსლის ალაგას მოთხარეთ. ამ ნათხარში ერთი ნატეხი ნახშირი იქნება. ის ნახშირი წმინდად დანაყეთ და გამტკიცეთ. გადით ქალაქს ან სოფელს გარეთ საღამოზედ. ნახირი რომ მოდიოდეს წინ წადით: - ფურისა ან ხარის ორსავ რქას შუა ალაგას ერთი კაცი გამოჩნდება, იქ ივჯდება. კაცს თავზე ქუდი ეხურება, - ქუდი მოჰხადეთ, შუაზე ხელი მოუჭირეთ, მალე გაიქეცით და უკან არ მოიხედოთ. კაცი თან სირბილით, ყვირილით მოვა შენთან ქუდის გამოსართმევად ნუ მისცემ. მაშინ შენ რაც იმასა სთხოვო, აგისრულებს, ოღონდ თავისი ქუდი უკანვე დაიბრუნოს"

- ეგ ქუდი სწორედ ნატვრის თვალი ყოფილა. მერე, სცადე, მართალი გამოდგა? - ვკითხე მე სიცილით.

- ტყუილადა იცინი, - ითაკილა ჩემმა მეგობარმა, - მე ვცადე და ბევრი ნატვრაც ამისრულდა. აი ეხლაც მთვარეზე ასვლა მინდა ვცადო.

მე ცოტა შიშმა გამიარა გულში: ღმერთი არ გაუწყრეს ამ ჩემს მეგობარს და ჩემზეც არ სცადოს, მთვარეზე არ გამისტუმროს-მეთქი. დეე, ისევ თვი-

თონ გაისეირნოს მთვარეზე, თუ ასე მოსწონს შორი მოგზაურობა! - ვთქვი ჩემს გულში და მაშინვე შინისკენ გამოვეშურე.

***

ერთი ორი თვე ამის შემდეგ ჩემი მეგობარი აღარ მინახავს. ერთს დღეს კიდევ მოვიგონე და წავედი სანახავად. მივედი, შინ დამხვდა. ჩემი მეგობარი სრულიად გამოცვლილა: სახე უცინის, თვალები უბრწყინავს.

- სადა ხარ, კაცო ეგრე როგორ დამივიწყე? - მომეგება კარებში.

- რა ვიცი, შორს აპირებდი წასვლას და არ მეგონა, თუ ესე მალე დაბრუნდებოდი... ჰო, მართლა, მთვარეზე ასვლის საქმე რითი გაათავე?

- ვიყავი და აი კიდეც მოვედი... - როგორ? ეგრე მალე! განა მთვარე ეგრე ახლოს ყოფილა? ნუ ხუმრობ!

- ხუმრობა რა პასუხია! - გამიტრიზავა ჩემმა მეგობარმა სიტყვა: - ტყუილად დასცინოდი ჯანილოზის "ქუდსა". ერთ საღამოს ვიჯექ ჩემთვის და მთვარეს შევყურებდი. ვიფიქრე, მოდი გავბედავ და ჩემს "ქუდს" ვეტყვი მეთქი: "ნეტავ ახლა ამსო, დამსო და ზედ მთვარეზე კი შამსო" ვერ გავათავე ამის თქმა, რომ ვხედავ, ზევით-ზევით მივდივარ, ცოდვილს დედამიწას ვშორდები; დედამიწა თან-და-თან, ილევა, სულ პატარად და პატარად მეჩვენება. ბოლოს, მთვარეს, როცა სრულიად მივუახლოვდი, დედამიწა პატარა ვარსკვლავივით-ღა ბჭუტავდა...

ერიჰაა, ძალიან შეტოპა ჩემმა მეგობარმა-მეთქი, გავიფიქრე, და მინდოდა სიტყვა შემეწყვეტინებინა... თქვენც ნუ მომიკვდებით! იმან მე ყურიც აღარ მიგდო და განაგრძო თავის მოგზაურობის ამბავი. სწორედ მთვარის საქმეა-მეთქი! სად ჩემი მეგობარი და სად ესეთი ენის ამოდგმა... ეტყობა, მთვარეს ასეთი თვისება ჰქონია, რომ მუნჯსაც-კი აალაქლაქებს-მეთქი, - ვთქვი ჩემს გულში, გავჩუმდი და სმენად გადავიქეცი. ჩემი მეგობარი-კი განაგრძობდა.

- მივუახლოვდი მთვარეს... სტყუვიან ჩვენი პოეტები და გულ-უბპრყვილო, გრძნობა აღელვებული ქალები, მთვარეს რომ მისჩერებიან და გულის ოხვრით შესტრფიან: "ახ, ნაზო, ბადრო მთვარეო!" - ჩემს მეგობარს ძლერა სძულდა პოეტები და ქალები, რომელნიც მთვარეს შესჩივიან და შესტირიან... რა ნაზი, რა კეკლუცი! მთვარეზედაც ისეთივე ხმელეთი და წყლებია, როგორც ჩვენს დედამიწაზე. მგონი, ხმელეთი-კი უფრო მეტია, ვიდრე წყლები. დიდრონ ზღვებზე გემ-ხომალდები დაიარებიან. მთები ჩვენს კავკასიის მთებს არ ჩამოუვარდება. მთის წვერებზე თოვლი სდევს. ძირს თვალ-გადუწვდენელი ველ-მინდვრებია გაშლილი. ტყეებიც ბევრია. მინდვრებზე ყანებს ბიბინი გააქვთ, გაცხარებული მუშაობაა. - ის-კი ვერ გავიგე კარგად, რას უფრო სთესავენ იქა. - სოფლებიც ბევრი ვნახე, თუმცა ისე ხშირად-კი ვერ შეხვდებით სოფლებსა, როგორც ჩვენში. ცარიელი ადგილი ბევრია. - ეტყობა, მუქთად მიწის დარიგება მთვარეზე არა სცოდნიათ, რადგან ბოლოს გავიგე, რომ მიწა იმას ეკუთვნის, ვინ აკეთებსო" კარგი წესი ყოფილა.

***

დავეშვი დედამიწაზე, ე.ი. მთვარეზე, - განაგრძნობდა ისევ თავის ლაპარაკს ჩემი მეგობარი: - მაგრამ აი საკვირველებავ! ფეხი ვერ დამიკარებია მიწაზე, ისე მსუბუქადა ვგრძნობ ჩემს თავსა, თითქოს ცაში გაფრენას ვაპირებ-მეთქი. ვიყურები აქეთ-იქით, ყველა კარგად დაიარება... ვხედავ, დიდრონი სახლებია, ქუჩები სუფთად არის შენახული და პოლიციელებიც თავ-თავიანთ ალაგასა დგანან. მინდა, ფეხი მაგრა მოვკიდო, გამოვკითხო, გავიგო რამე. მაგრამ - რას ვამბობ - მივრბივარ და რა მივრივარ, ცხენი ვერ დამეწევა. - რამდენი ქალი და კაცი გავიტანე. შევხედო, რაღაც ყვირილი და სტვენა მომესმა. მოვიხედე, - პოლიციელებს კალთა აუკრეფიათ, მამდევენ და იძახიან: დერჟი, დერჟი, ეგო"! პოლიციელები იქაც ისე არიან როგორც ჩვენში, - ვთქვი, ეს არის ღმერთი გამიწყრა და ხათაბალაში გავებმევი-მეთქი. საუბედუროდ ისე უცბად მომიხდა მთვარეზე ასვლა, რომ თბილი ტანსაცმელიც დამავიწყდა, თორემ ბილეთს ვიღა მოიფიქრებდა. არაფერი სასიამოვნო იქნებოდა, რომ დავეჭირეთ და უბილეთოთ ვენახეთ: - ვინ იცის, იქ რა სჯული და ჩვეულება აქვთ. ვიფიქრე, აქ ერთს უბედურებაში არ გავებამეთქი, და რაც შემეძლო, ჩქარა გავიქეცი. მოვიხედე, - სადაა თვალითაც აღარავინ ჩანს. გავედი ქალაქ გარეთ. სირბილისაგან გული ამომვარდა, სულს ძლივს-ღა ვიბრუნებდი. გზის პირას ერთი დიდი ბაღი დავინახე. შევედი, ერთ ხეს წავეჭიდე და ფეხი ცოტად მოვიმაგრე; სული მოვიტრიალე. ვხედავ, -ერთი კაცი მოდის შემკენ. ისეთი ზაფრანის ფერი ედო, თითქოს ციებ-ცხელება სჭირებია და ეს არის ლოგინიდამ ამდგარაო. მაგრამ ეს კაცი ისე ყოჩაღად მოდიოდა ჩემჯენ, როგორც კარგი მაგარი, ჯან-მრთელი კაცი. მივიხედ-მოვიხედე, - ყველაფერს ასეთი მოყვითალო ფერი ადევს. მაშინ მომაგონდა, რომ მთებსა და წყლებსაც ესეთი, რაღაც მოყვითალო ფერი გადაჰ-

კრავდა. - ამიტომ თუ მოჩანს მთვარე ჩვენის დედამიწიდამ მკრთალი და ნაზი. მოვიდა თუ არა ახლოს ეს კაცი, ქუდი მომიხადა, დაბლა თავი დამიკრა და მითხრა: "გამარჯობაო!" გავკვირდი. ამ კაცს მთვარეზე ქართული ვინ ასწავლა-მეთქი. - სადაური ხარ კაცო? - ვკითხე გაოცებით. - აქაური, ბატონო, იმერეიდამა ვარ გადმოსული. - მერე ამ სიშორეზედ რამ წამოგიყვანა? - რას იზამ, ბატონო, სიღარიბემ სული ამომხუთა, იქ მიწა, მოგეხსნებათ, ნაკლებად არის და აქ-კი, მადლობა ღმერთს, ბლომადაა. შენი სახელი? - კიკოლიკა, ბატონო! -დუქნები არის აქა? - როგორ არა, ბატონო, აი, აქვე ახლოს ოსეფას დუქანია. - სომეხია? - დიახ. - დიდება შენთვის, ღმერთო, - გავიკვირვე, აქაც მოუგვნიათ-მეთქი.

გული არ მისვენებდა, უთუოდ ოსეფას დუქნის ნახვა მინდოდა. რადგან მარტო სიარულს ვერა ვბედავდი, კიკოლა წავიყვანე თან. მივედით დუქანში. შევხედე, - ერთი გაბღინძული, ღიპიანი კაცი დგას დუქანში და ვიღაცასაც ელაპარაკება. მივესალმე, - ზრდიალობიანად თავი დამიკრეს. ერთს გაზეთი ეჭირა ხელში. ოსეფა და იმის ნაცნობი ქართულად ლაპარაკობდნენ. ვთქვი, სწორედ "შშაკის" რედაქტორის სუსხი არ უნახავთ, თორემ ქართულად ლაპარაკს ვერ გაჰბედავდნენ-მეთქი. ყური მოვკარ "ხონელის" სახელს. -"არძაგანსკისა" და "შშაკის" ამბავი იცით-მეთქი? - ვიკითხე, რადგან ვიფიქრე, რომ თუ ხონელის სახელსა ახსენებდნენ, ამის გამო ახსენებდნენე. როგორ მოგწონთ? განა დიდი გმირობაა, მთელი ერი დედამიწის ზურგთან გაასწოროს კაცმა? - თითონ ჩვენის დევ-გმირობის ნაწერები კი არ წაგვიკითხავს და აი, ხონელის წერილი კი წავიკითხეთ. კალამი უკურთხოს ღმერთმა. კარგები კი მოსცხო! კარგი პატიოსანი ქართველი ყოფილა. სირცხვილი იქაურ სომხებისთვის, ხმა ვერავინ ამოიღო, ისევ ქართველი გამოგვესარჩლა. - მეც ქართველი გახლავართ და უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნი ხონელი მართლად და პატიოსნად ლაპარაკობს, მხოლოდ ერთში-კი არ ვეთანხმები: სცდება, რომ ვაჭრებს ხელს აფარებს და ათეთრებს. მართალია, ვაჭრებშიაც მოიპოვება თითოოროლა მართალი კაცი, მაგრამ რაო. განა სოდომ და გომორში-კი არ იყო მართალი და ღვთის მსახური ლოთი? მაგრამ ღმერთმა ცეცხლით აღმოფხვრა და წყლით წარღვნა სოდომელები. - მეც, ბატონო, ვაჭარი გახლავართ, - გულ-ნაწყენად მითხრა ოსეფას ნაცნობმა. მთელ მთვარეზე იკითხეთ ჩემზე ცუდს არავინ იტყვის.. ის იო დავაპირე კიდეც რიღასიც კითხვა რომ დუქანში პოლიციელი შემოვიდა, ხელში ერთი დიდი კონა ქაღალდები ეჭირა. დავხედე, - სწერია: "დაბეზღების ქაღალდი", და ქვემოდ - ქუთაისი. ერიჰაა, სწორედ ცუდად არის-მეთქი საქმე! იქნება ჩემი ამოსვლა გაიგეს და "დანოსი" ზედ მომაყოლეს? პოლიციელი წეღანდელსა ჰგვანდა, უკან რომ მომდევდა: ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალითაც მიყურებდა. შემეშინდა, ხელი არა მტაცოს-მეთქი. მაგრამ მე დავასწარ, - კიკოლას ხელი გამოვტაცე, ერთი კი დავუძახე: მშვიდობით-მეთქი და გამოვარდი გარედ.... ჩემი მეგობარი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. - მერე? ვკითხე ჩემს მეგობარს, - სხვა მაგის მეტი ვერა ნახე-რა მთვარეზე საყურადღებო? - სხვა ლაპარაკად არა ღირს. იქაც ისევ ის არის, რაც ჩვენში... მთვარე-კი არა, და აი, სხვა ვარსკვლავებზე უფრო უცნაურ და საოცარს ამბებს ლაპარაკობენ მეცნიერები. ეხლა იქ ვაპირებ წასვლასა და თუ ეს მოხერხდა - რომ მოხერხდება, ამის ეჭვი არა მაქვს, - მაშინ ბევრ კარგს და საოცარ ამბებს მოგიტან.

1887

იაკობ მანსვეტაშვილი (დ.1855 - გ.1939) — ქართველი ჟურნალისტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია, სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. 1886-1890 წლებში იყო გაზეთ „ივერიას“ თანამშრომელი. წერდა ფელეტონებს, კრიტიკულ წერილებს, რეცენზიებს, პატარა მოთხრობებს. იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მდივანი.



ედიშერ ყიფიანი

დროთა კავშირი

– ლევან!
– გისმენთ!
– სად ხარ?
– კაბინაში.
– ახლა შეხვედი, თუ...
– არა, მეძინა.
– ჩემი განცხადება არ მოგისმენია?
– რა მოხდა?
– შეგიძლია სარკეში ჩაიხედო და გაკოხტავდე, ექვსი საათის შემდეგ მზის სისტემაში ჩავყურყუმელავდებით. შემოდი ჩემთან, ყველანი აქ არიან.
– ცოტა შეუძლოდ ვარ.
– ექიმი და შეუძლოდ? სადა ხარ, ვერ გხედავ!
მე სკამიანად შემოვბრუნდი,რომ ტელევიზორის გადამცემ კამერას დავენახე.
– სკამზე გეძინა? – ჩაიცინა კაპიტანმა. – დედამიწაზე ნახევარი წლის შვებულება გელოდება!
– უკვე გავედი შვებულებაში, – წავეხუმრე მეც.
კაპიტანი აშკარად მაღიზიანებდა. ჩემს კაბინაში არ იდგა ტელეეკრანი, მე ვერ ვხედავდი კაპიტანს, მაგრამ ვგრძნობდი, რა ეშმაკურად ჭუტავდა თვალებს. მთელი მგზავრობის მანძილზე დღეს მეორედ დადგა ხუმრობის გუნებაზე. პირველად მაშინ გაიღიმა, როდესაც ჩვენმა კოსმოსურმა ხომალდმა თითქმის ნახევარი გზა განვლო სირიუსამდე და უკან გამობრუნება იწყო. მაგრამ მხოლოდ დედამიწასთან მიახლოების გამო უხარია კაპიტანს? იმიტომ დადგა კარგ გუნებაზე, რომ მშვიდობიანად ბრუნდება შინ? რომ უკან დარჩა სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე სიარული, ორი გრძელი კოსმ??ური წლის სამარისებური სიჩუმე და წყვდიადი? რა თქმა უნდა, ესეც ბედნიერებაა, კოსმ??ური მგზავრობიდან კი არა, სამსახურიდან რომ შინ ბრუნდები მშვიდობიანად, იქნებ მაშინაც უნდა გიხაროდეს კაცს. მაგრამ მოხუც კაპიტანს სულ სხვა მიზეზი აქვს ხუმრობის და, საერთოდ, კარგ გუნებაზე ყოფნის; მან კიდევ ათი წელი გამოსტაცა სიკვდილს, ზუსტად ათი წელიწადი.

იგი 186 წლის წინათ დაიბადა შავი ზღვის სანაპიროს პატარა სოფელში. ოცდასამისა, როდესაც პირველად გაფრინდა პროციონისკენ, შვიდი წლის ფრენის შემდეგ დაბრუნდა დედამიწაზე და არც ერთი მისი ტოლი ცოცხალი აღარ დახვდა. ეს კაპიტნის მეთერთმეტე და, როგორც თვითონ ამბობს, უკანასკნელი მგზავრობაა სინათლესთან მიახლოებული სიჩქარით. "თუ მშვიდობიანად დავბრუნდით, ცისკენ აღარც

ავიხედავ, დადგა ჟამი ჩემი მიწისქვეშ მგზავრობისაო", მაგრამ ჯერ ადრეა მისთვის სიკვდილზე ფიქრი, კაპიტანი კოსმოსის შვილია, დედამიწაზე სტუმრად ჩამოდის ხოლმე. 71 წლის გახდებოდა ახლა დედამიწაზე რომ დარჩენილიყო, მაგრამ გამოფრინდა და კიდევ ათი წლის სიცოცხლე ჩაიჯიბა.

ისე ვბუზღუნებ და ვუსაყვედურებ, თითქოს მე წამართვა ის ათი წელი. არ ვიცი, რატომ ვარ ცუდ გუნებაზე, მეც ხომ უნდა მიხაროდეს, მეც ხომ ახლა კაი 41 წლის ჭაღარასანი ვიქნებოდი, სიცოცხლის ნახევარი გავლილი მექნებოდა. რა ჩახლართული მანქანაა ადამიანი; სხვას კი არა, ხანდახან საკუთარ თავსაც ვერაფერს გაუგებ. ვითომ მოწოლილ სევდას ველარ ვუძლებ, ვითომ საშინლად დამჩაგრა ამ მგზავრობამ. დამავალეს, თორემ სურვილით როგორ წამოვიდოდი, ცარიელ ოთახში ვიღაც არარსებულისა და უჩინარის წინაშე თავს ვიკატუნებ, რა გამოცნობა ამას უნდა; რეპეტიციას გავდივარ, რომ ცოლის წინაშე შეძრწუნებული ქმრის როლი ვითამაშო იქ, კოსმოდრომზე, რაკეტის დაშვებისას.

"ექსპერიმენტული კოსმოსური ხომალდი-ლაბორატორია "ციცარი–7", 2206 წლის 30 ნოემბერს სტარტს აიღებს კავკასიონის მეხუთე კოსმოდრომიდან, – აცხადებდნენ გაზეთები ჩვენი გამოფრენის წინ, – ექსპერიმენტის მიზანია: 1) ცხოველთა ანაბიოზურ მდგომაროებაზე დაკვირვება. 2) სელექციონური ქლორელის გამოცდა ხომალდის ეკოლოგიური სამყაროს გასაუმჯობესებლად. "ციცარი–7"-ის საშუალო კოსმოსური სიჩქარე – 240.000 კმ წამში. მოგზაურობის ხანგრძლიობა დედამიწის კალენდრით – ხუთი წელიწადი, ხომალდის კალენდრით – სამი წელიწადი".

კოსმონატვებს ისეთი შორეული ვარსკვლავები ჰქონდათ ამოღებული მიზანში, რომ მიუხედავად დიდი სიჩქარეებისა, ადამიანის ერთი სიცოხლე აღარ ეყოფოდა გაფრენისა და უკან დაბრუნებისთვის. სწორედ ამიტომ გახშირდა ბოლო დროს ჰიპოთერმული ექსპერიმენტები. ჩვენი ოთხფეხა თანამგზავრებიც ახლა ანაბიოზში არიან, ორას გრადუსამდე გაყინულ მათს სხეულში სიცოცხლის არავითარი ნიშანწყალი არ მოიძებნება, ბიოლოგიური პროცესები დაკონსერვებულია, ამ ორი წლის ფრენის მანძილზე ძაღლები ერთი წამითაც არ დაბერებულან. ასევე უცვლელი დარჩებიან ისინი 400-500 წლის განვმალობაში, თუ, რა თმა უნდა, არავინ გამოაფხიზლებს, საკმარისია სითბოში მოათავსო, რომ გული აუმუშავდებათ, სუნთქვას დაიწყებენ, დაიწკმუტუნებენ.

ჩვენი ხომალდის ბოტანიკოსიც კმაყოფილია ქლორელის გამოცდის შედეგებით. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს ერთუჯრედიანი მცენარე სავსებით საკმარისია ხანგრძლივი მგზავრობის რაკეტებზე კოსმონავტთა საკვების შესაცვლელად და მიკროატმოსფეროს შესაქმნელად. ერთი სიტყვით, პროგრამის ყოველი მუხლი შეასრულა ჩვენმა ეკიპაჟმა.

მხოლოდ ერთი, ერთადერთი პირობა დაირღვა.

აინშტაინის დროის რელატიურობის ფორმულის მიხედვით, ხომალდის სიჩქარე და ფრენის ხანგრძლივობა ისე იყო შერჩეული, რომ ჩვენთან შედარებით მხოლოდ ორი წლით დაბერდებოდნენ დედამიწის მცხოვრებნი. მაგრამ მაშინ რა ვიცოდი, რას მიმზადებდა ბედი.

სტარტამდე ერთი კვირით ადრე კოსმონავტთა ინსტიტუტის პარკში მოხუცმა კაპიტანმა შემაჩერა. მთელი დღე გეძებო, მითხრა, ხელი მომკიდა და საუბარ-საუბრით ხეივნისკენ წამიყვანა. ჩანჩქერთან უეცრად გაჩერდა, თავისკენ მიმაბრუნა და თვალებში შემომაცქერდა.

– რამდენი წლისაა თქვენი გოგონა?

– ოთხის... რატომ მეკითხებით? – გამიკვირდა მე.

– ცოლი?

– ოცდარვის... რა მოხდა?

– ახლავე მოგახსენებთ... თქვენ?

– მე ოცდაცხრისა ვარ... უარი ხომ არ მითხრეს? – გავფითრდი უეცრად.

– არა. თქვენ ჩემი ყველაზე კარგი კანდიდატი ხართ. მაგრამ ვალდებულად ვთვლი თავს, ერთი საიდუმლო გაგანდოთ. მომეცით სიტყვა, რომ ხომალდის მიწაზე დაბრუნებამდე, თქვენი ცოლის გარდა, არავის ეცოდინება ეს.

– ჩემი ცოლის გარდა? – თანდათან მომემატა მღელვარება.

– დიახ. დედამიწაზე მხოლოდ თქვენს ცოლს ეცოდინება...

– სიტყვას გაძლევთ!

– თქვენს ოჯახს ეხება და ამიტომ გიმჟღავნებთ საიდუმლოს. წინააღმდეგ შემთხვევაში...

– გისმენთ!

– მაგრამ მანამდე მინდა გკითხოთ, გიყვართ ცოლი? მაპატიეთ, მაგრამ მე უნდა ვიცოდე ეს.

– მიყვარს... ცხადია, მიყვარს, – დავიბენი ბავშვივით.

– მოგმართავთ, როგორც მამაკაცი მამაკაცს, აქ არაფერია დასამალი. გიყვართ იმდენად, რომ მისმა დაკარგვამ ტკივილი მოგაყენოთ?

– დაკარგვამ?!

— ნუ ღელავთ, ჯერ მიპასუხეთ კითხვაზე!

— მიყვარს, მიყვარს ჩემი ცოლი, მითხარით რა მოხდა?

კაპიტანმა თვალი მომაცილა, ჩიბუხი გააწყო, გააბოლა.

— ფრენის ვადების დარღვევას ვაპირებ, — თქვა მან, — ორი წლით სიცოცხლის მომატება ძალიან ცოტა მეჩვენება, მით უმეტეს, იქნებ ეს უკანასკნელი შესაძლებლობა იყოს ჩემთვის, უკანასკნელი გაფრენა. გამიგეთ, მე ახლა ისე დავეძებ სიცოცხლის ზედმეტ წლებს, როგორც ლოთი — ღვინოს. 184 წლის წინათ დავიბადე და ახლა, როგორც არასდროს, მინდა კიდევ დიდხანს ვიცოცხლო. არ გეგონოთ, ვიღაც ბებერი სიცოცხლეს ეპოტინებოდეს და შიშის კანკალი ავარდნოდეს მოახლოებულ სკივდილზე ფიქრისგან. არა, მე ისე შევეჩვიე მომავალი დღეების და, არა მარტო დღეების, საუკუნეების ნახვას, — დაუკვირდით ამ სიტყვებს. — ისე შევეჩვიე მომავალში ცხოვრებას, ისე გაღიზიანებული მაქვს ცნობისმოყვარეობა, რომ ყურსაც არ გავიბერტყავ, თუ მეტყვიან დღეს უნდა მოკვდეო, მაგრამ ხვალინდელი დილის ნახვა თუ არ მიწერია, ალბათ, გავგიჟდები. ყოველ დილას მე მიყვარს მომავალი დღის განთიადი, ყოველ საღამოს — მომავალი საღამო. მე არ ვცხოვრობ არც ერთ კონკრეტულ დღეს, რადგან მომდევნო დღეა ჩემთვის ყველაფერი. ეს თითქოს პარადოქსია, მაგრამ ასეა. დარწმუნებული ვარ, ვერ მიმიხვდით, მაგრამ ოდესმე მიხვდებით. შეიძლება ჩემზე მეტადაც მოიწამლოთ ამ სენით, მაგრამ ახლა არა გაქვთ განვითარებული გარდაუვალი ცნობისმოყვარეობის გრძნობა, იგი თქვენთვის ჯერ არ ქცეულა მოთხოვნილებად. შეიძლება გაგეცინოთ და არ დამიჯეროთ, მაგრამ ახლა ადამიანს, როგორც ანატომიურ ინდივიდს, უჩნდება ახალი ორგანო, ცნობისმოყვარეობის ორგანო! დარმწუნებული ვარ, მე იგი უკვე მაქვს, სადღაც, სხეულის სიღრმეში. ახალ ორგანოს კი დაკმაყოფილება უნდა, ისევე, როგორც შიმშილს, წყურვილს... საუკუნეების მანძილზე ისე ხშირად ღიზიანდებოდა ნერვული ბოჭკოები ადამიანის ყოველდღიური, ყოველწუთიერი ცნობისმოყვარეობისგან, რომ ორგანიზმი ევოლუციის ახალ მიჯნამდე მიიყვანა. რა თქმა უნდა, ადამიანებს ძველადაც აინტერესებდათ, როგორ მოეწყობოდა ქვეყანა მათი სიკვდილის შემდეგ, მაგრამ იცოდნენ ისიც, რომ ამას ვერასდროს გაიგებდნენ, და წინასწარ თავს არავინ იკლავდა. ახლა კი... — მოხუცმა აღარ დაამთავრა, გაჩუმდა, მერე ცივად დაუმატა: — მიხვდით, რისი თქმა მინდა?

მე თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად და კაპიტანმა იგრძნო, რომ ვერაფერს მივხვდი.

— ჩვენ ვიფრენთ სინათლის ცხრა მეათედი სიჩქარით, 295 ათას კილომეტრს წამში. ეს "ციცარის" მაქსიმალური სისწრაფეა. პროგრამით კი გათვალისწინებულია ხელოვნურად შენელებული ფრენა. მაგრამ მე დავარღვევ ამ პროგრამას. ორი წლისა და ორი თვის შემდეგ დავბრუნდებით, დედამიწაზე კი ამ ხნის განმვალობაში თორმეტი წელი გაივლის, გაიგეთ, რას გეუბნებით?

— გავიგე.

— ყველა თქვენს ტოლზე ათი წლით ახალგაზრდა ჩამოხვალთ, თორმეტი წლის მერმინდელი დედამიწა დაგხვდებათ. გახდებით პირწავარდნილი ეგოისტი. აღარც მშობლები, აღარც ცოლ-შვილი, აღარც მეგობრები, მხოლოდ მომავლის შეცნობის დიდი სურვილი. დაავადდებით იმავე სენით, აგეკვიატებათ გარდაუვალი შიში, ვაითუ, უეცრად გარდაიცვალოთ და ვეღარ გაიგოთ, რა იქნება კიდევ ათი წლის შემდეგ, ოცი წლის შემდეგ. და თქვენ აღარასოდეს მოგინდებათ სიკვდილი, აღარასოდეს, რადგან მუდამ შეგეძლებათ სიკვდილის ვადების გადაწევა. ეს საშინელებაა, საშინელება... იქნებით ისეთივე ბედნიერი და ისეთივე უბედური, როგორც უკანასკნელი ნარკომანი. გესმით, რას ვამბობ?

— მესმის!

— მაინც გამოფრინდებით ჩემთან ერთად?

— მაინც ! — ისე ვუპასუხე, თითქოს ვიღაც უხილავი მიკარნახებდა.

— თქვენ ოცდათერთმეტი წლისა დაბრუნდებით, თქვენი ცოლი ორმოცი წლის დაგხვდებათ. გამოფრინდებით?

ელდა მეცა. ერთბაშად წარმოვიდგინე ორმოცი წლის თინათინი.

— შეიძლება დაბრუნებისთანავე ერთბაშად შეგძულდეთ ცოლი, უფრო მეტად კი მას შეძულდებით, როდესაც ჭაბუკსა და სრულიად უცვლელს გნახავთ!

— არასოდეს! — წამოვიძახე მე.

— მოილაპარაკეთ და შემატყობინეთ! — კაპიტანმა მხარზე ხელი დამადო და სწრაფადვე მომაცილა, — ხვალ მთელი დღე კოსმოდრომზე ვიქნები.

იგი შებრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გაჰყვა ხეივანს.

თითქოს მინდოდა დავდევნებოდი და რაღაც მეკითხა, თითქოს მინდოდა თვითონვე აეკრძალა ჩემთვის გაფრენა, არ მოეცა გადასაწყვეტად ეს რთული არჩევანი, რადგან მაშინვე ვიგრძენი, რომ მე არაფერს ვეტყოდი თინათინს.

მივდიოდი შინისაკენ და ყველაფერი შეცვლილი მეჩვენებოდა. თითქოს ეს პროსპექტი, ხალხი, წიგნის ვიტრინა, ანდა ის გორაკი, ოდესღაც მენახა და ახლა შემთხვევით მომაგონდა, თვალწინ დამიდგა. და იმ წუთში სხვა საგანზე რომ დამეწყო ფიქრი, ეს ქალაქიც, ქუჩაც და გორაკიც, ალბათ, გაქრებოდა, როგორც, საერთოდ მომდევნო ფიქრი აქრობს ხოლმე წინას.

ცდება კაპიტანი, თავს ვიმშვიდებდი მე, თინათინი ყოველთვის მეყვარება, როგორიც არ უნდა დამხვდეს, მეყვარება. რა მოხდა, თუ წამძლევს სურვილი და ათი წლით გავიხანგრძლივებ სიცოცხლეს, თუ მომხიბვლელად მომეჩვენება ჩემი დაბერების ათი წლით შეჩერება, ჩემი ტოლებისკენ, თუნდაც უმცროსებისკენ, დაბრუნებისას ნიშნისმოგებით გადახედვა, განა ეს დანაშაულია?

მაგრამ ვერ გავბედე, ვერ გავანდე კაპიტნის საიდუმლო თინათინს, რადგან იგი უკვე ჩემ საიდუმლოდ გადაქცეულიყო.

ძველი მეომრები და მოგზაურები დიდი ხნით ტოვებდნენ ხოლმე ოჯახებს. წლობით, ხანდახან ათეულ წლობითაც, მაგრამ შორეული ლაშქრობის ველზედაც და სამშობლოშიაც დრო ერთნაირად მიიზლაზნებოდა წინ, ქარიშხლიან ოკეანეებშიც და მიტოვებული ოჯახის კერიასთანაც მზე თანაბრად ერეკებოდა ციფერბლატებზე საათის ისრებს. მეომართან და მოგზაურთან ერთად ბერდებოდა დედამიწა, საკუთარი ცოლიც და შვილიც. მეომარი ამაყობდა ჭრილობებისგან დამახინჯებული სხეულით, მოგზაური – განსაცდელთან ბრძოლაში შეჭარაღავებული თმით.

მე კი დავბრუნდებოდი ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე, ისევ ძველებური სიხალისე, ისევ წინანდელი ძალღონე და სილამაზე შემრჩებოდა. და მერე ჩემზე იქნებოდა დამოკიდებული: შემეძლო მუდამ ახალგაზრდა დავრჩენილიყავი, მუდამ, მთელი სიცოცხლე.

თინათინმა და ნაიმ, ჩემმა ოთხი წლის ქალიშვილმა, კოსმოდრომზე მომაცილეს. სტარტამდე კიდევ სამი საათი იყო დარჩენილი,მაგრამ ეკიპაჟის წევრები ექსპედიციის კომისიის წინაშე უნდა გამოვცხადებულიყავით.

თინათინი უცხოსავით უხერხულად გრძნობდა თავს გამომშვიდობებისას. ხშირ-ხშირად იყურებოდა საათზე, იქნებ იმ დროზე ფიქრობდა, როდესაც ისევ აქ, კოსმოდრომზე დამხვდებოდა ჩემი დაბრუნებისას. თითქოს ახლავე ეშინოდა, არ დაგვიანებოდა მოსვლა, ალღო შეუმცდარად ატყობინებდა, რომ რაღაც საგანგაშო ხდებოდა და, რომ ეს საშიშროება დროსთან და დაგვიანებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ თინათინი ვერ ერკვეოდა, ვისი დაგვიანების, ან რომელი დაგვიანების უნდა შეშინებოდა.

– არ დაგაგვიანდეს! – მითხრა უეცრად.

– ა?! – დავიბენი, ერთი წამით მომეჩვენა, რომ ყველაფერი იცოდა.

– არ დაგაგვიანდეს! – გაიმეორა და ხელი სასტარტო პოლიგონისკენ გაიშვირა, სადაც ჩვენი რაკეტის მუქი სილუეტი მოჩანდა, – უკვე მესამედ გამოაცხადა შენი გვარი რადიომ.

როცა გადამკოცნა, იღიმებოდა, მაგრამ თვალები სველი ჰქონდა. ქარი უფრიალებდა მწვანე ფოთლებით მოხატულ კაბას და თეთრ მუხლებს უჩენდა.

– მამა, წითელ ღრუბელს ჩამომიტან? – ფეხზე მომეხვია ნაი.

მე ხელში ავიტაცე შვილი და დიდხანს მყავდა გულში ჩაკრული. ვეღარასოდეს ვნახავდი მის ბავშვობას, ვეღარ მოვისმენდი მის ტიტინს, თექვსმეტი წლის ქალიშვილი დამხვდებოდა, უცხო ადამიანივით შემომხედავდა და ჩვენ თავიდან უნდა გვეშენებინა მამაშვილური სიყვარული. როგორ მინდოდა შემესრულებინა მისი უკანასკნელი, ბავშვური სურვილი. უკანასკნელი, რადგან იგი მე აღარასოდეს მთხოვდა წითელ ღრუბელს.

რამდენმა წუთმა გაიარა მას შემდეგ? სადღაც სამყაროში, ალბათ არის ადამიანის მთელი ცხოვრების დამტევი წუთი, როგორც უჩინარი ატომის გული ინახავს უზარმაზარ ენერგიას... რამდენი რამ გადავიტანე, რამდენმა ფიქრმა დამავიწყა და რამდენმა გამახსენა თავი. უკვე ვბრუნდებით, ჩვენი ხომალდი მალე მზის სისტემაში შეიჭრება, რომლის ერთი პლანეტა დიდი ხანია გველოდება. იქნებ დაღუპულიც ვგონივართ, მაშველი ექსპედიციებიც ჰყავთ გამოგზავნილი, დღედაღამ მლოცველებივით აჰყურებენ ცას მსოფლიოს ტელელოკაციური აპარატები და ჩვენ დაგვეძებენ? , ასეა, რადგან კაპიტანმა დააგვიანა, იჩქარა და დააგვიანა.

– მაგიდა! – ვბრძანე მე.

კედლიდან უხმაუროდ გამოცურდა ცისფერი მაგიდა. უჯრა გამოვაღე და ჩემი დღიური გადავშალე. რა არ ჩამიწერია შიგ. მგზავრობის პირველი დღეების შთაბეჭდილებები, ბავშვური აღტაცება, განცვიფრება, ფიქრი დედამიწაზე, თინათინზე და ნაიზე. ფიქრები მომავალზე... ჩვენი ხომალდის დაწვრილებითი აღწერა, და მერე გაუბედავი, წვრილი ასოებით მიწერილი ჰიპოთეზა უსასრულობის სიმრუდის შესახებ, იმის შესახებ, რომ უსასრულო დროის მანძილზე სწორხაზოვანი ფრენის შემდეგ კოსმოსური ხომალ-

დი უნდა დაბრუნდეს საწყის წერტილში. მერე კაპიტანთან საუბრის ჩანაწერები, ეპიზოდები მისი ცხოვრებიდან... მერე ისევ თინათინზე ფიქრები, განშორების სინანული, მომავალი შეხვედრის გულისგამ?წვრილებელი მოლოდინი.

ვათვალიერებდი დღიურს და მწარედ მეცინებოდა საკუთარ თავზე, ჩემს პატარა, ქვეშეცნეულ ცბიერებაზე; მთელი დღიური თინათინისთვის მქონია გათვალისწინებული, მისი გულის ასაჩუყებლად და ჩემს გასამართლებლად. დღიურის მიხედვით ვითომ გზაში გამიგია, რომ "ციცარი" 55 ათასი კილომეტრით სწრაფად მიჰყავდა კაპიტანს, ვიდრე გათვალისწინებული იყო და ერთი ამბავი ამიტეხია, რომ დედამიწაზე თორმეტი წელი გავიდოდა ჩვენს დაბრუნებამდე და თავზარი დამცემია, რადგან ძვირფასი, საყვარელი თინათინი ჩემზე უფროსი დამხვდებოდა...

მეც კარგი თაღლითი ვარ, უკეთესს ვერც ინატრებს კაცი!

კედლის ნიშაში ორი ციფერბლატი ანათებს. ეს ჩვენი ხომალდისა და დედამიწის კალენდრებია. "2208 წ. 30 ოტომბერი, 4 საათი", – წერია ხომალდის კალენდარზე. დედამიწაზე კი ახლა 2217 წ. 29 ივნისი, 19 საათი და 18 წუთია.

29 ივნისი!

გული უეცრად აფართხალდა, ფეხზე წამოვიჭერი, ჩუმი სიცილი დავიწყე, ხელები გავშალე, თითქოს ვიღაცას უნდა გადავხვეოდი. 29 ივნისი ნაის დაბადების დღეა, თხუთმეტი წლის გახდა. ალბათ ამხანაგები ჰყავს მიპატიჟებული, ერთ ამბავში არიან. ანდა ჯერ არ მოსულან, ჯერ იქ საღამოს შვიდი საათია. მოუთმენლად ელოდება სტუმრებს ნაი. ვინ იცის, მათ შორის მისი თაყვანისმცემელიც ერიოს, თავის სიყვარულს რომ საიდუმლოდ ინახავს და ნაისთან ყოველი შეხვედრისას ყურებამდე წითლდება... ნაის თაყვანისმცემელი! ვერ წარმომიდგენია... აი, მოვიდნენ პირველი სტუმრები, ნაი ეგებება, კოცნიან... თინათინი სუფრას აწყობს, თან ცალი თვალით გაჰყურებს ახალგაზრდებს და ეღიმება...

– რა დაგემართა? - მომესმა ზედ ყურთან.

შევკრთი და თვალები გავახილე, ჩემ წინ კაპიტანი იდგა, დაფიქრებული შემომყურებდა წარბებქვეშიდან. ერთდროულად რამდენი რამის გამოხატვა შეუძლია თვალებს; კაპიტნის გამოხედვა მარწმუნებდა, რომ ამ წუთში იგი რღაცას მიხვდა. კაპიტნის თვალები მეკითხებოდა, არ ვიცი რას, თანაგრძნობასაც მიმჟღავნებდა და დამცინოდა კიდევაც.

ოცნებაში წასული, ზურგით კედელს მივყრდნობოდი, თვალები დამეხუჭა. მისი ნაბიჯების ხმა ვერც გავიგე.

– მართლა შეუძლოდ ხომ არა ხარ?

– არა... – ჩავიცინე, სულელური სიცილი გამომივიდა.

– თვალები გიბრწყინავს!

– არა... – თითქოს სხვა სიტყვა არ ვიცოდი.

– ყველაფერი კარგად იქნება! – თქვა მან. დაჯდა და მეც სკამზე მიმითითა, – გზაში მოძრავ ფინიშს შემოგვაგებებენ დედამიწიდან, ისე დავსხდებით, როგორც რბილ სავარძელზე.

გამომცდელად შემომხედა და სწრაფად ამაცილა თვალი. კაპიტანმა იცოდა, რომ მე ფინიშის სიძნელეები სულაც არ მადარდებდა, ხვდებოდა, რა მაწუხებდა და რა ფიქრებიც მიტრიალებდა თავში. მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობის მდიდარი გამოცდილება უკარნახებდა, თვითონ არ დაეწყო ამაზე ლაპარაკი, ამიტომ ჩემს საღსარებოდ გამოწვევას ცდილობდა. "შეცდომით" მიხვდა, რომ ვითომ ხომალდის მშვიდობიან ფინიშზე ვფიქრობდი, და მომცა მისი შეცდომის შესწორების საშუალება.

– ყველაფერი კარგად იქნება, – გავიმეორე მე და ვითომ წამოვეგე მის დიპლომატიურ ხრიკზე. – ერთის გარდა... ცოლთან შეხვედრის მეშინია...

– სისულელეა, – ხელი ჩაიქნია მან, – ცხრა წლის განსხვავება არაფერია!

– არაფერია, მაგრამ ქალისათვის, ისიც შენი ცოლისათვის... ხომ თვითონვე მეუბნებოდით, ეს ყველაზე მუხანათური ღალატიაო...

– მეე?! – გაიცა კაპიტანმა და სუფთად გაპარსულ ლოყებზე თითები ჩამოისვა, – მე არასოდეს მითქვამს ეგ! – უეცრად გაიღიმა და თითი დამიქნია, – თქვენ თურმე ყმაწყვილო, საკუთარ ფორმულებს არ აფასებთ და ასე გულუხვად არიგებთ! უნდა ჩაიწეროთ ხოლმე...

"ფორმულის" თაობაზე ცამდე მართალი იყო. მე ვფიქრობდი ამას, მე შევარქვი ჩემს საქციელს ყველაზე მუხანათური ღალატი ცოლისადმი, მაგრამ კაპიტანს რატომ მივაწერე, ვერ მომისაზრებია.

– იცით, ყველაზე მეტად რისი მეშინია, კაპიტანო? ვაითუ...

– ადვილად შესაძლებელია, ამდენ ხანს მარტოხელად ყოფნა ძნელია ქალისთვის.

– ვერ დავიჯერებ, – წამოვიძახე გამწარებულმა, – თინათინს ძალიან ვუყვარდი.

– უყვარდი! – ნიშნისმოგებით ჩაიცინა კაპიტანმა, ხელები მკერდზე გადაიჯვარედინა და სკამის ზურგს მიეყრდნო, – თქვენ კარგად იცით, რას ნიშნავს ქალისთვის ასაკი. დრო ყველაზე საძულველი მტერია

მისი. უძლეველია ეს მტერი, უხილავი და ხელშეუხებელი. მაგრამ ამჯერად თქვენი უყმაწვილესობის სახით, თქვენს მეუღლეს ეყოლება ხორცშესხმული მტერი, ხილული დრო, რომელმაც იგი დააბერა...

მინდოდა წამომეყვირა: ხომ თვითონვე დამთანხმდა თინათინი, ხომ იცოდა, რომ ასე მოხდებოდა მეთქი. ამ პასუხს ბუნებრივად მიიჩნევდა კაპიტანი, მაგრამ სინდისმა ენა დამიდუმა, არ მინდოდა კიდევ ერთხელ ხმამაღლა გამემეორებინა ჩემი სიცრუე.

— კაპიტანო! — ხმა ამოვიღე ბოლოს, თითქმის ორი საუკუნეა, რაც გაჩნდით ამქვეყანად, თქვენ... თქვენ ძველებურად გებადებათ ახალი აზრები, იდეები?

— გინდათ მკითხოთ, აზროვნება ხომ არ დამიჩლუნგდა? სამწუხაროდ, არა! ისევ ისე მესახება ახალი გეგმები, ახალ-ახალი პრობლემები გროვდება, გროვდება, აღარ ვიცი ხოლმე რა მოვუხერხო, რომელს მოვკიდო ხელი განსახორციელებლად. ვცდილობ, თავს ძალა დავატანო და დავივიწყო, არსად არ ვიწერ, არავის არ ვუამბობ, ვარწმუნებ თავს, რომ სისულელეა, რომ უჭკუო და უნიჭო ვარ, მაგრამ არაფერი გამომდის. ისე მოქნილი გახდა ჩემი გონება, ისეა გამდიდრებული ფაქრებით, ისე სწრაფად და ზუსტად აკეთებს მოვლენათა ანალიზს, რომ მენატრება შეცდომა, ვფიცავ ყველაფერს, შეცდომის ჩადენა მენატრება. რას არ მივცემდი ერთი აშკარა, სულელური შეცდომისთვის.

არ ვიცი, რა დამემართა და ასე ერთბაშად რატომ გადავწყვიტე ყველაფრის გამჟღავნება.

— კაპიტანო, შემიძლია გახაროთ — თქვენ ერთი შეცდომა ჩაიდინეთ. თქვენ გგონიათ რომ მე...

— ო, ნეტავ, ნეტავ, ეგრე ყოფილიყო, მაგრამ, სამწუხაროდ, კოსმოდრომზე მივხვდი, რომ ცოლისთვის არაფერი გითქვამთ. მაინც რატომ დაუმალეთ ჩვენი საიდუმლო?

— ვერ გავბედე, — ყურებამდე გავწითლდი, — რომ მეთქვა, დავრჩებოდი, ველარ წამოვიდოდი.

— სწორედაც მოიქეცით, დედამიწის საზომით რომ მივუდგეთ, სულ ცოტა, უსინდისო მატყუარად მოგნათლავდნენ... მაგრამ თქვენ კიდევ ბევრ ოჯახს შექმნით.

— ბევრ ოჯახს?!

— არა ერთსა და ორ ცოლს შეირთავთ!

— თქვენ, კაპიტანო... თქვენ შექმენით მეორე ან მესამე ოჯახი?

— არა, ჩემი პირველი გაფრენა ისე ხანგრძლივი იყო, რომ ქალები ველარ ბედავდნენ ჩემთან დაახლოებას. სამაგიეროდ, ახლა ჩავალ და საქვეყნოდ განვაცხადებ, რომ ეს ჩემი უკანასკნელი მოგზაურობა იყო კოსმოსში.

— განაცხადებთ და მერე?! — ვკითხე და ვიგრძენი, რომ საოცრად მოულოდნელ პასუხს მივიღებდი.

— მერე მოვეკიდები ოჯახს, გავაჩენ შვილებს!

— ახლა? ახლა თქვენ გააჩენთ შვილებს?

— არანაკლებ ლამაზებსა და ჯანმრთელებს, ვიდრე საუკუნენახევრის წინათ, როცა ოცდაათი წლის ახალგაზრდა ვიყავი.

— და ეს... ეს მეც შემეძლება საუკუნენახევრის შემდეგ?

— იმედი მაქვს! — გაიღიმა მან.

— კაპიტანო, — მივმართე მცირე დუმილის შემდეგ, — მაპატიეთ, ამას რომ გიბედავთ, მაგრამ გთხოვთ მითხრათ, გიყვარდათ თქვენი მეუღლე?

კაპიტანმა ორივე ხელი სახეზე აისვა და, როდესაც შეერთებული ხელისგულები შუბლზე გადაცურდა, წარბებქვეშიდან სულ სხვა ადამიანის თვალებმა შემომხედა.

— მიყვარდა, — თქვა მან და მომეჩვენა, რომ ღრმად ამოისუნთქა. — ძალიან მიყვარდა...

— როგორც მითხრეს, ცოცხალი აღარ დაგხვედრიათ თქვენი პირველი გაფრენის შემდეგ.

— არა... ყველაზე მუხანათურად ვუღალატე, — მწარედ ჩაიცინა მან. — თქვენ კარგი ფორმულა აღმოაჩინეთ.

უნებურად გამაჟრჟოლა.

კაპიტანი წამოდგა, კარისკენ გააბიჯა. ვინანე, ჩემმა უადგილო შეკითხვამ რომ ჩაშალა საუბარი.

— ყველაზე მუხანათურად! — გაიმეორა მან, კართან მობრუნდა და ოდნავ მკაცრად მიბრძანა: — მოამზადეთ ინფორმაცია ეკიპაჟის წევრთა ჯანმრთელობის შესახებ. მზის სისტემაში შეჭრისთანავე ელექტრომაგნიტური ქვემეხით გადავცემთ მიწას, თქვენი ტექსტისათვის ერთი იმპულსია გაანგარიშებული.

უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას კაპიტანი თვალს იყო მიფარებული, დერეფანში თანდათან ნელდებოდა მისი ნაბიჯების ხმა.

სიჩუმე ჩამოვარდა, უფრო სწორად, ხმაური აიკრიბა, სადღაც გადაიხვეწა და ნერვებისამშლელი სიყრუე გამეფდა.

უეცრად თვალი მოვკარი კალენდარს და გულში რაღაც ჩამწყდა. რა ცოტა ხანს ივჯდა ჩემთან კაპიტანი, დედამიწაზე კი ნაის დაბადების დღე უკვე დამთავრებულიყო. როგორ მინდოდა აქ, კოსმოსში, იმავე დროს და იმავე წუთებში წარმომედგინა და განმეცადა ნაის მხიარულება, თინათინის დიასახ-

ლისობა, ნაის ამხანაგების სიცილ-კისკისი, ცეკვა თუ სიმღერა, მაგრამ ახლა თინათინსაც, ნაისაც და ნამხიარულებ სტუმრებსაც თავთავიანთ სახლებში სძინავთ ღრმა ძილით.

თვალთან ხელი მოვისვი. ცრემლი წამომსვლოდა. რა იყო ეს, მწუხარების თუ სიხარულის ცრემლი?

ბავშვური აზრი დამებადა: დედამიწაზე დაბრუნებისას ნაცნობ ქიმიკოსებს ვთხოვ, ანალიზი გაუკეთონ საპირისპირო ემოციებით გამოწვეულ ცრემლებს. დარწმუნებული ვარ, სხვადასხვა შემადგენლობა ექნებათ, როგორც სახის ერთსა და იმავე ნაკვთებს შეუძლიათ ღიმილისა და ტირილის გამოხატვაც.

ილუმინატორებში შავი თვალებით იყურება გარედან წყვდიადი. ისეთი განცდაა, თითქოს ვიღაც გითვალთვალებდეს. ალბათ ამიტომ ყალბი გამოგვდის საუბარიც, მოძრაობაც. "ციცარი – 7" დიდი ხანია მიწაზე ზის გარინდული და ახლა მხოლოდ მიწასთან ერთად ინაცვლებს ადგილს კოსმოსში. ყველა მექანიზმი დადუმებულია. ყველა ავტომატი და აპატარი გამორთულია რადიოს გარდა. ველოდებით კოსმოდრომის ბრძანებას. პირველმა და უკანასკნელმა ბრძანებამ, დაჯდომისთანავე მიღებულმა, კაპიტანი ოდნავ გააოცა: გვევალებოდა, არავითარ შემთხვევაში არ გაგვეღო ხომალდის არც ერთი ლიუკი და გვეცადა შემდეგი ბრძანებისთის. უკვე საათზე მეტი გავიდა, დედამიწის საათზე მეტი. ჩვენ კი ვდგავართ და ერთმანეთს შევყურებთ გაოგნებულნი.

რა უნდა მომხდარიყო? წარამარა ვეკითხები საკუთარ თავს, მაგრამ პასუხი ვერ გამიცია, ანდა რას ნიშნავს ეს წყვდიადი? ჩვენ ხომ დღისით დაგვსვეს? მართალია, წვიმიანი ამინდი დაგვხვდა. ჯერ კიდევ ორი დღის წინათ მოვკარით თვალი თეთრი ღრუბლებით შეღებილ პატარა ბურთს, თანდათან რომ იზრდებოდა და გვიახლოვდებოდა. ბოლოს კოღოსავით დავსხედით ამ ბურთზე. ალბათ ახლაც წვიმს გარეთ, მაგრამ რატომ ბნელა? როცა ჩვენი ხომალდი ღრუბლებში ჩაიჭრა, ილუმინატორის მინებს წვიმამ მოაშხეფა. სიხარულისგან გული ამითამაშდა, თითქოს ჩვენი ქალაქის ქუჩაში მივაბიჯებდი და არაფრად ვაგდებდი თავსხმა წვიმას. ერთ წვრილ ნაკადად შეერთებული წვეთები ქვემოდან ზემოთ მიჰყვებოდა ილუმინატორის გარეთა მინას. მაღლა მიწანწკარებდა წყალი. ამას პირველად ვხედავდი ჩემს სიცოცხლეში.

გაიარა კიდევ ნახევარმა საათმა და დერეფანში კაპიტანი გამოვიდა. სადღესასწაულო კოსტუმი ეცვა, ჩიბუხი გაეჩაღებინა და ზედიზედ ქაჩავდა, მაგარი თამბაქოს მკვეთრი სუნი მეოფინა დერეფანს.

გულის აჩქარებულ ცემას ჰგავდა ჩიბუხის ნაკვერჩხლის თანმიმდევრული ჩაქრობა და გაღვივება, ნუთუ კაპიტანიც ღელავდა ამ წუთში?

ჩვენი ბოტანიკოსი, აქამდე რომ ქანდაკებასავით იდგა კიბის დასაწყისში, თითქოს გადმოვარდაო, უეცრად მოწყდა ადგილს და საფეხურები ჩამოირბინა. ბოტანიკოსი ასი წლის წინათ დაბადებულა, მაგრამ ხუთჯერ იმოგზაურა კოსმოსში სინათლესთან მიახლოებული სიჩქარით და მისი დაბერებაც ხუთჯერ დაამუხრუჭა დროის ფარდობითობის ეფექტმა.

– კაპიტანო! - მიმართა ბოტანიკოსმა და ხელები აიქნია, რომ თამბაქოს კვამლი გაეფანტა,– კაპიტანო, ჩვენ ნამდვილად დედამიწაზე დავსხედით?

კაპიტანმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო, ერთბაშად ჩაკვდა ნაკვერჩხლის პულსაცია და ცეცხლი ფერფლით მოიფარა. კაპიტანმა ვესტიბიულის კარი შეაღო და გვანიშნა, შევსულიყავით. ბოლოს თვითონაც შემოვიდა, პირდაპირ ტელევიზორისკენ გაემართა და ჩართო ეკრანი. თვითონ გვერდზე გადგა, როგორც ლექტორი დაფის წინ. და მაშინვე ამ ცისფერ დაფაზე რაღაც მოკაშკაშე და მრუდე სხეული გამოისახა, ეტყობოდა, დიდი იყო, მისი საზღვრები ეკრანზე არ ეტეოდა.

– დედამიწა! – ჩურჩულით თქვა კაპიტანმა.

– დედამიწა?! – წამოიძახა ბოტანიკოსმა და ფეხზე წამოიჭრა, კი მაგრამ, ჩვენ? ჩვენ სადღა ვართ?!

– ხელოვნურ პლანეტაზე!

– კაპიტანო! – თვალი თვალში გავუყარე მე, რადგან მეგონა, ცდებოდა, – ღრუბლები გამოვიარეთ, აწვიმდა ჩვენს ხომალდს!

– ხელოვნურ პლანეტას ხელოვნური ატმოსფერო ჰქონია! – განმარტა "ლექტორმა".

– რამდენი კილომეტრია დედამიწიდან?

– 209 ათასი. მთვარესა და მიწას შორის ვიმყოფებით. ამ ხელოვნური პლანეტის მასა ასჯერ მცირეა მთვარეზე, წონა...

– არ მახსოვს ასეთი ხელოვნური პლანეტა! – მხრები აიჩეჩა ბოტანიკოსმა.

– ჩანს, ჩვენი გამოფრენის შემდეგ აუგიათ! – ირონიულად ჩაიცინა კაპიტანმა.

– კაპიტანო! – ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ პირი მიშრებოდა, – ხომ არ ტყუოდა ჩვენი ხომალდის ავტომატები, ხომ არ მივფრინავდით უფრო სწრაფად და, ხომ არ გავიდა დედამიწაზე გაცილებით მეტი დრო, ვიდრე გვგონია?!

– რა თქმა უნდა, ასე იქნება; თორმეტ წელიწად-

ში როგორ მოასწრებდნენ ისეთი უზარმაზარი თანამგზავრის აგებას, როგორიც თქვენ აგვიწერეთ? — წამოიძახა ბოტანიკოსმა.

კაპიტანი მრისხანე თვლებით შემოგვყურებდა. მას სრული უფლება ჰქონდა შეურაცხყოფილად ჩაეთვალა თავი. ჩვენ თითქოს ეჭვი გვეპარებოდა მის პატიოსნებაში. თითქოს მოჩვენებითი გულახდილობისა და საიდუმლოს განდობის მიუხედავად, მაინც მოგვატყუა, დაეხარბა, და თორმეტით კი არა, ასი და ორასი წლით ჩამოგვაშორა დედამიწას, რომ დაბრუნებისას უფრო შორეულ მომავალში მოხვედრილიყო.

— დახედეთ თქვენს ძველ ფოტოსურათებს და მერე სარკეში ჩაიხედეთ. თუ რაიმე ცვილებას შეამჩნევთ, განვაგრძოთ კამათი.

— კაპიტანო, მაპატიეთ, ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ შეიძლება შეირჩეს ისეთი სიჩქარეები, რომ კოსმოსში წელიწადი გავიდეს, დედამიწაზე კი — საუკუნე!

— თქვენ შეარჩიეთ ასეთი სიჩქარეები?! — დაიქუხა კაპიტანმა და სახეზე ფითრი გადეკრა.

— არა, მე...

— მაშ, თქვენ შეარჩიეთ?! — ახლა მე მომანათა გაანჩხლებული თვალები.

— კაპიტანო!

— სულმდაბლები ხართ, — წამოიყვირა მან და ხელი გაბრაზებით ჩაიქნია, იატაკზე გაიბნა ჩამქრალი ჩიბუხიდან გადმოცვენილი ფერფლი, — მცირე დაბრკოლება, პატარა ამოცანა, ოდნავი გაურკვევლობა და უკვე პანიკა გიღრღნით ტვინსა და ძარღვებს. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ დედამიწამ რაღაც სიურპრიზი დამახვედრა, რაღაც ამოცანა მომცა გადასაწყვეტად. მთელი საათი ვფიქრობდი, სანამ აღმოვაჩენდი, რომ ეს ხელოვნური პლანეტა იყო, უფრო გამიჭირდა მისი ფიზიკური სიდიდეების გაანგარიშება. ახლა თავს ვიტეხ და ვერ ამიხსნია, რა დანიშნულება აქვს ამ ახალ თანამგზავრს, ან რატომ დაგვსვეს მაინცდამაინც აქ. თქვენ კი იმის მაგივრად, რომ ტვინი გაანძრიოთ... — კაპიტანმა აღარ დაამთავრა, ზურგი შეგვაქცია და გაგვშორდა. ის იყო სავარძელში ჩაჯდომას აპირებდა, რომ კედელში ჩამალული რეპროდუქტორიდან გაისმა ჩვენი რადისტის ხმა:

— კაპიტანო, მიკროფონთან გთხოვენ... კაპიტანო მიკროფონთან გთხოვენ!

ყველანი ფეხზე წამოვცვივდით და დერეფანს მივაშურეთ. კაპიტანი დინჯად მიაბიჯებდა და გზადაგზა თავის ჩიბუხს ტენიდა, ჩვენ ვერ ვბედავდით გასწრებას. რადიოკაბინაში შესვლისთანავე, ახალგაზრდა რადისტი წამოხტა და კაპიტანს ადგილი დაუთმო. კაპიტანი არ ჩქარობდა. ჩიბუხს ცეცხლი მოუკიდა, გააჩაღა, გააბოლა და ნელა მიუახლოვდა მიკროფონს.

— "ციცარი-7"-ის კაპიტანი გისმენთ!

— გთხოვთ ხუთი წამით გახსნათ ჰაერსაწმენდი და ისევ დახუროთ! — წარმოთქვა ვიღაც კაცმა საქმიანად.

— გახსენით ჰაერსაწმენდი! — გვიბრძანა კაპიტანმა.

მე და რადისტმა ერთად მივირბინეთ ონკანთან. გაოცებული ვიყავი კაპიტნის ნებისყოფით: როგორ მოითმინა და არ ჰკითხა იმ ვიღაც კაცს, თუ რა მოხდა, რატომ ვიყავით ასე პატიმრებივით დამწყვდეულები. თვითონ უნდოდა მიმხვდარიყო, თვითონ უნდოდა კაპიტანს ამ საიდუმლოს ამოხსნა. ჩვენ შევასრულეთ მისი ბრძანება და ადგილზე დავბრუნდით. კაპიტანს ჩიბუხი შეეტრიალებინა და ხელისგულს ითბობდა ცეცხლზე, თითქოს მკითხაობდა.

— ჩვენი ხომალდის ჰაერის სინჯი აიღეს! — ჩაილაპარაკა მან, დადუმდა, ვეღარ გააგრძელა ფიქრი, — სინჯი აიღეს... გარეთ არ გვიშვებენ... შემოწმებამდე არ გვიშვებენ... ვარაუდობენ, რომ რაღაც ჩამოგვყვა, უცხო ბაქტერიები, ანდა, მათთვის უკვე კარგად ცნობილი ბაქტერიები, მაშინ ჩვენც უნდა შეგვამოწმონ... ჩვენი სხეულის სინჯიც უნდა აიღონ...

— "ციცარი-7", "ციცარი-7"! — მოისმა მოულოდნელად.

— გისმენთ, შეტრიალდა მიკროფონისკენ კაპიტანი.

— ყველაფერი რიგზეა! — თქვა ისევ იმ კაცმა საქმიანად. — ახლა დაავალეთ თქვენს ექიმს.. ხომ გყავთ ექიმი?

— დიახ, — თქვა კაპიტანმა და გადმომხედა, — ცოცხალია! — მიხვდა, რასაც ეკითხებოდნენ: არც ერთი კოსმოსური ხომალდი უექიმოდ არ მიფრინავდა.

— დაავალეთ ექიმს,სისხლი აუღოს ეკიპაჟის ყოველ წევრს, საკუთარ თავსაც. გააკეთოს სისხლის სრული ანალიზი, შემდეგ გაათბოს სისხლი სამოც გრადუსამდე, ვიმეორებ, სამოც გრადუსამდე, და ხელახლა გააკეთოს სრული ანალიზი. შედეგები ჩაიწეროს და გვაცნობოს!

— გასაგებია? — ისეთი საზეიმო ხმით მომმართა კაპიტანმა, თითქოს ძლივს დამაჯერა, რომ ორჯერ ორი ოთხია, წამოდგა და ყველა ცალ-ცალკე შეგვათვალიერა, — ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ახლა არ უნდა ვცდებოდე: დედამიწაზე რაღაც უცხო სენია გავრცელებული. ადვილი შესაძლებელია, რომელიმე

კოსმოსური ხომალდის შემოტანილი იყოს. ჩვენ ჩვენსავე ბუნაგში გვამოწმებენ, არ გვენდობიან... დედამიწაზეც არ დაგვსვეს, როგორც ხედავთ, – კაპიტანმა ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ბოლთის ცემას მოჰყვა, – თუ ამ ახალი თანამგზავრის აგება ამ სენთანაა დაკავშირებული, თუ ამ ხელოვნური პლანეტის დანიშნულება ის არის, რომ დედამიწაზე დაფრენამდე პროფილაქტიკა ჩაუტაროს და უვნებელყოს კოსმოსური ხომალდები და მათი ეკიპაჟები, სენი კატასტროფული მასშტაბებით გავრცელებულა... – კაპიტანმა მხარზე ხელი დამადო, – ნუღარ აყოვნებ, შეუდექი საქმეს! – და დასძინა: – ამას გარდა, ვფიქრობ, რომ...

ლასლასით გავწიე ჩემი კაბინისაკენ. შეშფოთებას შეეპყრო და დაემონებინა ჩემი სხეული, მქუხარე ექოსავით მეორდებოდა ყურებში კაპიტნის სიტყვები: კატასტროფული მასშტაბის სენი დედამიწაზე... საგანგებო ხელოვნური პლანეტა კოსმოსურ ხომალდთა პროფილაქტიკისათვის, სენი დედამიწაზე... ჩემი ნაი, თინათინი...

კაპიტანს კი არავინ ელოდებოდა მიწაზე, იგი გახარებული იყო – რაღაც ამოცანა მისცეს და გადაწყვიტა. ეს იყო მისთვის ყველაზე მთავარი. იგი არ ნაღვლობდა დედამიწის ბედზე, იგი სუფთა, დისტილირებული მეცნიერი იყო. მხოლოდ ახლა მივხვდი ამას, ახლა აღმოვაჩინე!

ანალიზს ნახევარი საათი მოვანდომე. არაფერს საეჭვოს არ მეუბნებოდა სისხლი, მხოლოდ ჩემთვის გასაგებ ენაზე მანიშნებდა, რომ ეკიპაჟის ყოველ წევრს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. კაპიტნის სისხლმა გამოაცა; არაფერი მოხდებოდა ჩემი და კაპიტნის ანალიზის ფურცლებზე გვარები გადამეადგილებინა. ამ ამბავმა კიდევ საამოდ დამახუჭინა თვალები და ის შორეული მომავალი წარმომადგენინა, როდესაც მე, ორი საუკუნის წინანდელი ადამიანი, კვლავ ახალგაზრდა და ლამაზი ვიქნებოდი, ისევ ძველებური სურვილები და მისწრაფებანი და ამ სურვილთა შესრულების უნარი მექნებოდა. ისევ მომხიბლავდა ცხოვრება და ისევ გავაყოლებდი თვალს ლამაზ ქალებს... მაგრამ რა შუაშია სისხლის 60 გრადუსამდე გათბობა?! იდიოტიური ასოციაციით გადაება ერთ ფიქრს მეორე. მართლაც რა შუაშია? სისხლის ასეთი ანალიზი არ ახსოვს მედიცინის ისტორიას. თუ ნამდვილად მომაკვდინებელი ბაქტერიები შემოიჭრა დედამიწაზე, ხომ არ არის ეს ტემპერატურა დაკავშირებული მათ სიცოცხლისუნარიანობასთან? ხომ არ აქტიურდებიან ისინი სამოც გრადუსზე, ან ხომ არ კვდებიან?

ამ აღმოჩენამ ზამბარასავით მაღლა ამახტუნა, აღარც მახსოვს, როგორ წამოვავლე ხელი ქაღალდებს და როგორ გავვარდი გარეთ, რომ ყველაფერი კაპიტნისთვის მეცნობებინა.

– თქვენ ზუსტად მიმხვდარხართ, კაპიტანო, სენი ნამდვილად კატასტროფული იყო! – თქვა ჩვენმა გამცილებელმა, ახალგაზრდა, ქერა ჭაბუკმა, მას დიდი, ცისფერი თვალები და საოცრად ამღერებული ხმა ჰქონდა.

ჩვენ ვისხედით ჩვეულებრივ, სამგზავრო რაკეტაში. იგი დღეში სამ გზას აკეთებდა ხელოვნურ პლანეტასა და დედამიწას შორის. ჩვენ გარდა არავინ მოდიოდა. დამდურებულებივით, ერთმანეთისგან დაშორებულ სავარძლებში ვისხედით და ვდუმდით. კაპიტანი ცარიელ ჩიბუხს აწვალებდა კბილებში. ბოტანიკოსს თვალები გაშტერებოდა, თითქოს გაყინვოდა, ალბათ თავის შვილიშვილებზე ფიქრობდა. უკვე იცოდა, რომ ცოცხლები იყვნენ. ხელოვნურ პლანეტაზე ჩვენი თხოვნით ჩართეს სტატისტიკური მანქანა, ახალ სენთან დაკავშირებულ ყოველგვარ ინფარმაციას რომ ინახავდა. ჩვენი ახლობლები მიცვალებულთა სიაში არ აღმოჩნდნენ. მხოლოდ ახალგაზრდა რადისტს გარდაცვლოდა დედა. იგი ახლა ყველაზე უკან იჯდა. თვალს გვარიდებდა, ალბათ ტიროდა.

– დიახ, საოცრად ზუსტად მიმხვდარხართ, – გაიმეორა ქერა ჭაბუკმა და განაგრძო, – ეს მოხდა შვიდი წლის წინათ. საახალწლო დღესასწაულებისთვის ემზადებოდა მსოფლიო. სენი ევროპის კონტინენტზე დაიწყო და გაუგონარი სისწრაფით გავრცელდა მთელს დედამიწაზე. იხოცებოდნენ ადამიანები, პირდაპირ ქუჩებში ეფინებოდნენ თოვლის ფანტელებივით. ფარხმალდაყრილები იყვნენ გამოჩენილი ექიმები და პროფესორები, წერა-კითხვის უცოდინრებივით ატრიალებდნენ ხელში ავადმყოფთა სისხლის ანალიზებს, თავს იტეხდნენ და ვერ გამოეცნოთ, რა იყო ის ახალი ბაქტერია, ასე თავხეურად რომ დაცურავდა მიკროსკოპის მინის ქვეშ, კლავდა უჯრედს და თვითონ ბატონდებოდა.

მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, როდესაც მსოფლიოს უკვე სამ მილიონამდე ადამიანი გამოაკლდა, ახალგაზრდა ფრანგმა ჟურნალისტმა შემთხვევით ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ სენი, ადამიანის გარდა, არც ერთ ცხოველს არ ერჩოდა. ამას ალბათ ყურაღებას არ მიაქცევდნენ ექიმები, რომ ჟურნალისტს სასხვათაშორისოდ არ მოეხსენიებინა თავისი ბიძა, რომელიც 3400 მეტრის სიმაღლეზე მარტოდმარტო ცხოვრობდა ალპების მეტეოსადგურში და შემცვლელ მეტეოროლოგს გარდაცვლილი დახ-

ვედრია იმავე სენით.

აღმოჩნდა, რომ სენი ჰაერით ვრცელდებოდა. კაცობრიობას თავზარი დასცა ამ ამბავმა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ხდებოდა ჩვენს პლანეტაზე, რა პანიკამ მოიცვა ცივილიზებული, უკანასკნელი ტექნიკით აღჭურვილი სამყარო. როგორ უნდა დამალვოდნენ ჰაერს ადამიანები? მაცოცხლებელ ჰაერს? სწორედ მაშინ აიწყო ის ახალი თანამგზავრი, თქვენ რომ ზედ დაგსვეს და დედამიწა რომ გეგონათ. იქ უნდა გადასახლებულიყო მსოფლიო. იყო პროექტები ოკეანეთა ფსკერზე ჩასახლებისა, მაგრამ ეს უფრო ხანგრძლივ დროს მოითხოვდა...

თანამგზავრი ძალიან სწრაფად, 52 დღეში ააგეს და მხოლოდ მერე დაიწყეს ფიქრი, რა საშუალებით გადაეყვანათ ხალხი, რომ დედამიწის ატმოსფეროს არც ერთი ატომი არ გაჰყოლოდა რაკეტებს... ეს თქვენ უკვე გიამბეს თანამგზავრზე, ყველაფერი იცით, მაგრამ ბევრი წვრილმანი არ გეცოდინებათ, მეც იმიტომ გიყვებით, რომ...

— ყველაფერი ვიცით! — მოისმა კაპიტნის მკვახე ხმა.

— განაგრძეთ, თუ შეიძლება! — ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ უფრო ჯიბრი მალაპარაკებდა, ვიდრე ცნობისმოყვარეობა. წამოვწითლდი, ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი პროტესტი კაპიტნის მიმართ. ამ საქციელმა ერთბაშად ახსნა ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა. ეს პირველი ტალღა იყო დედამიწასთან განშორების სინანულისა, მერე რომ დიდ ღელვად იქცა.

— განაგრძეთ! — მხარი ამიბა ბოტანიკოსმა, — თქვენგან უკვე ბევრი ახალი რამ მოვისმინეთ!

— მოკლედ მოგახსენებთ, — კვლავ აამღერა ხმა ქერა ჭაბუკმა, — მოხუცი მეტეოროლოგის მოკვლა ალპების მთებში...

— მოკვლა?! — სავარძლიდან წამოიწია ბოტანიკოსი.

— დიახ, მეტეოროლოგის მოკვლა ალპების მთებში ბაქტერიების უდიდესი შეცდომა იყო.

— ბაქტერიების შეცდომა?! — ახლა მე წამომცდა უნებურად და ჭაბუკისკენ შევბრუნდი მთელი ტანით.

მან სწრაფად შეგვათვალიერა ოთხივენი, თითქოს უნდოდა ჩვენი განცვიფრების მიზეზი ჩვენსავე სახეებზე ამოეკითხა.

— თქვენ ალბათ ჯერ არაფერი გითხრეს იმ ჰიპოთეზის შესახებ, დღემდე რომ არ არის უარყოფილი, თუმცა არც დადასტურებულია. ამ ჰიპოთეზის მიხედვით, უცხო პლანეტიდან კოსმოსურ ხომალდს გამოყოლილი ბაქტერიები გონიერი არსებები არიან. ბოლო დროს აღმოაჩინეს, რომ მათ კრისტალური ფორმით გამრავლების უნარი აქვთ და ფიქრობენ, რომ ისინი მიკროსკოპულ ელექტრო-საანგარიშო მანქანებს წარმოადგენენ, უფრო სწორად, წარმოადგენდნენ.

კაპიტანმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო და საზეიმო ხმით თქვა:

— ეგ ჰიპოთეზა უკვე დამტკიცებულია!

— რა ბრძანეთ? — ვერ გაიგონა ქერა ყმაწვილმა.

— დამტკიცებულია მეთქი! — კაპიტანი წამოდგა, გოლიათივით დაღუნა თავი, თითქოს კაიუტაში ვერ ეტეოდა, და ჩვენკენ წამოვიდა, ბოტანიკოსის გვერდზე ჩამოჯდა და სამკუთხა მაგიდაზე მინერალური წყლის ბოთლს საცობი წააძრო, — აბა, დააკვირდით: ბეტა-კაულიდან ჩვენს კოსმოსურ ხომალდს სამი წელიწადი უფრენია დედამიწამდე, ბაქტერიებს, ანუ ბეტა-კაულის მკვიდრთ, ფარულად რომ გამოყვნენ ხომალდს, ამ ხნის მანძილზე თავი არ გაუმჟღავნებიათ — ისინი მიხვდნენ, რომ ხომალდის ბატონ-პატრონები გონიერი არსებანი იყვნენ. რა თქმა უნდა, ბეტა-კაულზეც და ხომალდშიც მათ შეეძლოთ ჩვენი კოსმონავტების "დაპყრობა", ანუ დახოცვა, მაგრამ მაშინ ბაქტერიები ვერასოდეს ვერ იხილავდნენ და მიაგნებდნენ დედამიწას, იმიტომ იყვნენ "ჩუმად". მიწაზე მათ სწრაფად აუღეს ალღო ჩვენს საზოგადოებრივ ყოფას. შეამოწმეს და შეაფასეს ადამიანთა კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის დონე და დაასკვნეს, რომ მათი აღმოჩენა და განადგურება ადამიანებს ძალიან გაუჭირდებოდათ: ჩვენი პლანეტის დაპყრობა და მთელი მათი ჯილაგის აქ დასახლება კი მეტად თვალწარმტაც პერსპექტივას უქმნიდა ბეტა-კაულის მობინადრეებს. და მათ ომი დაიწყეს. დააკვირდით, რა ჭკვიანურად და ეშმაკურად იქცეოდნენ; მათ შეეძლოთ მოესპოთ მხოლოდ ფიზიკოსები, ქიმიკოსები, მედიკოსები, ბიოლოგები, ერთი სიტყვით, დედამიწის მეცნიერთა მთელი არმია, და პლანეტა დაპყრობილი ექნებოდათ, რადგან არავინ დარჩებოდა მათი ბუნებისა და არსის მიმკვლევი. მაგრამ შეეშინდათ ამისა, ასე შერჩეული მსხვერპლი ხომ ეჭვს აღუძრავდა ადამიანებს და მიახვედრებდა მათ, რომ გონიერ არსებებთან ჰქონდათ საქმე. მაგრამ ისინი მაინც შეცდნენ, ბაქტერიათა არმიის "პოლკი", რომელმაც ბოლო მოუღო მოხუც მეტეოროლოგს, ალბათ საჯაროდ "დაახვრეტინა" გენერალმა, რადგან "ალპურმა პოლკმა" გასცა სენის გავრცელების ხასიათი.

— მარტო აქ არ შეცდნენ, — სიტყვა ჩაურთო

ქერა ჭაბუკმა, – ისინი არაფერს ერჩოდნენ ფსიქიურად დაავადებულ ადამიანებს, ალკოჰოლიკებს, ნარკომანებს.

– რა თქმა უნდა, ეგეც დიდი შეცდომაა, – დაადასტურა კაპიტანმა, – ელექტრონული ტვინი ვერასოდეს გაუტოლდება ბიოლოგიური ჯურედის შესაძლებლობებს.

– სისულელეა, – თითქოს თავისთვის წაიჩიფჩიფა ბოტანიკოსმა, – არავითარი გონიერი ბაქტერიები არ ყოფილან, დედამიწას ესტუმრა უცნობი სენის გამავრცელებელი მიკრობები და მშრალზე დარჩენილ მეცნიერებს რომ თავი ემართლებინათ, ათასი რამ მოიგონეს. სისულელეა, მტკნარი სისულელე!

– ერთი რამ კი ცხადია, – განაგრძო ჭაბუკმა, – სენი არ გავრცელდა ტროპიკულ სარტყელში. მეცნიერებმა ეს ფაქტი მაშინვე მაღალ ტემპერატურებს დაუკავშირეს. ატყდა კამათი, გაიყო ხმები და მოსაზრებანი, საქმე კი წინ არ მიდიოდა. დედამიწის უზარმაზარი ოჯახიდან ყოველწუთს გადიოდნენ და უკან აღარ ბრუნდებოდნენ მისი მობინადრენი. მაშინ ერთმა კაუნასელმა ახალგაზრდა ექიმმა, რომელიც აფრიკაში მიემგზავრებოდა არქეოლოგიურ ექსპედიციასთან ერთად, ყველასგან მალულად ძალად შეიყარა ახალი სენი და აფრიკაში ჩასვლის შემდეგ, სანამ ცოცხალი იყო, მეცნიერულ-ლაბორატორიულ დაკვირვებებს აწარმოებდა თავის თავზე, ჰაერზე, საკუთარ სისხლსა და სხეულის ცოცხალ ქსოვილებზე. როცა იგი მკვდარი იპოვეს, მიცვალებულს ხელში ეჭირა დაკვირვებებით და ფორმულებით სავსე ლურჯი რვეული. შეიძლება ითქვას, რომ უცნობმა ექიმმა თავისი სიკვდილით გადაარჩინა მსოფლიო სრული განადგურებისაგან.

თავი ჩავღუნე. ვიგრძენი, როგორ შემიწითლდა ლოყები.

– კაუნასელ ექიმს მსოფლიოს "გადამრჩენი" უწოდეს. მას თანმიმდევრობით შეუყრია ძველი, კლასიკური დაავადებანი, რომელთა მიმდინარეობა დიდი ტემპერატურებით ხასიათდება, და დაუდგენია, რომ ბაქტერიები ნახევრად კარგავდნენ აქტიურობას ცელსიუსის 40 გრადუსისას, ხოლო 60 გრადუსზე კვდებდნენ, ალბათ, ამის გამო არ ეტანებოდნენ ტროპიკულ ზონას და დედამიწის ცხელ ქვეყნებს. ფიქრობდნენ, რომ გათბობა არღვევდა მათ ელექტრომაგნიტურ წონასწორობას. ამის შემდეგ მეცნიერებს დარჩათ მხოლოდ ტექნიკურად გადასაწყვეტი ამოცანა; როგორ გაეთბოთ სისხლი 60 გრადუსამდე, რომ ავადმყოფი ადამიანი ცოცხალი დარჩენილიყო. ეს არც ისე ადვილად გადასაწყვეტი ამოცანა იყო, მაგრამ გადაწყვეტა შეიძლებოდა, და სწავლულებმა მიაგნეს საშუალებას. ექიმების ათასობით არმია დაირაზმა მაშინ კაცობრიობის გადასარჩენად.

მე სწრაფად წამოვდექი და კაიუტიდან გავედი. ჩემთვის მოულოდნელი იყო ეს საქციელი, მაგრამ უკვე აღარ შემეძლო მოსმენა.

რაკეტის ორანჟერეა ყვავილთა სურნელებით იყო გაბრუებული. კინაღამ დავიხარე და მოვწყვიტე. რამდენი ხანია, აღარ მინახავს ცოცხალი ვარდი. გადმოვწიე ტოტი და ხარბად დავყნოსე. დაუჯერებლად მეჩვენებოდა ასეთი წითელი და ცვრიანი ვარდი კოსმოსურ სივრცეში, თითქოს უჩინარი და უგრძესი ღეროთი იგი დედამიწიდან ამოზრდილიყო ამ სიმაღლეზე. ეს "ღერო" კი ახლა წამში 12 კილომეტრის სისწრაფით მოკლდებოდა და თანდათან აახლოვებდა ყვავილს მშობლიურ მიწასთან... ნეტავ განახორციელა თუ არა თინათინმა თავისი ჩანაფიქრი? მას უნდა გამოეყვანა მოცეკვავე ყვავილის ჯიში, სინათლის სიმკვეთრის ყოველ ცვალებადობას სხვადასხვაგვარი მოძრაობით რომ გამოეპასუხებოდა, მაგრამ იქნებ სულაც დაანება თავი აგრონომიას, იქნებ თინათინი უკვე დიდი ხანია სხვა საქმიანობას ეწევა.

ორანჟერეის სარკმელს მივადექი.

უეცრად სიხარულისგან სუნთქვა შემეკრა; უკვე აღარ მოჩანდა დედამიწა. ისე ახლოს იყო, რომ აღარ მოჩანდა მისი საზღვრები. სწრაფად გამოვბრუნდი და ვოლიერის კარი შევაღე. მხიარული წკმუტუნით შემეგებნენ ჩემი ძაღლები. მთელი მგზავრობის განმვალობაში მკვდრები იწვნენ თხევად აზოტში და ხელოვნური პლანეტიდან გამოფრენის წინ გავაცოცხლე "ციცარის" ლაბორატორიაში. "ციცარი" იქ დავტოვეთ. იგი დედამიწაზე აღარ დაბრუნდება, ხელოვნური პლანეტიდან გაფრინდება კოსმოსში და იმავე პლანეტაზე დაეშვება დაბრუნებისას.

სააბაზანოში შევედი, სასწრაფოდ ტანთ გავიხადე და ონკანს მივწვდი. ვერცხლისფერი ლითონის ჭერი ორთქლის ოხშივარით დაიფარა და ზემოდან წამოვიდა კოკისპირული, ნელთბილი წვიმა. გავიპარსე, სუფთა პერანგი ჩავიცვი, და სწორედ ამ დროს გაისმა პილოტის ხმა, იგი რადიოთი გვაფრთხილებდა, რომ რაკეტის დამუხრუჭებას იწყებდა და გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად ყველანი საგანგებო კაბინაში შევსულიყავით.

რაკეტა კავკასიონის მეშვიდე კოსმოდრომზე იჯდა. როდესაც მიწას ფეხი შევახე, ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შეიკრა დიდი ხნის გაწყვეტილი, დიდი ხნის ჩაჟანგული ელექტროწრედი

და კაშკაშა ნათურა აინთო. ადგილზე გავშეშდი, ნაბიჯის გადადგმა ვეღარ გავბედე. მეშინოდა ისევ არ გაწყვეტილიყო ეს წრე და არ ჩამქრალიყო ნათურა.

პოლიგონს ოქროსფერი ლითონის დაბალი მესერი ერტყმოდა გარს და იმ მესერს იქით ზღვა ხალხი ირეოდა. კუნძლივით ვიდექით ამ ზღვის შუაში. მესერის კარს ფორმაში გამოწყობილი კოსმოდრომის თანამშრომლები მოადგნენ, კარი გააღეს და ვიღაცეებს ხელით ანიშნეს პოლიგონის შიგნით შემოსულიყვნენ. ხალხს რამდენიმე ადამიანი გამოეყო, ისინი თითქმის სირბილით წამოვიდნენ კარისკენ. კი არ დავინახე, ალბათ, ვიგულისხმე, რომ მათ შორის ორი ქალი უნდა ყოფილიყო, და თვალები დავხუჭე, მეგონა, გული ვერ გაუძლებს მეთქი ჩემი გოგონას და ცოლის დანახვას. შემოვიდნენ, მოახლოვდნენ და, როცა სულ ახლოს მოვლენ, მაშინ გავახელ მეთქი თვალებს. და ვფიქრობდი: არა, არ შემეშლება, არ მომეჩვენება ნაი ახალგაზრდა თინათინად. ნაიც მიცნობს, რადგან არც მე და არც ჩემი ფოტოსურათები არ გამოცვლილან მას შემდეგ.

ქალის ფრხსაცმელების აჩქარებული კაკუნი მომესმა. ეს ნაია, ნაი; ჩემკენ მორბის. თვალები გავახილე; ლოყებაწითლებული, მაღალი გოგონა ჩემ შორიახლო შედგა, თვალები ააცეცა, გაუბედაობამ ფეხები შეუბორკა, შერცხვა, შეტრიალდა და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა ჩვენკენ მომავალი ქალის შესახვედრად.

ეს თინათინი იყო.

არ ვიცი, რამდენ ხანს მყავდა მკერდში ჩაკრული, რამდენ ხანს ვკოცნიდი მის პატარა, კოხტა თავს, ლოყებს, ხელებს; არ მახსოვს, როგორ გაქრა მთელი კოსმოდრომი, როგორ გაქრა ხალხი, როგორ ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე ირგვლივ და მერე როგორ ხელახლა გაჩნდა ისევ ყველაფერი. ხელახლა ამოტივტივდა და ახმაურდა მიდამო.

თინათინი არც ცდილობდა ცრემლის შეშრობას. იგი ალბათ ვერც გრძნობდა, რომ ტიროდა, მაგრამ ამ ტირილის ბრწყინვას მზე თუ გაუტოლდებოდა. ცალი ხელით მკერდზე მყავდა მიკრული, მეორე ხელს თმაზე ვუსვამდი. თითქოს ვცდილობდი მისი ჭაღარის და ჩემი დანაშაულის დაფარვას. თინათინი ახალგაზრდობისას თმას იღებავდა ხოლმე, მაგრამ ახლა განა იმიტომ არ შეიღება, რომ გამომწვევად ეჩვენებინა ჩემი დანაშაული, სააშკარაოზე გამოეფინა ჩემგან მიყენებული ტკივილი, ანდა, უსიტყვოდ გამოეთქვა საყვედური? არა, უჩემოდ მისთვის არავითარ სიკოხტავეს არ ჰქონდა აზრი. ამას მივხვდი და უბედნიერეს ადამიანად ჩავთვალე თავი.

ნაი იქვე იდგა და ცნობისმოყვარეობით მათვალიერებდა. მორცხვად იღიმებოდა, ხანდახან ცალ ქუსლზე შეტრიალდებოდა ხოლმე და ოქროსფერი მესერის გადაღმა შეგროვილ ხალხში ვიღაცას ჩემზე ანიშნებდა მალულად, ალბათ მისი ამხანაგები იყვნენ. ნაი იყო უცხო, ძალიან უცხო და ამავე დროს ყველაზე ნაცნობი ადამიანი, როგორც უცხო და ნაცნობია უძველეს ფოტოსურათზე გამოხატული შორეული წინაპრის გამოხედვა.

— მოდი ჩემთან! — ვუთხარი და ხელები მისკენ გავიწვდინე.

ნაი გამოიქცა და გულში ჩამეკრა. იგი დიდი ხანია ელოდებოდა თავის წილ ალერსს. მე ხელში ავიტაცე ჩემი გოგო, როგორც მაშინ, თორმეტი წლის წინათ, მაგრამ წარმოსახვა არაფრით არ დამემორჩილა, ხელიდან გამისხლტა ოთხი წლის ნაი, და თექვსმეტი წლის ქალიშვილის სიცოცხლითა და სიჯანსაღით სავსე სხეულმა მკლავები მომიდუნა. ნაი ძირს დავსვი.

— ჩამომიტანე წითელი ღრუბელი? — გაიცინა მან და მორცხვობამ კიდევ ერთხელ შეუწითლა ლოყები.

— გახსოვს?!

— არა, დედა მეუბნებოდა...

— ვერ ჩამოგიტანე, სულ გაყიდული იყო! — გავეხუმრე.

— არც ცისფერი? — ამყვა ნაი.

— ცისფერი შენ არ დაგიბარებია, თორემ იყო. რომ მცოდნოდა...

ნაიმ ეშმაკურად გააქან-გამოაქანა თავი, ვითომ ნანობდა, ნეტა ცისფერი დამებარებინაო.

თინათინს ხელი მოვხვიე და კარისკენ გავემართეთ.

— მითხარი ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი, რომ შენი ხმა გავიხსენო!

თინათინმა ქვემოდან ამომხედა და სევდიანად გაიღიმა:

— ლევან, — ხმა აუკანკალდა მას, — ხომ კარგად ხარ?

— კარგად, თინათინ, ყველაფერს გიამბობ, შინ მივიდეთ და ყველაფერს აგიხსნი.

სანამ ნაიმ თავის მანქანაში არ ჩაგვსვა, ხმა აღარ ამოგვიღია, გარს იმდენი ხალხი შემოგვეხვია, რომ მანქანაში ჩამობნელდა. ისმოდა შეძახილები, კინოაპარატების შრიალი.

ჩემი გოგონა თავბრუდამხვევი სისწრაფით მიაქროლებდა ჰაერომობილს. მე და თინათინი იმ ახალგაცნობილ ადამიანებივით ვბაასობდით, რომლებმაც იგრძნეს, რომ ძალიან მალე დაუახლოვდებიან ერთ-

მანეთს, მაგრამ ჯერ კიდევ უცხოები არიან და თავშეკავება მართებთ.

ბაასი შინ გაგრძელდა. ქალაქის მოედანზე ჩატარებული მიტინგის შემდეგ, თითქოს ძალიან დაღლილი უნდა ვყოფილიყავი ამდენი ხელის ჩამორთმევით, მისალმებით, ნაცნობებისა და მეგობრების ხვევნა-კოცნით; შარადებივით დამიდგებოდნენ წინ, გაიღიმებდნენ და მკითხავდნენ: აბა, ვინა ვარო. ვისაც მაშინვე ვიცნობდი, უხაროდათ, არ გამოვცვლილვართო. ვისაც ვერ ვიცნობდი, სწყინდათ, მაგრამ არ იმჩნევდნენ. მერე მოკლე სიტყვაც წარმოვთქვი ტრიბუნიდან. ოთხ-ხუთ კორესპონდენტს ერთბაშად ვაძლებდი პასუხებს სეტყვასავით მოყრილ შეკითხვებზე. თითქოს დაღლილი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ მე, ნაი და თინათინი საღამომდე ვისხედით ჩვენი ბაღის ტალავერში და ვლაპარაკობდით. ყოველ სიტყვას ახალი ცნობა მოჰქონდა, ახალ ცნობას ახალი შეკითხვა, შეკითხვას მოულოდნელი პასუხი. დედამიწაზე, რაც არ უნდა მოშორებული იყო ადამიანებს, რაც არ უნდა უდაბურ კუნძულზე ცხოვრობდე, დარწმუნებით ვერ იტყვი, რომ შენი ამბავი არავინ იცის. კოსმოსი სულ სხვაა.

მე არაფერი მითქვამს ჩემი დაგვიანების მიზეზზე, მიუხედავად დაპირებისა, არაფერი ამიხსნია. არც თინათინს უკითხავს რამე. ალბათ ორივენი ვგრძნობდით, რომ ეს მთელი ჩვენი მომავალი ცხოვრების მუდმივი თემა იქნებოდა, და არ ვჩქარობდით.

ჩვენ მრგვალი მაგიდის გარშემო ვისხედით, ვახშამი ახალი დამთავრებული გვქონდა. თეთრი ფაიფურის დიდი ლანგარი სავსე იყო მსხვილი, წითელი ბლით, ნაიმ დაკრიფა ჩემს საპატივსაცემოდ. ახლა იდჯდა და მიყურებდა, სიამოვნებდა, რომ გემრიელად შევექცეოდი.

თინათინი ძალიან გამოცვლილ-

იყო. არ მინდოდა საკუთარი თავისთვის გამემხილა ეს, ვცდილობდი არ შემემჩნია და ამით შემემსუბუქებინა ჩემი დანაშაული, მაგრამ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ თინათინს აღარ ჰქონდა ის ახალგაზრდული სინედლე სხეულისა, გამქრალიყო ის ბავშვური გამომეტყველება, მე რომ ასე მხიბლავდა ხოლმე. ერთი წლით უმცროსი დავტოვე და ცხრა წლით უფროსი დამხვდა. ამ ელემენტალურ არითმეტიკას თავისი საქმე გაეკეთებინა.

მაგრამ ხანდახან დანისლული თვალების სიღრმიდან ისეთ ძლიერსა და მკვეთრ სინათლეს შემოასხივებდა, როგორიც ადრე არასოდეს შემემჩნია, ერთდროულად იმდენ რამეს ამბობდა მისი მეტყველი სახე, რომ წაკითხვას და აღქმას ვერ ვასწრებდი. იმ წუთებში მეჩვენებოდა, რომ მისი სულის შორეულ წიაღში ცეცხლი გუგუნებდა, და თინათინის თვალებს იმ ცეცხლიდან აცვენილი ნაპერწკლები ანათებდა.

მერე მივხვდი, რომ ეს იყო გონება, ცოცხალი, ცხოვრების რთულ წუთებთან ჭიდილისას გამოწვრთნილი, დიდი ცოდნით დამძიმებული და სწორედ ამის გამო მსუბუქი და მოქნილი. მე წარმოვიდგინე ჩემი ბრიყვული გამომეტყველება, მსუქან ბიჭუნასავით გადატკეცილი უნაოჭო სახე, და უხერხულობა ვიგრძენი.

საღამოს ბინდი წვებოდა ხეხილით მოჩრდილულ ბაღში. მოთენთილსა და მოღლილს, რატომღაც ძალიან მომინდა სასმელი, უეცრად მომენატრა წითელი ქართული ღვინო, გამჭვირვალე და არომატული. თინათინს შინ ერთი წვეთი არ აღმოაჩნდა.

— ხომ არ გალოთდი იქ? — გაიღიმა თინათინმა და ხელი ცისკენ აიშვირა.

— არა, თინა, გემოს გახსენება

მინდა, მხოლოდ გახსენება. ასე მეჩვენება, თუ ყველა მიწიერი წვრილმანი არ გავიხსენე, ველარ ვიაზროვნებ მეთქი.

— ღვინიდან იწყებ? — ისევ გაიღიმა.

— მე შენი ხმიდან დავიწყე, სულ აღარ მახსოვდა შენი ხმა... ამ წუთში დავბრუნდები.

ტანსაცმელი გამოვიცვალე და ქუჩაში გამოვედი. უკვე ბნელოდა. მთელი პროსპექტი ფეხით ჩავიარე. მერე ქუჩა გადავჭერი და მაღაზიაში შევედი. დიდხანს ვარჩიე ღვინო, მაშინვე საჭაშნიკო კოლოფი მომაწოდეს, კოლოფში პაწია, ლამაზი ჭიქები ეწყო, თხუთმეტიოდე სხვადასხვა მარკის წითელი ღვინით სავსე. კარგი დეგუსტატორივით ვწრუპავდი ღვინოს და ერთ ნეტარებაში ვიყავი. ბოლოს სამი ბოთლი გამოვართვი და შინ გავაგზავნინე. როცა ისევ ქუჩაში გამოვედი, ვიგრძენი, რომ ღვინო მომკიდებოდა, სხეული სასიამოვნოდ გაებრუებინა მიწისა და მზის მათრობელა წვენს. და მე ქალაქში ხეტიალი მომინდა, როგორც ძველად, სტუდენტობისას.

ჩემს აქ არყოფნაში ბევრი რამ შემატებოდა ქალაქს. ქუჩის ტრანსპორტი ორიდან სამსართულიან მოძრაობაზე გადასულიყო. პირველი სართული, ანუ უშუალოდ ქუჩა, ბორბლებიან ტრანსპორტს ეკავა. მათ მძღოლებს ქალაქის მხოლოდ ახლო უბნებში შეეძლოთ მისვლა. შორეული გარეუბნებისკენ გეზის ასაღებად საგანგებო ბაქნებზე უნდა აეყვანათ მანქანები და იქიდან ჰაერში აეფრინათ მოძრაობის მეორე სართულის მწკრივში ჩასაყენებლად. ამ მწკრივს, ქუჩის თავზე, სახლებს შორის რომ მიფრინავდა, გაცილებით დიდი სიჩქარე ჰქონდა. მესამე სართულის მოძრაობა საქალაქთაშორისო მარშუტებისთვის დაეწესებინათ, მაგრამ ტრანსპორტის ფრენის სიმაღლე სახლის სახურავებს არ სცილდებოდა, მოძრაობის ყოველ სართულს ღამით თავისი სინათლის ზონა ჰქონდა, დაბლა სართული იისფერ ელექტრომდინარეში მიქროდა, მეორე — ვარდისფერში, მესამე — მწვანეში. როგორც კი ტრანსპორტი სხვა ფერის სინათლეში შეყოფდა "ფეხს", ავტომექანიზმი დაუყოვნებლივ უკან აბრუნებდა.

მთავარი პროსპექტიდან გადავუხვიე და ვიწრო ქუჩით უცნობ მოედანზე გავედი. აქ ძველად უზარმაზარი, მოძრავდახლიანი მაღაზია იყო. მყიდველები იდგნენ და ელექტროღილზე თითის დაჭერისთანავე მათთან ჩნდებოდა საჭირო საქონელი. მაღაზია აუღიათ.

ახლა აქ შადრევნებით ახმაურებული მოედანია, გადაღმა პარკი აუშენებიათ, რაღაც ნაგებობას ამოუყვია თავი პარკის სიღრმიდან.

უეცრად მომხიბვლელმა აზრმა გამიელვა, სიხარულისგან კინაღამ შევყვირე: არ დამეძინა, თეთრად გამეთენებინა ეს ღამე!

დავდიოდი ქალაქის ქუჩებსა და პარკებში, მოედნებსა და პროსპექტებზე, ვებრძოდი სხეულში ჩაბუდებულ დაღლილობას. ქუთუთოებზე ჯალათივით ჩამოკიდებულ რულს. გადიოდა წუთები, საათები, დედამიწას ეძინა, ეძინა ჩემს ქვეყანას, ჩემს ქალაქს, თინათინსა და ნაის, ეძინა ყველას და ყველაფერს. მე კი ფხიზლად ვიყავი! ერთი ღამით, ერთადერთი ღამით, მაგრამ მაინც ვეწეოდი დედამიწას!

დიდხანს ვხეტიალობდი, უცხოდან კიდევ უფრო უცხო ქუჩებში გავდიოდი, ქალაქის ბევრი უბანი პირველად ვნახე ჩემს სიცოცხლეში. ღამე კი თითქოს ერთ ადგილზე იდგა, როგორც ის მუქი გრანიტის ქანდაკება.

განთიადმა სანაპირო ქუჩაზე მომისწრო. ამდენი ხნის შემდეგ ეს ჩემი პირველი დილა იყო დედამიწაზე. მზეს ძველი ნაცნობივით გავუღიმე; ასე იყო თუ ისე, უკანვე გამოვტაცე ერთი ღამე იმ უამრავ დღე-ღამეთაგან, როდესაც მე აქ არ ვცხოვრობდი. იქნებ დანარჩენი დღეების ანაზღაურებაც შეიძლება?

ქალაქი უკვე გაღვიძებული იყო, როდესაც ჩემს სახლს მივადექი და კარი ფრთხილად შევაღე. ლოგინზე გაუხდელად იწვა თინათინი. შევედი თუ არა, სწრაფად ჩამოჯდა საწოლზე.

— სად იყავი?!

— მაპატიე, თინა, გაგაღვიძე...

— მე არ მძინებია.

— არ გძინებია?!

— არა. გელოდებოდი!

ამ დროს მეზობელი ოთახის კარგი გაიღო და ნაიმ გამოჰყო თავი.

— მამა, მოხვედი?

— შენც... შენც არ გეძინა?!

— არა, მამა!

თავი დავხარე. თითქოს სხეულში დაგროვილი ამდენი ხნის დაღლილობა ერთბაშად ქვად იქცა და ველარ მოვერიე მოულოდნელ სიმძიმეს.

ტყუილად გამითევია ღამე, ტყუილად მეგონა, რომ მხოლოდ მე ვფხიზლობდი და ერთი ღამით დავეწეოდი ჩაძინებულ ქვეყანას. ვაითუ ის გაცდენილი დრო, სწორედ ის თორმეტი წელი, მაინც უნდა ვიცხოვრო მიწაზე, რომ თინათინივით ძლიერი გონება და ელვარე თვალები მქონდეს!

თავი მაღლა ავწიე. თინათინი ტელეფონის მაგიდასთან იდგა, ხელში რაღაც ქაღალდის ნაფლეთები ეჭირა და აკოწიწებდა. თვალები ცრემლით ჰქონდა

სავსე.

— რა მოხდა, რა არის ეგ?!

— მე დავხიე... — ასლუკუნდა თინათინი და ცოცხალივით ათრთოლებული ნაფლეთები გამომიწოდა.

სასწრაფოდ მაგიდაზე გავშალე, შევაკოწიწე და მეც ამითრთოლდა ხელები; ფოტოტელეფონით გადმოცემული ბარათი იყო კაპიტნის ხელმოწერით:

"თქვენ მართალს ამბობდით; მე ისევ მივფრინავ — მომავალ ხუთშაბათს ხომალდი გაემბზავრება ბეტა-კაულისკენ, გონიერ ბაქტერიებთან ულტიმატუმის წარსადგენად. ყველა მოსალოდნელი ხიფათი გათვალისწინებულია, დროთა შეფარდება: ოთხი წელი — ოცდახუთ წელიწადთან. რას იტყვით?! თუ გადაწყვეტთ, რომ აუცილებლად მჭირდება მკურნალობის გაგრძელება კოსმოსში, ხვალ დილითვე შემატყობინეთ, ექიმო, და უშიშრად მოგანდობთ ჩემს სნეულ გულს. ბოდიშს ვიხდი თქვენ მშვენიერ მეუღლესთან".

— მე დავხიე! — ჩამესმა თინათინის აკანკალებული ხმა.

— რა გატირებს, ბავშვი ხომ არა ხარ?!

— მე დავხიე.

მაგიდაზე იდგა მაღაზიიდან გამოგზავნილი სამი ბოთლი წითელი ღვინო. ერთ ბოთლს საცობი მომძვრალი ჰქონდა. თინათინს გაკრიალებული, ცარიელი ჭიქა დაედო მის გვერდით.

და მე აღარ ვიცოდი: გავავსებდი ღვინით იმ ჭიქას, თუ ისევ ცარიელს დავტოვებდი.

1967

იბეჭდება მწერლის ქალიშვილის, ბაო ყიფიანის ნებართვით, მცირედი შემოკლებით



ედიშერ ყიფიანი

(21. XI. 1924 – 29. XII. 1972)

ცნობილი ქართველი მწერალი, მეოცე საუკუნის სამოციანი წლების ქართველი მწერლების თაობის წარმომადგენელია. დაიბადა თბილისში, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მწერლობა სტუდენტობის პერიოდიდან დაიწყო და თავის პირველ ნაწარმოებებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალ „პირველ სხივში" აქვეყნებდა. წლების მანძილზე მუშაობდა ჟურნალებში: „დროშა", „მნათობი", „ცისკარი" და სხვ. მისი მოთხრობების პირველი კრებული „მაღალი ჭერი" 1956 წელს დაიბეჭდა, ხოლო „დროთა კავშირი" მისი პირველი და ერთადერთი ფანტასტიკური მოთხრობაა. ედიშერ ყიფიანის შემოქმედებითი პერიოდი სულ 15 წელს მოიცავს და ის ქართველი მკითხველისთვის ცნობილია ნაწარმოებებით: „წითელი ღრუბლები", „ცაში ასროლილი ქუდები", „მეცხრე კარი", „მწვანე ფარდა", „ჰობოი", „ფარდობითობის თეორია" და სხვა. ედიშერ ყიფიანის კინო და მულტიპლიკაციური სცენარების მიხედვით გადაღებულია ფილმები: „ცეროდენა რაინდები", „მეტოქეები", „ჰობოი", „გოგონა და შადრევანი". ედიშერ ყიფიანის ზოგიერთი ნაწარმოები თარგმნილია უცხოურ ენებზე. 2012 წელს ამერიკულმა გამომცემლობამ „ექსლიბრისი" დაბეჭდა მისი მოთხრობების მცირე კრებული „მსჯავრი მთებისა"

არა, და აი, სხვა ვარსკვლავებზე უფრო უცნაურ და საოცარს ამბებს ლაპარაკობენ მეცნიერები. ეხლა იქ ვაპირებ წასვლასა და თუ ეს მოხერხდა - რომ მოხერხდება, ამის ეჭვი არა მაქვს, - მაშინ ბევრ კარგს და საოცარ ამბებს მოგიტან.

კლუბის წევრთა შემოქმედება

ანა ჩიქოვანი

სამსალა

ჩამავალი მზის შუქი წითლად ფერავდა ცაში გამოკიდულ, სხვადასხვა ზომისა და ფორმის დიკლებს (დიკლი - თვითმფრინავის, დირიჟაბლის, აეროსტატისა და სხვა საფრენი აპარატების კრებითი სახელი). მათ გამო, ცა, ჭიის გამოჭმული ფოთოლივით აქაიქ ძლივს მოჩანდა. დიკლები ფორმით ხომალდებს, გემებს, ნახევარსფეროებს ან სახლებს ჰგავდნენ: - კედლებით, ფანჯრებითა და აივნებით. დიკლების ზედაპირზე აკუმულირებული მზის ენერგია საკმარისი იყო ამ აპარატების სამუშაოდ, განათებისთვის თუ სხვა საჭიროებისთვის. ისინი ყველა მიმართულებით ადვილად გადაადგილდებოდნენ; ჰორიზონტალურად თუ ვერტიკალურად მოძრაობისას, მოგუდულ სისინს გამოსცემდნენ, ხოლო სტატიურ მდგომარეობაში - უხმაუროდ ეკიდნენ ცაში. ბინდისმომლოდინე მიწაზე ერთი დიკლიღა დარჩენილიყო და ისიც ტორტმანით ცდილობდა აფრენას.

აი, გაცის დიკლიც მოსწყდა მიწას და ტაატით აიწია ჰაერში. გაცი კი ბალახზე ზის. ის ერთადერთი ადამიანია დედამიწაზე, ვინც მზის ჩასვლის შემდეგ მიწაზე დარჩა. ბავშვობის მერე, მას მერე, რაც

ძველი დრო დამთავრდა, ამაზე ოცნებობდა გაცი; მიწაზე გაშხლართულს ეცქირა ცაზე მოკიაფე ვარსკვლავებისთვის. იცის, რომ განათებული დიკლებით გადაჭედილ ცაზე ვარსკვლავს კი არა, მთვარესაც ვერ დალანდავს; ესეც არ იყოს, ჯოჯოხეთის სამსალა დაბნელებამდე მოუღებს ბოლოს, მაგრამ მაინც აქ, მიწაზე უნდა ყოფნა; უნდა ისევე მოკვდეს, როგორც მისი ერთადერთი სიყვარული - იათა მოკვდა...

- იქნებ გადაიფიქრო, ბაბუ! ჯერ კიდევ მოვასწრებ შენს ამოყვანას! - უკვე აფრენილი დიკლიდან ჩამოსძახა შვილთაშვილმა.

- არა! მშვიდობით იყავით! - გასძახა გაცემ და საკუთარმა ხმამ შეაშინა. თითქოს ახალგაზრდობის მერე პირველად გაიგონა ის და ვერ იცნო; ხმაც სხეულივით ბებერი და უძლური ჰქონია თურმე.

დიკლის აივანზე მისი მონაგარი შეყრილიყო; თვალცრემლიანი, მწუხარე სახეებით დასცქეროდნენ მაღალ ბალახში ჩაკარგულ მოხუცს. დიკლი სისინით შორდებოდა ხმელეთს. ბოლო საყვირის ხმაც გაისმა; ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ მიწაზე დარჩენილი ნებისმიერი ცოცხალი არსება დასაღუპად იყო განწირული.

***

თექვსმეტი წლის იყო გაცი, როცა ძველი დრო დასრულდა. გაზაფხულზე მიწა გაიხსნა და წიაღიდან მომაკვდინებელი სუბსტანცია ამოანთხა; ეს იყო სრულიად უცხო ნივთიერება; ერთი შეხედვით, მოშავო და გამჭვირვალე - ნისლს, მღვრიე წყალს ან კვამლს წააგავდა. მოგვიანებით, მისი მოძრაობისა და ,,ქცევის"გამო დაასკვნეს - ეს "რაღაც", საკმაოდ გონიერი ცოცხალი ორგანიზმი იყო.

მისი გამოკვლევის სხვა შესაძლებლობა არ არსებობდა, ამიტომ მხოლოდ ვიზუალური დაკვირვებით შემოიფარგლნენ და "ვენენუმ ტერრა" შეარქვეს, რაც ლათინურად მიწის შხამს ნიშნავს, მაგრამ ხალხმა უფრო ,,პოეტური" სახელი მოიფიქრა - ,,ჯოჯოხეთის სამსალა". მოგვიანებით სამსალის ,,მოხელთება" ჰერმეტულად ჩამკეტი ხაფანგით მოახერხეს, თუმცა გამთენიისას ის გაქრა და ჭურჭელში მხოლოდ თხევადი ამიაკის, კალიუმის, მაგნიუმისა და სხვა არაორგანული ნივთიერებების ბულიონი დარჩა. ჯოჯოხეთი თავის საიდუმლოს იცავდა.

სამსალა ყველა კონტინენტზე ერთ ღამეს ამოინთხა; ყველაფერი უმნიშვნელო მიწისძვრებით დაიწყო;ჯერ მთელი ხმელეთი გვალვით დამწვარივით დაიბზარა, რამდენიმე დღეში ეს ბზარები თანდათან მაჯის სიმსხო გახდა და შენობების ნგრევაც გამოიწვია. აწიოკებული მოსახლეობა გაშლილ ადგილებს ეშურებოდა; ნგრევის მაშტაბები წარმოუდგენლად დიდი იყო, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა აპოკალიფსური კატასტროფისა.

ერთ ღამეს, როცა თითქოს ყველაფერი ჩაცხრა და დედამიწის გაწამებული ბინადარნი გადარჩენას ზეიმობდნენ, მიწის დახეთქილი გულიდან გველებივით ამოსრიალდნენ ამორფული საცეცები, რომლებიც ჯერ მდინარეებად, შემდეგ კი ზღვად გაერთიანდნენ და სრულიად დაფარეს ხმელეთი. საცეცების შეხებისთანავე ყველაფერი ორგანული იშლებოდა და წამებში აბსორბირდებოდა მტაცებელი სუბსტანციის მიერ. სამსალა მცენარეებს არ ერჩოდა; როცა ხეებს ტალღასავით გადაუვლიდა, ისინი მხოლოდ ნიავს აყოლილებივით ოდნავ არხევდნენ ფოთლებს. ჯოჯოხეთის სამსალას ვერავინ გაექცეოდა: ვერც ქვემძრომი, ვერც ფრინველი; ხეებზე და მაღალ შენობებზე ,,ასვლა" ისევე უპრობლემოდ შეეძლო, როგორც ნებისმიერ საცავში, სადაც წყალი ან ჰაერი შეაღწევდა. ის საჭიროებისამებრ ვერცხლისწყალივით ნაწევრდებოდა და ერთიანდებოდა; ყოველი ცალკეული ნაწილი შეთანხმებულად მოქმედებდა; სამსალას გველივით ყელყელაობაც შეეძლო, ასი მეტრის სიმაღლემდე აფრენილ ჭოტს ჩამოხსნიდა და ,,შესანსლავდა". ერთადერთი, რასაც უფრთხოდა, მზის სინათლე იყო; გამთენიისას, პირველი სხივის გამოჩენამდე, უკან უბრუნდებოდა მიწის წიაღს და დასავლეთისკენ ინაცვლებდა უკუნს ადევნებული. დილით ქვეყნიერება თეთრი, გაპრიალებული ჩონჩხებით მოფენილი დახვდა მზეს; იმ ღამეს ცოტა გადაურჩა... იმ ღამეს დამთავრდა ძველი, კეთილი დროება... გაცის ქალაქის თავზე კი - მხოლოდ ერთი, მსუბუქი აირით გაბერილი საჰაერი ბურთი დაფრინავდა და მის კალათაში გაცი იყო....

***

მოხუცი უცქერის გაბურდულ ბალახში გაცრილ ჩამავალი მზის სხივებს. უკანასკნელი სხივიც მიილია.დიკლებზე ნათურები აანთეს. არაფერი გავდა იმას, რაც შორეული წარსულიდან ახსოვდა და აკვიატებულ სიზმრებში ხედავდა გაცი. აღარ იყო ჭრიჭინების გაბმული სიმღერა, ბაყაყების სატრფიალო გადაძახილი და უამრავი სხვა ხმა - ღამის განუმეორებელ მუსიკად რომ ჟღერდა ოდესღაც. ბალახი - ჩვეულევრივი ჭვავბალახა, რომელზეც მოხუცი გადაწვა, კაცის სიმაღლემდე აწვერილი, ბევრად უხეში და მსხვილი იყო, ვიდრე ბავშვობაში; სურნელი? - სუნების მიმართ მგრძნობელობა დიდი ხანია დაკარგა მოხუცმა და, ალბათ, ასეც სჯობს,

რადგან მეხსიერებაში ისევ ცოცხლობენ მშვენიერი არომატები იმ ძველი დროდან; განა არ იცოდა, რომ ასეც იქნებოდა, განა ელოდა რამეს ნახვას? - ჰო, რატომღაც მეტს ელოდა, მიწიდან მზის ჩასვლის ცქერა ნეტარებად ესახებოდა გაცის.

- ეეეჰ, კიდევ ერთი, უკანასკნელი იმედგაცრუება ჩემს ცხოვრებაში. - ხმამაღლა თქვა მოხუცმა და დამჭკნარ საფეთქელზე კენტი ცრემლი ჩამოუგორდა.

ავისმომასწავებელი ჩქამი დაიძრა მიწის გულიდან, შემდეგ ეს ჩქამი ქარით აწრიალებული ბალახის შრიალს ემსგავსა... მოახლოვდა სიკვდილი... გაცის ეგონა, რომ მისი შიში დიდი ხანის წინ დაამარცხა. აკი თავად ეხვეწებოდა ოჯახის წევრებს - ძირს დამტოვეთ, უკანასკნელად მანახეთო დაღამება მიწაზე. სახვეწად საქმე ავადმყოფობის შემდეგ გაუხდა, ზღვის ხალხთან თევზის საყიდლად მისულს, დიკლის კიბეზე ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა; მას მერე ბებერი ძვლები ვეღარ გაითბო; ისე დაუძლურდა, რომ დახმარების გარეშე გადაადგილებაც უჭირდა, თორემ, ერთ დღესაც მიწაზე ისე დააღამებდა, ვერავინ გაიგებდა, სად იყო...

***

გაცის მამას - ხიტო დიკლიანს - ერთი უცნაური გატაცება ჰქონდა, პროფესიით არქიტექტორი ათასგვარ ძველებურ ნივთსა და მექანიკურ ხელსაწყოს აგროვებდა: უზარმაზარი სახელოსნო სავსე იყო საკერავი, სარეცხი, ხორცის საკეპი, ყავის სახარში და სხვა, თანამედროვეობაში სრულიად გამოუსადეგარი მანქანებით; ქაღალდის წიგნებით; ვიზუალური თუ ხმოვანი ჩანაწერების მწარმოებელი ყუთებით; ადამიანის მიერ მართვადი ავტომობილი და ვინ იცის, კიდევ რა... გაცის დედა ქმრის გატაცებას გაგებით ეკიდებოდა, ოღონდ იმ პირობით, რომ ამ „სიმდიდრეს“ სახლში არ შემოზიდავდნენ.ხიტომ ჯერ კიდევ მიწისძვრებამდე, აეროსტატის - მფრინავი აპარატის გამართვა გადაწყვიტა. ჰოლოგრამული მაკეტი ისეთი პრიმიტიული აგებულების იყო, რომგაცი ვერ იჯერებდა, ეს ტილოს ბუშტიანი კალათა აფრენას თუ შეძლებდა; აპარატს სამი საუკუნის წინანდელი ნახაზების მიხედვით აწყობდნენ. გაცი როგორც ყოველთვის ხალისით ჩაერთო საქმეში; რობოტების გარეშე ფიზიკური შრომა, ოჯახური ჰობი და დიდი სიამოვნება იყო მისთვის. როცა რამეს მარჯვედ გააკეთებდა, მამა აჯაგრულ ქოჩორზე ხელს გაუსვავდა და „მამაილაო“ ეტყოდა. ბიჭისთვის არ იყო ქვეყნად ამაზე სასიამოვნო ქათინაური. მართლაც საოცრად ჰგავდნენ ერთმანეთს მამა-შვილი: ორივე მაღალი, ხმელ-ხმელი, წაბლისფერი, ჯაგარა თმით და ღრმად ჩამჯდარი, ჭროღა თვალებით; ოდნავ კეხიანი, თხელი ცხვირი და ღონიერი ნიკაპი კი დიკლიანთა გვარის სიამაყე იყო. ხელმარჯვეობაც მამისგან გამოჰყვა; აბა, ჰოლოფონებს მიჯაჭვული გაცის თანატოლები, ჭანჭიკსაც ვერ მოუჭერდნენ. დაგეგმილი საცდელი ფრენა მიწისძვრებმა ჩაშალა და ბუშტიანი კალათა უპატრონოდ ეგდო სახელოსნოში. მოგვიანებით, როცა მიწისძვრა შეჩერდა და გადარჩენისადმი მიძღვნილი საყოველთაო ზეიმი გამოცხადდა, მამამ აეროსტატით გასეირნება შესთავაზა გაცის და ისიც დიდი სიამოვნებით დათანხმდა, მითუმეტეს, რომ მამა წინააღმდეგი არ იყო იათასთვის სიურპრიზიც მოეწყოთ. პირიქით შვილის რომანტიკული იდეა სახალისო ეჩვენა.

აეროსტატი ქალაქიდან მოშორებით, ტრიალ მინდორზე გაიტანა ხიტომ. მამა-შვილი ადრიანად შეუდგა მზადებას; ზეიმზე დედა და გაცის ტყუპი დებიც იქნებიან. სია და ზია - დედასავით ქერა, თაფლისფერთვალება გოგონები, ძმაზე თერთმეტი წლით უმცროსნი იყვნენ. ცელქი და ჟღურტულა ბავშვები გაცის აღმერთებდნენ. აეროსტატით გასეირნება მათაც უნდოდათ, მაგრამ მამამ ტყუპები იმ პირობით დააშოშმინა, რომ შემდეგ ჯერზე მათ წაიყვანდა.

მოზეიმე ქალაქის თავზე დილით აპირებდნენ უცნაური ბურთით გადაფრენას, თუმცა, უამრავი გაუთვალისწინებელი წვრილმანი თუ ტექნიკური ხარვეზი აღმოჩნდა გასასწორებელი და აეროსტატის ბურთი ნაშუადღევს ძლივს გაბერეს. გაცი უკმაყოფილოდ ბუზღუნებდა, მას ხომ ზეიმზე იათა ელოდა - მსოფლიოში ყველაზე ლამაზი და სასურველი არსება. ჰოლოფონით წამდაუწუმ უკავშირდებოდა და შეყოვნების მიზეზს უჩვენებდა გოგოს. ეჭვობდა, რომ იათა უფრო საინტერესო სანახაობით ერთობოდა, ვიდრე რაღაც წარღვნამდელი აეროსტატი. ჰოლოფონით კავშირი კიდევ უფრო უმძაფრებდა გაცის გულისსწორთან ყოფნის სურვილს. ხედავდა, რომ მის იათას, თმები კეფაზე აეკრიფა და პაწია, სურნელოვან ყურის ბიბილოებს ჟღალი კულულები აღარ უფარავდა; თეთრ კაბაზე იასამნისფერი მოსასხამი მოეგდო... როგორ უყვარდა ეს მოსასხამი გაცის, ეს მოსასხამი მათი პირველი კოცნის მოწმე იყო... ის გაიფინეს ბალახზე, როცა პირაღმა გაწოლილები ცას შესცქეროდნენ... მაშინ ყველა ვარსკვლავი მათთვის აფრქვევდა ცივ ნათებას და უსაზღვრო კოსმოსიც კი, პატარა იყო გაცის ბედნიერებასთან შედარებით.

გოგონა შარშან, ზაფხულში გაიცნო გაცი, ახალგაზრდა ფანტასტების შეხვედრაზე. მაშინ, იმ თავყრილობაზე, დედამიწის მომავალზე საუბრისას, ყველა შესაძლო საფრთხე ,,განიხილეს“: მეტეორის წვიმა, გლიზაელთა თავდასხმა, ბიორობოტების აჯანყება, გენსაცავების აფეთქება და ათასი სისულელე, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, რომ სიცოცხლეს ამ პლანეტაზე, თავად დედამიწა გაანადგურებდა. იათა და გაცი მანამდე მხოლოდ ინტერსივრცით ურთიერთობდნენ და მეგობრობდნენ კიდეც, მაგრამ პირველივე შეხვედრიდან იათამ უცნაური თამაში წამოიწყო; საოცრად გამჭრიახი გონებისა და უშუალო მანერების გამო, იათა ყველას მოსწონდა. გაცის კი პირველივე დანახვისთანავე შეუყვარდა, რაც ადვილი შესამჩნევი იყო. ჰოდა, იათაც ათასგვარ ხრიკებს იგონებდა; ხან მასხრად იგდებდა, ხან თვალებში შესციცინებდა ბიჭს. მათი ურთიერთობა კატათაგვობანას ჰგავდა, სადაც იათა აშკარად კატა იყო, გაცი კი – განწირული თაგვი. დიდი მოთმინება დასჭირდა გაცის, რომ იათას სიყვარული დაემსახურებინა და არ უნდოდა მისი გაწბილება. უთხრა, ზეიმზე სიურპრიზი გელისო, და ასეც უნდა იყოს...

***

უკვე ბინდი წვებოდა, როცა მინდვრის ყვავილებით სავსე აეროსტატი მიწას მოსწყდა და ქალაქისკენ გაფრინდა. მისი მოძრაობის მიმართულებას ხიტო ხმაურიანი პროპელერის დახმარებით არეგულირებდა. ჩიტის გაფრენის სიმაღლიდან, ყველაფერი გულისამაჩუყებლად ლამაზი იყო. გაცის სიხარულით ცქმუტავდა; ფრენა არახალი იყო მისთვის, საკუთარი მაგნიტომობილი ნაკლებ სიმაღლეზე როდი უქროლია, მაგრამ ეს სულ სხვა იყო, ქარი სახეში სცემდა და ბუნებასთან ერთობის, თავისუფალი ფრენის ცოცხალ შეგრძნებას ქმნიდა.

ქალაქს შებინდებისას მიუახლოვდნენ. მამა-შვილის ჰოლოფონები ერთდროულად ჩაირთო, გაურკვეველი ხმები, გამოსახულებები გამოსცეს, და თავისთავად გაითიშნენ. გაცის და ხიტოს სხვა საზრუნავი ჰქონდათ და ამისთვის დიდი ყურადღება არ მიუქცევიათ.აეროსტატი ქალაქის ცენტრალური პროსპექტის თავზე მოექცა; გაციმ ნანგრევებისგან უკვე გაწმენდილ ქუჩაში იათას ძებნა დაიწყო. ჰოლოფონი არ ირთვებოდა; თვალებად იქცა ბიჭი, ხიტოც გაფაციცებით ზვერავდა პროსპექტს, ცოლშვილიც უნდოდა დაენახა, როცა გაციმ, დათქმულ ადგილზე, ჭიანჭველებივით მოარულ ხალხში იასამნისფერ მოსასხამს მოჰკრა თვალი, გახარებულმა მთელი ხმით ჩამოსძახა:

- იიაااათااა! ეეეეს შეეეენ!

მარტო იათა კი არა, მთელი ქუჩა ააჩერდა ცას პირდაღებული. მამა-შვილიგამალებით ისროდა ძირს უკვე მოღვენთილ მინდვრის ყვავილებს. ხიტო ამ საქმიანობისას იცინოდა და ,,უხ შე მამაილაო“ მალიმალ იმეორებდა. სწორედ ამ დროს, ქვემოდან საშინელმა წივილ-კივილმა პროპელერის ხმა გადაფარა. გაურკვეველი რამ ხდებოდა ქალაქში. ხალხი ისტერიულად კიოდა და ყველა მიმართულებით გარბოდა. ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ზედახორად გადადიოდნენ, ქუჩებში მძიმე ნისლი მოძრაობდა, ყველაფერს ფარავდა და ამ ნისლში ადამიანები წამებში ქრებოდნენ. გაცის იათაც დაეკარგა თვალთახედვიდან. ქალაქში მაგნიტომობილით გადაადგილება ზეიმის დროს აკრძალული იყო, მაგრამ ახლა ერთდოულად უამრავი მაგნიტომობილი ავარდა ცაში. მათ კუდებივით თან ამოჰყვნენ ნისლის საცეცები.

-რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ უფრო მაღლა თუ არ ავალთ, უსათუოდ მაგნიტომობილებს დავეჯახებით! - იყვირა გაცის მამამ. აეროსტატი თვითმართვადი არ იყო და ბუნებრივია, ავარიის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. გაციმ ჰელიუმის ბალონი ააქსუტუნა, თუმცა საჰაერო ბურთი ისედაც გაბერილი გახლდათ.

- მობილების საფრენზე მაღლა ასვლას ვერ შევძლებთ, კალათა ზედმეტად მძიმეა. -იყვირა ხიტომ და რამდენიმე ქვიშის ტომარა, რომელიც აეროსთატის მართვის აუცილებელ ატრიბუტად ეკიდა კალათის გარშემო, დანით დასერა, რათა ქვიშა წვიმასავით გაშლილად დაფრქვეულყო და ზიანი არავისთვის მიეყენებინა. გაცი ცდილობდა ჰოლოფონით დაკავშირებოდა იათას, დედას, მეგობრებს... მამამისიც განუწყვეტლივ აწკაპუნებდა საფეთქელთან მიმაგრებულ ჰოლოფონს, მაგრამ უშედეგოდ.

საჰაერო ბურთი ნელნელა ადიოდა მაღლა. მაგრამ მაგნიტომობილების საფრენს ვერ ასცდა. რამდენიმემ ახლოს ჩაუფრინა აეროსტატს. ერთი უცნაურობაც შეამჩნია გაციმ, მაგნიტომობილებში თავიდან კარგად ხედავდა შეშინებული ადამიანების სახეებს, ახლა ისინიც გაქრნენ და ცარიელი მობილები დაქროდა ჰაერში.

- არა, ამათზე მაღლა ასე ვერ ავალთ, სჯობს გადავხტე, მე უფრო მძიმე ვარ. თუ სიმაღლე მაინც ვერ აკრიფა, შენც გადმოხტი, ჯანდაბას აეროსტატი... თქვა ხიტომ და კალათიდან გადახტა. მისი შეჩერება შვილს არც უფიქრია, მათ ხომ მაშველი

ჟილეტები ეცვათ, რომელიც თასმაზე დაქაჩვით, წამის მეათედში სხეულის გარშემო დამცავ სფეროს ქმნიდა და ნებისმიერ ზედაპირზე დაცემა სრულიად უსაფრთხო იქნებოდა.მისი გადახტომა და ნისლში გაუჩინარება, ერთი იყო. აეროსტატი ზემოთ ავარდა. ძირს აღარაფერი ჩანდა, ბლანტი ნისლის გარდა. გაცი ჰოლოფონით ინტერსივრცეში შესვლას ცდილობდა. არც ამ მცდელობამ გაამართლა. რაღაც ძალამ ელექტრო, რადიო თუ მაგნიტური ტალღები ერთბაშად დაახშო. ქალაქი მალე ჩაწყნარდა, თუმცა ღამის განათება არ ჩაირთო. სრული წკვარამი და სიჩუმე უფრო აუტანელი ეჩვენა გაცის, მაგრამ კალათიდან არ გადმოხტა. კალათის კუთხეში მოიკუნტა და ემოციებით დაღლის ჩაეძინა. გამთენიისას სიცივით აკანკალებულს გამოეღვიძა. ნისლი გაფანტულიყო, ქალაქის ქუჩებში ელექტრომობილები, უამრავი ტანსაცმელი და რაღაც თეთრი საგნები ეყარა. იმ ადგილზე, სადაც გაციმ იათასთვის ყვავილები ჩამოყარა, იასამნისფერი მოსასხამიც დაინახა. გაციმ მზერა დაძაბა, წამიც და... ყველაფერს მიხვდა, მოსასხამიდან იათას თავის ქალა შემოსცქეროდა; იქვე, მიწაზე დაფანტული წითური თმა, ოქროსფრად ბზინავდა, აქ სადღაც დედისა და ტყუპების ძვლებიცაა, ალბათ, მამა, მეგობრები...

***

გაციმ ოთხმოცდათექვსმეტი წელი იცხოვრა; თექვსმეტი წელი მიწაზე ეძინა, ოთხმოცი - ცაში გამოკიდულს... რატომ უნდა ეშინოდეს სიკვდილის? იქნებ იმიტომ, რომ სამოთხეში მოხვედრის იმედი არ აქვს და იმ ჯოჯოხეთის ეშინია, ოდესღაც ცეცხლისა და ეშმაკების საუფლოდ რომ იხატებოდა მის ბავშვურ წარმოსახვაში? - არა, არც ღმერთი სწამს გაცის და არც ეშმაკი; არც სამოთხე და ჯოჯოხეთია საძებარი: ჯოჯოხეთი აქაა, დედამიწაზე; სამოთხე კი იქ დარჩა, წარსულ დროში. იცის, რომ აქ და ახლავე, სამსალა შეისრუტავს მის რბილობს, ძვლებს კი მზეს დაუტოვებს საცქერლად, იცის, რომ მისი კვალი, შვილთა შვილიშვილებში, და შემდეგ მათ მონაგარშიც დარჩება - მისთვის ესეც საკმარისია... მაინც ეშინია, გაუცნობიერებელი, ყოვლისმომცველი, ტკივილამდე აშკარა შიში ყელში ჩაფრენია და სულს უხუთავს....

ღვთისმოსავ ოჯახში აღზრდილი გაცის, ღმერთის არსებობაში ეჭვი მაშინ შეეპარა, როცა აეროსტატის კალათიდან დაინახა, ერთ ღამეში ძვლებად ქცეული ღვთის შვილნი: დიდი თუ პატარა, ცოდვილი თუ უცოდველი, პირუტყვი თუ მეტყველი... ამის დაშვება ღმერთს არ შეეძლო... მაშ, არ არსებულა ღმერთი...თუ არსებობს და ასეთ უსამართლობას უშვებს.... სალანძღავი სიტყვები პირზე მოადგა მაშინ ბიჭს, ვერ კი გაუბედა გინება იმას, ვისი არსებობაც აღარ სჯეროდა.

სიკვდილი გაცის ფეხს შეეხო. მოხუცმა თვალები დახუჭა, მოიკუნტა, ემბრიონის პოზაში გაყუჩებულს, ისღა უკვირდა, რომ ტკივილს არ გრძნობდა, ცხადად აზროვნებდა და შიშიც გაუქრა. წამიც და ფეხებს ვეღარ გრძნობს... თავს ძალა დაატანა და თვალები გაახილა. გაციმ გამჭვირვალე, შავი საფარის ქვეშ, ტანსაცმლიდან თეთრად მომზირალი საკუთარი ძვლები დაინახა. სამსალა უკვე მუცლამდე ამოსულიყო.

ისევ დახუჭა მოხუცმა თვალები. უკანასკნელად რამე ლამაზს უნდა შეხედოს... რა დაუამებს იარად ქცეულ სულს? - დიკლებით ჩახერგილი ცა? - არა! მუტანტი ბალახი?-არა! ... იათა?!.... იათა! - მისი პირველი და უკანასკნელი სიყვარული, ისეთივე ნორჩი და უსაზღვროდ ლამაზი, როგორც ოთხმოცი წლის წინათ! ... იათას იასამნისფერი მოსასხამი აცვია და კეფაზე აკრეფილი ჟღალი კულულები მზეზე შარავანდედივით უბრწყინავს. იათას სუნიც სცემს გაცის, მათრობელა, არაფრის მსგავსი არომატი... ახლა კი მზად არის მოხუცი; დე, წაიყვანოს სიკვდილმა, სადაც უნდა...

***

ბევრი ტანჯვა ნახა გაციმ. მას მერე, რაც კენტად ცაში გამოკიდული დარჩა, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყო. მაშინ ინტუიციამ უკარნახა ზღვისკენ გაფრენილიყო, სადაც სხვა გადარჩენილებც ნახა. კაცობრიობა გადარჩა; გაშლილ ზღვაში გემებზე, წყალქვეშა სუბმარინებზე, ხელოვნურ კუნძულებზე და თვითმფრინავებზე მყოფი ადამიანები თანდათან კომპაქტურ „ზღვის დასახლებებს“ ქმნიდნენ ნაპირიდან მოშორებით. მამისეული აეროსტატი დიდი განძი იყო იმ ხანად. შიშით დაზაფრულ, შემთხვევით გადარჩენილ ადამიანებს, ხმელეთზე ფეხის დადგმის ეშინოდათ. დღისით თუ ღამით წყალს არ შორდებოდნენ. გაცის იმ ავადსახსენებელი ღამის მერე სიკვდილის აღარ ეშინოდა, პირიქით, თითქოს ეძებდა კიდეც მასთან შეხვედრას, ოღონდ უბრძოლველად დანებებას არ აპირებდა. ჰოდა, ზღვის ხალხს (ასე ეძახდნენ გემებზე, და ხელოვნურ კუნძულებზე მცხოვრბთ) მიწაზე დარჩენილ დოვლათზე ხელი მხოლოდ გაცის აეროსტატის წყალობით მიუწვდებოდათ. არაერთხელ სცადეს გაცისთვის აეროსტატი წაერთმიათ, მაგრამ ისევ ინტუიციისა თუ იღბლის

წყალობით, ყოველთვის გამარჯვებული რჩებოდა. ამ გარემოებამ გაცის დიდი პატივისცემა და სახელი მოუტანა. მამის სახელოსნოში ჩხირკედელაობამ ბევრი ისეთი უნარი შესძინა, რაც იმ დროს, რობოტებზე დამოკიდებულ ადამიანებს ნაკლებად ჰქონდათ. ეს უნარებიც კარგად გამოიყენა გაცემ. პირველი, საკუთარის მსგავსი აეროსტატი რამდენიმე მეთევზესთან ერთად ააგო და მოზრდილ ნავზე გაცვალა. მერე იმავე ჯგუფთან ერთად საფრენი კალათების წარმოებას მიჰყო ხელი. თანდათან ხვეწდა და ახალ-ახალი დეტალებით ამდიდრებდა მამისეული აეროსტატის მოდელს. საკუთარი გვარისგან წარმოებული სახელი – დიკლი – მან შეარქვა ამ აპარატებს. ათწლწულების მანძილზე სხვა მრავალმაც შეძლო ახალი საფრენი აპარატის აგება; საწვავზე, ქარისა თუ მზის ენერგიაზე მომუშავე მფრინავი სახლები, მაგრამ სახელი იგივე დარჩა - დიკლი. ერთ ხანს ზღვის ხალხთან ცხოვრობდა, იქ გაიცნო მეუღლე - მასზე ბევრად უფროსი ჯალა, რომელიც არაფრით ჰგავდა იათას. ჯალა უსიტყვო, მშვიდი, ჯანმაგარი და უპრეტენზიო ქალი იყო. ქალ-ვაჟი საერთო ტკივილმა და სიკვდილის მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ გაართიანა. ჯალას ორი შვილი და მეუღლე წაართვა ჯოჯოხეთის სამსალამ. გაცისთან ერთად მიწაზე სიარული მისთვის ჩვეულებრივი რამ იყო. ქალმა შვიდი შვილი აჩუქა. ,,კაცობრიობის წინაშე ვალმოხდილი ვარ, აწი მარტო ჩემი შვილებიც აღადგენენ ადამის მოდგმასო“ - იტყოდა ხოლმე გაცი. თავს ადვილად ირჩენდნენ, ხორბლის, ხილისა და ბოსტნეულის მოსავალი უშრომელადაც ბევრი ჰქონდათ, აკი მჭამელი აღარ დარჩა მიწაზე... სამსალა მცენარეებისთვის სახეირო რამ გამოდგა. მიწა მცენარეებს ეკუთვნოდათ მხოლოდ და ორიოდ წელიწადში, ადამიანის მოღვაწეობის ყველა კვალი ადამიანები ზღვის სანაპიროებს არ შორდებოდნენ, მხოლოდ თავზეხელაღებულები ბედავდნენ ხმელეთის სიღრმისკენ გაფრენას. სამსალა ხომ ღრუბლიან ამინდში, დღისითაც ამოდიოდა მიწიდან. ასე შეიქმნა ,,ცის ხალხის“ ქალაქები. დიკლებზე საავადმყოფოები და სასწავლებლებიც კი ფუნქციონირებდნენ. დღისით მიწაზე დაშვება ცის ხალხს ნაკლებად აშინებდა, გამაფრთხილებელი საყვირი შებინდებისას ან ღრუბლების გამოჩენისას ჟღერდა. გაცემ და ჯალამ ბევრი შეძლეს; ყველა შვილს საკუთარი დიკლი აუშენეს. ოცი წლის წინ გარდაიცვალა ჯალა. მისდამი დიდი პატივისცემა და ერთგულება, სიყვარულში ვერ გადაიზარდა. გაცი ცოლის გარდაცვალების მერე მის სახეს ვეღარ იხსენებდა, სამაგიეროდ არასდროს დავიწყებია იათა.

***

ჯოჯოხეთის სამსალამ თავზე გადაუარა გაცის. ნეტარ ხილვებში ჩაფლულმა მოხუცმა ვერ გაიგო, როდის დამთავრდა ,,სიცოცხლე“, მაგრამ გაიგო, როგორ დაიწყო რაღაც ბევრად მეტი, ვიდრე თუნდაც ათასი სიცოცხლეა ერთად. ის ისევ გაცი იყო, ოღონდ გაციც იყო და იათაც, დიკლის ჭანჭიკთან შეყუჟული პაწაწინა ქინქლიც და მილიონობით წლის წინ მცხოვრები დინოზავრიც; ყველა აქამდე არსებული სიცოცხლე, მათი აზრები, შიშები, იმედები, ვნებები თუ ოცნებები, ახლა გაცის ნაწილია... არა, ისაა ამ უსასრულობის ნაწილი; მისთვის არ არსებობს დრო და სივრცე, არ არსებობს უპასუხო კითხვები... უფრო სწორად, კითხვა აღარ არსებობს, რადგან ყოველივე ნათელი და გასაგებია; გაცია ყოველის დასაბამი და სასრული, სადაც სასრული დასაბამს ნიშნავს და პირიქით... ის ხედავს ყოველივეს, რაც ყოფილა და არის; ზღვის ფსკერზე გატრუნული უხერხემლო არსების შიმშილი, მისი შვილთაშვილის გონებაში დაბუდებული სევდა, შეყვარებული მეძავის ტკბილი კვნესა, ეგვიპტურ პირამიდაში ამოქოლილი ხუროს სასოწარკვეთა, პეპლის მადევარი ლეკვის აღტაცება თუ აცტეკი ქურუმის მიერ მკერდგამობრდღვნილი მონის ტკივილი, ყველაფერი მასშია და ის არის ყველგან, ის არის აბსოლუტი...

***

გაცის მოსახელე შვილთაშვილი დიკლის აივნზე გადმოყუდული დასცქეროდა სასიკვდილო ბურუსს. დიდ ბაბუზე ფიქრობდა, უსაზღვრო სევდას შეებყრო... წამით მოეჩვენა, რომ ქვემოდან რაღაც უხმობდა, ამშვიდებდა და იმედს აძლევდა... ახალგაზრდა გაცის ლოყაზე ცხელი ცრემლი ჩამოუგორდა და ბურუსში დაეშვა...

ილია ბაბუნაშვილი

რომანოზ და ქანეტა

ტფილისის საქალაქო სისკის გამომძიებელ საშიკ გძელიევს მოსვენება დაეკარგა. მესამე დღე სრულდებოდა, რაც მავანს უთვალთვალებდა, მაგრამ ვერას მიმხვდარიყო. უკვე მესამედ ბინდდებოდა, რაც ის კაცი წინ მიდიოდა, გძელიევი კი თან შორსა და თანაც ახლოს, ხილულად და იმავდროულად უხილავად უკან მისდევდა; ხანაც გაუსწრებდა, უცბად რომ შემოტრიალებულიყო, ანდა ქუჩის კუთხეს ამოფარებოდა და წინიდან შეეხედა, თუმცა, რად გინდა. დასტურ, კაცი საეჭვო იყო, ოღონდაც რატომ, ამას გძელიევი ვერა ხვდებოდა.

კაცს მუქი, უცხო ლაბადა ესხა და შლაპა ეხურა. კუშტი ვინმე ჩანდა, წარბშეკრული. თვალებს აცეცებდა, გამვლელსა და გამომვლელს აკვირდებოდა, მაგრამ ეს იმდენად საეჭვო არ იყო, რამდენადაც უცნაური მოწყობილობა, ანაზდად უბიდან რომ ამოაძვრენდა, გამვლელისკენ დამბაჩასავით მიმართავდა და თითს დააჭერდა. აი, ამ დროს, თითქოს, წრიპინიც ისმოდა, ოღონდაც... ეს იყო და ეს. გამვლელი თავის გზას აგრძელებდა, კაცი – თავისას. მოწყობილობა კი პატარა უნდა ყოფილიყო, ხელის გულში დასამალი. მისი შესახედაობა გძელიევმა ვერ გაარჩია.

თვალთვალის პირველსავე დღეს სიშჩიკს ეჭვმა გაჰკრა, ვაითუ ლაბადიანი კაცის დამბაჩა შხამის წვრილ ნაკადს ასხამს და საბრალო გამვლელებს გვიან ჰკლავსო. გადაწყვიტა შეემოწმებინა. მეორე დილას ხელქვეითი ზიგფრიდ გამბურგერი იახლა და როდესაც ლაბადიანმა თავისი ეშმაკის მანქანა დააწრიპინა, დამხმარეს თვალით ანიშნა მიზანში აღმოჩენილ, ვინ იცის მოშხამულ გამვლელს აჰკიდებოდა. ისიც აეკიდა და დევნის მესამე დილას ამბავი მოიტანა, რომ გამვლელმა წინა საღამოს ძმაბიჭებთან ერთად დაშხოშიანად მოულხინა, შემდეგ შინ მიბანცალდა და დილას იაკობას მყრალი სახაშის გავლით ერანოსიანცის საამქროს მიაშურა.

,,კეთილი, მაგრამ, ხომ შეიძლება, გიჟი იყოს და მეტი არაფერი? – გაიფიქრებდა ხანგამოშვებით გძელიევი, – განა, უჩვეულო სამოსელში გამოწყობაც შეშლილებს არ სჩვევიათ? ჰოდა, თუ ასეა, რა ოხრობისთვისა ვცდები მესამე დღეა? ანგლიჩანი ოკულისტის მკვლელობის გამოძიებას მაინც ნუღა მომთხოვენ. ისიც უნდათ, ესეც უნდათ. რას ერჩიან, დადის ეს კაცი თავისთვის, არაფერს აშავებს....“

მაგრამ, ლაბადიანის საქციელსა და წრიპინა იარაღში ნამდვილად იყო რაღაც დასაეჭვებელი.

,,კაცო, იქნებ, ტუჩებით აწრუპუნებს?... თუმცა, არა. ამ ჯეელს თვალის მიდევნება უსათუოდ სჭირია. ოღონდ, ეგ არის, აჯობებდა ყველაფერი დასაბამიდანვე გამბურგერისთვის ებრძანებინათ. ახალგაზრდაა და ცქვიტი“.

ბინდმა იმატა. დაუღალავი ლაბადიანი და დაღლილი გძელიევი ტფილისის ქუჩებში ბოდიალს განაგრძობდნენ. სიშჩიკს მობეზრდა. თან, დილიდან უკვე ორჯერ ჩაუარა თავის სახლს. ეჰ, ნეტავ დუშკამ სადილად რა მოუმზადა? ჰოდა, სწორედ სადილზე ფიქრობდა, სკუდიერის ხიდზე რომ შედგნენ. ხიდზე ურემი მიიზლაზნებოდა. გადაღმიდან ქალ-ვაჟი მოკისკისებდა.

– რომანოზ, ჩემმა მზემ, უკვე დროა, შინ დავბრუნდეთ. დედილო გამიჯავრდება, – ქალმა სატრფოს მოციმციმე თვალები შეანათა.

– გემუდარები, ჟანეტ, ცოტაც ვიყოთ. გოლოვინსკზე ავიდეთ და ქაშუეთში ღმერთს სიკეთე შევთხოვოთ. შენთან საღამოს ტარებას არაფერი მიჯობს. განა დედილო ბოლთის ცემას გიშლის?

– რას ამბობ, უკვე გვიანია. ასეთ ჟამს ყველა რიგიანი ქალწული შინისკენ უნდა მიიჩქაროდეს. განა არ გინდა, შაფათსაც რომ გამომიშვას?

– ვახ, ღმერთო! რა სწრაფად გადის დრო. აგერ, ღღევანდელი პაემანიც ილევა და გულს მიკლამს.

ქალი შეკუნტრუშდა, ასკინკილაობით გაირბინა ათიოდ ნაბიჯი. უზომოდ ბედნიერი სჩანდა.

სატრფოთა ჟღურტული სკუდიერის ხიდის გადმოღმა კარგად როდი ისმოდა, მაგრამ ბედნიერების ამოცნობას დიდი ჭკუა-გონებაც რომ არ სჭირდება?... გძელიევს ჩაეღიმა და წამიერად დაღლაც გადაავიწყდა, ოღონდ ვინ აცადა – მოულოდნელმა ხმამ გამოარკვია. ანაზდად იფიქრა სადმე მტკვართან ონავარმა ბიჭებმა ძაღლს კოჭში ქვა თუ მიაყოლეს და ააწკმუტუნესო, მაგრამ, არა, ეს ძაღლის წკმუტუნი არ იყო. უცხო ხმა უცხო კაცის ლაბადიდან მოდიოდა. ეს მისი დამბაჩა ჰკიოდა, განგაშსა სცემდა. არიქა, არიქაო, გაიძახოდა ეშმაკის მანქანა და თავად უცნობსაც ანგელოზები დაჰფეთებოდნენ, ცქმუტავდა – ცოტა იქით მიდგა, ცოტაც აქეთ და ხიდი გადაკვეთა; ქალვაჟს კვალში ჩაუდგა. არც გამოცდილი სიშჩიკი დაბნეულა, სხარტი ნაბიჯით ურემს ამოეფარა და მერე ისიც გადაღმა აღმოჩნდა.

ლაბადიანმა გძელიევი ვერ შეამჩნია, წყვილის დევნა-თვალთვალით ბრძანდებოდა მეტისმეტად გართული; შიგადაშიგ დამბაჩას აწრიპინებდა. თითქოს, გაოგნებაც ეტყობოდა. გულის სწორებს კი მდევარიცა და მდევრის მდევარიც ჩირად არ უღირდათ, ტრფობით ამჩატებულებმა სალდათის ბაზრისკენ შეუხვიეს.

ყველის ფარდულთან, ერთიციდა მოედანზე აღარავინ იდგა. რაკიღა ბინდდებოდა, ვაჭრობაც დამთავრებულიყო. მოშორებით, ბოხოხ-ფაფახებით მოვაჭრე ედიშერა კანკავაღა ალაგებდა თავის დახლს. რატომღაც შემორჩენილიყო. ქალ-ვაჟი შედგა. უსიტყვოდ, თვალებში შესიციინებდნენ ერთმანეთს. დუმილი რომანოზმა დაარღვია.

– ჟანეტ, თვალის ჩინო, ვერა გტოვებ. მიმძიმს.

– მეცა, – ქალს სახეზე ალმური მოედო.

– შაფათამდე როგორღა გავძლო...

ჟანეტმა თავი დახარა.

ედიშერა კანკავა წავიდა, აქეთ არც გამოუხედია. წელკავიანი კაცის ნაბიჯი ჰქონდა, თავისი დარდი და ტკივილი სჭამდა.

– ჟანეტ, ჟანეტ... ნეტავ, როდის შევერთდებით.

– ანჩისხატი ინებებს, მალე... – ქალი ჩურჩულებდა.

რომანოზმა მისი ლამაზი თითები ხელებში მოიქცია.

– ჟანეტ...

– რომანოზ...

– ახლავე შეწყვიტეთ! – გაისმა, უეცრად, ისეთი მჭახე ხმა, რომ ცაცხვს ამოფარებული გძელიევი შეხტა. ქალ-ვაჟი დაფრთხა. დაშორიშორდნენ. ორ ნაბიჯში გამეხებული ლაბადიანი იდგა, დამბაჩის მსგავსი ნივთი ზე-აღემართა და აკივლებდა.

– რა გნებავთ? ვინა ბრძანდებით? – შესძახა უცნობის თავხედობით სახტად დარჩენილმა რომანოზმა.

– გალაქტიკონთა გაერთიანებული საბჭოს ვარსკვლავთშორისი ჟანდარმერიის მესამე საფეხურის დეტექტივი ანტიმურ მკაცრი! – სალდათივით მოახსენა გაჯგიმულმა ლაბადიანმა და მკივანა დამბაჩა უბეში დამალა.

– და.... რისი თქმა გინდათ? – ჩაერია ჟანეტ, თუმცა გარინდულმა გძელიევმა იგრძნო, რომ ყმაწვილი ქალი კანკალებდა. ტფილისის საქალაქო სისკის გამომძიებელს არც ასეთი სასოწარკვეთილი ხმა მოესმინა ოდესმე.

– ორივენი კარგად ხვდებით! – გაისმა შეუვალი პასუხი.

– ჟანეტ! ჩემო სიყვარულო! როგორ, არც შენ ხარ ადამიანი?...

– არც შენ, რომანოზ?...

– ალბათ, ხვდებით, რომ იძულებული ვარ საგანგებო პატრული გამოვიძახო. – თქვა ლაბადიანმა და უბიდან ისევ რაღაც ოხრობა ამოაძვრინა, ოღონდ, ამჯერად, არავის დაუმიზნა, პირთან მიიტანა და შიგ ჩასძახა:

– პატრული 227. გთხოვთ 132 13 567 21. ყველაფერი მესამე კატეგორიით!

ყველის ფარდულის თავზე ზეცა თვალის დახამხამებაში განათდა და ზემოდან გამჭვირვალე კასრმა დაიწყო დაშვება.

– ო, სამყაროვ! ვინ იფიქრებდა... და ვინ იცის, რა ბედნიერები ვიქნებოდით! – შესძახა რომანოზმა.

– გალაქტიკონთა გაერთიანებული საბჭოს კონსტიტუციის მეშვიდე მარტივი მუხლის თანახმად, ცივილიზაციათაშორისი შეჯვარება და ექსპერიმენტული შთამომავლობის წარმოება აკრძალულია! – მკაცრად წარმოსთქვა ლაბადიანმა.

რომანოზი და ჟანეტა სინათლის გამჭვირვალე კასრმა ჩაყლაპა. ცაცხვს ამოფარებულმა სიშჩიკმა გძელიევმა რამდენიმე წამითღა მოჰკრა თვალი, როგორ ცდილობნენ კასრს შიგნით მომწყვდეული გველთევზა და კვერცხისებრთავიანი ოთხფეხა სულდგმული ერთმანეთთან ჩახუტებას. შემდეგ კი ყველაფერი კაშკაშა სიბნელემ ჩაყლაპა. დარჩა მარტო სალდათის ბაზარი და მტკვრისკენ მიმავალი ლაბადიანი კაცის ლანდი.

გძელიევი ხესთან ჩაიკეცა, სახე ხელებში ჩამალა.

– ვაჰმე, რაპორტში რა ოხრობის დაწერას მიბრძანებ? – შეეკითხა იარმუკის მიწას.

რეზო ჩარკვიანი

ულტიმატუმი

პირდაპირი, ცოცხალი და ლაივი არ წყდება არცერთ არხზე. სრულმასშტაბიანი შემოჭრა. შემოჭრა ციდან.

უცნაური მფრინავი აპარატები.

ჩემს პატარა ოთახში ტელევიზორს მივშტერებივარ და თვალს ვერ ვწყვეტ ეკრანს. ინფორმაცია უწყვეტად მოედინება მთელი მსოფლიოდან. განუწყვეტელი ჩართვები ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებიდან. ექსპერტები და მსოფლიო ხელისუფალნი არ ჩანან. გასაკვირია, მაგრამ პანიკა არ არის. უფრო, სრული გაუგებრობა სუფევს. მგონი ჯერ არ აღგვიქვამს, რასთან გვაქვს საქმე. პირადად არც მე. ხომალდებს კი მთელი საჰაერო სივრცე აქვთ დაკავებული, მაგრამ ჯერ არაფერი მოუმოქმედებიათ, თითქოს პოზიციები გაამაგრეს მთელი პლანეტის გარშემო.

ცა, მთელი მსოფლიოს ცა, გადაჭედილია. ყველა კონტინეტზე, ყველა ქვეყნის თავზე, ყველა ქალაქის თავზე, ყველა სოფლისა და დასახლების თავზე საჰაერო ხომალდები ტივტივებენ.

თავი სიზმარში მგონია, გონება უარს ამბობს ფაქტი რეალობად მიიღოს. ფილმის სიუჟეტს უფრო წააგავს, მაგრამ რეალობაა. მგონი.

შიშის ფაზა ჯერ არ დამდგარა, უცნაურია, შემოჭრის მასშტაბი უფრო გაოგნებას და განცვიფრებას იწვევს (ჯერჯერობით) ვიდრე რაიმე სხვას.

მაინც არ მჯერა, ან როგორ დავიჯერო, რა სისულელეა...

იმედია მესიზმრება. ძალიან მინდა, რომ მესიზმრებოდეს!.. ან ფილმს უჩვენებდნენ მსოფლიოს ყველა არხზე ერთი და იგივეს. გვეხუმრებოდნენ.

მგონი არავინ ხუმრობს. ეკრანზე, ამ მოვლენისგან სრულიად ნირწამხდარი წამყვანების ფიზიონომიები ერთმანეთს ცვლის. ქუჩიდან გადმოცემულ რეპორტაჟებში კი გაოგნებულ ხალხს მანქანები შუა გზაზევე გაუჩერებია, გადმოსულან და გაშეშებულები ცას მიშტერებიან.

მე კი სრულიად გააზრებულად არ მსურს ფანჯარასთან მისვლა და გახედვა. ისევ ტელევიზორის შუამდგომლობით მირჩევნია. დაცულობის გრძნობა ესე უფრო მეტად მაქვს...

...?!...

რამდენი საათი გავიდა?

კონტაქტზე არ გამოდიან, თუმცა საჰაერო სივრცე სრულიად დაკავებულია, მთელი პლანეტის თავზე და

გარშემო. საინტერესო იქნებოდა მთვარიდან გადმოხედვა.

მართალია არც მომხვდურები და არც დამხვდურები ჯერ-ჯერობით არაფერს ამბობენ ან აკეთებენ, მაგრამ როგორც ჩანს და როგორც იქნა, უცხოპლანეტური ცივილიზაცია მობრძანდა ჩვენს გასანადგურებლად. ასეთი, ყოვლისმომცველი საჰაერო ალყა, არა მგონია, მათი კულტურული ღონისძიების ფარგლებში ხორციელდებოდეს. აგვიხდა ჰოლივუდის წინასწარმეტყველებანი. ოღონდ გაუგებარია, ტელევიზორში რატომ არაფერს ამბობენ კონკრეტულს, ოფიციალური განცხადება რატომ არავის გაუკეთებია, არც გაეროს, არც ევროკავშირს, არც რუსეთს, ამერიკასაც კი. იქნებ კარგის ნიშანია? როგორ ერთი, ნეტა?!

მოკლედ, მგონი სავარაუდო შეტაკების, ალბათ, მართებული იქნება ვთქვა - ომის, - პირველი ფაზა, ჰაერში გაბატონება, უბრძოლველად წაგებული გვაქვს მსოფლიოს. და იმედია, ჩვენები უკვე შემდეგ ფაზებზე ფიქრობენ. რაიმენაირად კოორდინაცია უნდა მოახერხონ. ჰო, გეოპოლიტიკური თამაშების დრო აშკარად აღარაა. რას მოვესწარი! ალილუია!

როგორც ჩანს, ორი ფაზაა დარჩენილი, საჰაერო შეტევის მიწიდან მოგერიება და სახმელეთო შეტაკებისას უპირატესობის მოპოვება, თუმცა საჰაერო საფრთხის განეიტრალების გარეშე სამყაროთა ომი ფაქტიურად წაგებულია...

მოიცა მოიცა, ოე, რეებს ვფიქრობ, რა ხდება საერთოდ... ეს რა მართლა ხდება? ამ არხზეც? ამ არხზეც, ამ არხზეც, ამ ააარხზეეეც!...

ღმერთო, შენ გვიშველე!

კარგ დროს გამახსენდი...

...არადა, როგორ მიყვარდა ბავშვობაში ფანტასტიკა. როგორ მიყვარდა უელსის ,,სამყაროთა ომი'', ,,დროის მანქანა'' და ბრედბერის თხზულებები. ოღონდ სადმე რამე ამომეჩხრიკა და წამეკითხა...

უუხ, მოგიტ... ფანტასტიკა!

ფილმებიც, მაგრამ ფილმები მაინც სხვაა. ერთადერთი ,,ფორესტ გამპზე'' გამიგია, ეკრანიზაცია სჯობს წიგნსო, ეგაა და ეგ. რა მნიშვნელობა აქვს ახლა წიგნის და ფილმის შედარებას, რა შუაშია?!

ეეჰ, აშკარად ნერვული, თუ ნერვიული, თუ რაღაც ჯანდაბა ფაზა მეწყება, გონებაში აზრებს ვეჭიდები, ვცდილობ ყოველ შემთხვევაში, დავსდევ და დავხტივარ ერთიდან მეორეზე.

ახლა, უცებ შემეშინდა ჭკუიდან არ შევიშალო. ეს ადრეც მიფიქრია, უამათოდაც.

... მაინც ვბედავ გარეთ გახედვას. ფანჯრიდან მზით ალაგ-ალაგ განათებულ ხის ტოტებზე მწვანე ფოთლებს ვხედავ და ცოტა ვმშვიდდები.

სითბოს ვგრძნობ. ეიფორია მეწყება, ესე იგი. არაუშავს, ისევ ეს ჯობია გაგიჟებას.

ისე ლამაზი კი არის, მზის სხივები წვრილ-წვრილ სვეტებად როგორ გამოძვრნენ ცაზე გადაფარებულ ხომალდებს შორის და ადგილ-ადგილ ათბობენ შემკრთალ დედამიწას.

ფანჯარასთან ატუზული თვალს ვერ ვაშორებ ხან ცას და ხან მიწას.

ექსპერტების პირველი კომენტარები მესმის. კვლავ ტელევიზორთან ვბრუნდები. ყველა პირველ ნაბიჯს ელოდება. დალაგებულს ვერავინ ამბობს რამეს. ყველა აღიარებს, რომ თუ საომრად არიან მოსული, ჩვენი საქმე წასულია. მთელი პლანეტის უკლებლივ ყველა დასახლებული პუნქტის თავზე ხომალდები კიდია, მეტიც, ლამის ყოველი სახლის თავზე...

რა თქმა უნდა, იმედი რჩება პარტიზანული ბრძოლების და ცალკეულ რეგიონებში გამაგრების, განსაკუთებით დაუსახლებელ ჯუნგლებში, ტყეებში და წყლის ქვეშ. მოიცა რა წყლის ქვეშ?!... კაი ხო...

ომი რაიმენაირად უნდა გავწელოთ, უნდა ვიბრძოლოთ სადამდეც შევძლებთ. უცებ, ერთ დღეში, სამარცხვინო ბლიცკრიგით რომ არ დასრულდეს კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაცია.

როგორ არაფრისმთქმელად ჟღერს ამ მომენტში ეს ოდესღაც, რაღა ოდესღაც, აგერ თუნდაც სულ რაღაც გუშინ, ასეთი ამაღლებული და სიამაყით გაბღენძილი ფრაზა. ფრაზა კი არა, თვით მონუმენტი - ადამიანის მიერ, ბუნების გვირგვინის, მრავალ ათასწლეულ რუდუნებით ნაგები ცივილიზაცია...

მე მგონი, დაგვენძრა!... არა, აშკარად დაგვენძრა! არა, უბრალოდ, მარტივად, სათნოდ და სათუთად დაგვენძრა!...

მაგრამ იქნებ მაინც, რაღაცნაირად, რაიმენაირად (მგონი ისტერიკა მაქვს) გავწელოთ დრო, ვიომოთ, ყოველი მოგებული ან მოგერიებული ბრძოლით კიდევ რამოდენიმე დღე ვიჩუქოთ და ასე ვიცხოვროთ ყოველ ჯერზე რამოდენიმე დღით, მერე ისევ და მერე ისევ...

...

ნეტა რას ელოდებიან ისინი ან ჩვენ. ეს მოლოდინი და გაურკვევლობა ყველაზე მეტად მთრგუნავდა ადრეც, ყოველთვის. ეკრანზე კი სულ ერთი და იგივე, ერთი და იგივე...

...

გონებაში რა ხდება, უკვე თვალსაც ვეღარ ვადევნებ, აზრები დამფრთხალი ვირთხებივით დაქრიან ყველა მიმართულებით, ერთმანეთს ეხეთქებიან, კბილს წაკრავენ და თავის ქალას შიდა ზედაპირს ასკდებიან. სრული ქაოსი. და ამ ქაოსში ფიქრის ერთ ნაკადს ვაცალკევებ

და მის კალაპოტში ვცდილობ შემაგრებას... ხოო, რეებს ვბოდავ... ტვინმაც აურია, გაურკვევლობას ვერ უძლებს, ხელმოსაჭიდი ვერ უპოვია, თორე რამეს მომიფიქრებდა...

მაინც რაღაცას ვაზროვნებ. ეიფორიის შემდგომი ფაზა მაქვს. ჯანდაბა. ჯანდაბა კი არა ამისდედაცმოვტ...!

სრული დებილივით ტელევიზორს ვარ მიშტერებული...

...

კვლავ ჩემს პატარა ოთახში (გარეთ რა გამიყვანს!), აწ უკვე ფანჯარასთან ვარ თურმე გაშეშებული, გარეთ ვიყურები, სკამი მომიჩოჩებია და ზედ ვზივარ. არც შემიმჩნევია როდის და როგორ, ან რამდენი ხანია.

უბრალოდ გამაგებინა, ვინ არიან? რას გვანან, საიდან არიან და რა უნდათ, რაც მთავარია.

...

რა ხდება, არის რაიმე სიახლე, რას ვაპირებთ, რას აპირებენ?

არცერთი მხარე არ ინძრევა.

ალბათ, ჩვენი სახმელეთო და საარტილერიო ძალები მზადყოფნაშია ყველა კონტინენტზე. იმედია.

...

ამ წამს გადმოსცემენ, რომ შედგა პირველი კონტაქტი მათთან (უფრო სწორად, მათი — ჩვენთან). ინფორმაციის ნაკადს აგზავნიანო!.. სად, რანაირად? რა ნაკადს?...

მალე გაკეთდება ოფიციალური განცხადებაო...

...რაა?!...

...ეს როგორ?!...

ჩვენი შთამომავლები, მსოფლიო მოსახლეობა შვიდი თაობის შემდეგ, უკლებლივ ყველა, აქ არიან, ცაში, ყველა თავისი წინაპრის სახლის თავზე. ხომალდებში შვიდი თაობის შემდგომი მსოფლიო მოსახლეობაა.

ინფორმაციის ნაკადით ულტიმატუმი გამოუგზავნიათ...

— სრული და ყოვლისმომცველი კაპიტულაცია!

...?!...

...დღევანდელი კაცობრიობის პასუხს ელიან...

ორი შოკი ერთი დღის განმავლობაში... შოკი?! ამას შოკი ჰქვია ნეტა?!...

...უცხოპლანეტელები, შთამომავლები, უცხოპლანეტელები, შთამომავლები, უცხოპლანეტელები შთამომავლები, უცხოპლანეტელებიშთამომავლები... ღმერთო...

მთელი დედამიწის მოსახლეობის ერთიანი ამოგმინვა უცნაურად მომესმა(?). თითქოს ერთიანად მტვრის ბუღი ავარდა ზედაპირიდან ცისკენ(?!). რა უცნაური გრძნობაა, ამაში გაერთიანდა მთელი კაცობრიობა, ამ ერთ, ერთიან, ერთდროულ გმინვაში. ერთიანობა შეგვძლებია მსოფლიოს (სარკაზმის დრო არ არის, ალბათ. ან რიღას დროა რო).

გარეგნულად სრული უძრაობაა. ცა და მიწა გაშეშებულია. ტელევიზორის ეკრანს ვუყურებ, პირდაპირი ჩართვაა პარალელურად რამოდენიმე დედაქალაქიდან. ქუჩები ყველგან სრულიად ცარიელია. მოძრაობას საერთოდ ვერ ვამჩნევ. ერთი დიდი გაურკვეველი მოლოდინის ღრუბელი გადაეკრა მთელს პლანეტას.

ჯერ უცხოპლანეტელების შემოჭრა გადავიტანეთ, რამდენიმე საათის შემდეგ შვიდი თაობის შემდგომი შთამომავლების ულტიმატუმს ვისმენთ... დედამიწას ბოლი ასდის, პროცესორი გადაგვიხურდა... სამაგიეროდ, სრული სიჩუმე ჩამოდგა.

შეჩერდა ეს გადარეული მსოფლიო, მილიარდობით ჭიანჭველასავით მოუსვენარი, მუდმივად მოძრაობაში მყოფი კაცობრიობა. პაუზა გააკეთა. ნეტა რას ვგრძნობთ, როდესაც როგორც იქნა შევჩერდით და ამოვისუნთქეთ, მართალია, ცუდი მიზეზი გვაქვს ამისთვის.

ნეტა ადრე დაგვეწესებინა ერთი, საერთო მსოფლიო დასვენების დღე, - შეჩერების, ამოსუნთქვის, მხოლოდ ფეხით და ისიც ნელა სიარულის, წყნარად ლაპარაკის და მშვიდი ფიქრის... ეჰ. ის რაღაც ეიფორიული ბრძოლის ჟინიც გამიქრა, რაც უცხოპლანეტელებთან სავარაუდო ომს უკავშირდებოდა. სრული დაბნეულობა და გაოგნება სუფევს.

შვიდი თაობის შემდგომი კაცობრიობა დაგვადგა თავზე?!...

ეკრანზე წამყვანებიც კი აღარ ჩანან, არც ერთ არხზე. ყველგან უბრალოდ პირდაპირი კადრებია ჩართული და პერიოდულად ლოკაციები იცვლება. თუმცა პრინციპულად არც არაფერი. უცნაური მფრინავი,უფრო სწორად, როგორც აღმოჩნდა, დროის ხომალდები, ცაში ტივტივებენ, და მთელს პლანეტას ჯავშანივით ეკვრიან.

მიწაზე, პლანეტის მთელი სფეროს გარშემო დღევანდელი კაციობრიობაა მიყუჟული ერთ ფენად და ცაში კი, მთელს პერიმეტრზე, შვიდი თაობის შემდგომი კაცობრიობა — მეორე ფენად. ზემოდან დაგვყურებენ ჩვენი შთამომავლები. ნეტა რას ფიქრობენ, ნეტა საერთოდ რამ ჩამოიყვანა, მითუმეტეს ასეთი ულტიმატუმით... სრული კაპიტულაცია?!...

დედამიწაზე, ალბათ, სულ რამოდენიმე კაცია გარეთ. ერთი წყვილი გამოჩნდა ეკრანზე, შორი ხედით, ნელა მიუყვებიან ცარიელი ქალაქის გამზირს.

ჯერ-ჯერობით, მეტი შეტყობინება არ გამოუგზავნიათ ციდან.

ვიმედოვნებ, ჩვენი სახელმწიფოების მეთაურები კოორდინირებულად მსჯელობენ, თუ რასაც შვებიან, რა ვიცი, იმედია, რამეს იღონებენ. ალბათ, ცდილობენ მათთან კონტაქტზე გასვლას. არა მგონია, პირველმა ჩვენ გავხსნათ ცეცხლი, თუ საერთოდ მივიდა საქმე აქამდე. აშკარაა მათი ტექნოლოგიური აღმატებულობა (როგორც ჩვენ აღვემატებით მეცხრამეტე საუკუნეს), ამისთვის საკმარისია უბრალოდ ფანჯარაში გაიხედო და ცას ახედო.

ახალ ამბებს გადმოსცემენ. როგორც მეცნიერები და ექსპერტები აცხადებენ, იმედია, რომ ჩვენმა შვილთაშვილებმა, დროის გვირაბი არ მოიხურეს და უკან დასაბრუნებელი გზა არ მოიჭრესო, თორემ თუ ეს ორი თაობა დიდხანს იქნება ერთად ერთ დროში, ჩვენიც და ცაში გამოკიდებულიც, სამყაროში დროით-სივრცითი ბზარები დაიწყებს გაჩენას, ნელნელა დაიშლება და დიდი აფეთქებით დაასრულებს არსებობასო (როგორც ჩანს, წარსული და მომავალი ერთად ვერ არსებობენ ჩვენს რეალობაში)...

და რა, მერე, კვლავ რამდენიმე მილიონი წელი უნდა ველოდოთ ქალამანას გარდაქმნას ადამიანად (თუ როგორც არის)? დიდად არც იმის იმედი მაქვს, რომ ღმერთი ტალახს ისევ შთაბერავს სულს...

იმედია, კაცობრიობა (თუნდაც შვიდი თაობის შემდგომი) სულ არ გამოშტერდა, მიუხედავად იმისა, რომ ამის ნიშნები დიდი ხანია სახეზე გვაქვს, ჩვენ.

თუმცა ჯერჯერობით ულტიმატუმი აქვთ ჩვენთვის წარდგენილი და თუ უკან დაბრუნება არ გადაწყვიტეს ან ვაიძულეთ(?!)... ნამდვილად საარაკო ამბავში ვიქნებით, ან აწმყო უნდა გადარჩეს მომავალთან მებრძოლი ან მომავალი წარსულთან მებრძოლი.

ოღონდ ერთი არ მესმის, ჩვენ თუ გაგვანადგურებენ, ლოგიკურად ხომ თვითონაც გაქრებიან?! თუ არა? რაღაც მეტი იციან ვითომ დროის კანონზომიერებასთან დაკავშირებით, რაღაც ახალი? თუმცა რა გასაკვირია, რომ იცოდნენ კიდეც, დროის მანქანა თუ შექმნეს...

...რა ვქნათ, დავნებდეთ თუ ვებრძოლოთ შთამომავლობას? საოცნებო დილემის წინაშე ვართ, ვერაფერს იტყვი. ისე, არც ადრე დაგვკლებია დილემები კაცობრიობას, ოღონდ რაღაც არ მახსენდება რომელიმე გადაგვეწყვიტოს ადამიანურად. თუმცა, ალბათ, ზუსტადაც რომ ადამიანურად.

გამოსავალი არ არის ვითომ?

ვაახ!.. საერთოდ რამ გადააწყვეტინათ გადმოსახლება, რატომ მაინცდამაინც ჩვენს დროში, რამ გაამწარათ ასე უკანმოუხედავად? რა უბედურება ხდება ჩვენს თავს?!

წარმოგიდგენიათ რაზეა საერთოდ ლაპარაკი? ეს რაღაც ოხერი სამეცნიერო ფანტასტიკა ხო არ არის, არა. ფუ ამის.

ნეტა რა უნდა მომხდარიყო მათთან ეგეთი? თან რატომღაც კონკრეტულად ჩვენ დაგვადგნენ თავზე (პირდაპირი მნიშვნელობით) ახლა და არა ჩვენამდე ან მერე.

ალბათ, რაღაც ხდებოდა ჩვენს თავს (აი ,უკვე წარსულში მოვიხსენიებ), რასაც ვერ ვამჩნევდით. ამათ კი კარგად შეუმჩნევიათ, იცოცხლე. ხო ხედავ, რა იკისრა მთელმა მომავალმა კაციობრიობამ. რაღაც არ მგონია, ადვილი გადაწყვეტილება ყოფილიყო მათთვისაც... იმედია.

იქნებ შურთ ჩვენი, ჰა? და ამ შურმა გააბოროტა, თვალი დაუბნელა, იქნებ მომავალში კიდევ უარესია?

თუ რაღაცას ვერ გვპატიობენ? რა არის ესეთი, რომ შენდობის ნატამალი არ შერჩენიათ?

დავიჯერო, სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ?

რატომ? რატომ?

უუუჰ!.. ხმა მაინც ამოიღონ, რაღაც მაინც აგვიხსნან რა ხდება, რატომ, რამ გადაადგმევინათ ეს ნაბიჯი, რომელიც სავარაუდოდ მთელი, ყველა დროის კაცობრიობებს განადგურებით ემუქრება... ამოიღეთ ხმა თქვე დედამოტყნულებო!!! ...კიდევ იმათ ვაგინებ... ჩვენი საშველი არ იქნება...

...

აი ისევ გამოვიდნენ კავშირზე... ჰა ამოღერღეთ... გვეშელება რამე?...

ბოლო გზავნილი შთამომავლებისგან:

– ულტიმატუმი 24 საათიანია.

...ხელი ჩავიქნიე და რაფაზე ჩამოვჯექი. ჩამობნელებულა. ლაპმიონებიც აუნთიათ. სარკმელში მშვიდობიანად მოშრიალე ფოთლებს ვუყურებ, თვალ გაშტერებული.

დავიჯერო ვერ შევთანხმდებით, დავიჯერო ვერ ვიპოვით გამოსავალს? წინ ხო მთელი 24 საათი გვაქვს. კაცობრიობის ისტორიაში გადამწყვეტი... რაღაცა ახლის, სრულიად ახლის... ან, ან დასასრულის, სწრაფი დასასრულის დასაწყისი...

...

როგორც იქნა მოვიფიქრე ინტერნეტში შეხედვა. მანამდე არც გამხსენებია, აშკარად სერიოზული შოკის ნიშანია. მაგრამ გათიშულია... დაუბლოკავთ ხომალდებიდან. ეგ როგორ, ნეტა. ან რატომ. აშკარად სხვა განვითარების დონეზე არიან. ჰო და, ეგ მაკვირვებს და მაფიქრებს ზუსტადაც... უსუსურები რომ ჩანდნენ, არ გამიკვირდებოდა აქეთ გადმოსახლების სურვილი, ეს ულტიმატუმიც და ეს ჩუმი, უსიტყვო აგრესია... ამ ორი გზავნილის გარდა, მათგან სიტყვა არ მიგვიღია.

უცნაურია. თან გაგვირბიან თითქოს. კონტაქტს გაურბიან. დალაპარაკებას. რაღაცის ეშინიათ ნამდვილად. რომ გადავფიქრებინებთ? ვითომ? რომ ახსნა მოუწევთ? თუ „თვალებში შემოხედვის“ ცხვენიათ? არ ვიცი. ან უბრალოდ იმდენად აღგვემატებიან, რომ ადამიანებადაც აღარ გვთვლიან, სათვალავშიც აღარ გვაგდებენ? შესაძლოა, იმდენად გამწარებული არიან ჩვენზე, რომ სიტყვის გაცემაც არ უნდათ?! ეგეთი რა დავუშავეთ ვითომ...

არ ვიცი, არ ვიცი, კი არა, აზრზე არ ვარ, აზრზე არ ვარ კი არა, საერთოდ გონზე როგორ ვარ...

გამოაცხადეს, რომ ჩვენი და შთამომავლების წარმომადგენლობას შორის მოლაპარაკება გაიმართება ღამის თორმეთ საათზე. ხვალ შუადღისთვის ულტიმატუმის ვადა იწურება, თუ მანამდე ვერ შეთანხმდნენ, ისტორიაში პირველი დროთაშორისი ომი დაიწყება...

...

24 საათის შემდეგ.

...

...ხომალდებში ავდივართ. დღევანდელი კაცობრიობა, სრული შემადგენლობით მიემგზავრება შვიდი თაობის შემდგომ დროში. მთელი მსოფლიოს ცა გადაჭედილია. ყველა კონტინეტზე, ყველა ქვეყნის თავზე, ყველა ქალაქის თავზე, ყველა სოფლისა და დასახლების თავზე საჰაერო (თურმე დროის) ხომალდები ტივტივებენ.

შთამომავლები ნელ-ნელა და ხმაამოუღებლად იკავებენ ჩვენს სახლებს, ქუჩებს, დაწესებულებებს. ჩვენს ადგილს დღევანდელობაში. ჩვენ კი მათ ადგილს დავიკავებთ მომავალში.

ჩვენს შორის კონტაქტი საერთოდ არ ხდება. რატომღაც ერთმანეთისგან მკაცრად იზოლირებული ვართ, მათი მოთხოვნით. წინასწარ განსაზღვრული გადაადგილების სისტემით სრულად დაცილებული ვართ ერთმანეთს, ისე რომ, უცაბედი სიტყვაც ვერ გავცვალოთ. ეჰ, არადა, როგორ მაინტერესებდა ჩემი შთამომავლების ნახვა... და რაიმეს გაგება მაინც...

ამ გადასახლებაში ერთი პლუსი(?!) მაინც არის, გავიგებთ, რამ გადაადგმევინათ ეს ნაბიჯი. სამწუხაროდ მთელი ღამის მოლაპარაკების დეტალები გასაიდუმლოებულია. რა ხდება მათთან, რამ გადააწყვეტინათ თავდასხმა, რატომ მაინცდამაინც ჩვენს დროში, როგორ დაითანხმეს ჩვენები (თუ აიძულეს) გადასახლებაზე დათანხმებულიყვნენ, იმის მაგივრად რომ თვითონ დაბრუნებულიყვნენ და ჩვენ კი გვეცადა მათი მომავლის უკეთესობისკენ შეცვლა...

სამწუხაროდ, ჩვენი თაობა ცოტა ხნითაც ვეღარ დავბრუნდებით უკან. უბრალოდ, მონატრებული წარსულისთვის თვალის შესავლებადაც კი. ამისათვის აუცილებელი ენერგიის აკუმულირებას თურმე ერთი საუკუნე მაინც დასჭირდებაო. იმ დროისთვის აღარცერთი ჩვენთაგანი აღარ ვიქნებით. ჩვენი შვილები კი იქაურობას შეეგუებიან; და ამასობაში, აქ დარჩენილი შთამომავლებიც, აწ უკვე ჩვენს მომავალს, უკეთესობისკენ შეგვიცვლიან. იმედია...

...მათ ხომ საკუთარ თავზე გამოსცადეს, როგორც ჩანს, არც თუ სახარბიელო მომავალი; თან ჩვენც, ამხელა ცოდნას ვუტოვებთ, შეცდომების მთელს ენციკლოპედიას...

ახლა კი შორიდან, უჩუმრად ხელს გვიქნევენ დასამშვიდობებლად და გვიღიმიან გამხნევების ნიშნად...

წინ, ჩვენთვის ახალი, მათთვის კი ძველი, ჩვენთვის მომავალი, მათთვის კი წარსული სამყარო გველოდება...

ყველანი ხომალდებში ვართ. რამდენიმე წუთში

უცხოპლანეტლებს სჯერათ თუ არა ჩემი არსებობის არ ვიცი და ამით ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს.

მიუხედავად ამისა:

დავამთავრე 1-ელი ბაღი, 55-ე სკოლა, ფიზიკის ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო კოლეჯი, ეთერი ეგაძის კერძო სკოლაში ხელოვნების ისტორია, ეშ თბილისი, სამხატვრო აკადემიაში ფოტო ხელოვნება და თსუ-ს იურიდიული დაუსწრებელი.

ვიარე კალათბურთზე, მრავალჭიდზე, ჩოგბურთზე, ფეხბურთსა და რაგბზე.

ვმუშაობ მარკეტინგისა და ბრენდინგის კერძო კონსულტანტად რამოდენიმე კომპანიასა და სახელმწიფო სტრუქტურაში.

ვარ მარკეტინგის პროფესორი თავისუფალ უნივერსიტეტში და ცოტა წონაში მაქვს მომატებული, რასაც განვიცდი.

ამ ყოველთან პროზის წერა რა შუაშია, პასუხს დღემდე და უშედეგოდ ვეძებ.

რეზო ჩარკვიანი

გია აბაზაძე

კონკურსი

(ქალაქური მისტიკა)

ისევ ავუხირდი საკუთარ თავს. ეგრეა რა, როცა გადავაბავ სმას ან კითხვას ან რაიმე ნებისმიერ მომაბეზრებელს ავიკვიატებ, მაგალითად თემას ან გამოთქმას (ადამიანებს არასდროს), ვცდილობ დავშალო ან გავაუვნებელვყო ჩემს გონებაში ის ემოცია, რასაც ეს ზემოთხსენებული იწვევს. მანამდე კი ტვინში მაქვს ჩარჩენილი ცხელცხელი სიზმარივით და არც ის მშორდება და მეც ვერ ვეშვები. ასეა დღესაც. მაგალითად ბიძაჩემმა იცის თქმა "ორი აზრი არ არსებობს", "საყოველთაოდ ცნობილია, რომ...", ქეთი კი ასე ამბობს " ყველა ასე იქცევა" ან "ყველას შეუძლია და შენ რა გემართება", დაწყებით კლასებში გვყავდა დამრიგებელი მზია, საყვარელი სიტყვა ჰქონდა "რატომ" და იწყებდა კივილს: მშობელი რატომ არ მოიყვანე! რატომ გააცდინე! რატომ გახდი ავად! და ა.შ. ვცდილობ ხოლმე როგორმე არ მივიტანო ყურიდან გონებამდე ან გულამდე, მაგრამ მგონი უკვე დაგვიანებულია, მაინც ნერვებზე ვიშლები. ქეთი მართალი იყო, ალბათ, მეუბნებოდა "ჩამოყალიბებული გიჟი ხარო", რასაც ყოველთვის ვაპროტესტებდი - ჩამოყალიბებამდე ჯერ შორია. საყვარელო. ჯერჯერობით მხოლოდ სიგიჟის ემბრიონულ სტადიაზე გახლავართ-მეთქი. აი, ასე ვჟღურტულებდით ბოლო ორი წელი ჩვენი შეუღლების ოცწლიანი ისტორიიდან და ბოლოს, ჰაიდა, დაჰკრა ფეხი და წავიდა მოსკოვში თავის ურია დაქალთან, დისერტაცია უნდა დავასრულო, მეყოფა, რაც ამ გიჟებს ჩემი მეცნიერული კარიერა განაცვალეთო. კოკამ (ჩვენი შვილია) რაღაცის მენეჯმენტზე ჩაბარა და სახლში თითქმის არ მოდის, გადაყოლილია გიტარას, თან ირიკეზიც დაიყენა. ბიჭო რასსიულად სულ სხვა ტიპაჟი ხარ, არ გიხდება-მეთქი, მივქარე და ვუთხარი. შენ რასისტი, ფაშისტი და ნაციონალისტი ხარო, კიდევ კარგი ანტისემიტიც არ მიწოდა, თორემ ქეთის თემის ხელმძღვანელს რა პირით შევხე-

დავდი. არადა, ლერაც მშვენივრად გამოიყურება. ხანდახან სკაიპით ქეთის რომ ველაპარაკები, ისიც ერთვება დიალოგში, თან ქეთის საყვედურობს - მეც გამაგონეთ, რაზე საუბრობთ, ანუ რუსულად ილაპარაკეთო. ქეთის არ გავშორებივარ, უნდა და იმეცნიეროს. რაღა დროს მოსკოვში დისერტაციის დაცვაა? კალენდართან მწყრალად ხარ, ხალხი ნიუ-იორკში და პარიზში მიდის სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, რაღა დროს მოსკოვ-ლენინგრადის საბჭოთა მეცნიერება აგიტყდა-მეთქი, ვუთხარი. და რა მიპასუხა, იცით? რა მნიშვნელობა აქვს, კორიფეები იქაც და აქაც ებრაელებიაო. დალოცვილო, აგერ ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი და ირანიც კი უზარმაზარი სამეცნიერო მიღწევებით აგიჟებს მსოფლიოს და რაღა დროს ლერა ფეისახის ვადაგასული თემებია აქტუალური მაგ შენს ნეიროფიზიოლოგიაში, ერთი გამაგებინე, საყვარელო. აი, კოკაც მაგას ამბობს, რომ ფაშისტი და ანტისემიტი ხარო. საბოლოოდ გამიფუჭა საერთაშორისო რეზიუმე. აბაა.

იყოს მოსკოვში, რა ვუყო? მე მაგის ნეიროფიზიოლოგიაში ვერ ვერკვევი და ეგ კიდევ ჩემს დაწყებითი კლასების პედაგოგიკაში, არადა, მეც მაგარი ვარ, ოცდაათი წლის წინ ოღონდ სადმე მოვხვედრილიყავი და ბიძაჩემმა ჩემს ატესტატს რომ დახედა - რა გიტაცებსო, მკითხა. ტურ ჰეიერდალთან ერთად მინდა კონ-ტიკით ან რა-1-ით ან რა-2-ით მოგზაურობა-მეთქი. ერთი შემომხედა, მერე დედაჩემთან ერთად გავიდა თავის კაბინეტში და შემდეგ... მოვხვდი პედაგოგიურზე. ისე კარგი კი იყო 18 კაციან, ბოდიში ქალიან ჯგუფში ერთადერთი ბიჭი ვიყავი. ამას რომ ვიტყოდი სადმე, აუ, რა მაგარ პონტში ხარ გაჩითულიო, არადა, თორმეტი გოგო მოწინავე მწველავი და სამკერვალო ფაბრიკის გამომჭრელი იყო, ორიც ბოინის დირექტორის და მოადგილის ქალიშვილი და სხვები კი გარეგნულად ისეთები გახლდენ, მარტო საკუთარ მშობლებს თუ მოეწონებოდათ. არც მე ვიწუხებდი მაინცდამაინც ლექციებზე დასწრებით თავს, ბიძაჩემ სიკოს ყოვლისშემძლე ნომენკლატურული ავტორიტეტი ყველა მოპარულ ბილეთს სჯობდა. აუუ, სად წავედი. მაგრამ ახლაც ასეა. მეკითხება სიკო, მაგალითად: რატომ დალიე, ქეთი რატომ წავიდა, რატომ არ მუშაობ და ათასი სხვა "რატომ," ვცდილობ არც ვუპასუხო და არც შევეპასუხო. არა არანაირი კავკასიური უფროს-უმცროსობის ადათწესისა თუ სხვა რამის გამო, უბრალოდ არ მსიამოვნებს და ვირიდებ. ვეკითხები რა აზრისაა გენდერულ ძალადობაზე და უმცირესობების უფლებებზე საქართველოში და საერთოდ მსოფლიოში. სხვათა შორის, ჯიგარია. არ ბრაზდება, რა ქნას? თანამდებობა კარგა ხანია არა აქვს და პენსიიდანაც წილს მაძლევს. ვაჰ დრონი, დრონიო - იტყვის ხოლმე. ოღონდ არ დალიო, თორემ სიგარეტი, ჯანდაბას, მოწიეო. აი, ეგრე უნდა საქმის დაყენება. აკრძალვებს მიჩვეული ვარ, დაკითხვებს, ნურას უკაცრავად, მთავარია, მერე არ მკითხოს, რატომ დალიე? ან სულაც - გაუპარსავი რატომ ხარ? -,ქეთი რატომ არ ჩამოდის? -,სამსახურს რატომ არ ეძებ? მოკლედ, დამყოლი ვარ თურმე, ოღონდ თავისებური, უფრო სწორად, - ჩემებური.

ორი აზრი არ არსებობს: ორი საპირისპირო სქესის არსება უფრო ეფექტიან ოჯახს ჰქმნის, ვიდრე ერთსქესიანი. უდავო ჭეშმარიტებაა, ოღონდ არათანამედროვე, უფრო სწორად, ჰიპერთანამედროვე.

რაებს მივედ-მოვედები, რაიმე შარს არ გადავეკიდო, თორემ მეცნიერება ისე შორსაა წასული, რომ სადაც სატელეფონო საუბრის მოსმენა შეიძლება, ჩემი აზრების წაკითხვა რაღა ბედენაა. არადა, გამოვშტერდი. მესამე დღეა ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს გადავშლი, წავიკითხავ, მაგრამ თავში არანაირად არ შედის. ყოველი მუხლის გადამუშავების შემდეგ დაახლოებით ასეთი რახარუხი მრჩება – ორი აზრი არ არსებობს. რა ზეპირი მოსმენა და რომელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადები. ახლა მიდი და ურტყი თავი ამ მართლა ერთუჯრედიანის მიერ მრავალუჯრედებიანისთვის დაწერილს. თან იურისტებმაც მითხრეს, ან დაიზეპირე ან ვერა, სხვა რაიმე მეთოდოლოგია ათვისების გასაადვილებლად არ არსებობსო. აქ მაინც იყოს ქეთი, რაიმე ეცოდინებოდა ნეიროფიზიოლოგიიდან ამ აბდაუბდის დასამახსოვრებლად.

დავუჯერე მეც ნიკუშას. ჩემი ბიძაშვილია, სიკოს შვილი. რომელიღაც მსხვილ გრანტშია გაჩითული და ყველასთან კარგად არის. ჰოდა, მითხრა ნიკუშამ, აგერ, ძმაო, კონკურსია სამინისტროში გამოცხადებული და მონაწილეობა მიიღე, როდემდე უნდა იჯდე უმოქმედოდო. მომიტანა ნაირ-ნაირი კანონები, კოდექსები, უნარ-ჩვევების ტესტები და დამსვა ამ გაგანია სიცხეში შუა ხნის კაცი სამეცადინოდ. კი ვუთხარი, ძმაო, რას მაბოლებ, სულ ასქულიანები რომ გამოვიტანო ასაკის გამო მაინც მომტეხავენ და შემეშვი –მეთქი. შენ მიდი, მოემზადე და გადი, დანარჩენს მე მივხედავო. სიგარეტიც გამთავებია. ამ იტალიური ეზოს დედა ვატირე, ერთადერთი იტალიური ისა აქვს, რომ ყველა მეზობელი ხმამაღლა ლაპარაკობს. აგერ "ბაღდადკი"–ს კედლის მიღმა ვიღაც უსაქმურები ღრეობენ მეორე დღეა და ყველა სადღეგრძელო და

ჭურჭლის რახარუხი ისე ისმის, გეგონება მათთან ერთად ვიჯდე. არადა, ამ ზოგადი ადმ... მგონი ჩემზე ლაპარაკობენ.

— დავუძახებ მეზობელს, რაღაც წიგნებს დაათრევს სამი დღეა და ტუალეტშიც არ გამოდის. მსმელი ბიჭი ჩანს.

— ეე, გაუშვი რა. დავლიოთ.

— მომბეზრდა, ძმაო, ერთმანეთის დალოცვა, გავიცნოთ, გავიგოთ, რა კაცია. იქნებ რაღაცა აქვს სათქმელი. წიგნების დედა არ ვატირე. დავლოცავთ, ოჯახს ვუდღეგრძელებთ, ისიც რაიმეს გვეტყვის და სამიოთხიც რიგგარეშე სადღეგრძელოც გამოგვივა და ეგაა

— არ გინდა. ეგ "ნაბეღლავის" ცარიელი ბოთლი შუაზე გადაჭერი. დავურტყათ განსხვავებული. რად გვინდა ვიღაც მეწიგნიეს ამბები.

ეს " მეწიგნიე" ნაღდად ჩემზე თქვეს. მაგათი ქართულის მასწავლებლის. მიკაკუნებენ.

— გამარჯობათ. - "თ"-ს განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი მოპატიჟემ ზრდილი აღზრდის აღსანიშნავად.

— გაგიმარჯოს

— აი, მე ეს დღეებია სულ გიყურებთ, წიგნებით მობრძანდებით და ჩვენ ხმაურით გაწუხებთ, მეც ეს ბინა დაკეტილი მაქვს, ხანდახან ძმაკაცებთან ერთად მოვდივარ დასალაგებლად და ხომ არ შემოგვიერთდებოდით? — კართან ფრიად შემხიარულებული, კეთილღიმილიანი კაცი იდგა.

— დალაგებაში შემოგიერთდეთ?

— მე დათო მქვია, — და გულიანად გადაიხარხარა

— მეც.

— ანუ.. თქვენც დავითი არა?

— დათო დამიძახე.

გადავხედე კოდექსს და დათოს გავყევი.

— კარს ნუ გამოიხურავ, ოთახი გაგრილდეს, ოღონდ სკამი წამოიღე, თორემ სასმელი და მისაყოლებელი საკმარისად გვაქვს, სკამებში გვერხევა.

რა თქმაა ეს - „მისაყოლებელი", სუფთა ლოთურია. დანაყრებასთან და საერთოდ, ქეიფთანაც კავშირი რომ არა აქვს. რუსული „ზაკუსკაც" კი სადილამდე აპერიტივის მისაყოლებელი მსუბუქი საუზმე (ხემსი) იყო. თორემ იქაური ბასიაკები როდის იყო მისაყოლებლისთვის აგროვებდენ ფულს.

მასპინძლის ბინაში სამი კაცი უჯდა გაშლილ სუფრას. ერთი გამხდარი და წვერმოშვებული, მკერდზე დიდი წითელი ნაიარევით და მკლავებზე სვირინგებით ("ნაკოლკებით"), პერანგი არ ეცვა. მეორე "კოკა-კოლა"-ს წარწერიანი მაისურით. მაგარი მთვრალი იყო და თავი მაგიდისთვის რომ არ ჩამოერტყა, მუშტი ჰქონდა ნიკაპქვეშ შეყუდებული და მაინც ეცლებოდა ხოლმე საყრდენი. მესამე კაცი შედარებით ფხიზელი ჩანდა. გაუთოებულ თეთრ პერანგში იყო გამოწყობილი და მაჯაზე კომუნისტების დროინდელი "ლუჩი"-ს საათი ეკეთა.

"მეწიგნიეს" ნაღდად ეს შიშველი თუ იტყოდა". - გავიფიქრე.

— მე არ მითქვამს, მაგრამ ეგრეა. - უხეშად მომმართაშიშველმა

— რა ბრძანეთ?

— მაგას არაფერი არც უთქვამს და მეც არაფერს ვბრძანებ, აქ ითქვა ეგ სიტყვა მაგრამ ვისგან - არ გეტყვი, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ჯიგარო? — და თვალებში შემომხედა

— კაი რა, შოთა, გააჩმახე შენი ეჭვებით, კაცს ჯერ ჭიქა არ აუწევია და უკვე შარზე ხარ. - შეუტია მასპინძელმა, მაგრამ კეთილი ღიმილი არ მოსცილებია.

— ძმაო თუ დაუძახე, კეთილი ფიქრებით შემოვიდეს აქ, რა ენისა და ლიტერატურის გაკვეთილია თუ კიდევ სხვა რამეებიც აინტერესებს, ჰაა? ეგრეა თუ არა? .

"აი, შარი თუ გინდა, ესაა", - გავიფიქრე და ვინანე ჩემი დამყოლი ხასიათი

— არაფერი შარი არ ვარ, ძმაო, და არც "რატომ"-ს ვეკითხები არავის.

— დაჯექი და დალიე. გადაჭრილი "ნაბეღლავის" ბოთლი განსხვავებული სასმისის პონტში მომაწოდა.

"ვა, ბულგაკოვთან ვარ?" - გავიფიქრე და გამოვართვი. ღვინო თბილი და მჟავე იყო. არ მესიამოვნა, მაგრამ დავცალე.

— რახან ეგრე ფიქრობ, აი, "მალასოლნი" და სოსისიც ჩააყოლე, სტუმარო.

ახლა კი გამაჟრიალა.

— ნუ დარდობ. ეგ ორი მოწვევის დეპუტატია და ორი ლიტრის მერე გახსნები ეწყება, სხვის ფიქრებს კითხულობს, მაგრამ სადღაც ოც წუთში გაუვლის თან შენც მიეჩვევი, - გამიცინა დათამ.

გამახსენდა "ქუჩური". ესე იგი, ორჯერ ნასამართლევია. აგაშენა ღმერთმა.

— შენც, ჩემო კარგო, დაიკიდე და დავლიოთ. უბრალოდ, კარგ რამეზე იფიქრე, - ხელი გამომიწოდა შოთამ.

— დათო, ძალიან სასიამოვნოა.

— არ იქნება სასიამოვნო და შენი აჯობებს, - თვალებში შემხედა.

- ერთსაც ხომ არ წყვეტდი ეგეთს და მერე გაგვეგრძელებინა. - მუშტდაყრდნობილი მთვრალი დაელმებული მიყურებდა და ჩემი სახის ფოკუსში

მოქცევას ცდილობდა.

„ამას ნეტა რა ტალანტი აქვს?" – გავიფიქრე.

– მაგას, ძმაო, ასტრონომიაზე რაც წიგნებია ქართულ-რუსულად დაწერილი, ყველაფერი წაკითხული აქვს. ასე არაა, რევაზ?

- ეგრეა

- ასტრონომი ბრძანდებით განათლებით?

- სადაც მე ვიყავი ხანგრძლივი მივლინებით, იქაურ ბიბლიოთეკაში ასტრონომიის გარდა არანაირი წიგნი არ იყო, დრო ბევრი მქონდა და რა მექნა? ვკითხულობდი. ერთი დასკვნა გამოვიტანე, რომ ყველაფერზე არათუ ორი, არამედ მრავალი განსხვავებული აზრი არსებობს.

- თქვენ გაიხარეთ. იქნება მითხრათ, საიდან ასკვნით? ძალიან მჭირდება ამის ახსნა.

- შენ ძმაო შეფარულად "რატომ"-ს ეკითხები და თვალთმაქცობ, თუ რაა....

- მარტივი ახსნა აქვს. ვარსკვლავეთი, გალაქტიკები და უფრო მეტი გალაქტიკები და სამყაროს უსასრულობა ორიცაა და იმდენიც, რამდენიც შემოქმედს გაეხარდება. - შოთასკენ არც გაუხედავს ისე ასწორებდა ჩემს თვალებზე ფოკუსს "ასტრონომი".

"ბულგაკოვია, აბა, რაა?" - ჩავეკითხე საკუთარ თავს.

- კაცო ეგ ვიღაც რუსი რას აგიტორღიალებია, შენ მესამე გადაჭრილიც გეკუთვნის.

- ნუ შეჭამეთ მეზობელი თქვე ლოთებო, აი, ეგაა რა. ერთი წუთით გავედი ერბო-კვერცხის შემოსატანად და შეგჭამეს ამ გიჟებმა. გადაიღე და დაგვეწიე. - თავზე დამადგა მასპინძელი.

დალევის ხასიათი სულ წამიხდა. აღარც მშიოდა, აღარც მწყუროდა, წასვლა მინდოდა და ვერ ვდგებოდი. ქეთი მოსკოვშია სამადლოდ იმ ლერა ფეისახთან, რა დისერტაცია , საყოველთაოდ ცნობილია ის ფაქტი, რომ იქაური ხარისხი აქ რაში გამოადგება, უბრალოდ, ჩემთან მობეზრდა და წავიდა. რა ვიცი, ღალატით მე არ მიღალატია და სახლიდან ქონება არ გამიყიდია, ახლაც სამინისტროში კონკურსია და, ალბათ, ნიკუშაც პატარას მიშველის, რამენაირად კოკას დავამთავრებინებთ თავის მენეჯმენტს და სადმე ბანკში მოეწყობა და...

– ეე, ძმაო, ამ ერთ წამში რამდენი რამე გაიფიქრე, ველარ გეწევი, რა არის, თან " საყოველთაოდ ცნობილი ის ფაქტი", მარიაჟობ? შენ მართლა ვანგა ან სხვა ვინმე ხომ არ გგონივარ, ტვინი შემიშუპდა, - დამიბღვირა შოთამ.

– ბატონო შოთა, მე არც მიფიქრია თქვენი შეწუხება, მე უბრალოდ, როგორც ყველა...

– დათო, მე ავად ვარ და მეტი არაფერი, აი, ესენი ახლა არაფერზე ფიქრობენ, ამიტომაც იძულებული ვარ შენი აზრები ვიკითხო და დამღალე. დალიე რა, აღარ იფიქრებ და ცოტა მეც შევირგებ ამ ოხერ საჭმელ-სასმელს.

დათომ (მასპინძელმა) ხელი გამკრა, გალიპლიპებული გადაჭრილი "ნაბეღლავის" ბოთლი მომაწოდა და გადავკარი. თქვენც არ მომიკვდეთ, ვითომც წყალი დამელიოს, თანდათან შიშიც გადიოდა ოღონდ გაურკვევლობა მატულობდა.

მესამე, მაჯისსაათიანი კაცი თითქოს არც გვისმენდა, დანაჩანგლით ერბო-კვერცხს ისე აკურატულად მიირთმევდა, თითქოს ვერსალში ყოფილიყოს ელჩების მიღებაზე.

"ეს რიღას ოსტატია ნეტავი?" - ფიქრის დასრულებაც ვერ მოვასწარი, რომ ისევ შოთა ჩაირთო.

– უთხარი, ბატონო ანდრო, თორემ მოკვდა სტუმარი ცნობისწადილით, თქვენი ტალანტის შესახებ.

ბატონმა ანდრომ დანა-ჩანგალი ჯვარედინად დააწყო თეფშზე. ხელსაწმენდით პირი მოიწმინდა. რატომღაც საათ "ლუჩ"-ს დახედა და მომმართა.

– ისტორია გიყვართ?

– ჩემი ჰობია ისტორიაც, გეოგრაფიაც, მოგზაურობაცდა...

– სადმე გიმოგზაურიათ?

– არა. უბრალოდ, წიგნები, კინოფოტომასალა.

– იცით, არის ასეთი გამოთქმა, რომ ისტორიული პარალელების გატარება უკუშედეგს იძლევა და საზიანოა მიმდინარე მომენტისათვის. ეთანხმებით?

– ვერაფერს გეტყვით. არ მიფიქრია არასდროს

– აბა, პლუტარქე რატომ წერდა "პარალელურ ისტორიებს"? კარგი, არა აქვს ახლა ამდენი გადაჭრილის მერე ამაზე საუბარს აზრი. უბრალოდ გეტყვით, რომ საფრანგეთის პირველი ბურბონის დინასტიის მეფე ჰენრიჰ IV იმიტომ იყო დიდი მონარქი, რომ მიუხედავად ცინიკური გამოთქმისა "პარიზი მესსად ღირს"-ო, ერთი მარტივი კრედოთი გახდა მსოფლიოს ისტორიის უდიდესი ადამიანისმოყვარე და არა "ჰუმანისტი" მმართველი. კერძოდ, ":მე იმისთვის ვარ უმაღლესი მმართველი ჩემი ქვეყნისა, რომ უზრუნველვყო ყოველ კვირა დღეს ყოველ ფეიქარს ქოთანში ვარია მაინც ჰქონდეს"-ო. ფეიქრები ყველაზე დაბალ სოციალურ ფენაზე მდგომნი იყვნენ იმდროინდელ საფრანგეთში. მე ფეიქარი გახლავართ მხოლოდდამხოლოდ. დანარჩენი თქვენ განსაჯეთ. მე კი გადაჭრილს დავლევ.

"ბულგაკოვი არა, მაგრამ მგონი ვიღაც სენ-სიმონი უტოპისტია ნამდვილად".

— შენ, ძმაო, წესიერად იფიქრე, აქ ხალხი ვზივართ და არა ვიღაც სიმონები, თორემ შენს კოდექსებს...

— ნუ გაუტიე, აღარ დამთავრდა შენი მკითხაობის დრო? - შესცინა დათომ

— ბოლოა. ერთი გადაჭრილიც დამალევინე და მორჩა. მეც დავისვენებ და ეს კონკურსატანტი.

— კონკურსანტი.

— ერთი სიმონაა ორივე. მიდი, დამისხი.

— დათო თქვენც ამათნაირი ტალანტებით ხართ დაჯილდოებული?

— არა, სეხნია, მე უბრალოდ მასპინძელი ვარ და ამათი ძმაკაცი, მაგრად მიყვარს ბაზარში სიარული, პროდუქტის არჩევა, მერე ნაირნაირი კერძების დამზადება, "ნაბეღლავის" გადაჭრილი ბოთლით დალევა და ამათი სმენა.

— იქნებ თქვენც რაიმე მითხრათ. ბევრი საინტერესო გავიგე და...

— ერთი ვიცი. ვაჭართან რომ დადიხარ წლების განმავლობაში, კარგ ყველ-ხორცს რომ გატანს და ნისიასაც რომ გენდობა, ნაცნობი სიტუაციაა, ალბათ, შენთვისაც.

— რა ვიცი. ქეთი დადიოდა ყოველთვის. ჩემი მეუღლე.

— ახლა?

— მაღაზიაში ვყიდულობ ძეხვეულს და პურს.

— ქეთი?

— რუსეთშია. დისერტაციაზე მუშაობს თავის დაქალთან ერთად. სახლში მე და ბიჭი ვართ, კოკა ჰქვია.

— ჰოდა მოკიდე ხელი, წაიყვანე ბაზარში აარჩიეთ კარგი ხორცი და ბოსტნეული, სადილის გაკეთებას მე გასწავლი. აბა, მაგ ძეხვეულით დაიწამლებით ორივენი. ეე, ესენი დათვრნენ, გააჩმახეს რა, თუ დალევა არ შეეძლოთ, რას ეპოტინებოდენ ამ გადაჭრილს. თითოც შევსვათ და მერე ვნახოთ.

— არა, კონკურსი მაქვს ორ დღეში. ესეც ბევრია.

— მე დავლევ. თქვენ პატარა ჭიქით შესვით.

კარებამდე მიმაცილა. თითით მანიშნა ყური ახლოს მოსწიეო და ჩამჩურჩულა:

— იცი? ის გამყიდველი ნისიასაც რომ მენდობოდა, მაგარი ნაგავი აღმოჩნდა. საქონელიც გააფუჭა, სასწორიც გააბანძა და ბოლოს ხურდაშიც მატყუებს.

— ჩურჩულით რატომ მეუბნებით?

— ამათ რომ ვუთხრა, დაბრიდავენ. - თვალით მანიშნა თავის ბინისაკენ.

— არ უთხრათ. ცოდოა.

— ეგ ერთი გამყიდველია, შენ ზემოთ უნდა ნახო, ეგეთი რამდენი არიან. - ამოიხვნეშა .ფხიზელი იყო. არაფერი ეტყობოდა.

სკაიპიში ქეთის მაგივრად ლერა ფეისახი შემოვიდა. მოკლედ და მშრალად მაცნობა, რომ თემამ მოწონება დაიმსახურა და ქეთი გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით ირანში მიემგზავრებოდა ხანგრძლივი სამსახურებრივი მივლინებით და მასთან კონტაქტი (ისიც ვიზუალური) მომავალში მხოლოდ ლერას მეშვეობით მექნებოდა. კოკა აღნიშნულის შესახებ უკვე ინფორმირებულიაო. ვიფიქრე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით საპასუხოდ ათი დღე უნდა მქონდეს-მეთქი, მაგრამ თქვენი პასუხი და თანხმობა აუცილებლობას არ წარმოადგენსო.

ავტობიოგრაფია

დავიბადე ფულის გამოცვლის 1961 წელსა 3 მარტსა. მეძახდენ -ვიას, გიგლიკოს, ხოლო მეგრელი გადიები — ცქმუნას (ახლაც არ ვიცი, რასა ნიშნავს). ექვსი წლისა მომნათლეს სიონში. მღვდელმა ნათლიებს ჩემი სახელი ჰკითხა და "გიაო" - უპასუხეს. მაშინ „გიორგი" იქნებაო. 47-ე სკოლაში შემიყვანეს - პირველ კლასშიდ დამრიგებელმა ამომიკითხა: "აბაგაძე გივი" და არ ავდექი, წარმოდგენაც არ მქონდა, მეტრიკაში თუ "გივი" მეწერა. ბეჯითად (მერვე კლასამდე) ვსწავლობდი მათემატიკასა და ინგლისურს. ვკითხულობდი ყველანაირ ლიტერატურას და ისტორიას (ძირითადად კლასგარეშეს). არ მაინტერესებდა ქიმია, ფიზიკა და ა.შ. მაინც ფრიადზედ გავასრულე საშუალო განათლებაი. როგორც მაშინ იტყოდნენ - 5-იანის ატესტატი "გავიტანე" (უქრთამოდ). ვცადე უცხო ენათა ინსტიტუტში ჩაბარება (ურეპეტიტორად) და ფშიკ, ინგლისური ენის კომისიის თავმჯდომარე დამპირდა, რომ მომავალ წელს აუცილებლად დამიწერდა უმაღლეს შეფასებას და მსხვილი ორიანი ჩამიწერა საგამოცდოშიდ. მეც ავიღე და შემდეგ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შევედი. სტუდენტობისას მოვასწარი თორმეტამდე ისტორიული ძეგლზე მუშაობა, სარესტავრაციო ექსპედიციებშიდ - თავისუფლების გემო შევიგრძენი. 1983 წელს გავასრულე თსუ, მრეწველობის ეკონომისტის სპეციალობით (ბუნდოვნად მახსოვს, მამელუქივითა), მას შემდგომ მოვიარე ათასი ჯურის სახელმწიფო თუ კერძო „რქებისა და ჩლიქების" („რაგა ი კაპიტა") დაწესებულება. მიღებული მაქვს ათასნაირი სერთიფიკატ-ლიცენზია, მაგრამ შინ კედელზედ ისევ ერთიანი საქართველოს რუკა მაქვს გაკრული,და კიდევ ერთი რამ - ვწერ: ესსეებს, მოთხრობებს, ჩანახატებს, მყავს მეუღლე და ოთხი შვილი და ფანტასტიკური მეგობრები (სააქაოს, საიქიოს და ფეისბუქშიცა). სულ ეს არის.

ზია აბაგაძე (ბოცმანა)

ლევან ბეიტრიშვილი

პანიკა

(ჰორორის წინათგრძნობა)

თვალების გახელის რამოდენიმე ტიპი არსებობს: როდესაც ამას წარბების აქაჩვით იწყებ, ეს ნიშნავს, რომ გამოძინება მოახერხე და ზმორვის პროცესში ხარ; როდესაც პირდაპირ ქუთუთოებს აღებ, ეს ნიშნავს, რომ სადღაც გეჩქარება (ყოველ შემთხვევაში, ასე გგონია); ხოლო როდესაც ჯერ იჭმუხნები, ანუ წარბები ერთმანეთისკენ იწევენ, ხოლო ყვრიმალები შუბლისკენ იქაჩება, რათა რეფლექსებმა თავის ტკივილის სპაზმი შეგიმსუბუქოს, ან/და სინათლით თვალის მოჭრისგან თავი დაგაზღვევინოს, - ესე იგი, უდროო დროს გაგაღვიძეს, ან ვიდრე დაიძინებდი, თრობის რომელიღაც მეთოდს წარმატებით გაართვი თავი.

ამ დილას ჭმუხვნით გავახილე თვალები, თუმცა არავის გავუღვიძებივარ.

მაგრამ უცნაური ისაა, რომ თვალების გახელის ნებისმიერ ტიპს ვიზუალური კონტაქტი მოსდევს გარემოსთან, ამ შემთხვევაში კი ეს კონტაქტი არ შედგა ...

- დილაა რო?

თვალები დავახამხამე და რაც შემეძლო დავქაჩე, თან აქეთ-იქეთ ორჯერ გადავატრიალე (თავის მოტრიალება ვერ გავბედე - ისე მტკივნეულად ფეთქავდა), მაგრამ შავი სიბნელის გარდა ვერაფერი დავაფიქსირე.

ბავშვობაში სადღაც წამიკითხავს ასეთი გამოთქმა - ჭიანჭველებმა დაუარა ტანზეო, ჰოდა, ეხლა მივხვდი ეგ რას ნიშნავდა - თან ერთსაც დავამატებ, ეს ჭიანჭველები კანზე კი დარბიან, მაგრამ შიგნიდან.

სხეულმა საფრთხე თუ რაღაც ამდაგვარი იგრძნო და სუნთქვა ამიჩქარდა. გულისცემაც გარკვევით ვიგრძენი - ის ან ძალიან სწრაფად, ან ძალიან ხმამაღლა ცემდა.

მივხვდი - ამ მდგომარეობას პანიკა ქვია.

პანიკა ცუდია - კინოში მაქვს ნანახი, პანიკაში ადამიანი ყოველთვის ნაჩქარევ და დაუფიქრებელ ნაბიჯებს დგამს, რომელსაც მისთვის არაფერი კარგი არ მოაქვს - შესაბამისად, პანიკას უნდა ვძლიო, დავწყნარდე და თითოეული მოძრაობა კარგად გავიაზრო.

- პირველ რიგში უნდა გავარკვიო სად ვარ.

სამჯერ ღრმად ჩავისუნთქე და ვიგრძენი, თუ როგორ დაბრუნდა გული თავის ადგილას.

- მთავარია არ გავინძრე, სანამ არ გავარკვევ - სად ვარ და როგორ მოვხვდი აქ!

- თავი ისევ მტკივა - რამე ჩამარტყეს?

- მოიცა, თანმიმდევრულად უნდა მივყვე.

- რა მქვია?

- არა, ეს ნამეტანია, სახელიც და გვარიც მახსოვს.

- ბოლოს სად ვიყავი?

- არა, ასე არ გამოვა, თვალები უნდა დავხუჭო და წარმოვიდგინო, თორემ ღია თვალებით მაინც ვერაფერს ვხედავ და კონცენტრაციასაც ვერ ვახერხებ.

- ანუ დავუბრუნდეთ კითხვას - ბოლოს სად ვიყავი? ანუ ბოლო სიტუაცია, რომლის გახსენებაც შემიძლია!

..დილას სახლიდან გავედი და ინსტიტუტში წავედი, - მერე რა მოხდა ?

- მოიცა, მოდი ჯერ დავიწყოთ არსებულ სიტუაციაში გარკვევით - ასე არ გვასწავლიან ?!

- ანუ რა ვიცი არსებული სიტუაციის შესახებ: ვწევარ, ხელები გვერდზე მიწყვია, უფრო სწორად, იდაყვები გვერდზე მიწყვია, ხოლო ხელები შარვლის ჯიბეებზე. ...აჰა, ესე იგი, შარვალი მაცვია.

- მოიცა, მოდი აღქმების მიხედვით მივყვები - პირველია შეხება... თუ პირველი მხედველობაა?

- ხო არ დავბრმავდი ?

- დაყრუებით არ დავყრუებულვარ - ეხლახანს გავიგე მანქანამ როგორ ჩაიარა, მაგრამ შორიდან. ანუ სმენა მაქვს... ანუ სმენა სასიმღერო არა, უბრალოდ ყურში მესმის.

- სად ვწევარ? - ხელით შეხება ნაადრევია, შეიძლება ხმაური გამოვიწვიო, - მაგრამ ზურგით და თავით ვგრძნობ, რაღაც მაგარია, თუმცა არც ისე ცივი, რომ ქვა იყოს.

თავს ცოტა უკან ვწევ - კეფას ვუხახუნებ იმას, რაზეც ვწევარ - ხორკლიანია, რაღაც ხის მაგვარი.

- კუბოა? - არა, კუბო რომ იყოს, ვიგრძნობდი, სუნთქვისას აშკარად ვგრძნობ, რომ ჩემს ზემოთ სივრცეა.

- სუნი? რაღაც საღებავის სუნის მაგვარი მცემს., თუ ლაქია? თუ უბრალოდ ხის სუნია ?

- სუნებში აშკარად ვერ ვერკვევი!

- გემო? - პირში საშინლად მწარე გემო მაქვს - ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მომენტის წებო ჩამასხეს და სადაცაა ბოლომდე გახმება. წყალი მწყურია. არა, მწყურია კი არადა, მაგრად მწყურია. - დაჭრილი ვარ, სისხლი დავკარგე და იმიტომ მწყურია?

- არა, დაჭრილი რომ ვიყო, რამე მეტკინებოდა, - თავი? არა, თავში რომ ვიყო დაჭრილი ცოცხალიც არ ვიქნებოდი.

- ცოცხალი ვარ რო? - უცებ გამომასხა ოფლმა და მთელი შუბლი მომენტალურად გამიყინა (აი, ამას ეძახიან „ცივმა ოფლმა დაასხაო"), გული თითქოს გამიჩერდა და სუნთქვაც თან მიყვა... არა, გული რახან მუშაობს, ესე იგი, ცოცხალი ვარ - ამოვისუნთქე.

- ჩახუთული ჰაერია, სადღაც სხვაგან ვარ, სადაც, წესით, არ უნდა ვიყო, რადგან არც არასდროს ვყოფილვარ.

...ჰო, სახლიდან გამოვედი და ინსტიტუტში წავედი... ფეხით.

ფეხი ბოლომდე გაშლილი არ მაქვს, რაღაცაზე მაქვს მიყუდებული. ფეხსაცმელი არ მაცვია - ფეხის თითებს ჩუმად ვუსმევ იმას, რაზეც მიდებული მაქვს - იგივე შეგრძნებაა რაც კეფისას - რაღაც ხისმაგვარი ხორკლიანი ზედაპირია

- ყუთში ვარ?

- კუბო არ არის. და რატომ არ არის კუბო?

- ა, ჰო, ჩემს ზემოთ სივრცეა - სუნთქვისას ვგრძნობ.

- როგორ ვგრძნობ? - თბილი ჰაერი უკან არ მიბრუნდება.

ნერწყვის გადაყლაპვას ვერ ვახერხებ, - ის უბრალოდ გამითავდა. ...წყალი მწყურია საშინლად.

- ღმერთო, როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?

- და რა დამთავრდება? - რა დაიწყო რო?

სუნთქვა ისევ მიხშირდება - კვლავ ნაცად ხერხს მივმართავ და მესამე ჩასუნთქვაზე პანიკის ნიშანწყალიც აღარაა.

...ესე იგი, ფეხით წავედი ინსტიტუტში, მერე ანუკი შემხვდა და მომილოცა დაბადების დღე... ანუ გუშინ დაბადების დღე მქონდა? - არა, მე კი არ მომილოცა, ნიკას მიულოცა - ნიკასთან ერთად ვიყავი. ამ დროს სანი მოვიდა მანქანით, ფარები ჩააქრო და...

...ნაცნობი ხმა - ამ ხმას ჩემი ტელეფონი გამოსცემს, როცა ჯდება - ტელეფონი სადღაც აქ არის.

(იმედი - ეს არის დროებითი „სიმშვიდე", რომელიც გეუფლება წითელზე ბოლო ასდოლარიანი ფიშკის დადებიდან რულეტკის გაჩერებამდე - რაც უნდა ამოვიდეს, გინდა წითელი, გინდა შავი, - იმედი ქრება.)

ფრთხილად მიმაქვს ხელი შარვლის მარჯვენა

ჯიბისკენ, ვიღებ ტელეფონს, ვატრიალებ ჩემსკენ, - დარეკვა არ შეიძლება, ვერ დავილაპარაკებ, მესიჯს გავუგზავნი ნიკუშას, - ვეძებ მენიუში "ჩრეატე ესსაგე"

...ესე იგი - დილას გამოვდივარ სახლიდან და მივდივარ ინსტიტუტში ფეხით, გზაში ვიღებ ტელეფონს და ნიკას ვუგზავნი მესიჯს „ნიკუსჰ გამოვედი და ცჰამოდი". ნიკუშა ქვევით მხვდება. - წავედით? - კლუბთან ერთად მივედით, მალე ანუკიც გვხვდება და დაბადების დღეს ულოცავს ნიკას; ამ დროს, სანიმ მოაყენა მანქანა, ჩააქრო ფარები და... - მოიცა, ეს დილა კი არა, საღამო იყო, ანუ დილას ინსტიტუტში კი ვიყავი, მაგრამ მერე საღამოს ნიკუშასთან ერთად კლუბში წავედით...

...ისევ ნაცნობი ხმა - ამ ხმას ჩემი ტელეფონი გამოსცემს, როდესაც ჯდება - უზარმაზარმა ეკრანმა რაღაცეები მიხატ-მოხატა და ჩაქრა... - შავი ამოვიდა... (I 1280 – ეს არის მობილური ტელეფონის შედეგრი, რომელიც არასოდეს ტყდება და არასოდეს ჯდება, და რომელიც ჩემს მეორეკლასელ ძმას ვაჩუქე.

ალბათ, მალე მობილურებს ფრენის ფუნქციაც ექნება - ჩართავ შ-ს, მონიშნავ კოორდინატებს, შემოახტები და წავიდაააა. ოღონდ შუა გზაში დაგიჯდება და ჩამოვარდები.)

უხმოდ ვყვირივარ - ისიც კი ვერ მოვახერხე, მიმენათებინა და გამერკვია - სად ვარ. ისევ მიხშირდება სუნთქვა, ისევ მივმართავ ნაცად ხერხს, თუმცა სამი ჩასუნთქვა აღარ მყოფნის. საშინლად მწყურია. პირის ღრუს ვძაბავ, ნერწყვის მსგავსს ვაგროვებ და ვყლაპავ. საშინელი გემო აქვს, ლიმნის სიმწარე დაჰკრავს ...

...ლიმნით დასველებულ მარილს ხელიდან ენის ერთი მოსმით ვილოკავ, ტეკილას ლამის ჭიქიანად ვყლაპავ და ლიმონს თავის ქერქიანად ვღეჭავ - ნიკუშას სახე ეჭყანება - ჩემს მიმიკას უნებურად იმეორებს. „გეყოფა შეჩემა, სხვასაც დაუტოვე" - სანი ნიკასნაირი გამომეტყველებითა და პაპაშვილური ტონით მარიგებს ჭკუას, ისე, რომ ვიღაც ქერა ნაშას ტრაკიდან ხელს არ უშვებს. ბარმენი მოღადავე ღიმილით ქვევიდან მიყურებს და თან ვიღაცას კოქტეილს უკეთებს. მოპირდაპირე მხარეს ბლანჟიანმა უცხოელმა (ბლანჟე, რიჟა თმები, კურნოსა ცხვირი და საყურე) სამ ყლუპში გამოცალა ერთი კათხა ლუდი...

...მაგრად მწყურია, პირს ძლივს ვაწკლაპუნებ... ადამიანს 40 თუ 42 დღე შეუძლია უწყლოდ გაძლება... ალბათ, მეც გავძლებ... მაგრამ ამდენ ხანს გამაჩერებენ აქ? რატომ მომიტაცეს? არა, უნდა გავიხსენო, ვინ და რატომ მომიტაცა!

...შტრო - ცეცხლი ერთი შებერვით ჩავაქრე, მოვიყუდე და შაქარიც მივაყოლე - გულის რევის შეგრძნება მაქვს; ფოკუსი აირია; აქამდე გაორებული სახეები ერთმანეთში გადაიზილა; ხმებმა სიმკვეთრე დაკარგა და ყრუ გუგუნში გადაიზარდა... გადღაბნილი სილუეტებიდან ნიღბიანი ტიპი იარაღის ლულას მიშვერს. ...თვალები თავისით მეხუჭება, გუგუნი და ადამიანების აზელილი ხმები კიდევ უფრო ირევა ერთმანეთში. - ასე მშვიდად რატომ ვარ?

...რაღაც ხმაურია - საუბარი მესმის ძალიან მოგუდულად. იქნებ დავუძახო საშველად? -ისინი რომ იყვნენ? - ესენი ისინი რომც არ იყვნენ, ისინი ყვირილს მაინც გაიგონებენ. - და ვინ არიან ისინი? ტერორისტები? - არა, ტერორისტებს პოლიტიკური მოთხოვნები აქვთ, ან რელიგიური ფანატიკოსები არიან. - აქ რა უნდათ რელიგიურ ფანატიკოსებს? - რა მაგარი იქნება, შალიკო რომ მოთხოვნას წამოაყენებს: „ვიდრე ნაგავს დენიდან არ მოხსნით, საათში თითო კაცს გამოვასალმებ სიცოცხლეს!" - სხვებიც ყავთ ნეტა? ნიკუშას ასთმა აქვს, ამ სიტუაციაში დიდხანს ვერ გაძლებს. - გამოსასყიდს მოითხოვენ? - მამაჩემს კიდევ ეგ უნდა?! ალბათ, გადაიხდის და მერე თვითონ მომკლავს!

...სამი კვირის წინ მამაჩემს ინსტიტუტიდან შეტყობინება მიუვიდა: „ორ დღეში თუ არ დაფარავთ სწავლის საფასურს, თქვენი შვილი ჩაითვლება გარიცხულად, ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულების 3.4 პუნქტის შესაბამისად". - ეს სწორედ ის 1500 დოლარია, წითელს რომ ვენდე და 12-ჯერ ზედიზედ შავი ამოვიდა. ...მამაჩემმა სახლიდან გამომაგდო. კი არ გამომაგდო და გამოვასწარი. ის ღამე სანის წყნეთის აგარაკზე გავატარე. მეორე დღეს დედაჩემმა დამაბრუნა, თუმცა მამაჩემი დღემდე არ მელაპარაკება.

...ფეხის ხმა მესმის, რომელიც მიახლოვდება. აი, უკვე ჩემს თავთან არის. ...მაგრამ შეუჩერებლად ჩამიარა, რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ გაჩერდა, რაღაც ჩუმად ჩაიბურდღუნასავით და იგივე ტრაექტორიით უკან გაბრუნდა. ფეხის ხმა რაღაც ორმაგად ისმის, აი, ფლოსტებით რომ დადიან ხოლმე ისე, - წარმოვიდგინე ტერორისტი ნიღბით და კალაშნიკოვით, რომელსაც ფლოსტები აცვია და გამეღიმა.

...სიცივეს ვგრძნობ. გუგუნი აღარ ისმის. იღლიებში ვიღაცეების ხელები მაქვს ამოდებული და მიმათრევს. იღლიები მტკივა, მაგრამ ხმის ამოღების თავი არ მაქვს. თვალებს ვახელ, თავს (ანუ კისერზე

რაც მაბია) ვერ ვძრავ და თვალებით ასფალტზე მიმფორთხავ საკუთარ ფეხებს ვაფიქსირებ, რომლებიც მხოლოდ ოთხ-ხუთ ნაბიჯში ერთხელ თუ აკეთებენ მათთვის სავალდებულო მოძრაობას.

...გავოფლიანდი. ფეხები ცოტა მოვღუნე და ხელებიც გავამოძრავე. წყურვილმა თითქოს გადამიარა, მაგრამ თავი, ალბათ, საცაა გამისკდება. ხელ-ფეხი გახსნილი რატომ მაქვს? ანუ შეკრული რატომ არ მაქვს? ანუ ისეთ ადგილზე ვარ, რომ გაქცევის შანსი არ არის? –აუ, გამისკდა თავი! - მომკლავენ? - ალბათ, არა, რაში ვჭირდები მკვდარი? - და ამდენი ხანი რატომ არ დარეკეს ოჯახში? - იქნებ ადამიანების ორგანოებით ვაჭრობენ?

ისევ მესმის ყრუ საუბარი. აშკარად ტელეფონზე ლაპარაკობს. მგონი ქალის ხმაა. ზოგ სიტყვას ვარჩევ კიდეც: „უცებ მოვამთავრებ“, „კარგი“. ისევ ნაბიჯების ხმა, რომელიც მიახლოვდება. სუნთქვა მეკვრება, გული კი თანაბრად უმატებს ძალასა და სიჩქარეს, ლამისაა მკერდი ამომინგრიოს. ფეხის ხმა ნელი ნაბიჯით მიახლოვებს „მას“ და ამ დროს თითოეული წამი უსაშველოდ იწელება, ნაბიჯსა და ნაბიჯს შორის უფრო და უფრო დიდი დროითი სივრცე ჩნდება და სუნთქვა აღარ მყოფნის, შინაგანად ვგრძნობ, რომ ეს დასასრულია, დასასრული ჩემი უსაგნო ცხოვრების, ცხოვრების, რომლისგანაც მოსაგონარიც კი არ დარჩება არაფერი... დედაჩემის თვალები დამიდგა წინ!

...ჩემს ოთახში ნგრყ ირდს-ს ვთამაშობ, ურთულესი ტურია, ერთი წითელი ჩიტი დამრჩა ბოლო გოჭის დასაბრედად. დედაჩემმა ჩუმად შემომიღო ოთახის კარი და ვერმიშელით სავსე თეფში მაგიდაზე ფრთხილად დადო. ზუსტად ამ დროს „რაგატკა“ მოვქაჩე და... ჩიტმა მიზანს გადაუფრინა... თვალები დამიბნელდა... „რა დროს შემომიღებ ხოლმე რა!“ ეს იყო ამოღრიალებული ფრაზა, რომელიც გასროლილ ვერმიშელიან თეფშს მივაყოლე... დედა რეფლექსურად შემოტრიალდა, ხელები ერთმანეთისთვის ჩაეჭიდა და გულზე მიეკრო, შეშინებულმა ქალებმა რომ იციან, ისე. მაგრამ თვალები... თვალები, ალბათ, ყველაფერს ერთად გამოხატავდა, მოულოდნელობას, შიშს, კითხვას „რატომ“, დაკარგულ წლებსა და უპასუხო სიყვარულს, ცხრა თვესა და ოც წელიწადს, დიდ პატიებასა და უანგარო სიკეთეს... კარები მივუჯახუნე.

...სწორედ ეს თვალები მიდგას ეხლა წინ, თვალები, რომლებიც მარტონი იქნებიან შვილის დაკარგვით გამოწვეული დარდისა და სინანულის გულწრფელობაში. დედა, აი, ყველაზე ძალიან ვისი მოხმობა მინდა საშველად, მაგრამ სუნთქვა კვლავ შეკრული მაქვს. თავი მომავალი ხმისკენ გადავატრიალე, ვგრძნობ, თუ როგორ დამეჭიმა სახის ყველა კუნთი და როგორ ვიღებ ნელ-ნელა მუმიის ფიზიონომიას. ნაბიჯები შეწყდა, „ის“ უკვე მოვიდა და ნელ-ნელა იღება ჩემი „საკნის“ კარები. თითოეული გაღებული მილიმეტრი თითქოს საუკუნე გრძელდება. სხეულს ვეღარ ვგრძნობ. დაძაბულობისგან ძარღვები დასკდომაზე მაქვს. შემოსული სინათლე თვალებს მჭრის (დღე ყოფილა) და გაღებული კარიდან ქალის სილუეტი იკვეთება, რომელსაც ხელში მოგრძო რაღაც უჭირავს.

თვალებს ვხუჭავ და მთელი ჩემი გუშინდელი დღე ფაზლივით ეწყობა:

ნიღბიანი ტიპი იარაღს მიშვერს, მაგრამ უცებ მის ნაცვლად უეინ რუნი მსაჯთან კამათობს, ბართან მჯდომი ბლანჟიანი უცხოელი კი უკმაყოფილო ბუზღუნით ატრიალებს ტელევიზორის პულტს; მერე ნიკა და სანი მხრებით მიმათრევენ მანქანისკენ; სახლში ჩუმად ვახერხებ შესვლას და საკუთარ საძინებელში გარდერობში ვიძინებ. დიახ, გარდერობში, რადგან საწოლიდან გადასაფარებლის აღება დამეზარა.

...დიახ, ეს ჩემი საკუთარი საძინებელია, საკუთარ გარდერობში ვწევარ და თავზე მადგას საკუთარი დედა.

მგონი პირველად ხდება ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, როცა დედაჩემის გაოგნებულ, შეშინებულ, მაგრამ თანაგრძნობითა და სიყვარულით სავსე გამოხედვას თვალწყლიანი და ყურებამდე ახეული ბედნიერი ღიმილით ვპასუხობ.

...პირის გაუტოკებლად აღმომხდა:

- დეე.

ლევან ბეიტრიშვილი

მაია (მარინე) ქავთარაშვილი

ბზრიალა

(გასვლა)

ბზრიალა საიდან გაჩნდა არავის ახსოვს - თითქოს არც უყიდიათ გოგონასათვის და არც უჩუქებიათ. არადა, ერთ დილას დახვდა აივნის მესამე კიბეზე. მხართეძოზე წაკოტრიალებული და ზუსტად გაცვეთილი ლურჯი ზოლით მიწოლილ-მიყრდნობილი გაბზარულ ხის კიბეს. და ისე ორგანულად მიკვროდა ლურჯსაღებავაცლილ ჭრაჭუნა საფეხმავლო გზის დაბერებულ ფერს და ტკივილს - გოგონამ უცბად ვერც დაინახა მისი ეს გვერდი და ნახევარსფეროდ აღიქვა. როცა ჩამოფოფხდა უკუსვლით კიბემდე და გვერდით მიუჯდა - გოგონა მხოლოდ 8 თვის გახდა ამ გაზაფხულზე - ჯერ დიდზე დიდი თვალებით დააშტერდა, კაკლებში შეისრუტა და როგორც კი დატრიალდა და დაბზრიალდა ბზრიალა, მხოლოდ მაშინ დაახამხამა თვალები და წამწამების ჩრდილს შეაფარა თავი. მერე ხელი წაატანა. ოდნავ, მაგრამ საკმარისი გამოდგა, რომ გადაკოტრიალებულიყო და ჩაბზრიალებულიყო ჯერ კიდევ ნოტიო კოინდარში. გოგონა ისევ დატრიალდა, თავი აწია და ტაკოზე გადაიტანა სიმძიმე, მერე ციცქნა მკლავები აამუშავა და მუხლებით უმალ გადათვალა დარჩენილი ოთხი ცალი საფეხური.

ბრახ! და ისიც ბალახზე დაჯდა. ეგ არაფერი, ზოგჯერ, არც თუ იშვიათად, თავით ერჭობა ბალახში და სიცილს იწყებს. რა აცინებსო, კითხულობს დედა და თავს იქნევს, ცოტა არ იყოს დაფიქრებული, საკუთარი პირმშოს არაადეკვატურობასა და უცნაურობებზე. არა, მარტო ეს უადგილო სიცილი, ან

უკუსვლით ფოფხვა როდი აოცებს. აგერ, მაგალითად, სულ ახლახანს დადგა გოგონა საკუთარი ხის საწოლის კიდესთან, მიმოიხედა, გაიღიმა, როგორც იცის - ვითომ მონატრებულ არსებას შესციცინა და დაიწყო

- 1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13 - ამოისუნთქა, ისევ გაუღიმა უჩინარს და ხელახლა დაიწყო - 1,2,3,4,5,6,7,8,9,10, 11, 12, 13...

დედა და ბებია-ბაბუა სახლის სხვადასხვა კუთხიდან გამოიქცნენ და საწოლთან მოქუჩდნენ. ხმას არც ერთი იღებდა, თითქოს ეშინოდათ, რომ სიტყვა ამ არითმეტიკას გააქრობდა...

გოგონამ გადმოხედ-ახედა ამ უცნაურ არსებებს, ისევ თავისას გაუღიმა და მშვიდად, სვენებ-სვენებით, მაგრამ გამართულად და თავდაჯერებულად ჩამოთვალ-დათვალა. ცამეტამდე და მერე ისევ და ისევ და ისევ... ბოლოს დაიღალა, დაჯდა და ღიმილით გააგრძელა თამაში ნაჭრის თოჯინით.

შოკი სერიოზული იყო. აღუას ასაკში მყოფი გოგონა თავისით და უმიზეზოდ თვლიდა. ცამეტამდე, ადიოდ-ჩამოდიოდა და იღიმებოდა. რატომ ცამეტი? იმიტომ, რომ ცა მეტია, ვიდერე მხოლოდ სილურჯე? ამას, აბა, რას დაუდასტურებდა... და ვერც ჰკითხავდნენ.შეფიქრიანდნენ და შეშფოთდენ. მაგრამ, რაკი იმ დღეს მეტად ხმა არ ამოუღია, ცოტა გულს მოეშვათ - საკუთარ თავს არწმუნებდნენ - მოგვეყურაო. სამაგიეროდ, მეორე დილით გოგონამ დილა ისევ ასე დაიწყო - ერთი, ორი, სამი... და ისევ ცა-მეტამდე ავიდა და გაჩუმდა. უცვლელი ღიმილით დაბანტულ ტუჩებსა და გაბადრულ თვლებში.

ამის ვერგაგონება უკვე არ გამოდიოდა. და რაკი ადამიანი, როცა რამეს სახელს ვერ არქმევს, უბრალოდ უარყოფს და ივიწყებს - ოჯახმაც იგივე გააკეთა - ვითომ პატარა არც არაფერ უჩველოს არ აკეთებდა, როცა დგებოდა თხელ და უცნაურად ძლიერ ფეხუნებზე და გაღიმებული შესციცინებდა უხილავ წერტილს და ითვლიდა. მხოლოდ ცამეტამდე. ასე გაგრძელდა რამდენიმე თვე, იქნებ ცამეტი კვირა - არავის დაუთვლია... ამასობაში გოგონამ სიმღერა ისწავლა და უფრო ხშირად ღიღინებდა საკუთარ ენასა და მოტივზე. სიტყვები უცნაურად ერთიდაიგივე იყო, მელოდიაც - ამას ისევ რამდენიმე კვირის შემდეგ მიხვდნენ. მიაყურადეს. გოგონა მღეროდა უცნაური სიჯიუტით რაღაც სიმღერას და გაუგებარ სიტყვებს ხან ჩურჩულით, ხანაც გაბედულად და წკრიალა ხმით ამღერებდა...

როცა ბზრილას დაუჯდა გვერდით და თავი გაიქნია, თითქოს შეამოწმა, ადგილზე ხომ მაქვსო - ცხვირი მიუახლოვა და დაყნოსა - ეს გოგონას კიდევ ერთი უცნაური ჩვევა გახლდათ. ყველაფერს ყნოსავდა. დედას, ნაჭრის თოჯინას, პეპელას, ჰაერს, წყალს, საჭმელს, რომელსაც მხოლოდ ყნოსავდა და ნებით პირში არც იკარებდა. ბზრიალას სიცივის და სილურჯის სუნი ასდიოდა. და კიდევ საიდუმლოს სუნი ჰქონდა. ეს გოგონამ მაშინვე შეიყნოსა და დაიმახსოვრა. რადგან უკვე მერამდენე დღეა ელოდებოდა დანაპირებს. და იცოდა,რომ მოაგნებდნენ და იპოვნიდნენ. და ამ სივრცეში მარტოობის გაუსაძლისი სიჩუმე დასრულდებოდა. ამიტომ მღეროდა და უხმობდა იმას, ვისაც უნდა ეპოვნა და დახმარებოდა. მაგრამ, ყოველდღიურად უფრო და უფრო უძნელდებოდა იმის გახსენება, თუ ვის უმღეროდა, რატომ იყო საშველად საქმე და სად უნდოდა ასე გამძაფრებულად გასვლა და რატომ სტკიოდა სადღაც შიგნით და უხილავად ღამე და სიზმრად, როცა ტიროდა და ვიღაცას უმტკიცებდა, ასე არ მინდა, უბრალოდ არ შემიძლია, ვერ გავძლებ აქ და მარტო...

ბზრიალა იყო მისთვის. ცაზე მეტი და გასაღები მისი სამყოროსკენ გასასვლელი ბილიკების. გაახსენდა, ამ ბზრიალათი დაეხვა მაშინაც თავბრუ, როცა აქეთ გადაწყვიტა წამოსვლა. ჩაესმა ისევ ხმა, როგორი ნაცნობი, როგორი ცრემლიანი და განწირული!

- არა! არ გაყვე! დარჩი ჩემთან! არ დამტოვო....

- არსად არ წავალ, მალე მოვტრიალდებიიი - და გაწყდა სადღაც ეს ხმა, ეს დანაპირები და დატრიალდა ლურჯი ზოლები, დაბზრიალდა და მეცამეტე საფეხურამდე აიტაცა. ცა იყო ლურჯი და მეწამული ერთდროულად. თითქოს გაიყო ორად და შუაში იდგა სიჩუმე და იყო ვიწრო, უხილავი ბილიკი, რომელიც ულმობლად იზიდავდა და ისრუტავდა. უკვე აღარ უნდოდა, მაგრამ ძალა არ ჰქონდა, უკან დატრიალებულიყო. რამე ეღონა და თუნდაც დაეყვირა. სრულად შეისრუტა ამ შუა ზოლმა და ისე დააბზრიალა, თვალებში დაუტრიალდა მთელი სამყარო, ყველა მოგონება და ყველა ფერი, რაც უყვარდა, იცოდა და უნდოდა ყვარებოდა და სცოდნოდა... მერე იყო სიჩუმე, სიბნელე და სინოტივე. გაუსაძლისი სივიწროვე და გაუგებარი ყრუ და შორეული, რიტმული, თითქოს წყლის წვეთის დაცემა ბლანტ ზედაპირზე. ეს რიტმი აძლებინებდა, იმედის ციცქნა ნაპერწკალს უღვივებდა და მას მიჰყვებოდა... მერე ეს ხმა ისევ

ჩაესმა და ახლა გარედან დაინახა კიდევაც - უცნობი ქალი უყურებდა და ვერ ცნობდნენ ერთმანეთს. მხოლოდ გულის ცემა ეცნო გოგონას. და უცბად დაიკივლა!

- აქ არ უნდა ვიყო! გამიშვით აქედან... შემეშალა...

ქალმა მხოლოდ გაუღიმა და ხელში აიყვანა - მისი უსუსური ბაგედან მხოლოდ გაუგებარი კივილ-ტირილი ამოხეთქა ფილტვებმა და მოგონებამ...

მას მერე არაერთხელ ითხოვდა ამ შეცდომის გამოსწორებას, მაგრამ არავის ესმოდა მისი. და სიჩუმეს დაუბრუნდა. და დაიწყო გამოსავალის ძიება. და აკი იპოვნა! გაიხსენა მაშინდელი საიდუმლო გათვლა და მერე სიმღერა - შელოცვა და დაუღალავად იმეორებდა, უხმობდა და თავს არ ანებებდა იმას, ვინც ასე ენატრებოდა და ვინც ასე დაუფიქრებლად დატოვა. და ხედავდა - ისიც გაუსაძლის ტკივილს ებრძოდა და გამოსავალს დაეძებდა და ითხოვდა. და აგერ იპოვა. ფეხებთან ბზრიალა ლურჯი და ჩასუქებული გვერდებით ცვრიან ბალახზე იწვა. რაღაცას აგონებდა გოგონას ეს უცნაური გზავნილი. და ამის გახსენება იყო ასეთი მტიკვნეული და თითქმის შეუძლებელი, თან აუცილებელი! ჩასუნთქვა-ამოსუნთქვასავით სავალდებულო!.. ეცნობოდა, ხედავდა, ხელით ეხებოდა და მაინც ვერაფერს ახერხებდა. თითქოს თვალებზე ნისლი გადააფარეს, თითქოს ყურები დაუხშეს ერთბაშად და სიმღერაც დაუკარგეს... საერთოდ აღარაფერი დარჩა, როცა ამ ბზრიალას მიუჯდა. მაგრამ დანამდვილებით გრძნობდა - სხვა უკვე არც აღარაფერია საჭირო. მთავარი პრიზი მოიგო! და აუცილებლად გაუგებს ასავალ დასავალს და მოუძებნის გასაღებს...

- ისევ ბალახში ზიხარ, გოგონა! გაცივდე გინდა? რა მოუსვენარი ხარ, ხომ არ დაგაბამ, ბოლო-ბოლო! - დედა წყენით და უკვე თავგაბეზრებულიც, ამდენი ფორთხიალ-გორიალით, დასწვდა გოგონას და შვიდივე კიბე აატარა და სახლში დასვა გახუნებულ, მაგრამ რბილ და თბილ ხალიჩაზე. გოგონამ დედას ზურგს უკან დაინახა, როგორ გაქანდა წყენით ბზრიალა და შეჰკივლა! ამომიტანეთ! მალე, სანამ დაკარგულა...

ამათ როდის რა ესმოდათ?! საღამომდე არავის შეუმჩნევია ახალი გასართობი და უცხო სათამაშო. და გოგონას ჭირვეულობა ცივ და ნოტიო ბალახს დაბრალდა... საღამომდე, როცა ვენახიდან დაბრუნებულმა პაპამ ფეხი წამოჰკრა, დაიხარა, ხელში აიღო, შეათვალიერა და ისევ კიბეებზე ამოატარა. მერე ბებოს მიუტანა, გაწმინე, ნახე როგორი ბინძურია, რას ყრით ბავშვის სათამაშოებს მიწაზეო. ბებომ, კი გადაუსვა ნოტიო ტილო, მაგრამ შეიცხადა - არ ვიცი რა არის ეს და საიდან აღმოჩნდა მიწაზე და საერთოდ ჩვენს ეზოშიო. ალბათ, დედამ მოუტანაო გოგონას. მოკლედ, ბზრიალა ისევ ოთახში დადეს და გოგონამ როგორც კი დაინახა, მისკენ ჭყლოპინით გაფორთხდა...

მას მერე სადაც გოგონა იჯდა, იდგა და იწვა - ბზრიალაც იქ უნდა ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში ისეთ კივილს ამოუშვებდა, დაუჯერებელ მეცო-სოპრანოს!

სამაგიეროდ, აღარსად დაგორაობდა და არც თავით ერჭობოდა. იჯდა გასუსული და ბზრიალას დაშტერებოდა. ხან ხელს გაკრავდა, ხან ფეხს და ხან უცინოდა, ხანაც ჩვეულ მეცო-სოპრანოს მიაყოლებდა...

დაზამთრდა, გოგონას პირველი ნაძვის ხე არ ახსოვდა. თითქმის. ახლა კი თვალს ვერ აშორებდა ჭრელა-ჭრელა ხეს და რაღაცა ახსენდებოდა. რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი. უკვე გამართულად დარბოდა თავის თხელ და წვრილ და მტკიცე ფეხუნებით. და უკვე ხელით დაატარებდა ერთადერთ საყვარელ სათამაშოს. არსად დებდა და არავის აკარებინებდა ხელს. სხვა არც ერთი თოჯინა და ბურთი არ აინტერესებდა. უყვარდა სიჩუმეში მარტო დარჩენა და ბზრიალასთან თამაში. არც საჭმელი გაახსენდებოდა და არც არაფერს მოითხოვდა.

- რამდენადაც უცნაური იყო ჩვილი, იმდენად მშვიდი გასასზრდელია ახლა, - უხაროდა დედას, მაგრამ მაინც გული ეწურებოდა შვილის უცნაურ მზერასა და ახირებულ სათამაშოს გახსენებაზე.

საახალწლოდ მამას ელოდნენ. როგორც იქნა, ნახევარწლიანი მივლინებიდან ბრუნდებოდა და ისეთი სამზადისი იდგა პატარა ხის სახლში, არავის ეცალა გოგონოსთვის და მისი უცნაური სათამაშოსთვის. გოგონა იჯდა ახლადმორთული ნაძვის ხის ქვეშ. ისუნთქავდა ახლადმოჭრილი ნაძვის ტკბილ და მომწარო სურნელს და ამ სურნელის თავბრუდამხვევ სიბლანტეში ნელ-ნელა იძირებოდა. ბზრიალა მუხლებთან იწვა. გოგონა მერამდენად მიაშტერდა და თითქოს შიგნიდან, აი, იქიდან, სადაც სულ გრძნობდა ტკივილს და უხმო ხმას - თითქოს ხელი ჰკრეს და გოგონა წელში გაიმართა. ახლა! მოვიდა დრო. აი, ახლა ან ველარასოდეს. უნდა გადა-

წყვიტოს. უკვე რაღაც ხანია მიაგნო ბზრიალას საიდუმლოს და თითქმის დარწმუნებული იყო, რომ შეძლებდა გასვლას, თუ თვალებდაუხამხამებლად მიაშტერდებოდა ლურჯი ზოლების გამალებულ ტრიალს და გაჰყვებოდა იქამდე, სადაც გაიხსნებოდა ის ვიწრო და საბედისწერო ბილიკი. მაგრამ ამას ვერა და ვერ ბედავდა. თითქოს არ უშვებდა რაღაც შიგნიდან, აი, იქიდან, სადაც სულ ახსოვდა ის თვალები და ხმა - არა!!!!!!!!!! არ წახვიდე, დარჩი ჩემთან!

დღეს, ან აღარასოდეს! მაგრამ აქ უკვე ყავს ადამიანები, ვისაც დააკლდება და ეტკინება უმისობა. და ის? ის ხომ იქ სულ მარტოა და ისევ იქ დგას და ამდენი იწვალა! შეუძლებელი მოიხერხა და ბზრიალა გამოუგზავნა! უნდა გავიდეს, უნდა გაჰყვეს ამ ლურჯ უწყვეტ ხაზს და დაბრუნდეს... გოგონა მუხლებზე დადგა, ბზრიალას ცივი და დაჟანგებული ცენტრიდან ამოქაჩა ღერძი, მერე რაც ძალა ჰქონდა, სუსტ მკლავსა და თითებში, ჩააბრუნა, ისევ ამოქაჩა და ისევ! ცამეტჯერ! ცა რომ მეტი ყოფილიყო, ვიდრე...

დატრიალდა ბზრიალა, გაერთიანდა ზოლების სფერო და ელიფსი ერთ სწორ ხაზად იქცა, მერე წერტილამდე დავიდა და უცბად გაწყდა - გაიხსნა! ისევ იქ იდგა, ისევ ლურჯი და მეწამული იყო ცა და შუაში გადიოდა უხილავი ბილიკი! სასწრაფოდ, ახლავე, და ისევ... გოგონა მთელი არსებით წაიზიდა და გადაიხარა... შეჰყვა სილურჯეს და მეწამულს და გაისუსა სადღაც, სადაც არც ფერი იყო და არც არაფერი...

ოთახში ბზრიალა ტრიალებდა და ტრიალებდა... ახალი წელი მოდიოდა... ახალი სიცოცხლით და ძველი ბზრიალა ლურჯი, გახუნებული მრგვალი გვერდებით ვერა და ვერ ჩერდებოდა...

მაია (მარინე) ქავთარაშვილი

სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჟურნალისტი, ღ - ტექნოლოგი, პიროვნული ზრდისა და წარმატების ქოუჩი (მწრთვნელი - კონსულტანტი). არის რამოდენიმე ასეული პუბლიცისტური და სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. სასწავლო და ტურისტული პროექტებისა და პროგრამების ავტორი. ხოლო 2015 წლიდან დაიწყო, საკუთარი თავისთვისაც სრულიად მოულოდნელად, რომანების, ზღაპრების, ნოველების და ბოლოს, ლექსების წერაც. ამ ერთი წლის მანძილზე დააგროვე ათასამდე ლექსი - ქართულ და რუსულ ენაზე, რამოდენიმე რომანი, ასევე ქართულ და რუსულ ენაზე. ავტორი და თანაავტორია რამოდენიმე პროზაული კრებულისა.

მაია ქავთარაშვილის ნაწარმოებების გაცნობა შესაძლებელია „საბას“ ელექტრონული ბიბლიოთეკის თაროებზე - „მარას წიგნები“ და რუსულ პროზისა და პოეზიის საიტებზე.

ავტორი ამზადებს დასაბეჭდად ზღაპრების ილუსტრირებულ კრებულს და იმედს იტოვებს, რომ მისი სამყარო პატარებისთვისაც გახდება საინტერესო და სასურველი.

კონსტანტინე ქარდავა

„კუსტოს" დაღუპვა

"და უბრძანა უფალმან ვეშაპსა დიდსა შთანთქმად იონა"

ფინჯანში მოქაფქაფე ყავა ოდნავ შეტორტმანდა. ეტყობა, ბატისკაფი რაღაც დაბრკოლებას შეეჯახა. რიჩარდმა მაგიდაზე დახვავებული ფურცლებიდან თავი აიღო და თავისი კაბინის ჭერს შეხედა, მომარჯვებული კალამი კი ნერვიულად შეათამაშა თი-თებში. იქვე ეგდო მისი ტაბლეტი და მობილური ტელეფონი, თუმცა მათ უკვე მეათე დღეა ვეღარ იყენებდა, რადგანაც ზუსტად ამ ხნის განმავლობაში ოკეანეთის შორეულ ჯურღრმულებში, ფილიპინების ზღვის ზედაპირიდან ცხრა მილის სიღრმეზე მიცურავდა უმტკიცესი ტიტანის ბატისკაფ "კუსტოში". და თან რაც ყველაზე უარესი იყო, ის ექსპედიციის დაწყებამდევე წინასწარმეტყველებდა მოსალოდნელ კრახს.

მან კიდევ ერთხელ დახედა ფურცლებს, სათვალე მოიხსნა და თითებით თვალები მოისრისა. ჭერზე ჩამონტაჟებული ნათურების კაშკაშა შუქი სათვალის მინებში აცილადა და ფერადი ფოტოგრაფიებიც უფრო მჭახედ გამოაჩინა. ყველა მათგანზე კაშალოტი იყო აღბეჭდილი, ხოლო გვერდით წვრილი შრიფტით სამეცნიერო პუბლიკაციების ტექსტები იკითხებოდა. კაბინის კუთხეში დაჭმუჭნული გაზეთი ეგდო – როგორც ჩანდა, წესიერი და მუდამ გაწონასწორებული ბიოლოგიის პროფესორი რაღაცას საშინლად გაებრაზებინა. გაზეთის პირველ გვერდზე დიდი ფოტოსურათი გამოეჭიმათ, რომელზეც პალმების ჩრდილიდან დანახული ფილიპინების ზღვა მოჩანდა, ხოლო ზღვაში კი ზემოთ აშვერილი ორად გაყოფილი კუდის ფარფლები. სურათის ქვეშ მსხვილი შრიფტით დაებეჭდათ სათაური: "სენასაციური ფოტო – მელვილის ლევიათანის არსებობის დამადასტურებელი ფაქტი".

რიჩარდმა სათვალეები კვლავ ცხვირზე დაიკოსა და სწორედ იმ გაზეთისაკენ მიატრიალა თავი, პირი სიძულვილით მომუწა და გაზეთის დაჭმუჭნულ ფურცლებს ხელი სტაცა, მაგიდაზე გაასწორა, ხელის გულით დააუთავა და უგულოდ გადაშალა. პირველივე გვერდზე იგივე ფოტო იყო გამოტანილი, ხოლო მის გვერდით მობი-დიკის პირველი

ამერიკული გამოცემის სატიტულო გვერდი მოჩანდა. რიჩარდმა ხელახლა დაიყო სტატიის კითხვა:

"ჰერმან მელვილმა მეცხრამეტე საუკინის ამერიკული ლიტერატურის განვითარებაში შეუფასებელი წვლილი შეიტანა ['ოჰ, ეს ბრტელ-ბრტყელი სიტყვები და უშინაარსო ჟუ-რნალისტური სტილი"- გაიფიქრა რიჩარდმა], მან შექმნა ამერიკული რომანტიზმის საუკე-თესო ნაყოფი "მობი-დიკი ანუ თეთრი ვეშაპი", რომელიც როგორც მინიმუმ ყველას სმენია – ვის არ უოცნებია ბავშვობაში კაპიტანი აქაბივით..."

- არა მგონია ბავშვობაში ვინმეს ამ გაუგებარი და მტანჯველი წიგნის აღება თავში მოსვლოდა, მისტერ სტივენ, - უკვე ხმამაღლა თქვა რიჩარდმა, როცა სტატიის ავტორის სახელს შეავლო თვალი და კითხვა პირდაპირ მეორე აბზაციდან განაგრძო:

"დიდი ხნის მანძილზე თეთრი კაშალოტის არსებობა მხოლოდ მწერლის ფანტაზიის ნაყოფად მიაჩნდათ, და ამას ისევე ვერ იჯერებდნენ, როგორც თავის დროზე თეთრი ლომის ან თეთრი ვეფხვების არსებობას. აქამდე გაბატონებული იყო ორი ვერსია: რომ მელვილის ლევიათანი გემ "ესექსის" გამანადგურებელი კაშალოტის ლიტერატურული ანალოგი იყო (თუმცა გადარჩენილი მეზღვაურებიდან არავის უთქვამს, რომ ვეშაპი თეთრი იყო), ხოლო მეორე ვერსიის თანახმად აღმოსავლეთ ჩილეს მახლობლად მდებარე კუნძულ მოჩასთან მოკლული ვეშაპი იყო მწერლის შთაგონების წყარო. ჯერემიაჰ რეინოლდსი ლიტერატურულ ჟურნალ "ნიკერბოკერში" აღნიშნავდა, რომ "ეს იყო ბებერი ხვადი ვეშაპი, უზარმაზარი ზომისა და ძალის.. თეთრი ვითარც ცხვრის მატყლი". ორი თვის წინ ფილიპინელმა სენიორ მარკოს ბორნშტაინმა კუნძულ მინდანაოს სანაპიროზე თვალი მოჰკრა თოვლივით თეთრ კაშალოტს, რომელმაც ჰაერის ჩასასუნთქად რამდენიმე წამით ამოყვინთა, კეფაზე მდებარე სასუნთქიდან წყლის შადრევანი.. [აქ რიჩარდმა ლამის მეოთხედაც დაუპირა ამ გაზეთს დაჭმუჭნვა. თუმცა მალე დამშვიდდა "არაპროფესიონალ ჟურნალისტს რატომ უნდა მოვთხოვოთ იმის ცოდნა, რომ ვეშაპები სასუნთქიდან წყალს კი არა, ჰაერის ნაკადს უშვებენ, ხოლო წყლის წვეთები ამ ნაკადს მოჰყვება ხოლმე, რაც შადრევნის ეფექტს ქმნის. თუმცა სტა-ტიის დაჯღაბნამდე გუგლში ორ ხაზზე მეტი მაინც, რომ წაეკითხა, კარგი იქნებოდა), და უკანვე ჩაყვინთა. საბედნიეროდ მარკოსს თან აღმოაჩნდა ფოტოაპარატი და წყნარი ოკეანის ეს ეგზოტიკური ბინადარი ფოტოზე აღბეჭდა. აღნიშნულმა ფოტომ დიდი აჟიო-ტაჟი გამოიწვია მეცნიერულ წრეებში. უპრეცედენტოდ მოკლე ვადებში დაინიშნა ექსპედიცია, რომელიც ფილიპინების ზღვაში თეთრი კაშალოტის მოძებნას და დისტანცირებულ შესწავლას განახორციელებს. ამ წყალქვეშა ექსპედიციის წევრად მოწვეულია ლონდონის ზოოლოგიური საზოგადოების გამოჩენილი წევრი, წყალქვეშა ფაუნის მკვლევარი სერ რიჩარდ მენსფილდი. იგი თავიდან კატეგორიულად უარობდა ექსპედიციაში მონაწილეობას რადგანაც თეთრი ვეშაპის არსებობას სკეპტიკურად უყურებდა, და მხოლოდ მას შემდეგ დასთანხმდა, როცა უთხრეს, რომ მას მიეცემოდა შესაძლებლობა ფილიპინების ზღვის სხვა ბინადრებზეც ეწარმოებინა დაკვირვება. თუ რა იყო გამოჩენილი მეცნიერის ამ ხანგრძლივი პროტესტის მიზეზი და რა შედეგებს მოელის ის ამ ექსპედიციიდან, ამას თავად მისგან გავიგებთ.

- მოგესალმებით, მისტერ რიჩარდ!

- მოგესალმებით!

- მისტერ რიჩარდ, შეგიძლიათ მკითხველთა ფართო აუდიტორიას განუმარტოთ, რატომ არ გჯერათ თეთრი კაშალოტების არსებობის?

- უპირველეს ყოვლისა, გთხოვთ, ნუ გამოვიყენებთ ტერმინებს "არ გჯერათ" ან "გჯერათ". ჩვენთვის მეცნიერებისთვის ეს სიტყვები საუკეთესო შემთხვევაში ღიმილის მომგვრელია. ერთხელ ჩემმა კოლეგამ ოკეანოლოგმა ამგვარად უპასუხა შეკითხვას თოვლის კაცის არსებობის შესახებ: "ძალიან კი მინდა დავიჯერო, მაგრამ ამისათვის არავითარი საფუძველი არ გამაჩნია." სიტყვები "საფუძველი არ გაგვაჩნია" ნიშნავს იმას, რომ საკითხი შესწავლილია, ხოლო შესწავლის პროცესში გამოვლინდა, რომ არ გაგვაჩნია საფუძველი თავდაპირველ ცნობებს ვენდოთ. სწორედ ეს გახლავთ მეცნიერული მიდგომის ფორმულა "მსურს მჯეროდეს", მაგრამ რაკი "საფუძველი არ გაგვაჩნია", ე.ი. ამ რწმენაზე უარი უნდა ვთქვათ.

- და რატომ არ გაგვაჩნია საფუძვლები?

- მოგახსენებთ. აი, ამჯერად კითხვა თქვენ პროფესიონალურად და სწორად დამისვით (იღიმება). ზოგადად, აქედანვე შევთანხმდეთ, რომ სიტყვა "ვეშაპის" გამოყენებისას მხედველობაში გვექნება ჰყსეტერ მაკროცეპჰალუს ანუ სპერმაცეტიანი ვეშაპი, ან კაშალოტი – აქვე გამოგიტყდებით, რომ მე ვერიდები "სპერმაცეტიანი ვეშაპის" ხსენებას, რამდენადაც ეს სახელი ისტორიულია და თანაცმცდარი. მოგეხსენებათ ადრე კაშალოტის თავისქალაში არსებულ ორგანულ ჩ10-ჩ22 ის ნივთიერებას შეცდომით რეპ-როდუქციული ფუნქციები მიეწერ-

ბოდა. ამიტომაც მას სპერმაცეტი უწოდეს, ხოლო თავად ვეშაპს "სპერმაცეტიანი".. მაშ ასე, როცა ზოგადად ვეშაპებზეა საუბარი, თეთრი ვეშაპები დიახაც არსებობენ არქტიკულსა და სუბ-არქტიკულ ზონებში. მისი ტაქსონო-მიური სახელწოდებაა ელ-პჰინატტერუს ლეუცას ანუ ბელუგა. თუმცა ჩვეულებრივმა მკითხველმა რომ კარგად გაიგოს, განგიმარტავთ, რომ ბელუგა, ისევე როგორც ნარვალი განეკუთვნება ვეშაპების აბსოლუტურად უნიკალურ ოჯახს – ონოდონტიდაე-ს ანუ ცალკბილებს, ხოლო ჩვენ მიერ განხილვადი კაშალოტი განეკუთვნება სულ სხვა ოჯახს "დიდთავიანებს" ანუ ჰესეტერიდაე-ს. მსურს ხაზი გავუსვა ასევე იმ გარემოებას რომ კაშალოტი თავისი ოჯახის ერთადერთი წარმომადგენელია და ჩვენთვის არ არის ცნობილი არც ერთი სხვა ქვესახეობა. კაშალორის გარეგნობა ერთობ განსაკუთრებულია, დამ ას სხვა სახეობის ვეშაპებში ვერ აურევ. ახლა კი დავსვათ შე-კითხვა: რა ფერისაა ის? ამ ძუძუმწოვარმა ძველ ვეშაპთმჭერებში მიიღო ჟარგონული მეტსახელი "ქლიავი" თავისი მუქი შეფერილობის გამო, თუმცა ხშირად გადაჰკრავს მოლურჯო ფერი. ასევე მათ მუქ-შავ შეფერილობაში გამოერევა ყავისფერი ტონები (რაც განსაკუთრებით შესამჩნევია, როცა ზედაპირზე ამოდის და მისი სხეული მზის სინათლეს აირეკლავს). გვხდება ასევე მურა და თითქმის შავი კაშალოტები, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს მხოლოდ ვარიაციებია ფერებში, და არავითარი ცალკეული სახეობები. ანუ როცა, თეთრ კაშალოტზე ვსაუბრობთ, სავარაუდოდ მხედველობაში გვაქვს ალბინოსი წარმომადგენლები, და არა სახეობები, როგორიცაა ვთქვათ ბევრი ჩემი კოლეგის მიერ კონტრარგუმენტად ნახსენები თეთრი ლომი ან ვეფხვი..

- ანუ თქვენ უშვებთ ალბინოსი კაშალოტის არსებობის შესაძლებლობას?

- იცით, რა არის.. ალბინიზმი ზოგადად ნებისმიერ სახეობაში შეიძლება შეგვხვდეს, ამის მთავარი მიზეზი ფერმენტ თინოზინაზის არარსებობაა, რომელიც პიგმენტ მელანინის ნორმალურ სინთეზზეა პასუხისმგებელი.. მე მინახავს ალბინოსი კუზიანი ვეშაპის ფოტო, რომელიც ასევე ერთადერთი წარმომადგენელია თავისი გვარის, თუმცა მე მაინც სკეპტიკურად ვუდგები ამ საკითხს.. წერილობითი წყაროები თეთრი კაშალოტის შესახებ არის ჯერემიაჰ რეინოლდსის მიერ აღწერილი მოჩა დიკი, მაგრამ არ გამოვრიცხავ აქ მწერლურ მისტიფიკაციას ჰქონდეს ადგილი. ვიმსჯელოთ თეთრ კაშალოტებზე რეინოლდსის ან მელვილის შრომების საფუძველზე, იგივეა წითელქუდას საფუძველზე ვამტკიცოთ მოლაპარაკე მგლების არსებობა.

- თემას ოდნავ გადავუხვევ და გკითხავთ, რას ფიქრობთ მელვილის რომანის შესახებ?

- (მხრებს იჩეჩს) პირდაპირ გეტყვით, რომ არ მიყვარს მხატვრული ლიტერატურე დ ავერ ვხვდები, რა როლი აკისრია ადამიანთა ინტელექტუალურ განვითარებაში. მაგალითად, სიყვარულის რეალური არსის გასაგებად ინფორმაციული თვალსაზრისით უფრო სასარ-გებლო და მნიშვნელოვანია ორგანული ქიმიის წიგნების კითხვა, ვიდრე შექსპირის პიესის. მელვილის რომანთან სკოლის პერიოდში მქონდა შეხება – სხვათაშორის, მაშინ ამ უზარმაზარ წიგნში ჩართულ სამეცნიერო სტატიებს ცხოველი ინტერესით ვკითხულ-ობდი, თუმცა ამ თვალსაწიერიდან გეტყვით, რომ იქ მოცემული ფაქტების უმრავლესობა მოძველებულია და არაზუსტი. თუმცა კითხვისას ორი რამ მაღიზიანებდა- სტილის ნაძა-ლადევი მაღალფარდოვნება და ბიბლიურ-მითოლოგიური ალუზიების სიუხვე. მე ზოგადად ათეისტი ვარ, როგორც ნებისმიერი საღად მოაზროვნე ადამიანი, და უბრალოდ მაცოფებს იუდეურ-ქრისტიანული მითების და ზოგადად არა მარტო აბრამისტული რელიგიების ხსენება.. ნაწარმოების მხატვრულ მხარეს რაც შეეხება, აქ გავჩუმდები, ზემოხსენებული მიზეზის გამო.

- კეთილი, დავუბრუნდეთ თემას.. თქვენი აზრით ამ ფოტოზე რაიმე ფალსიფიკაციას აქვს ადგილი?

- არა, მე არ მსურს მსგავსი რადიკალური პოზიციის დაკავება – მე არ ვფიქრობ, რომ აქ იგივე შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც ეს მაგალითად ქირურგ კენეტ უილსონის ფოტოა, რომელზეც ვითომც ლოჰ-ნესის მონსტრია გამოსახული. შეგახსენებთ ფაქტს, რომ 1960 წელს აერონავტმა ტიმ დინსდეილმა ნოჰ-ნესის ტბა ზემოდან გადაიღო და მასში ვეება გრძელი ობიექტის მოძრაობა დააფიქსირა. ეს ვიდეო უბრალოდ იუთუბშიც შეგიძლიათ ნახოთ – ვიდეო ნამდვილია, მაგრამ თვით იმ ობიექტის დანახვა გარკვევით შეუძლებელია. ჩემი აზრით, ეს სავარაუდოდ ნავია, მაგრამ ამის დაბეჯითებით თქმა არ შემიძლია, ნესის არსებობის მომხრეები თავის მხრივ იტყვიან, რომ ობიექტი რეალურად დინოზავრია, მაგრამ ბოლომდე ამას ისინიც ვერ დაამტკიცებენ, და სწორედ, ამგვარი ბუნდოვანებებო წარმოშობენ დაუსრულებელ კამათებს, რომლებშიც მე არ ვებმები ხოლმე. იგივე შემთხვევაა ეს ფოტოც, აქ კარგად არაფერი ჩანს ვეშაპის ორადგაყოფილი ფარფლის გარდა. ჰო, დამავიწყდა მეთქვა, ზოგიერთ მამრს ფარფლების

უკან ყვითელი ან თეთრი ლაქები აქვთ. ასეთივე თეთრი ლაქები აქვთ მათ ხახის გარშემო – არსებობს, ჯერაც დაუდასტურებელი ჰიპოთეზა, რომ თეთრი ლაქები (თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ თეთრადგილებზე სიბნელე-ში მანათობელი ბაქტერიები სახლდებიან), კალმარებს იზიდავს. კალმარები კი კაშალო-ტის საყვარელი საკვებია. ასე რომ, სურათზე შეიძლება ჩვეულებრივ კაშალოტს ვხედავ-დეთ.

- და ყველაფერ ამის შემდეგ თქვენ მაინც თანხმდებით ექსპედიციაში მონაწილეობაზე?

- კაპიტანი შემპირდა, რომ ბატისკაფი წყლის ზედა ფენებშიც აიწევს, რათა მე ფილიპი-ნების ზღვის ეგზოტიკურ ფაუნაზე დაკვირვება განვახორციელო. იმედი მაქვს, სიტყვას უკან არ წაიღებს.. მე ვვარაუდობ, რომ იმ წყლებში ჩვენთვის ჯერაც უცნობი სახეობის თევზების და ქვეწარმავლების აღმოჩენაა შესაძლებელი.

- საუბრის ბოლოს გკითხავთ, რა მოხდება, თქვენმა პროგნოზმა კრახი რომ განიცადოს? რა მოხდება, მართლა რომ მიაკვლიოთ თეთრ კაშალოტს და თანაც არაალბინოსს?

- გამიხარდება (იღიმება) და ჩემს სახელს დავარქმევ ჰყსეტერ ენსფილდუმ.. (იცინის) მე იმ დონის ათეისტი ვარ, რომ ასი პროცენტით ვერაფერს უარვყოფ. ცოცხალი ლატიმერიის აღმოჩენა თავის დროზე წარმოუდგენელი სენსაცია იყო, თუმცა მობიდიკის აღმოჩენის ალბათობა ძალიან მცირეა, რამდენადაც კაშალოტია დიდი.. და არ დაგავიწყდეთ, რომ ვეშაპი ძუძუმწოვარია, იგი სისტემატიურად ამოყვინთავს ზღვიდან ჰაერის ჩასასუნთქად. საინტერესოა, რატომ აქამდე ვერავინ დააფიქსირა.

- გმადლობთ საინტერესო ინტერვიუსთვის. წარმატებებს გისურვებთ!

- თქვენც ასევე!

რიჩარდმა გაზეთი კიდევ ერთხელ დაჭმუჭნა და ამჯერად ბურთი გააკეთა და მაგიდის ქვეშ მოისროლა. ანაზდად კარებზე დააკაკუნეს.

- შემობრძანდით! – პირქუშად თქვა რიჩარდმა ისე, რომ მაგიდისთვის მზერა არ მოუცილებია.

კარი გაიღო და წყალქვეშა ნავის კაპიტანი გამოჩნდა.

- მისტერ რიჩარდ..

- მისტერ დუგლას, - გააწყვეტინა უეცრად მოთმინებადაკარგულმა მეცნიერმა, - ნუ მომიხდით ბოდიშს. მე ისედაც ვიცოდი, რომ არავითარ თეთრ ვეშაპს ვერ აღმოვაჩენდით, ისევე როგორც ტამპლიერი რაინდები ვერასდროს ვერ იპოვნიდნენ გრაალის თასს. თქვენთვის ცნობილია ის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც "კუსტოს" ეკიპაჟის წევრობას დავთანხმდი. თქვენ პირობა არ შეასრულეთ და ვერც შეასრულებდით იმიტომ, რომ არ გაქვთ შესაბამისი აპარატურა და ინვენტარები. ახლა როცა ყველაფერი ნათელია, მე მოვითხოვ უკან, მინდანაოს პორტში დავბრუნდეთ..

- სერ! – შეძლებისდაგვარად მშვიდად თქვა კაპიტანმა. მთავარ კაიუტაში შემობრძანდით. ჩვენმა რადარებმა დიდი მოძრავი ობიექტი დააფიქსირეს. ვფიქრობ ეს უნდა ნახოთ.

რიჩარდს გაბრაზებული სახე მაშინვე გაოცებულით შეეცვალა. თითით ცხვირის წვერზე დაცურებული სათვალე შეისწორა და კაპიტანს გაჰყვა. მალე პატარა კიბე აიარეს და მესაჭის კაბინაში შევიდნენ. მესაწეს თვალები მოეწკურა და ეკრანზე მოძრავ ობიექტს თვალს ვერ წყვეტდა.

- ჩართეთ პროჟექტორები! – ბრძანა კაპიტანმა.

მესაჭემ წითელ ღილაკს დააჭირა. ბატისკაფის ქცედა მხარეს ჩამონტაჟებული ორი ნათურა ცეცხლოვანმა შუქმა გაანათა და სხივებმა ზღვის მრუმე სივრცე გაკვეთა. ყველანი დაძაბულები მისჩერებოდნენ ეკარანს. მესაჭემ უეცრად ორივე ხელი სასმენებზე მიიფრა.

- კაპიტანო! – თქვა მან შეშფოთებული ხმით.

- ყველაფერ რიგზეა, მისტერ დეროუ? – კბილებში გამოსცრა კაპიტანმა.

- ჰიდროფონს რაღაც მძლავრი ბგერები ახშობს!

- დინამიკები ჩართეთ!

ბრძანება მომენტალურად შესრულდა. მთელი კაბინა მძლავრმა ბგერებმა აავსო. რიჩ-არდმა შეშფოთებულმა ახედა ჭერს.

- მგონი რამდენიმე წუთის წინ სწორედ ამ ობიექტს შევეჯახეთ! – თქვა მესაჭემ. ამ დროს კაბინაში მატროსებიც შემოლაგდნენ – სახეზე შეშფოთება ეწერათ.

- რისი ხმაა? – იკითხა ერთ-ერთმა.

- მისტერ დეროუ, შეგიძლიათ პროჟექტორების შუქი მისკენ მიმართოთ?

- აი... – შეჰყვირა დეროუმ, - დავაფიქსირე!

მაშინვე ყველას მზერა ეკრანს მიეჯაჭვა. პროჟექტორების სინათლის ზოლში გიგანტური ცხოველი მოხვდა. რიჩარდმა ორივე ხელი მესაჭის სკამის საზურგეს ჩაავლო და თვალებმოჭუტული მიაცქერდა. ირგვლივ სამარისებური დუმილი გამეფდა. ეს იყო თეთრი, ახალნადები თოვლივით თეთრი კაშალოტი. რომელიც სინათლის გარეშეც მკვეთრად ჩანდა შავი მრუმე წყლის ფონზე. სინათლის ზოლში

მისი პირიდან გამომავალი წვრილი ბუშტები ისევე მოჩანდა, როგორც თოვლის ფანტელები ქუჩის ლამპიონების სხივებში.

- კამერები მოამზადეთ! – ბრძანა კაპიტანმა, - წარმოუდგენელია, მგონი ნამდვილი მო-ბი-დიკი აღმოვაჩინეთ!

სამარისებური მდუმარება ერთბაშად მხიარულმა შეძახილებმა და აღფრთოვანებულმა რეპლიკებმა შეცვალა.

- საოცარია! დაუჯერებელია!

მხოლოდ რიჩარდ მენსფილდი იყო გაქვავებული და გაფართოებულ თვალებს მობი-დიკს არ აცილებდა. მალე რადარებმა სხვა ხმაც დააფიქსირა – რაღაც წყალში ჩაშვე-ბული გაფუჭებული მოტორის ბგერების მსგავსი. ამ ბგერების სიმძლავრე იმდენად დიდი იყო, რომ ყველას ტანში უსიამოდ გააჟრჟოლა.

- გამორთეთ დინამიკები! – ბრძანა კაპიტანმა. ამ დროს ბატისკფის პატარა რკინის ანძას მიმაგრებული კამერები თეთრი კაშალოტისკენ მიტრიალდნენ.

- მისტერ რიჩარდ, - პირველად ამ ხნის მანძილზე გაეღიმა კაპიტანს და გაუპარსავი ლოყები ღიმილმა დაუნაოჭა, - ალბათ დროა თქვენი მარცხო აღიაროთ.

რიჩარდი დუმდა.

- კაპიტანო! – ანაზდად შეშფოთებით შეჰყვირა მესაჭემ, - კაშალოტი პირდაპირ ჩვენკენ მოემართება.

მართლაც ასე იყო – დიდებული ლევიათანი დინჯად მოცურავდა :კუსტოსკენ".

- მერე რა.. – მხრები აიჩეჩა კაპიტანმა, - ეს ბატისკაფი უმტკიცესი ტიტანისგანაა დამ-ზადებული და მარიანის ღრმულშიც არის ჩასული, წყლის სვეტის უზარმაზარ დაწოლას უძლებს. ნუთუ სერიოზულად ფიქრობთ, რომ..

ამ დროს საშინელმა დარტყმამ "კუსტო" ლამის გადაატრიალა – მობი-დიკმა ნავს ჯერ კუდი თხლიშა, ხოლო შემდეგ ქვემოდან უზარმაზარი თავი აარტყა. მესაჭის გარდა, რო-მელიც სკამზე იჯდა, ყველა წაიქცა.

- რა ჯანდა..

მობი-დიკმა პირი დააფჩინა, კამერებიან ანაძას ჩაავლო და მოგლიჯა. ეკრანზე გამოსახულება ჩაქრა. ბარომეტრების ისარი უცნაურად აცახცახდა.

- მესაჭევ, სრული სიჩქარით წინ!

სპიდომეტრების ისარმა ლამის ბოლომდე გადაიწია. ბატიკაფის უკანა ხრახნი მთელი სიმძლავრით დატრიალდა და "კუსტო" წინ გაიჭრა.

- კი მაგრამ, ვეშაპი? – წამოიყვირა ერთმა მატროსმა.

კაპიტანი რაღაცის თქმა აპირებდა საპასუხოდ, მაგრამ ამ დროს კაშალოტი ბრტელი დინგით ეძგერა წყალქვეშა ნავს. ილუმინატორები ჩაიმსხვრა და წყალი ღვარად გადმოთქრიალდა.

- რა ჯანდაბაა? – გაიმეორა ეკიპაჟის იმ წევრმა მეორედ, მაგრამ ბოლო სიტყვები გაფითრებულ ტუჩებზე შეახმა. ფეხსაცმლებ ქვეშ წყალი თვალსა დ ახელს შუა ტბორად დადგა.

- დაკეტეთ ავტომატური კარები! – შეჰყვირა კაპიტანმა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გაშლ-ეგებულმა ნიაღვარმა ჩანჩქერისებური გრუხუნით შემოლეწა ილუმინატორები, და კაბინები უმალ აივსო.

- სასწრაფოდ სათადარიგო ნავში ჩასხედით! დატოვეთ ბატისკაფი! კაპიტანო..

ეს სიტყვები რიჩარდს ესმოდა, მაგრამ ისინი თითქოს საიდანღაც შორეული უფსკრულიდან მოდიოდნენ, უფრო ღრმადან ვიდრე ფილიპინების ზღვის ეს ჯურღრმულ-ები იყო, და არა მის ცხვირწინ. მას შემოვარდნილი ნიაღვრის გრიალიც საიდანღაც შორიდან მოესმოდა, და ვერც იმას გრძნობდა როგორ იძირებოდა წყალში.

- მე მწამს.. – დაიჩურჩულა მან გამშრალი ტუჩებით.. – ეშმაკის!

იმ წამს პროჟექტორებიც დაიმსხვრა და ყოველივე ყინულოვან წყვდიდში ჩაიძირა.

კონსტანტინე ქარდავა

დაიბადა 1994 წლის 12 აგვისტოს. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტია, სწავლობს ეკოლოგია-ამერიკისმცოდნეობის მიმართულებაზე. ადრეული ასაკიდან ჩართულია ლიტერატურულ საქმიანობაში. წერს და თარგმნის ქართულ-ინგლისურ-რუსულ ენებზე პოეტურ და პროზაულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

კობა ცხაკაია

დურაქი ანგელინა და კალატოზი გულივერი



(ერთი ახირებული მეოცნების ფანტასტიური მონათხრობი)

ძვირფასო მეგობარო, ერთი საინტერესო განცხადება აღმოვაჩინე საჯარო ბიბლიოთეკაში ყოფნის დროს... საერთოდ ეგეთ დაწესებულებებში განცხადებების წასაკითხად მართალია არ დადიან და მეც სულ სხვა ინტერესითა და მიზნით ვიყავი მისული, ამ ბიბლიოგარაფიისა და ინტელექტუალური სიბრძნის საგანძურში, მაგრამ ბედმა ხელში ჩამიგდო მართლაც უცნაური და შეიძლება ითქვას "უნიკალური" ხელნაწერი...

იმ დღეს, გადასაკითხად გამოვიწერე, სვიფტის "ლემუელ გულივერის თავგადასავალის"-ის რევოლუციამდელ გამოცემა, რომელიც ხანგრძლივი რესტავრაციის შემდეგ, კვლავ მოხვდა ჩვეულებრივ მკითხველთა გასაცემ წიგნთა სიაში...

ვისაც ააქვს სულმნათი ჯონათანის ეს ნაწარმოები წაკითხული, იცის მისი შინაარსი და ეხსომება, დახლოებით ფურცლების რა რაოდენობა სჭირდება, გულივერის ოთხი გასაოცარი მოგზაურობას დაბეჭდვას... ორასიდან - სამას ორმოცდაათ - ოთხას გვერდამდე.

თუმცა წიგნი, რომელიც ჩემს წინ იდო, შედგებოდა ათასი-ათას ორასი ფურცლისგან, ხოლო გვერდების რაოდენობა შესაბამოისად ორიათასს აღემატებოდა.

მიუხედავად ასეთი მოცულობისა, ის არ იყო მძიმე.

გარდა ზემოთ აღნიშნული უცნაურობისა, კიდევ ერთმა დეტალმა მიიპყრო ჩემი ყურადღება... სხვა რარიტეტული გამოცემებისგან განსხვავებით, რომელთა ყდები საქონლის ტყავისგან იყო დამზადებული, ამ წიგნს ჩემი აზრით, ნიანგის, ან გველის ტყავი ჰქონდა გადაკრული...

მიყვარს ძველი, განსაკუთრებით კი ძალიან ძველი გამოცემების კითხვა... მათი საუკუნოვანი არომატი, ფურცლების სიგლუვე და ასოების რელიოფურობა, ხორკლიანი, ნატურალური ტყავის ყდა, ბუნებრივი ორნამენტები, კუთხეებში ხშირი კითხვისა, თუ გადაადგილებისაგან გაცვეთილი... ჩემი დაუოკებელი წარმოსახვის, მეოცნებე სულის, გაუხედნავი ფიქრების განსაკუთრებულ კლავიშებზე აჭერენ ეფემერულ თითებს და ფანტასმაგორიულ სამყაროში მომისვრიან, საიდანაც რეალურში დაბრუნების სურვილი, საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, რაც შეიძლება გვიან მიჩნდება...

მეც გადავშალე წიგნი და ლამის თავიდანვე ჩავიძირე ასო-ნიშნულთა მიერ ხორცშეხმულ სამყაროში...

"ჩემმა თვინიერმა და გულკეთილმა მოპყრობამ ისე იმოქმედა იმპერატორსა და მის სასახლეზე, რომ მოკლე ხანში თავისუფლების დაბრუნების იმედით გამეღვიძა." - დიდი ინტერესით ვკითხულობდი, ამ უკვდავი ნაწარმოების მეორე თავს და ნელ-ნელა, ძველის-ძველი ფურცლების სურნელი მაბრუებდა, მათრობდა და უწონადო მდგომარეობაში გადაყავდა, ჩემი ნეტარებით მოცული ცნობიერება, - "ყოველნაირად ვცდილობდი ეს კეთილგანწყობა კიდევ უფრო გამეღრმავებინა. მცხოვრებლები თანდათანობით რწ-

მუნდებოდნენ, რომ ჩემი მხრიდან არავითარი საფრთხე არ მოელოდათ; ხანდახან წამოვწვებოდი მიწაზე და ხუთ-ექვს მათგანს ნებას ვაძლევდი ჩემს თავზე ეცეკვათ; ბოლოს ბიჭები და გოგონებიც ბედავდნენ მოსულიყვნენ და ჩემს თმებში კუკუმალობანა ეთამაშათ..."

მაგრამ აქ, მკვეთრად შეწყდა მსუბუქი ინგლისური იუმორითა და ირლანდიური აქცენტით შეზავებული თხრობა და მყვირალა, ხორხისეულ ეპანურ-ქართულ "გუგუნში" გადაიზარდა:

"აშკარაა ჩემო ბატონო, არ შეიძლება აქ სადმე მდინარე არ იყოს, ან ნაკადული მაინც, თორემ მოლი ასე ამწვანებული არ იქნებოდა. კარგი იქნება, ბატონო ორიოდე ნაბიჯი წაგვედგა წინ, ეგებ სადმე წყალი გვეპოვნა, თორემ ამ საშინელმა წყურვილმა ლამის შიმშილზე მეტად შემაწუხოს...

დონ კიხოტს საჭურველმტვირთველის რჩევა მოეწონა და დაეთანხმა, როსინანტის აღვირს მოსჭიდა ხელი და გასწია.."

ეიფორიაში ჩავარდნილიც კი ვგრძნობდი რაღაც ეპოქალურ, კლიმატურ, კულტურულ და ნაციონალურ დისონანს, მაგრამ საბოლოოდ თხრობამ მაინც გამიტაცა და მეც ნავში წამოწოლილი ზარმაცი მენიჩბესავით მივყევი დინებას, მივეფიცხე პირენეს ნახევრაკუნძულის მზეს და მივუყურადე გზაჯვარედინებზე მოთხრობილ საინტერესო და ტრაგიკომიკურ ამბებს... მაგრამ გადიფურცლა ესპანური მზით გახურებული ოცი - ოცდაათი ფურცელი და:

"სძალი ეტყ?ს: ამბორს-მიყავ მე ამბორის-ყოფითა პირისა მისისათა, რამეთუ უმჯობეს არიან ძუძუნი შენნი უფრო?ს ღ?ნისა, და სურნელება? ნელსაცხებელთა შენთა უფრო?ს ყოველთა სურნელებათა. ნელსაცხელებელ წარმოცარიელებულ სახელი შენი, ამისთ?სცა ქალწულთა შეგიყუარეს შენ..."

ძველი აღთქმის ამ უკვდავმა სიტყვებმა სწრაფად დამაბრუნა ბიბლიოთეკის სამკითხველოს რეალობაში... უკმაყოფილომ დავხედე ჩემს წიგნს და რამოდენიმე არაცენზურული სიტყვა გამახსენდა, თუმცა მათი წარმოთქმა სიბრძნით მადლმოსხმულ ამ შენობაში ბოლომდე მაინც არ ვიკადრე... მხოლოდ ვიკითხე, უფრო სწორად ვკითხე ჩემს თავს?

- რა ხდება?

სვიფტის უკვდავი სიტყვებიდან, გადავედი სერვანტესის ცეცხლოვან ტექსტებზე, შემდეგ კი სოლომონ მეფის ქებათა-ქებაზე... რაღაც კულტურულ-სულიერ-ინტელექტუალური ავჯაფსანდალი გამოდიოდა და ამიტომ, უკვე ეჭვნარევი და ამასთანავე ინტირგანი მკითხველის თვალით დავუწყე რარიტეტული წიგნის გადავფურცვლა...

ახლაღა აღმოვაჩინე, რომ ისინი არა მხოლოდ ფერით, არამედ შრიფტითაც კი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან... აქ იყო ჩეხოვის, დოსტოევსკის, ტოლსტოის, ჭავჭავაძის, შვარცის, შექსპირის, კონან დოილის, სტივენსონის, სტენდალის, პლუტარქეს, ჯერომ-ჯერომის, ჰომეროსის, ბულგაკოვის, ბარნოვის, ჩხეიძეს, ცურტაველის, ჯავახიშვილის, გამსახურდიას, ბელიაშვილის, წერეთლის, აკუტაგავას, ჰემინგუეის, ბორხესის, როლანის, სარროტის, ლორთქიფანიძის, ქიაჩელი, ვაჟა ფშაველას, რუსთაველის, ჰამსუნის, იბსენის, კაფკას, ზოშენკოს, რჩეულიშვილის და ა.შ. ნაწარმოებებიდან ოცი-ოცდაათ ფურცლიანი ამონარიდები და ეს ყველაფერი ამ ერთ წიგნში იყო ჩაწებებულ- ჩაკრულ - ჩაჭედილი...

წიგნი იწყებოდა გულივერის მოგზაურობით, ლილიპუტიაში, სადღაც შუა ნაწილში ავთანდილის ანდერძით გრძელდებოდა და მთავრდებოდა პანიკოვსკის და შურა ბალაგანოვის დაკა-დაკათი, ილფისა და პეტროვის უკვდავი ნაწარმოებიდან "ოქრის კერპი"...

ნეტა, ვინ იხუმრა ასე?

დარბაზში, ყველა კითხვით იყო გართული... ანუ განათლება დაწაფებულ ტვინთა ინტელექტუალურ მუშაობის რითმს არაფერი არღვევდა... ერთი მე ვიყავი, ცეტვითი რომ ვტრიალებდი აქეთ-იქით და ჩემი სკამის ჭრიალით დისონანსი შემქონდა სამკითხველოს უხმაურო ატმოსფეროს... ბიბლიოთეკარებიც კი არ მაქცევდნენ ყურადღებას, თავიანთ კომპიუტერებში რაღაც მათთვის უაღრესად საინტერესოს ჩაჰკირკიტებდნენ...

"მრისხანე ბრძოლებზე მსურდა დიადი სიმღერა მეთქვა,

გმირთა ამბების თხრობა მწყობრი საზომით ვცადე,

თავიდან ორი ბწკარი ჰქონია ამ საზომს ტოლი,

მაგრამ ამურმა თურმე ერთ-ერთს მოჰკვეთა ტერფი..."

წიგნიდან გუგუნებდა ოვიდიუსის ტკბილხმოვანი ბანი... სწრაფად გადავშალე კიდევ რამოდენიმე ფურცელი და...

"დავუჯეროთ თვალსა და სმენას? საშინელი სიზმარი ხომ არ არის ეს კუბო, ნამტირალევი სახეები, კვნესა და ოხვრა?"...

აკანკალებული ხმით მომმართავდა გრიგოლ პეტროვიჩ ზაპოიკინი, მის უკან კი აწგარდაცვლილი კოლეგის ასესორ კირილ ივანოვიჩ ვავილონოვის გულაჩუყებული ჭირისუფალი იდგა და გასუსული უსმენდა ორატორის, მომაჯადოებელ ხმას...

მათ შემხედვარეს გამეცინა, და წიგნი სასწრაფოდ დავხურე... და ასე ვთქვათ, მასში აღწერილი ყველა სამყარო, ფურცლებზე დავაბრუნე... მცირედი ყოყმანის შემდეგ, გადავწყვიტე მოვქცეულიყავი ისე, როგორც მსგავს სიტუაციაში ნორმალური ადამიანი მოიქცეოდა - სარჩევს გადავხედე... მაგრამ ამ წიგნის უცნაურობები აქაც გაგრძელდა.

სწორედ, იქ აღმოვაჩინე ჩემს მიერ ზემოთ ხსენებული განცხადება.

ის, ხელინაწერი იყო და უსწორმასწორო, ლაქებიანი ტექსტი მეტყველებდა იმაზე, რომ ავტორი ჩქარობდა, ნერვიულობდა და ამსთანავე, არც ნორმალური, ცივილიზებული საწერი ხელსაწყოებით ჩანდა უზრუნველყოფილი...

გარდა, ამისა ფურცლები,(მათი რაოდენობა ოთხ, ცალმხრივად გაწერილ გვერდს შეადგენდა), არ იყვნენ ქაღალდის... თავისი სუბსტანციით, კარგად გამოყვანილ ტყავს ჰგავდნენ... არ იკუჭებოდნენ, შეხებისას მეტი სისქით და ასეთი მასალისთვის დამახასიათებელი სილბილითაც გამოირჩეოდნენ...

განცხადების შინაარსმაც ძალიან გამაკვირვა, დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ თქვენგანშიც ისეთსავე ემოციებსა, და აზრთა ვაკჰანალიას გამოიწვევს, როგორიც ჩემში გამოიწვია და ამან სამუდამოდ შეცვალა ასო-ნიშანთა საშუალებით შეთხზულ, თუ აღწერილ სამყაროთა მიმართ ჩემი დამოკიდებულება...

ბევრი, რომ აღარ ვილაპარაკოთ, პირდაპირ გთავაზობთ მთელს ტექსტს, კორექტივებისა და რედაქტირების გარეშე.

"კარლ მარქსის სახელობის, კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, პოეტს და ღვაწლმოსილ კომუნისტს, ამხანაგ სანდრო ეულს

კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატის, ომის ვეტერანის, თადარიგის კაპიტნის, ინვალიდი (კანტუზია მაქვს მიღებული თავის არეში), სარემონტო სამუშაოების სპეციალისტის, მლესავ-კალატოზის, ჯერ-ჯერობით დაუოჯახებელის, გულივერ თეოფილეს ძე ცხელისშვილის, რომელიც 1954 წლამდე მუშაობდა და ცხოვრობდა ბიბლიოთეკაში

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენს დაქვემდებარებაში მყოფი ბიბლიოთეკის, განყოფილების გამგე, ჩამოყალიბებული დურაქია ( ).

უფრო ზუსტი, რომ ვიყო საქმე ეხება არა ყველა განყოფილების გამგეს, ან საერთოდ განყოფილების გამგეობას, ღმერთმა დამიფაროს (რომელიც დიდ ხანია არ მწამს... მწამს, მხოლოდ კომუნისტური პარტია და მისი იდეალები და ყოველ დღე ვლოცულობ იმაზე, რომ ოდესმე გაერთიანდნენ პროლეტარები ყველა ქვეყნისა და... ქნან თავიანთი საქმენი)...

ამიტომ დურაქებს რაც შეეხება, იძულებული ვარ დავასახელო კონკრეტული პიროვნება, ამხანაგი და მგონი პარტიის წევრიც, რომლის სიდურაქის წყალობით, ახლა რამოდენიმე ადამიანი, მოწყვეტილი ვართ სოციალისტურ რეალიზმს და ვიმყოფებით, ლენინური ცნობიერებისათვის მიუღებელ ადგილებში. მე პირადად, ამჯერად ვიმყოფები "ადმირალ ბენბოუს" სახელობის, ეგრეთ წოდებულ მეზღვურთა - გლეხთა და მუშათა სასადილოში...

ერთი, თქვენთვის კარგად ნაცნობი ქალბატონის სიდურაქის გამო, მისული ვარ მორალური და ფსიქოლოგიური დეგრადაციის ზღვარამდე და იძულებულები ვხდებით გავემგზავრო ფრიად საეჭვო საზღვაო მოგზაურობაში, შხუნა "ესპანიოლაზე" (ასეთი იალქნიანი გემია), სადაც დარწმუნებული ვარ, არცერთი პოტენციური ლენინელი არ იმყოფება... და ეჭვიც მაქვს, რომ არც შემდგომ გაიზიარებენ სოციალისტურ იდეებს და არ ცნობენ ინტერნაციონალს... მით უმეტეს, ამ ეპოქაში მიღებული აუცილებელი ატრიბუტი - ღმერთიც, კი არა სწამთ... რადგან ჩამოყალიბებული ანტისაზოგადოებრივი ელემენტები არიან, ანუ პროფესიითა და მოწოდებით მეკობრეები ბრძანდებიან...

მაგრამ დავანებოთ ამათ თავი და გადავიდეთ იმაზე ვინც ნამდვილადაა დამნაშავე და ვინც უნდა დაისაჯოს მთელი სიმკაცრით და "სისტროგით"...

ეს დურაქი გახლავთ, იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსი, მამამისის აწ გარდაცვლილი, არაჩვეულებრივი პიროვნების, პეტრე ადოლფის ძე ბერჟეს, მაგივრად ახლად დანიშნული ამხანაგი, ანგელინა (შემოკლებით ანგელა) პეტრეს ასული ბერჟე. განათხოვარი (ეგ ეშმაკის ცოდვა ნეტა ვის მოეწონა).

ე.წ. "ეშმაკს", რაც შეეხება, მინდა გითხრათ, რომ რაკი ღმერთი არ მწამს, არც "ეს", ანუ მისი მოწინააღმდეგე მწამს, მაგრამ რა უნდა ქნა, როცა არსებობენ ისეთები, როგორიცაა ა ნ გ ე ლ ი ნ ა.

ქალზე არ მჩვევია ცუდი რაღაცეების თქმა, მაგრამ როგორც კი მას ვხედავ, წარმოვიდგენ, ან მესმის მისი "წიკვინა" ხმა, ძალიან ბევრი ცუდი სიტყვა მახსენდება. მერწმუნეთ, ამხანაგო სანდრო, ჩემი პროფესიიდან და ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე(ომის ვეტერანი ვარ), არაკულტურული სიტყვების საკმაოდ დიდი მარაგი

მაქვს დაგროვილი და თან რამოდენიმე ინტერნაციონალურ ენაზე... არ ვამაყობ ამით, მაგრამ ესეც ხომ ცოდნაა და ამ ცოდნასაც გაფრთხილება და დაფასება უნდა... ამიტომ, როგორც შეგნებული ადამიანი, ვიხმარ მხოლოდ ერთ სიტყვას - ეგ ქალი, ჩამოყალიბებული და სრულფასოვანი დურაქია ( ).

ანგელინას, ამბიციურობის, კოხტაპრუწკობის, იმპულსურობისა და ზედმეტი ემოციურობის გამო, უმარავი დარღვევა მოხდა. ამ დარღვევებმა კი არა მარტო ჩვენზე, არამედ თქვენ წარმოიდგინეთ, მსოფლიო კლასიკაზეც კი იმოქმედეს.

საშინელება ისაა, რომ საბედისწერო შეცდომებში შეყვანილი იყვნენ არა მხოლოდ ჩვენ (მე, ფრიდონ გერსამია, გულიკო და ბონდო ჯანგავაძეები, გედეონ ხვედელიძე) არამედ ისეთი პიროვნებები, რომლებიც შეიძლება ითქვას არ არიან სოციალისტურ რეალიზმში შობილნი, აღზრდილნი, და აქედან გამომდინარე ჯანსაღი გონებისა და მოქალაქეობრივი ნებისყოფის მქონე ამხანაგები... თუმცა მაინც პროგრესირებადი პიროვნებები ჩანან... მათში, ჯერ კიდევ ტოკავს კაპიტალისტური შხამი, მაგრამ ჩემთან ხშირი ურთიერთობისა და შეგონებების წყალობით, გამოსწორებისა და პროლეტარულად სწორად შეგნებულ გზას ადგანან და მინდა ამაყად განვაცხადო, რომ ჩვენი, ქართული, ტრადიციების მოყვარე ხალხისთვის, განათლებული და გაცნობიერებული მოსახლეობისთვის წარმოადგენენ, საკმაოდ ცოცხალ, რეალურ და ხორცშესხმულ პიროვნებებს - ასეთები, არიან პირველ რიგში : ნავსიკაია (ალკინოას, ფეაკების მეფის ქალიშვილი), აბრახამ ეიბ გრეი (გემის დურგალი), მიშიკო ასტროვი (ექიმი), მშვენიერი დოროთეა (დურაქი ანგელინა კახპას ეძახის, ამ მშვენიერ ქალბატონს, რომელთანაც მხოლოდ მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს) დულსინეა (გლეხი), ნასტასია ფილიპოვნა ბარაშკოვა (დროებით უმუშევარი), ადამ კოზლევიჩი (მძღოლი), ოდისეი (მოგზაური) და ა.შ...

მერწმუნეთ ანხანაგო სანდრო, ძალიან ძნელია, პრიბებიც არ მიწყობს ხელს, მაგრამ თავდაუზოგავად ვშრომობ დანარჩენების შეგნების ამაღლებასა და კომუნისტურ გამობრძმედაზე...

...ისინი თითქოს დიდ და მნიშვნელოვან როლს არ ასრულებენ მსოფლიოს პოლიტიკური ვითარების შეცვლაში და მასების მობილიზაციაში, მაგრამ მათი შესაძლო არასწორი ქმედებების გამო, რომელიც გამოწვეულია ანგელინას გაუაზრებელი და დურაქული ქმედებებითა და რეალობას მოკლებული შეგონებებით, შესაძლოა შეიცვლოს ლიტერატურული პირველწყაროების მნიშვნელობა, სიუჟეტები, გმირთა მიზნები და მიზეზ-შედეგობრივი ვითარებები...

ეს კი უცილობლად სხვა მიმართულებით წარმართავს, ჩვენს სათაყვანებელ ბიბლიოთეკაში მოსული მკითხველის ცნობიერებას, რომელიც თქვენი ავტორიტეტისა და მოხლჩაუხრელი შრომის წყალობით, სრული ნდობით შთანთქავს წიგნებში დავანებულ ინფორმაციას, განათლებას, პროგრესს და კეთილშობილ აზრებს...

ვგრძნობ და ვხვდები, დაგაბნიეთ, ამიტომ გადავალ პირდაპირ საქმეზე და მიკიბ-მოკიბვის გარეშე გკითხავთ, როგორც ღვაწლმოსილ კომუნისტს, რომელმაც ბევრი შევიწროება და დევნა განიცადა, კომუნისტური იდეალებისა და ლენინურ-სტალინური მიზნების გამარჯვებისა და ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

ამხანაგო სანდრო, ოდესმე თუ გჯეროდათ ზრაპრების?

რაკი არ ვიცი და ვერ წარმომიდგენია რა პასუხს გამცემთ - მევე გიპასუხებთ.

მე, პირადად არ მჯეროდა...

მაგრამ ყველაფერი შეიცვალა, 1953 წლის 7 იანვარს, ორშაბათს, როცა ახალი წლების მერე გამოვცხადდი სამსახურში, ანუ კონკრეტულად რომ ვთქვათ, ჩემი პირდაპირი მოვალეობის, გაჯით ლესვის გასაგრძელებლად, იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსის კაბინეტსა და საცავში ჩამოვედი...

თქვენი, ბრძანების საფუძველზე, ჩემთვის, ბიბლიოთეკის ჭერში გამოყოფილი საცხოვრებელი ფართიდან (რისთვისაც, კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ, რომ არა თქვენი გულისხმიერება, მე ომის ვეტერანი, კანტუზირებული თავის არეში, შეიძლება მაწანწალა გავმხდარიყავი... პირდაპირ გეტყვით, გაიხარეთ ამხანაგო სანდრო!!!.. ახლა, კი თქვენის ნებართვისთ, კვლავ დავუბრუნდები ამბავს)... ჰოდა, ჩამოვედი ქვემოთ...

დილის შვიდ საათზე მისულს, იქ დამხვდა დურაქი ანგელინა, რომელიც ლამის ეხუტებოდა, აფრიკული ფერის, უცნაურად ჩაცმულ, მეტსაც ვიტყოდი მოოქროვილ, ძვირფასი ქვებით მოჭედილ კაბისებ სამოსში გამოწყობილ, მოკლე დაშნით შეიარაღებულ, დადარდიანებულ, ორმეტრიან კაცს... რომელსაც, სახის გამომეტყველებაზე შევატყე, იძულებით ასმევდა ლიმნიან ჩაის და თხოვდა დაკარგული ცხვირსახოცის ამბავი გულთან ახლოს არ მიეტანა... სამაგიეროდ კი, თქვენთან შეთანხმების გარეშე პირდებოდა ბიბლიოთეკის დაცვაში მისთვის სპეციალური შტატის დაშვებას და სოლოლაკის, ერთ-ერთ კომუ-

ნალურ სახლში, საცხოვრებლად ოთახს, ფუნიკულიორზე ხედით, და დამატებით ლექციების კურსს უნივერსიტეტში... და კიდევ რაღაც-რაღაცეებს. ეს შავი კაცი კი, საპასუხოდ ოხრავდა, ხვნეშოდა და კბილებს ახრჭიალებდა, რითაც ამ სულელ ქალს უფრო მეტად აღაფრთოვანებდა და უსირცხვილოდ აჟუჟნებინებინებდა თვალებს.

მე, როგორც შეგნებული ადამიანი დამხვდურებს მივესალმე.

მამაკაცი წამოდგა და გამეცნო, როგორც მაურიციო ოტელო, ვენეციური ასეულის მეთაური კვიპროსზე... მეც ვუთხარი რომ ვიყავი, კაპიტანი, ომის ვეტერანი, კანტუზიანი და ამჟამად მლესავად ვმუშაობდი...

კაპიტნობისა და ომის ვეტერანობის ამბავმა ძალიან გაახარა და მეგობრულად განაწყო ჩემს მიმართ. კანტუზიამ, კი ლამის სულ მთლად გადარია...

ბევრი, რომ არ გავაგრძელოთ, გახლდით ოდნავ ნამთრალები, ახალწლებ-გადავლილი და ამიტომ, თან მქონდა ორი ლიტრა ჭაჭა, მჭადები, ჭყინტი ყველი, ნიგვზიანი ლობიო, ღორის მოხარშული ნეკნები, შემწვარი წიწილა, ჩემი სოფლის ტყემალი და შესაბამისად პური...

ჰოდა, ტრადიციულად დავილოცეთ გრძელი სამუშაო დღისა, ახალი წლის, და პირველი კვირის აღსანიშნავად. ვუსურვეთ ერთმანეთს დამკვრელური შრომის გაგრძელება... და გაცნობის მიზნით გავაგრძელეთ, საკვების მიღება და ურთიერთობა, რასაც თან ერთვოდა ტრადიციული ჭრილსითვის დამახასიათებელი, სადღეგძელოები, ალავერდები და ხმადაბალი ღიღინი.

როგორც გაირკვა, ჩემი თანამესუფრე იყო ნამდვილი ოტელო, არ ვიცი იცით თუ არა, მაგრამ მის შესახებ დაწერა, შექსპირმა... თუმცა, როგორც თვითონ მამუკამ (ასე ქართულად გადავუკეთე სახელი) მიმტკიცებდა, ჯერალდო ჩინტიოს მოუგონებია მთელი ამბავი, ხოლო მერე უილიამს მოუპარნიაო...

ჰოდა, ამ სიამტკბილობაში, ორლიტრიანი თითქმის ჩავცალეთ.

ჩვენი საუბარი და ურთიერთობა, ძალიან არ მოსწონდა ანგელინას... და პირველი დაძაბული ურთიერთშელაპარაკება, სწორედ მაშინ მოხდა, როცა მანდილოსნების სადღეგრძელო წარმოვთქვი და ყველა ქალს ვუსურვე, დაქორწინება, დაქორწინებულებს, ბედნიერი ცხოვრება, ხოლო განქორწინებულებს ჭკუაზე მოსვლა... არც კი ვიცოდი ანგელინა, განათხოვარი თუ იყო... მაშინ გავიგე პირველად... ძალიან მყვირალა ფორმით მომმართა ამ ქალბატონმა და აუგად მოიხსენია, ჩემი პროფესია, კანტუზია და ტვინი...

გ ა ვ ბ რ ა ზ დ ი, მაგრამ როგორც თქვენი პირადი კადრი, მაინც თავი შევიკავე!

მაურიციოსაც არ მოეწონა ანგელინას "იაზვობა" და თავხედობა. გადაირია კაცი, დააბრიალა თვალები, დაშნას დაავლო ხელი და ფეხზე წამოდგა... აქ, შეიძლება სისხლიც კი დაღვრილიყო... მაგრამ საბედნიეროდ, საიდანღაც გამოჩნდნენ, ამხანაგები ლევ (ლევანიკო) მიშკინი, ჯიმ (ჯემალიკო) ჰოკინსი, ბაია (ბიანკა, რომელიც მამუკა ოტელოს კარგად იცნობდა), კასიო (კაკო), დეზდემონა (დოდო) და ასევე, ჩემი შეგირდი და დამხმარე მუშა ფრიდონ გერსამია და როგორც შემდგომ გავარკვიე, მასთან ერთად ბრძანდებოდნენ ჩვენი თანამოქალაქეები და თანამედროვეები, და-ძმა გულიკო და ბონდო ჯანგავაძეები, ახალგაზრდა კაცი, გედეონ ხვედელიძე... ყველა, ძალიან დაბნეული დაძაბული და ამასთანავე აღფრთოვანებული იყო...

ჭაჭა ნასვამმა მამუკა-მაურიციომ, კასიო და დეზდემონა ერთად, რომ დაინახა გადაუტრიალდა თვალები, დააღო პირი და :

"მე, თქვენ დედებს..." - დაავლო ხელი ჩემს სამუშაო იარაღს ნიჩაბს და გამოუდგა მათ...

იქ, ამბავი ატყდა?!

მოკლედ ბევრი, რომ არ დაგაბნიოთ... ზედმეტი წვრილმანებისა და მხატვრულ-ლიტერატურული ლაბირინთების გარეშე მოგიყვებით მხოლოდ ფაქტებს...

1952 წლის 31 დეკემბერს დავამთავრეთ მუშაობა, შემოსასვლელის კედელი და მარჯვენა მხარე შევლესეთ, ისიც დიდი ვაი-ვაგლახით... ეს ჩემი შეგირდი ფრიდონი, ძალიან უხეირო ბიჭია, როგორ რუსები იტყვიან - " , "-ო. მის გამო ბევრი რამ ვერ მოვასწარით. კარგა გვარიანად ვიყავი გრაფიკს ჩამორჩენილი... დაღლილ-დაქანცული, კი წამოვედი ჩემს სხვენში მოსასვენებლად, მაგრამ ძალიან დარცხვენილი და გულნატკენი. ფრიდონს კი სინდისმა შეაწუხა და იმის მაგვირად, მშობლებთან ერთად გაეტარებინა ახალი წლის დღეები, უკან ბიბლიოთეკაში მობრუნებულა. გადაუწყვეტია ჩემთვის საჩუქარის გაეკეთებინა... ანუ მოუნდომებია, იმის გამოსწორება და შეკეთება, რაც მისი უნიათობის გამო, ვერ მოვახერხეთ...

მისთვის დამახასიათებელი ფეთხუმური "მუშაობის" დროს, რაც გულისხმობდა ყველაფრის უკუღმა და უჭკუოდ კეთებას, გათბობის რადიატორის ადგილას, ფანჯრის რაფასა და კედელს შორის, აღმოუჩენია რკინის პატარა კარადა-სამალავი... სადაც

თურმე, ხის მოჩუქურთმებულ ყუთში, გველის, თუ ნიანგის ტყავისგან დამზადებული წიგნის ყდა ინახებოდა...

თითქოს არ უნდა მიექცია ყურადღება ამ საგნისთვის, რადგან მისი საქმე კედლების ლესვა იყო და არა საიდუმლო სამალავებში ძრომიალი... მაგრამ, როგორც უგზო-უკვლოდ ნაკითხ, არ შემდგარ სტუდენტს, და ზედმეტად ცნობისმოყვარე უმიზნო ახალგაზრდას შეეფერება, სწორედ ისე მოიქცა... იქვე, გადასაგდებად გამზადებული წიგნების დასტიდან ერთ-ერთი ამოიღო და მოარგო ნაპოვნი ყდა.

ის, ცოტა დიდი გამოდგა და წიგნი ფაქტიურად ჩაიკარგა გველის ტყავში, მაგრამ აი საოცრებავ. ყდა თითქოს ვიღაცის, თუ რაღაცის ჯადოსნური ნებით დაიჭიმა, დაიგრიხა, დაპატარავდა და წიგნს არაჩვეულებრივად მოეორგო.

ამან ისე გააკვირვა და გახალისა ჩვენი ფრიდონი, რომ ახლა სხვა წიგნი მოიმარჯვა, უფრო დიდი ზომის. იქაც, იგივე მოხდა. ტყავი გაფართოვდა, გაიწელა და შემოეტმასნა მასზე ორჯერ დიდ ყდას...

მოკლედ, იმის მაგივრად, რომ მეტი აღარ ეფიქრა ამ უცნაურ მოვლენაზე და სასარგებლო საქმის კეთება გაეგრძელებინა... ან, თავის ადგილას დაებრუნებინა ეს უცნაური საგანი, ან მოქცეულიყო ისე, როგორც ნამდვილ კომკავშირელს შეეფერება - კანონის დამცველებისთვის გადაეცა ეს სოციალისტური რეალიზმისთვის გაუგებარი ნივთი... მთელი ღამე სხვა და სხვა წიგნებისა და ჟურნალებისათვის ყდის მორგება-გადაძრობაში გაატარა...

სადღაც, ხუთი საათისთვის (როგორც თვითონ ამბობდა), ბიბლიური რეპროდუქციების ალბომისთვის გადაუკრია ეს ყდა... და უტვინო ექსპერიმენტებით დაღლილი, დილის სხივებით განათებულ ერთ სურათს ჩაჰკვირკიტებია. ფანქრით შესრულებულ გრავიურაზე, გოდების კედელი და მლოცველები იყო გამოსახული... მის ქვემოთ დართული, ახსნა-განმარტების კითხვისას, შემთხვევით დაუხვევია თითზე გველის ტყავზე მიმაგრებული სანიშნე, და გაუაზრებლად სამჯერ თუ ოთხჯერ მოუქაჩია ის.. ჰო- და...

აღმოჩენილა გოდების კედელთან...

შემოდგომის საღამოს, იერუსალიმის ჰავა საოცრად რბილი და სასიამოვნო ყოფილა. ოდნავ გრილი ნიავი უბერავდა და დღის მანძილზე გამთბარი ქვაფენილიდან მტვერს, კედლის გასწვრივ, პატარა მორევებად ატრიალებდა... მეთვრამეტე საუკუნის ქალაქი თავისებური ხმაურები გამოირჩეოდა. წვრილვაჭართა ყვირილი, ბავშვების სიცილი, ლოთების მხიარულ შეძახილებსა და ვირების ყროყინს ერეოდა. მაგრამ ეს ყველაფერი შორიდან ისმოდა, გოდების კედელთან კი, რელიგიური ფანატიკოსები თავგამოდებით ლოცულობდნენ... იდიშურად გამუდმებით ჩიფ-ჩიფებდნენ, სხეულის რითმული, ენერგიული მოძრაობით სამყაროს მარადიულ რხევას იჭერდნენ და ღვთიურ ტრანსში ვარდებოდნენ...

ნანახით გაოგნებული ფრიდონა, იჯდა ერთ ადგილას და დაბნეულობისაგან ღმუოდა. სწორედ ამით მიუქცევია ერთი პატარა ებრაელი ბიჭუნა ყურადღება, რომელიც მიახლოებია და გაკვირვებულს მისი სამუშაო ტანსაცმელისთვის მოუკიდია ხელი... მერე თავზე ჩამოფხატული გაზეთ "თბილისისგან" გაკეთებული ქუდით დაინტერესებულა და ორიოდე მონეტაც მიუგდია ჩემი შეგირდისთვის მის სანაცვლოდ... შეშინებული ფრიდონა, სანამ დანარჩენი, სურათზე გამოსახული პიროვნებების ყურადღებას მიიქცევდა, თითზე დახვეული სანიშნე მოუქაჩია და ისიც, კვლავ საჯარო ბიბლიოთეკაში აღმოჩენილა...

თვალები მოუფშვნეტია, შვებით ამოუსუნთქია, უფიქრია, ალბათ ღამენათევს ჩამეძინაო... მაგრამ სურათს და ელდა ეცა, ბიბლიურ რეპროდუქციაზე გამოსახული კომპოზიცია უკვე შეცვლილიყო... მანამდე, ეს პატარა ბიჭი, თუ კედლისკენ იხედებოდა და ლოცულობდა, ახლა პირდაფჩენილი ფრიდონაკენ იცქირებოდა და თავზე კი გაზეთ "თბილისისა"-გან დამზადებული ქუდი ეხურა...

მომავალი კალატოზი, გაფუჭებულმა ნახატმა ვერ შეაჩერა... იმის მაგივრად, რომ თანამედროვე, შეგნებული ახალგაზრდასავით მოქცეულიყო, ვნებებსა და არანორმალურ ცნობისმოყვარეობას აყოლილმა, გამოავლინა სისუსტე და ახლა, სხვა სურათებზეც სცადა ბედი... ამის გამო ერთ საათში, თვითნებურად, ჩემთან, თქვენთან და პარტიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებისა და ყოველანაირი საბუთების გარეშე მოიარა მთელი მსოფლიო. იმყოფებოდა - პარიზში, ბერლინში, ბაბილონში, სპარტაში (საიდანაც ლეონიდეს დასისხლიანებული ჩაფხუტით დაბრუნდა), ითაკაში, რიო დეჟანეიროში, მეხიკოში, კუბაზე... ბოლოს ისე გათავხედდა, რომ ტროასთან აქილევსისგან, სამი კილოგრამი ცემენტისა და რეზინის ხელთათმანების სანაცვლოდ, სანდლები შეიძინა... მერე მშენებარე პეტერბურგში, პეტრე პირველს მოუყვა ბიბლიოთეკისა და მუზეუმის მნიშვნელობაზე, ბოლოს კი სავარძელში ჩაძინებულ მენდელეევს დაადგა თავზე და ქიმიურ ელემენტების ტაბულის შესახებ, თავისი უარყოფითი მოსაზრების დასაბუთებით, ლამის ჭკუიდან გადაიყვანა, ალბათ მისაღებ გამოცდებზე, ქიმიაში ჩაჭრის გამო...

ესეც არ იკმარა, ამ ჭკუათხელმა... გადაწყვიტა უშუალოდ ლიტერატურულ ნაწარმოებებში შეჭრილიყო. გადააკრა ყდა შოლოხოვის მოთხრობების კრებულს და დაიწყო მისი უკვდავი ნაწარმოების "ორმოსცამეერთის" კითხვა და საბოლოოდ მარიუტკა ფილატოვას შეცდენა თითქმის შეძლო... გამოეცხადა ამ გულუბრყვილო ქალს ღამით, როცა პორუჩიკ ვადიმ გოვორუხა-ოტროკს ღრმად ეძინა... ძილბურანში მყოფი შიშველი ქალი დაარწმუნა, თავის ღვთიურ წარმომავლობაში და კინაღამ... თუმცა გადამწყვეტ მომენტში სინდისმა შეაწუხა და მოქაჩა ნიშნულს...

...ღამენათევს და დარცხვენილს, როცა მობეზრდა მარტოს გართობა და წანწალი, გავარდა გარეთ... რაღაც ხრიკებითა და შეგონებებით, მეგობარი გოგონა, კომკავშირელი, სტუდენტი, სპორტსმენი, 17 წლის, გულნარა ჯანგავაძე და მისი ზედმეტად ცელქი, 13 წლის პატარა ძმა ბონდო, მოგლიჯა ახალი წლის მზადებით დაკავებულ მშობელთა მზრუნველ ხელებს. შემოაპარა ბიბლიოთეკაში და ახლა, მათთან ერთად გააგრძელა რეპროდუქციებში ჩახატულ სამყაროებში მოგზაურობა... უ ს ი ნ დ ი ს ო... კიდევ კარგი, ეყო კომკავშირული შეგნება, მაგრამ სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი, გველის ტყავის ყდა, ბიბლიოთეკის გარეთ არ გაიტანა და სისხლის სამართალთან კონფლიქტში არ მოვიდა...

მოკლედ, ამ ცელქობით გართულებს, თავზე დაადგა შედარებით შეგნებული, გედეონ ხვედელიძე, რომელიც გოგონას (გულნარას) მშობლებისთვის სასურველი საქმრო ყოფილა... მართალია ისიც უკანონოდ შემოიპარა ბიბლიოთეკაში, მაგრამ შეეცადა უკვე გადარეული ახალგაზრდების სოციალისტურ რეალიზმში დაბრუნებას. (გედეონი, 25 წლის გახლავთ და სახელმწიფო ბანკში მუშაობს, კომკავშირის მდივნად)... თუმცა უშედეგოდ. სამწუხაროდ, ცოტა ხანში, გამოუცდელობამ, და ნორჩმა ასაკმა თავისი ქნა... ამ წყეული გველის ტყავით მოხიბლული, თვითონაც ჩაერთო, თანამედროვეს მოქალაქისათვის გამხრწნელ და არაჯანსაღ პროცესებში...

ორი-სამი ექსპერიმენტის შემდგომ, რაღაც დაემართა გედეონს... თითქოს შუბლზე კომკავშირული ძარღვი გაუწყდა... გ ა დ ა ი რ ი ა... საუბედუროდ, იპოვა კარლ მარქსის ბიოგრაფია, ამ გენიალურ პიროვნებას, ამხანაგ კარლს შეუძვრა სამუშაო კაბინეტში და ხელი შეუშალა ახალი, დიალექტიკურ მატერიალიზმში უფრო საინტერესო კვლევების შემუშავება-შექმნაში... მეტსაც გეტყვით, ლამის შეაყვარა თავი ლიდია ბერნს და ეჭვით გათანგულ, მის სახელოვან ქმარს, ფრიდრიხ ენგელსს საერთოდ აუბნია გზა-კვალი... ბოლოს ისე გათავხედდა, რომ საკუთარ შრომებში ჩაფლულ ამხანაგ ლენინს, ცხელ ჩაიში მარილს უყრიდა, რის გამოც ბელადს ნადეჟა კრუპსკაიასთან დაუძაბა ურთიერთობა და ხშირი კონფლიქტები დაეწყო. ვეჭვობ, რომ ამხანაგ ლენინს სწორედ ამის მერე შეერყა ჯანმრთელობა და ის, ნერვიული, დაძაბული და დაბნეული გახდა....

ამ რია-რიაში იყვნენ, რომ ერთ კვირიანი დასვენების წინ, მიმდინარე სამუშაოების შესამოწმებლად, შემოიარა თქვენის დაქვემდებარებაში მყოფმა, იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსმა, ანგელინა (შემოკლებით ანგელა) პეტრეს ასულმა ბერჟემ, თავისი მცირეწლოვანი ქალიშვილი ქეთევანით... ნანახითა და გაგონილით, ჯერ აღშფოთდა და დაუპირა მილიციის გამოძახებაც, მაგრამ მერე როცა საქმის ვითარებაში ძირფესვიანდ გაერკვა... მანაც ამ წყეული გველის ტყავით მოჯადოებულმა, გადაწყვიტა 1924 წელს დახვრეტილი ბაბუმაისის (მამამისის სიმამრის) საბჭოთა წყობილებისაგან დამალული, საოჯახო ოქროულობის საგანძურის ადგილმდებარეობის გაგება...ამ მიზნით დააპირა ყდის დროებით სახლში წაღება... ასეც მოიქცა, მაგრამ, როგორც გაირკვა ამ საგანს უნიკალური და ჯადოსნური ძალა, მხოლოდ საჯარო ბიბლიოთეკის და კერძოდ, იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსის სამუშაო კაბინეტის კედლებში ჰქონდა...

ამიტომ, ქალიშვილი ყოფილ ქმარს და ნადედამთილნამამათლის დატოვა, თვითონ კი საოჯახო ალბომით ხელმდაშვენებული სასწრაფოდ უკან, ბიბლიოთეკაში დაბრუნდა...

ამის მერე დაიწყო თუ დაიწყო...

აქ ყოფნის გამოცდილებამ დამანახა ამხანაგო სანდრო, რომ გონებაში უაზროდ ბევრი ინფორმაციის დაგროვებამ, იძულებით კარჩაკეტილობამ, სამყაროს შეცნობის დაუოკებელობა წყურვილმა, და ჯადოქრობამ, წამის მეასედში შეიძლება აქციოს, რაციონალური, ინტელექტუალი ქალბატონი, ავანტურისტ ალქაჯად, რომელიც მის წინ არსებულ ყველა მორალურ ბარიერს სპობს და მოწყურებული ბეჰემოთივით ეწაფება სურვილების ასრულების მომწამლავ წყაროს... ანუ მოკლედ, რომ ვთქვათ ანგელინა გ ა მ ო დ უ რ ა ქ დ ა.

პატივცემული დურაქი ქალბატონი. დურაქების დედოფალი. დრუაქებს შორის ყველაზე დიდი დურაქი.

ჩემს განრისხებას, მომავალი კომუნისტისთვის შეუფერებელ გამონათქვამებს და ქართველი კაცისთვის

არ მიღებულ დამოკიდებულებას, ააქვს ძალიან ბევრი საკმაოდ საფუძვლიანი და სამართლიანი მიზეზი...

კიდევ რაები ქნეს ამ არასერიოზულმა, გადარეულმა და გველის ტყავის ჯადოსნობით დამთხვეულმა ხალხმა, მერე მოგიყვებით.

უბრალოდ მზარავს, როცა წამით დავფიქრდები და გავიაზრებ, თავისი ამბიციურობით და გაუფრთხილებლობით - განათლებას, კულტურას, მეცნიერებას, ხელოვნებას, იდეოლოგიას, სოციალისტურ რეალიზმს რამოდენა ზარალი მიაყენეს... ჯერ კოდევ ვერ მიპატიებია, მათთვის გოგოლის "მკვადრი სულების" მეორე ტომის მოპარვა და გაუფტმანის, თითქმის დამთავრებული რომანის დატოვება, ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტას" ტრამვაიში, აივენჰოსთვის გაფუჭებული ძეხვის შეპარება, რის გამოც ეს გმირი რამოდენიმე დღით გამოთიშეს ძირითად სიუჟეტს და მის ძებნაში, ჭკუიდან გადასული უოლტერ სკოტი იძულებული გახდა, ბუნების დეტალური და მოსაწყენი აღწერით შემოფარგლულიყო... იცით, რატომ ვერ ძღებოდა ალექსანდრე ტოლსტოი? მაპატიეთ, მაგრამ ჯერ ამ საიდუმლოს გამხელისთვის, თქვენც კი არა ხართ მზად...

რომ იცოდეთ, რამდენი ზესაიდუმლო ინფორმაცია, მკრეხელურ - უხერხული დეტალი გაიგეს და ამის გამო, კიდევ რამდენი სხვა უპასუხისმგებლო, ცინიკური საქციელი ჩაიდინეს?! გაგიჟდებით!

...ამედია, ამის თქვენთვის პირადად გოყოლის შესაძლებლობა კიდევ მომეცემა, და ყველაფერს დაწვრილებით მოგასხენებთ...

ან, ძველებურად მეორე უფრო სრულფასოვანი მოხსენებით ბარათს მოგწერთ... ეეეჰ!

...დავუბრუნდები 1954 წლის 7 იანვარს...

ანგელინამ, ჩემთან რამოდენიმე საათიანი ენერგიული და აქტიური ურთიერთობის შემდეგ გაარკვია, რომ ბოლო წიგნი 1943 წელს მქონდა წაკითხული და ეს, იყო წითელი არმიის სამეთაურო კოდექსი... აქედან გამომდინარე, მან დაადგინა, რომ ჩემი განათლება და ინტელექტუალური დონე, არ იყო საკმარისი მოვლენების ადექვატურ შეფასებისა და საქმეში სრულფასოვნად გარკვევისათვის... ამიტომ, მოიწვია "გველის ტყავის" საბჭო, რომელშიც ჩემს გარდა, შედიოდა ყველა, მათ შორის უკანონოდ "გაცოცხლებული" ლიტერატურული პერსონაჟებიც. ხანმოკლე თათბირის შემდეგ, მთელმა ამ მოჯადოებულმა "ბანდამ", ქალბატონის ბერჟეს ხელმძღვანელობით გადაწყვიტა ჩემი გონებრივი მარაგის გამდიდრება და განათლების დონის ამაღლება...

ამისთვის, ამ ჯოჯოხეთის მაშხალამ, გადასაყრელად გამზადებული, დაზიანებული გამოცემებიდან, აარჩია 100-მდე კლასიკური ნაწარმოები და იქიდან, მისი აზრით საუკეთესო ადგილები და ყველაზე მომგებიანი თავები ერთი ყდის ქვეშ გააერთიანა... ერთ წიგნად აქცია.

"ეს იქნება გულივერ შენი მოგზაურობაო!" - ცინიკურად დაამატა და გველის ტყავში გაახვია იგი...

ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, მამუკას (მუარიციო ოტელოს) და კაკოს (კასიოს) დახმარებით მაიძულა მონაწილეობა მიმეღო მათ მკრეხელურ რიტუალში...

იმასაც მოგახსენებთ, რომ ეს ე.წ. "სახელმძღვანელო", ჩემი სეხნიის "გულივერის მოგზაურობით" იწყებოდა.

ანგელინა ბერჟემ ხმამაღლა დაიწყო კითხვა ჯონათან სვიფტის ამ უკვდავი ქმნილების, ჩვენ კი ხელიხელჩაკიდულები ვიდექით და ვუსმენდით მას... ყველა ვგრძნობდით, როგორ ივსებოდა ოთახი აბობოქრებული ოკეანის ხმაურებით და განწირული მეზღვაურების შეძახილებით... კედლები უფერულდებოდნენ და ნისლის ღრუბლებად იქცეოდნენ, წვიმის წვეთები, თუ ტალღების შხეფები მტკივნეულად გვჩხვლეტდნენ ცივი ქარისგან გათოშილ სახეებზე... ამ დროს, ანგელინამ თითზე დაიხვია ცხენის ძუისგან დაწნული ნიშნული, სამჯერ მოქაჩა და ჩვენი ერთობლივი, ტრაგიკული მოგზაურობაც დაიწყო.... დაიწყო, არა რეალურ, არამედ მსოფლის 100 საუკეთესო კლასიკურ ნაწარმოებიდან ამოგლეჯილ თავებსა და ნაწყვეტებში აღწერილ ისტორიებში, რომელთა უშუალო და უნებლიე მონაწილენი ვიყავით, ვართ და შეიძლება მომავალშიც ვიყოთ, ერთი დურაქი არსების გამო...

"- მსოფლიო ლიტერატურულ შედევრებში მოგზაურობა, ფრიად მოსაწონიაო!" - იტყვის გაუთვითცნობიერებელი ადამიანი...

თითქოს, აქ მართლაც ცუდი არაფერია - "ინტელიგენცია, ცდილობს მუშათას კლასი აზიაროს მსოფლიო სიბრძნეს, და ამით, უფრო მეტი ღირსეული და ინტელექტუალი კომუნისტი შესძინოს მსოფლიოს!"... მაგრამ უბედურება ისაა, რომ საჯარო ბიბლიოთეკის, იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსს, ანგელინა (შემოკლებით ანგელა) პეტრეს ასული ბერჟეს მწერლური ამბიციები, მარტოხელა დედის დარდი, მიტოვებული მეუღლის ტკივილი, გრძელი ენა და უკუდეგანო სიდურაქე აწუხებს... რამაც სამწუხაროდ თავი იჩინა სანჩო პანსასთან, ურთიერთობის დროს.

ეს, მეოცე საუკუნის, თბილისელი ქალბატონი

ცდილობდა აეხსნა, მეჩვიდმეტე საუკუნის გაუნათლებელი, ლამანჩელი გლეხისთვის, რომელსაც სიცხისა და დაღლილობისაგან ფეხები ეკეცებოდა, თუ რას ნიშნავს პირადი ჰიგიენა და როგორ, და რატომ მრავლდებოდნენ ბაქტერიები დაუბანელ ადამიანებში, რანაირად ემართებად დიარეა, გასტროინტესტინური ტრაქტის ჩივილები, საყლაპავის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის ფუნქციურ, აბდომინური ტკივილის სინდრომი, ნაღვლის ბუშტისა და ოდის სფინქტერის ფუნქციური დაავადებები... და ბოლოს, მთლად უარესი - ანორექტალური შოკი...

ამდენი უცნობი სიტყვებით გაგულისებულმა პანსამ, ვეღარ შეიკავა თავი:

- ვის დაკარგვიხარ, შე უბედურო! აქ რამ მოგიყვანა შე ალქაჯო! - აყვირდა და დონ კიხოტის ხმლის ერთი მოქნევით ლამის თითზე მიაწყვიტა ყდის სანიშნე, რომელიც ერთადერთი გზა იყო, ჩვენი სოციალისტურ რეალიზმში დასაბრუნებლად...

ანგელინა დურაქის. დურაქების დედოფლის. დურაქებს შორის ყველაზე დიდ დურაქი გამო, ვერ ვბრუნდებით უკან. ჩვენს სანატრელ თბილისში, საქართველოში და შესაბამისად, სარემონტო სამუშაობს დროულად ვერ ვამთავრებ და აღებულ ვალდებულებას ვერ ვასრულებ, რისიც ძალიან მრცხვენია, და თვალებში პირველ რიგში თქვენ ვერ შემოგხედავთ ამხანაგო სანდრო... და დადარდიანებული, ჭმუნვებ შეპყრობილი, მოგმართავთ ლერმონტოვის "ანდერძის" სიტყვებით:

" ო, როგორ ვნატრობ, პირისპირ/შენთან შეხვედრას ძმაო.

ჩემზე ამბობენ- -,, ამ ქვეყნად/ დიდხანს ვერ დარჩებაო.“...

დედ-მამას ჩემსას შენ ალბათ,/ცოცხალს ვერ ნახავ, თუმცა,

არ მინდა გლოვად და დარდად/ ჩემი ამბავი უთხრა....

მეზობლად ერთი ქალი ჰყავთ,/დავშორდით უკვე წლებია,

იქნებ არც გკითხოს სადა ვარ.../უთხარი რაც სათქმელია,

შეუნიღბავი სიმართლე,/მის ცარიელ გულს მიანდე,

იტიროს, ცრემლს ვინ დაუთვლის?/ეს მას არაფრად არ უღირს....

შეუნიღბავი სიმართლე,/მის ცარიელ გულს მიანდე,

იტიროს, ცრემლს ვინ დაუთვლის?/ეს მას არაფრად არ უღირს...."

ცრემლებს ძლივს ვიკავებ, ამხანაგო სანდრო, რადგან ვერ ვხვდები, განცხადებას რატომ გწერთ?

მოგივათ, თუ არ მოგივათ ეგეც არ ვიცი.

ან რომც მიიღოთ, რითი უნდა დაგვეხმაროთ?... თქვენ, ღვაწლმოსილი კომუნისტი, რევოლუციონერი და დიალექტური მატერიალიზმისა და ლენინური პრინციპებით გაჟღენთილი კაცი, ჩვეენ, ზღაპრებსა და მსოფლიო ლიტერატურულ შედევრებში გადავარდნილებს, ჩაკარგულ-გაჭედილებს, რომლებიც ყველაფერთან ერთად გველის ჯადოსნურ ტყავში ვართ გახვეულები და მისტიური აღვირახსნილობის წყალობით ბორკილდადებულნი...

არ ვიცი. არ ვიცი. არ ვიცი.

თუმცა რაღაც იმედი, მაინც ბჟუტავს მსოფლიო ინტელექტუალური შედევრებით გამდიდრებულ სულში... კლასიკურ ლიტერატურას ნაზიარებ გონებაში...

ამხანაგო სანდრო, კაცის გული, ხომ იცით როგორია, რაც კლავს ის წამლობსო?!

ჰოდა, პირდაპირ გეტყვი - ძალიან გავბრაზდი, როცა დავინახე როგორ ნებივრობდნენ ეს დურაქი ანგელინა და ოდისევსი ზღვის ტალღებში... შეიძლება, ცუდს არაფერს სჩადიოდნენ, ონისე (ოდისევსს ასე ვეძახი) მეძმაკაცება და იცის ჩემი გულის პრანჭვების შესახებ. ვიცი ზედმეტს არაფერს აკადრებს ანგელინას, მაგრამ მაინც გული მწყდება. თქვენც დაგწყდებოდათ... როცა ქალი, რომელიც გიზიდავს და მოგწონს, სხვა მამაკაცთან, თუნდაც ძმადნაფიცთან, ისე ხალისობს, ისე კისკისებს... როგორც შენთან არასოდეს უხალისია, არადოდეს უცინია...

"შეუნიღბავი სიმართლე,/მის ცარიელ გულს მიანდე,

იტიროს, ცრემლს ვინ დაუთვლის?/ეს მას არაფრად არ უღირს...."

ქალი, მაინც ქალია. მართალია, მეტყვით, "რომანი, იქ არ უნდა გააბა სადაც მუშაობ, მით უმეტეს უფროსთანო!", მაგრამ ისეთ სამყაროში, რომელშიც ამ ქალის წყალობით მოვხვდი - თუ ეგ არა ჰქენი, მართლა კაპიკია მაშინ ჩემი კაცობისა და კაცურობის ფასი...

ამხანაგო სანდრო, მომაჯადოა და მომხიბლა ამ დურაქმა ქალმა?!

ზოგჯერ განმაროტოებულს ვუთვალთვალებ, როცა მის გულს კაეშანი მოაწვება, როცა ეულს დაჰბერავს მარტოსულობის ნიავი... და როცა საცალფეხო ბილიკით მიირბენს კლიდს ქიმთან, ზღავს, რომ გადაყურებს... ჩამოჯდება და დარდობს.

იცით, რამდენს დარდობს?

თავის, პირმშოს, ქეთევანს იხსენებს... ცრემლები, ღაპა-ღუპით მოსდის... ისეთი საყვარელია, ისეთი უსუსურია და ისეთი მშვენიერია, რომ მავიწყდება, მისი სიდურაქე... მზის სხივები ოქროსფრად ალდება ამ მშვენიერი ქალბატონის თმებში და ხანდახან ანგელოზი მგონია. ჩემი მფარველი ანგელოზი...

ბედნიერი ვარ, რომ ვხედავ და აღარც კი მახსენდება, რომ სწორედ მის გამო ვართ ახლა ააქ... ამ,ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა შ ი...

მიყვარს!

მიყვარს, მაგრამ მას, ვერ ვუმხელ! ენა მივარდება, როცა მიჩნდება სურვილი, ჩემი გრძნობების დუღილის, ჩემი გადარეული სულის ვულკანურ ამოფრქვევებზე ვუთხრა რაიმე... ვიბნევი, და მხოლოდ სულელივით ვიცინი, ან ვყმუი...

თქვენ კი გეუბნებით - საკუთარ თავზე, საკუთარ სიცოცხლეზე, საკუთარ მეობაზე მეტად მიყვარს!..

...ვცადე, ოდისევსთან დალაპარაკება, მერე ოტელოსგანაც მივიღე რჩევები, ცოლიანი კაცია და მეტი იცის... აქეთ შორენამაც, კოლონკელიძის ქალმაც მირჩია რაღაც-რაღაცეები...

მაგრამ, რომ დავფიქრდი თავი გიჟი მეგონა...

მე, რეალური ადამიანი, ჭკუას ვეკითხები ვიღაც ლიტერატურულ პერსონაჟებს?

თუმცა, მერე მივხვდი, ყველა ნაკითხი კაცი ასე აკეთებს და მეც, ხომ მათ "კამანდაში" გავერიე...

კაცური კაცი ხართ, ამხანაგო სანდრო და მიმიხვდებით...

ოდისევსზე ძალიან ვიეჭვიანე და გული ლამის მომიკვდა...

ჰოდა, ამ გულგატეხილობისას, გამოვეპარე ჰომეროსს, წამოვიღე ტყავის რამოდენიმე გრაგნილი და "განძთა კუნძულს" შემოვეკედლე... აქა ვწერ ამ წერილ-განცხადებას, "ადმირალ ბენბოუს" დუქანში... ბოლომდე ჩავცლი ჯინის ბოთლს, ჩავდებ მასში ამ ნაცოდვილარს, კარგად დავუცობ თავს, შევირბენ "დიდოსტატის მაჯვენაში", და სვეტიცხოველთან მტკვარში გადავაგდებ ამ ბოთლს, მერე დავბრუნდები იქ სადაც ჩემი განმანათლებელი, ჩემი ჭკუიდან გადამყვანი, ჩემი ქალი და ალქაჯი, ჩემი სრულყოფილება და სიდურაქე, ხალისობს და ნაღვლობს... ოგიგიის კუნძულზე... და...

...ისე, რომ შეგახსენოთ, ეს ის ადგილია სადაც ონისე (ოდისევსი), თავისებურ ტყვეობაში ჰყავს ნიმფას კალიფსოს, რომელსაც ჩვენი გედეონ ხვედელიძე ეტრფის... ვერაფერი მოვუხერხეთ, ვერანაირად გადავათქმევინეთ, შეუყვარდა რა ქნას...

რაც შეეხება ბონდოს, შერლოკ ჰოლმსაა მიკედლებული, არ ცილდება, სულ ერთად დადიან და თავისუფალ დროს დუეტში უკრავნე, შალიკო (შერლოკი) ტრადიციულად ვიოლინოზე "უბერავს", ხოლო ბონდოს კლარნეტი სცოდნია და არიან ასე, გამოძიება, საოჯახო კონცერტი, გამოძიებია, საოჯახო კონცერტი...

გულნარა და ფრიდონი, "ალუბლის ბაღში" დარჩნენ, მათ ფირსი და შარლოტა ივანოვნა პატრონობენ, აბა. შარლოტა პარალელურად გერმანულში ამზადებს, ორივეს. ისინი კი, თავის მხრივ ბაღის მოვლაში ეხმარებიან...

ვიცით, რამხელა პასუხისმგებლობაა და ყველა ძალიან ვნერვიულობთ, ამ ქმედებებმა მსოფლიო ლიტერატურაში რაიმე არ შეცვალოს... მაგრამ, რა უნდა ქნა, ცხოვრება იმისთვისაა, რომ ხელოვნება გამოიყენოს ადამიანმა თავისი თავის პოვნისა და ბედნიერებისათვის და არა პირიქით!..

განცხადებს, ორ ეგზემპლიარად ვწერ... მეორეს "ჩავირბენ" ილიადაში და იასონს ვთხოვ, კოლხიდას ნაპირებამდე მიიტანოს, ვიცი უარს არ მეტყვის... პატივს მცემს, ჩემი ვეტერანობისა და კაპიტნობის გამო... ჰოდა ეგებ, ერთ-ერთმა მაინც მოაღწიოს თქვენამდე ამხანაგო სანდრო...

როცა მიიღებთ, გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხეთ ეს გულწრფელი მონათხრობი და აღსარება... და კაცურად გამოგოთ.

მოკითხვა ყველას.

პატივისცემით, კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატი, მლესავ-კალატოზი, გადამდგარი კაპიტანი, ინვალიდი, მაგრამ ამჟამად მსოფლიო ლიტერატურულ საგანძურში ჩაკარგული,

გულივერ თეოფილეს ძე ცხელისშვილი.

1745 წელი. 12 მაისი.

(ყოველ შემთხვევაში"ადმირალ ბენბოუში" ეს დროა)."

...აი, ასე უცნაურად და მოულოდნელად დამთავრდა ეს განცხადება. დაბნეული, გაოგნებული და ამავე დროს დაინტრიგებულიც კი ვიყავი. ანგელინას შვილთაშვილს თამთას ვიცნობდი, ჩემი ჯგუფელი იყო და ერთმანეთთან მეგობრობაზე მეტი გვაკავშირებდა... თუმცა პირდად ანგელინას შვილს, ქალბატონ ქეთევანს, არასოდეს შევხვედრილვარ...

თვალი მოვავლე სამკითხველო დარბაზს...

დღე, ნელ-ნელა გადადიოდა გრილ საღამოში. სხვადასხვა ასაკის და პროფესიის ადამიანები ცდილობდნენ, ცოდნის კიდევ რამოდენიმე ლუკმის მიღებას და სულ არ აქცევდნენ ყურადღებას, ფანჯრებში შემოჭრილ აყვავებულ ტოტებს. გაზაფხულის მზის

წყალობით ამოყრილ ნორჩ ყლორტებს, და ჩიტების მხიარულ ჟღურტულს...

"დღეს არსებობს, ვიდეო, დვდ და სდ დისკები, არსებობს აი-ფონები, კომპიუტერები, ლეპ-ტოპები, კასეტები, ვიდეო და აუდიო ინფორმაციის მატარებელი მოწყობილობები... - აღფრთვანებული ვფიქრობი, და ყურადღებით ვათვალიერებდი წიგნის ყდას, - ჰოდა, რა იქნება, თუკი ამ ჯადოსნურ ტყავში მათ გავახვევთ? ნუთუ ისეთივე ეფექტს მივიღებთ, როგორც ბონდომ მიიღო, როცა რეპროდუქცია ჩადო ამ მისტიურ ყდაში?"

ექსპერიმენტის ჩატარება მომინდა, დაძაბული ვფიქრობდი, სად, როგორ, რანაირად განმეხოციელებინა ჩანაფიქრი... ამ იდეებითა და სურვილებით გართულმა, შემთხვევით სხვა კორიდორში შევუხვიე და აღვმოვჩნდი იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსის კაბინეტთან, ქალბატონ ქეთევან ბერჟე-მ...ძეს, მისაღების წინ.

ამან ძალიან გამაკვირვა, თუმცა იმ წამსვე მივხვდი, რომ ამაში ნამდვილად ერია ბედისწრის ხელი, პირჯვარი გადავიწერე და წიგნით ხელში შევაღე, ქალბატონ ქეთავანის კაბინეტის კარი.

იქ, დამხვდა სამოცდაათს მიტანებული სიმპატიური, ცისფერთვალება და კეხ-ცხვირიანი, საოცრი მანდილოსანი, ბოხი ხმითა და სანდომიანი ღიმილით.

- გისმენთ ახალგაზრდავ! - მომმართა მან და სათვალე გაისწორა.

- ქალბატონი ქეთევან! დედათქვენს ანგელინა, არ ერქვა? - პირდაპირ მივახალე და საკუთარი უტაქტობის შემრცხვა, - უკაცრავად, გამარჯობათ!

- დიახ, ბატონო! - კვერი დამიკრა მან, და სკამზე მიმითითა, - დაბრძანდით. რაში გაინტერესებთ?

- მგონი ამას, თქვენს გარეშე ვერაფერს მოვუხერხებ! - ეშმაკური ღიმილით ვუთხარი და ზედმეტი ლაპარაკის გარეშე, წინ დავუდე გულივერის განცხადებაზე გადაშლილი წიგნი.

ქლაბატონმა ქეთევანმა დახედა განცხადებას, სწრაფად გადაიკითხა. გაფითრებულმა შემომხედა, მერე ფეხზე წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა.

- ამ წიგნის ვეძებ უკვე სამოცი წელია!

- ალბათ, ამიტომაც მოგიტანეთ!

- სანიშნე, ხომ არ გინახავთ?

- როგორც მივხვდი, ვინც წიგნს რესტავრაცია ჩაუტარა, მან სანიშნე, აი, აქ მოაქცია! - ვუთხარი და უკანა ყდა ვაჩვენე, რომლის შიგნით ჭიასავით დაკნაკლილი ამობურცული ადგილი ჩანდა.

- ესე იგი? - მოძალებული ემოციებისგან, ხმა აუკანკალდა ქალს, - ესე იგი, თუკი მას ამოვიღებთ, დედაჩემი დაბრუნდება?

- იმედია!.. - დავუდასტურე და დავამატე, - და ალბათ, ყველაფერი სხვანაირად იქნება!

- რას გულისხმობთ?

- წიგნებში დრო სხვანაირად მიედინება! ალბათ უნდა გაითვალისწინეთ, რომ ის ისევ ოცდაათი წლის იქნება! იქ, როგოც მივხვდი დრო არ იცვლება, თუკი ავტორს არ უწერია გავიდა ამდენი წელიო!

- ვიცი! ვიცი! - ჩაფიქრებულმა წარმოთქვა და მაგიდას მიუჯდა, შემდეგ საკანცელარიო დანა ამოიღო და ყდაში ჩამალულ ნიშნულს თითებით მოეფერა...

-შუუმ ცუიქუე... (ყველას თავისი...)! - დაამატა ლათინურად და მკვეთრად დაუსვა დანა გაყვითლებულ ქაღალდს. გაჭრილი პირიდან, ცხენის ძუისგან დაწნული თოკი, სწრაფად ამოაძვრინა და შვებით ამოისუნთქა.

- ისაა! ის! - აღფრთოვანებით წარმოთქვა ქეთევანმა, - აი, გაწყვეტილიც!

დამანახა, სანჩო პანსას მიერ გადაჭრილი ადგილი, მერე ფურცლები გადაათვალიერა და იპოვა კუნძულ ოგიგიას აღწერილობა.

- "ცისკარზე, როცა სხივმოელვარე ეოსი ტითონის სარეცლიდან ადგა, რათა უკვდავთა და მოკვდავთათვის სწორად მოეფინა ნათელი, მაღალმქუხარე ზევსის გარშემო შემოკრბენ ღმერთები. ნიმფა კალიფსოს მღვიმეში დატყვევებული, მრავალჭირნახული ოდისევსი გაიხსენა ათინამ"... - ლამის ლოცვასავით წარმოთქვა ქეთევან ბერჟე-მ...ძემ და შეთქმულივით ამომხედა.

სუნთქვაშეკრული ველოდი იმას, თუ რა მოხდებოდა.

- "თვალცრემლიანი ოდისევსი ზღვის ნაპირზე ივჯდა. სამშობლოზე ფიქრში ელეოდა მისი დღე და წუთისოფელი. თმამშვენიერ ნიმფაზე მას უკვე აღარ მისდიოდა გული, თუმცა მღვიმეში იძულებით ატარებდა ღამეს მის გვერდით"... - განაგრძო ქალბატონმა, ხელი ჩამჭიდა და ნიშნული თითზე დაიხვია.

იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსის კაბინეტი ზღვის სუნითა და ტალღების ხმაურით ივსებოდა...

ირაკლი ლომოური

ორუელის სპილო

(ქრონოსკოპისტის ჩანაწერებიდან)

საოცარია, მაგრამ დროში მოგზაურობის მსურველები თითქმის აღარ არიან. თუ არ ჩავთვლით მეცნიერ-ისტორიკოსებს, მაგრამ ისინიც კი თითქოს მოვალეობის მოხდის გამო დაფრინავენ წარსულში, – ნამდვილი: შმაგი, ცინცხალი, დაუოკებელი ინტერესი დაიკარგა ... არადა როგორი "ბუმქრორი" გამოიწვია თავის დროზე ქრონოსკოპის გამოგონებამ! (საგანგებო, ხელოვნური ტერმინიც კი შეთხზა ერთმა ჭკვიანმა ჟურნალისტმა იმ არნახული აურზაურისა და ჟივილ-ხივილის აღსანიშანავად: "ბუმი+ქრონოსკოპი+ფურორი") ... მაგრამ ეს ე.წ. "ბუმქრორი", დიდხანს არ გაგრძელებულა. ქრონოსკოპის გამოგონებას ეგრევე მოჰყვა გრავიტრონის გამოგონება (ორივე დრო-სივრცის სუპერგრავიტრონული თეორიის ლოგიკური შედეგი გახლდათ, დეივ დოილმა რომ შეიმუშავა), რამაც ადამიანს კოსმოსის დაპყრობა-ათვისების უსაზღვრო შესაძლებლობა გადაუშალა წინ.

სინათლის სიჩქარით მოგზაურობა რეალობად იქცა (არადა, ჩვენს წინაპრებს ეს შეუძლებლად მიაჩნდათ – ბრიყვები!) და კაცობრიობაც საკმაოდ სწრაფად "გაიწოვა" – ორი თაობის სიცოცხლეში – ახალაღმოჩენილ ეკზოპლანეტებზე გადასახლდა, რომელთა რიცხვი ათასჯერ და ათიათასჯერ მეტი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესღაც ეგონათ. კაცობრობის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. დიდმა და მცირე ერებმა განსახლება, დაშორიშორება გადაწყვიტეს, ცალ-ცალკე ისურვეს ცხოვრება – მადლობა ღმერთს, ასათვისებელი პლანეტები საკმარისზე მეტი იყო.

რეალური კოსმოსის გაუგონარი საოცრებების ფონზე დროში ეფემერულ მოგზაურობას ხიბლი დაეკარგა. ადამიანმა დედამიწას და, შესაბამისად, კაცობრიობის წარსულში მოგზაურობის შესაძლებლობას ზურგი აქცია.

"ბუმქრორის" მერე საუკუნეზე მეტი გავიდა. ახლა 2215 წელია, დედამიწაზე სამი მილიონი კაციც კი აღარ ცხოვრობს – გადარჩენილი ისტორიული ძეგლების მცველები, მეცნიერები, ტუროპერატორები, ერთი მუჭა შერეკილები, რომლებსაც დედამიწა არ ეთმობათ, და ჩვენ – ქრონოსკოპისტები. და კიდევ, რობოტანდროიდები, ანუ მომსახურე პერსონალი, მაგრამ ისინი არ ჩანან, თვალში არ გეჩხირებიან. მოკლედ, საოცარი სიხალვათეა, სიწყნარე და სიჩუმე. მოწყენილობა.

დედამიწაზე ჩამომსვლელი ტურისტების რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება. ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი – ხმელეთის დიდი ნაწილი წყალმა დაფარა მას მერე, რაც გრენლანდიაც დადნა და ანტარქტიდაც... ნიუ-იორკი, ლონდონი, ამსტერდამი, სანქტ-პეტერბურგი, მრავალი დიდი თუ მცირე ქალაქი ზღვამ შთანთქა. ზოგიერთი ქვეყანა საერთოდაც გაქრა, მაგალითად, ბანგლადეში.

ასევე არ გაამართლა მოლოდინმა, რომ კოსმოსში გადახვეწილ ადამიანს სენტიმენტალური გრძნობები წასძლევდა და სიცოცხლეში ერთხელ თუ არა, სიკვდილის მერე მაინც ესტუმრებოდა მშობლიურ პლანეტას... ანუ ანდერძად დაიბარებდა – გარდაცველების შემდეგ ჩემი ნეშტი (თუ ფერფლი) წინაპრების მიწას მიაბარეთო (თუ მიმოაბნიეთო). გრავიტრონული ეპო-

ქის ადამიანი სენტიმენტებს თურმე მაინცდამაინც არ სწყალობს – "ველური დასავლეთის" დამყრობელთა მსგავსად, პრაგმატულ-პრაქტიკული, მიზანსწრაფული გამოდგა, ვინც წინ მიდის და უკან არ იყურება. ასე რომ, დედამიწა პანკოსმოსურ პანთეონად ვერ იქცა.

მმ, ეს "ველური დასავლეთი" რამ გამახსენა? საერთოდაც, საიდან ვიცი მის შესახებ? მე ხომ ქრონოსკოპისტი ვარ. ანუ ქრონოპილოტი... წარსულში ფრენა ჩემი საქმეა, ჩემი პროფესიაა და მოწოდებაც! სად არ ვყოფილვარ, რა აღარ მინახავს!

ალბათ, გაინტერესებთ, რატომ გიყვებით ამ ყველაფერს, რატომ ვაკეთებ ამ ჩანაწერებს? და რატომ ვაქვეყნებ სპეისნეტში? თუკი ვიცი, რომ არავინ (ან თითქმის არავინ) წაიკითხავს? მოწყენილობისგან? თავის [illegible]

წვრილმანს ხედავ, ბონაპარტის სუნთქვაც გესმის და კლეოპატრას გულის ცემაც. მოკლედ, ქრონოპლანით შეგიძლია იფრინო ნებისმიერ ეპოქაში, მოხვდე ნებისმიერ ადგილას, ნებისმიერ სიმაღლეზე, გაჩერდე ჰაერში და დროში რამდენიც გსურს. დააკვირდე, გადაიღიო, შეისწავლო. ოღონდ, დედამიწის წარსულში სამოგზაუროდ დედამიწაზე უნდა ჩამოხვიდე.

ქრონოსკოპის მართვა სულაც არაა ისეთი ადვილი, როგორც ატრაქციონის სათამაშო მანქანისა ბავშვიც რომ ახერხებდა. რადგან აღმოჩნდა, – დრო სულაც არაა მოვლენების სწორხაზოვანი, მიზანმიმართული ნაკადი, წარსულიდან მომავალში რომ მიედინება, არამედ მრავალგანზომილებიანი ქრონოპლაზმურ-გრავიტურ-ბულენტური ველია, რომელიც ხანგამოშვებით უფრო ტორნადოს ან მორევს ჰგავს, ვიდრე მდორე მდინარეს. და სწორედ იმიტომ, რომ ამ ველს ჯერაც აუხსნელი და გაუგებარი გრიგალისებური "აღშფოთებანი" ახასიათებს, დროში მოგაზურობა მთლად უსაფრთხო არაა. მართალია, გაუჩინარების შემთხვევები იშვიათია – XX საუკუნეში ავტომობილით მგზავრობა ანდა თვითმფრინავით ფრენა უფრო სარისკო იყო, ვიდრე ქრონოპლანით ცურვა დროში, – მაგრამ მაინც ხდება. ქრონოპილოტობას ცოდნის გარდა, ნიჭიც უნდა: საგანგებო ინტუიცია, დროის ალღო. ამიტომაც დავწერე, რომ ეს ჩემი მოწოდებაა. სხვათა შორის, ქრონოპილოტების მსოფლიო რეიტინგში მეშვიდე პოზიციაზე ვარ, პირველ ათეულში კი, ყველაზე ახალგაზრდა, 25 წლის. ერთი სიტყვით, ტემპორიონავტიკა მხოლოდ მეცნიერება ან სპორტი კი არ არის, არამედ, ხელოვნებაცაა.

თუმცა არსებობს საფუძვლიანი იმედი, რომ დროში ჩაკარგული ადამიანები არ დაღუპულან და ადრე თუ გვიან ჩვენს რეალობას დაუბრუნდებიან. ამიტომაც ვეძებ მამას, და მჯერა, ერთხელაც ვიპოვი, გადავარჩენ. რატომღაც მგონია, რომ ჩემი ეს ჩანაწერები ამაში დამეხმარება. მამა როგორღაც იგრძნობს და წაიკითავს მათ პარალელურ დრო-სივრცეში – ჩემი ტექსტის ენერგეტიკა მიიზიდავს, დაეხმარება უხილავი ქრონოტრონული კედელი გაარღვიოს.

ერთი სიტყვით, ამიტომ ავირჩიე ქრონოსკოპისტობა, არ დავტოვე დედამიწა, გავხდი ქრონოპილოტი. 9 წლის ვიყავი, როდესაც მამა გაქრა. დედამ გამზარდა, წყალქვეშა არქეოლგიურ კვლევით ცენტრში მუშაობდა, დაივერ-პრეპარატორად. შარშან გარდაიცვალა, გულმა უმტყუნა ალექსანდრიის გათხრებისას, ზღვის ფსკერზე.

ამბავი, რომელსაც გიყვებით, წელს მოხდა. ოფისში ვზივარ, ჩანაწერებს ვასწორებ და ვხედავ, შემოდის

ჭაღარა დიდცხვირა კაცი – ხმელი, მაღალი, წვერებიან-სათვალიან-ხელჯოხიანი. არც წვერს ატარებს ახლა ვინმე და არც სათვალეს. ხელჯოხიანი კი მართლა პირველად ვნახე XXIII საუკუნეში. მკაცრი, მუქი ნაცრისფერი, ძველმოდური კოსტიუმი (შარვალ-პიჯაკი) აცვია, ოღონდ პერანგის ნაცვლად – მაღალყელიანი სვიტერი. მოკლედ, ცოტა არ იყოს, გაოცებული შევყურებ.

"დაბრძანდით, სერ," თავზიანად გავიფიქრე, შემოვიდა თუ არა. არადა, არ ჯდება. ვუყურებ, შტერივით ვუღიმი და უცებ ვამჩნევ, რომ თავზე – ჯვარედინად კეფასა და შუბლზე – უთხელესი ფერომაგნიტური სალტეები აქვს. "ტელეპატიური სიგნალის ბლოკატორი უკეთია!" – უცებ გამიელვა. გაოცებისგან კინაღამ პირიც კი დავაღე.

– შეიძლება დავჯდე? – ცოტა არ იყოს, უკმეხად მეკითხება ძველისველ ინტერლინგვაზე.

– დიახ, სერ, დაბრძანდით... – ინტერლინგვაზევე ვპასუხობ ("წელს სიტყვა ხმამაღლა მგონი პირველად ვთქვი", – გამიელვა). გავუღიმე და გავაგრძელე, – სერ, მე თავიდანვე შემოგთავაზეთ, დაბრძანდითმეთქი, მაგრამ თურმე ბლოკატორი გქონიათ.

– დიახ, მაქვს! და არავის მივცემ უფლებას, თავში შემიძვრეს! ეგღა მაკლია! – მოხუცმა ისეთი გაგულისებით წამოიძახა, რომ მივხვდი, უთუოდ შერეკილების თემიდანაა. ოთხი ასეთი თემი ვიცი: ლხასაში, სენგოტარდზე, შენაქოსა და მაჩუ-პიკჩუში. თუმცა, მგონი, კიდევ უნდა იყოს. ზოგიერთი შერეკილი სულაც განმარტოებით ცხოვრობს, – აქა-იქ შემორჩენილ ტყეღრესა თუ გამოქვაბულში. მოხუცი მოცელილივით ჩაეშვა ჰაეროვან გრავისავარძელში, ხელჯოხს სახელური წრიული მოძრაობით მოხსნა, პირთან მიიტანა, მოიყუდა და გადაჰკრა. ეს ყველაფერი ელვისებური სისწრაფით გააკეთა.

– ვისკი! – გამოაცხადა კაცმა, – ნამდვილი შოტლანდიური! მაგრამ თქვენ ამის ფასი რა იცით, ყმაწვილო!

– რატომ, სერ, შოტლანდიში ნამყოფი ვარ რამდენჯერმე.

– მართლაა? – თითქოს გაუკვირდა კაცს, – აა, თქვენ ხომ ქრონოპილოტი ხართ... კარგი, კარგი, ახლა ამის დრო არ არის. საქმეზე გადავიდეთ!

– დიახ, სერ, გისმენთ,

– ბირმა. 1936.

– უკაცრავად?

– გადამფრინეთ ბირმაში, 1936 წელში უნდა მოვხვდე! აუცილებლად!

– ბირმაში?

– ქვეყანა იყო ინდოეთის აღმოსავლეთით. მერე მნიანმა დაარქვეს. არ გაგიგიათ?

– არა.

– მოკლედ, გადამაფრინეთ! ას კრედიტს ახლავე ჩაგირიცხავთ ანგარიშზე. მეტი ხომ არ ღირს?

– არა, მეტი არ დაჯდება, მაგრამ დროში მოგზაურობის ნებართვა გაქვთ, სერ?

– ჰმ! – თვალები გაკვესა, ისე შემომხედა, ცოტაც და დავიფერფლებოდი.

– სერ, ტურისტის ლიცენზია გაქვთ თუ მეცნიერის?

– ყმაწვილო, აბა, შემომხედეთ, ვგავარ მე ვიღაც ვიგინდარა ტურისტს?!

ნამდვილად არ ჰგავდა. რაც გულწრფელად დავუდასტურე კიდეც.

– ქრონონატურფილოსოფოსი ვარ! – ამაყად გამოცახდა, – ყოველი დროის, ყოველი ეპოქის ფილოსოფიური ესენციის დისტილაციაზე ვმუშაობ!

– დიდი ბოდიში? – თავაზიანად გავუღიმე, – ამიხსენით თუ შეიძლება.

– აგიხსნათ? ჯერ ჩემი შრომები წაიკითხეთ, ყმაწვილო, და თუ გაიგებთ, მერე ვისაუბროთ, – ჯიბიდან კრიპტოკრისტალი ამოიღო და მაგიდაზე მეფური ჟესტით დამიგდო, თითქოს უძვირფასეს ალმასს მჩუქნიდა თუ ბრილინტს, – აი, აქაა ჩემი ნაშრომების სრული კრებული, ოცდაშვიდტომეული!

– სერ, – ფრთხილად ვეუბნები, – იქნებ ერთი მთავარი ნაშრომი დამისახელოთ, სადაც..

– არავითარ შემთხვევაში! – გამაწყვეტინა, – უნდა წაიკითხოთ ყველაფერი მიყოლებით, თავიდან ბოლომდე! წანააღმდეგ შემთხვევაში, მსჯელობის ძაფი გაწყდება და ლოგიკურ დასკვნებს ვერ გამოიტანთ!

– გიპნოგოგს წავაკითხებ ძილში, – დავპირდი და კრიპტოკრისტალი უჯრაში შევინახე.

– არავითარ შემთხვევაში! ძილში და სიზმარში ათვისებულის მე არ მჯერა! თქვენ თვითონ უნდა წაიკითხოთ, ყმაწვილო, ფხი-ზელ-მა! რომ მართლა გაიგოთ, მექანიკურად კი არ დაიმახსოვროთ!

"ეს რა ახირებული ვინმეა" – გამიელვა. გადავწყვიტე, საუბრის თემა შემეცვალა. ვეკითხები:

– სერ, თქვენი სახელი?

– ჰერკულეს ლაიონელლი.

კინაღამ გამეცინა.

– ძალიან სასიამოვნოა, სერ ჰერკულეს. მე ნიკ ნიკოლსონი ვარ.

– ვიცი, როგორმე! – უკმეხად მომიგდო, – ბრმა კი არა ვარ! – და თავი კედლისკენ გაიქნია, სადაც

ქრონოპილოტის გოლოგრაფიული დიპლომი თითქოსდა ჰაერში ლივლივებდა.

— სერ ჰერკულეს, რა მიზანი აქვს, თქვენს მოგზაურობას? რა უნდა მოვძებნოთ?

— რა კი არა, ვინ!

— კი ბატონო, იყოს ვინ. ბირმელია?

— არა, ინგლისელი. ჯორჯ ორუელი გაგიგიათ?

— არა.

— ყმაწვილო, ეს უკვე მეტისმეტია!

— რატომ, სერ?

— იმიტომ, რომ ჯორჯ ორუელმა იხსნა ცივილიზაცია! თქვენ კი არც გაგიგიათ! სირცხვილი თქვენ! რას გასწავლიან კოსმოპილოტების აკადემიაში?

— და როგორ იხსნა, სერ?

— ოო, როგორ იხსნა! ეს მთელი პოემაა! ეს ჩემი ახალი თეორიაა! მე ვამტკიცებ რომ ყოველ ისტორიულ ეპოქას ჰყავს თავისი უხილავი, მენტალური მხსნელი! ის, რომ ჩვენ დღეს ტოტალიტარულ საზოგადოებაში არ ვცხოვრობთ, ორუელის დამსახურებაა. ამიტომ ვიკვლევ მის ცხოვრებას, ვაპირებ საკვანძო მომენტები მოვიხელთო და გამოვწურო!

— გამოწუროთ?

— დიახ! გამოვწურო! ესენციის დასამზადებლად!

"ეს ჩვენი ჰერკულესი მთლად სრულ ჭკუაზეა, ნეტა?" — გამიელვა.

— დროს ვკარგავთ, ყმაწვილო! — გამოაცახადა მოხუცმა, — დღესვე უნდა გავფრინდეთ!

— სერ, იცით ზუსტი თარიღი? დრო-სივრცის კონკრეტული კოორდინატები? თუ თქვენთვის სულერთია, 1936 წლის რომელ თვესა და რომელ დღეს ჩავალთ ბირმაში?

— როგორაა სულერთი! მე ის დღე მჭირდება, როდესაც ორუელმა სპილო მოკლა!

— სპილო მოკლა? — დავფიქრდი, — სპილოს მკვლელმა ცივილიზაცია როგორ იხსნა? ერთობ არაცივილიზებული საქციელია.

— საქმეც ეგაა! — ჩაიცინა ჰერკულესმა, — ეგ მომენტი გარდამტეხი იყო მის ცხოვრებაში, მეტაფიზიკურად გადამწყვეტი! ამ შოკის შედეგად აეხილა თვალი, გაუნათდა გონება, იმ კაცად ჩამოყალიბდა, ვინც შემდგომ კაცობრიობა ტოტალიტარიზმის კოშმარისგან იხსნა. აცრა ჩაუტარა, მენტალური აცრა!

— სერ, დიდი ბოდიში, მაგრამ საიდან იცით სპილოს მკვლელობის შესახებ?

— საიდან? აღწერა თვითონ და იქიდან! — მომიგდო და ჯიბიდან რაღაც მართუკთხა საგანი ამოიღო, გადაფურცლა.

"ბლოკნოტი! ქაღალდის ბლოკნოტი!" — გამიელვა და კინაღამ ისევ გამეცინა. XXIII საუკუნეში ქაღალდის ბლოკნოტს მუზეუმში თუ ნახავ.

— თუმცა, ზეპირად ვიცი ტექსტი! ეს არც მჭირდება! — გამოაცხადა მოხუცმა, — პატარა ესეა, ექვსგვერდიანი.

— და რა წერია მაგ ესეში?

— ოო, ეს მომწონს, — მოულოდნელად გამიღიმა სერ ჰერკულესმა, — ინტერესიანი ყმაწვილი ყოფილხართ! ესე იგი, ჯერ კიდევ არის იმედი!

— რისი იმედი, სერ?

— ეს უნდა აღინიშნოს! — მოხუცმა კითხვაზე არ მიპასუხა, ხელჯოხს სახელური მოხსნა, მოიყუდა, გადაჰკრა, ისევ გაუკეთა და განაგრძო, — ჯორჯ ორუელი პოლიციელად მსახურობდა ბირმაში. ბირმა მაშინ ბრიტანეთის კოლონია იყო. ბრიტანეთის იმპერია გაგიგიათ?

— დიახ სერ, როგორ არა, დედოფალ ვიქტ...

— ეგ არაა საინტერესო! — გამაწყვეტინა მოხუცმა, — მოკლედ, პატარა ქალაქ მოულმეინში, (ეს ქვედა ბირმაა), ორუელი ბევრს ეჯავრებოდა, ცხოვრებაში ერთადერთხელ ვიყავიო იმდენად მნიშვნელოვანი პერსონა, რომ ეს შესაძლებელი გახდა, როგორც თავად წერს. ბირმაში, იმ პატარა ქალაქში, ევროპელები ძლიერ სძულდათ, თუმცა ეს დამოკიდებულება, თანაც, რაღაცნაირად წვრილმანი იყო.

— წვრილმანი? — ვერ გავიგე.

— დიახ. ამბოხებას ვერავინ ბედავდა, მაგრამ თუკი, ვთქვათ, ევროპელი ქალი ბაზარში გაივლიდა, კაბაზე ჩუმად დააფურთხებდნენ ბეტელს. ეს ერთგვარი მცენარეა, რომელსაც იქაურები მუდმივად ღეჭავდნენ.

— რა საზიზღრობაა, — ჩავილაპარაკე.

— ორუელი პოლიციის ოფიცერი იყო და აბორიგენები მას ყველა შემთხვევაში დასცინოდნენ, როდესაც ეს მათთვის უსაფრთხო ჩანდა.

— პოლიციელის არ ეშინოდათ? — გამიკვირდა, — და რა შემთხვევები იყო ეგეთი?

— ვთქვათ, ფეხბურთის თამაშისას, — ამიხსნა მოხუცმა, — წააქცევდნენ ორუელს და იცინოდნენ, მსაჯი კი ამ დროს, ასევე ბირმელი, სხვაგან იყურებოდა, ვითომცდა ვერაფერი დაინახა. ეს ხშირად ხდებოდა: დაცინვა, ლანძღვა, გინება, ოღონდ უსაფრთხო დისტანციიდან. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენო ახალგაზრდა ბუდისტი ბერები, რომლებიც რამდენიმე ათასი იყვნენ ქალაქში. მთელი დღეები იდგნენ გზაჯვარედინზე და ევროპელებს დასცინოდნენ.

— ბუდისტი ბერები? — ისევ გამიკვირდა, — ბუდისტ ბერებზე სხვა წარმოდგენა მქონდა. მეგონა, ამქვეყნიური არაფერი ანტერესებდათ.

— ჰმ, — ჩაიცინა ჰერკულესმა და განაგრძო, — წარმოიდგინეთ ორუელის მდგომარეობა, ერთი მხრივ, იგი მიხვდა, რომ იმპერილაიზმი ბოროტებაა, გულის სიღრმეში, თეორიულად, ფარულად, ბირმელების მხარეზე იყო, მაგრამ, იმავე დროს, ბრიტანეთის იმპერიას ემსახურებოდა და იქაურები ისე აღიზიანებდნენ, რომ მზად იყო ხიშტი მუცელში ჩაეცა ღიპიანი ბირმელ-

ისთვის, მასხრად რომ იგდებდა.

— ეს უწერია?

— დიახ, მე არაფერს ვიგონებ, ყმაწვილო! თითოეულ სიტყვის სიზუსტეზე პასუხს ვაგებ! — მკაცარად, მაგრამ თან ოდნავ თეატრალურად, გამომიცხადა მოხუცმა და გააგრძელა, — მაშინ ორუელი ახალგაზრდა იყო, ნაკლებად განათლებული, როგორც თვითონვე აღიარებს, და შინაგანად, გაორებული, ვერ იტანდა იმპერიას, ხვდებოდა, რომ ბოროტებაა, მაგრამ, ამავე დროს, ვერ იტანდა ბირმელებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ საკუთარი მოვალეობები კეთილსინდისიერად შეესრულებინა, წესრიგი დაეცვა. იმასაც კი ვერ აცნობიერებდა, რომ ბრიტანეთის იმპერიას მალე მოეღებოდა ბოლო. ეგონა, რომ რიტისჰ რაჯ (ბრიტანეთის კოლონიური მმართველობა) მარადიულია. მაგრამ ერთხელ მოხდა შემთხვევა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო შემთხვევა, რომელმაც, როგორც თვითონ წერს, ირიბად ხელი შეუწყო მის გათვითცნობიერებას, იმპერიალიზმის ჭეშმარიტი არსის შეცნობას, იმ მოტივების შეცნობას, რაც დესპოტურ ხელისუფლებას ამოძრავებს.

— რა შემთხვევა, სპილოს მკვლელობა?

— დიახ, ყმაწვილო! — მოხუცმა ალმაცერად გაიღიმა და თავი დამიქნია, — ერთხელ დილით ორუელს დაურეკა პოლიციის ინსპექტორმა და უთხრა, რომ სპილო არბევს ბაზარს.

— ველური სპილო?

— არა, შინაური, მაგრამ ემართებათ ხოლმე.

— რა?

— შინაურ სპილოს აქვს პერიოდი, როდესაც აგრესიული ხდება, თითქოს გაცოფდაო. მაგ დროს ჯაჭვებით აბამენ ხოლმე. ჰოდა, თურმე ერთმა ეგეთმა სპილომ აიწყვიტა. და გაიქცა. "მაჰაუტი" (სპილოს მომთვინიერებელი) გაეკიდა, მაგრამ კვალი არასწორად აიღო და საწინააღმდეგო მხარეს წავიდა. ამ დროს სპილო თურმე ქალაქში მობრუნდა, მოკლა ძროხა, გასრისა ქოხი, შევარდა ბაზარში, მილეწ-მოლეწა დახლები და გასაყიდად გამოტყანილ ხილს მუსრი გაავლო. ხალხი, ცხადია, გაიქცა. ორუელი ცხენს მოახტა და ბაზრისკენ გააჭენა.

— თოფი წაიღო?

— დიახ, ოღონდ 44 კალიბრის ძველი "ვინჩესტერი" ჰქონდა, რომლითაც სპილოს ვერ მოკლავდა.

— და, აბა, რად უნდოდა?

— დასაშინებლად. იფიქრა, რომ ჰაერში გაისროდა და სპილო დაფრთხებოდა, გაიქცეოდა. მაგრამ როდესაც ბაზარს მიაღწია, აღმოჩნდა, რომ სპილოს მოეკლა ადამიანი, ინდოელი კული (მუშა), თურმე უეცრად

თავს დაესხა ზურგიდან, ხორთუმი მოხვია და ფეხი დააბიჯა, ტალახიან მიწაში ჩასრისა.

— სპილო უწყინარი არსება მეგონა.

— არის კიდეც, — ჩაიცინა ჰერკულესმა, — სპილო სპილოა, მაგრამ თუ გაცხარდა, ცხარეა.

— ეგ ანდაზა მამაჩემისგან მახსოვს, — ჩავილაპარაკე, — ოღონდ იქ ცხვარზე იყო ლაპარაკი.

— ჯორჯიან? — უცებ მეკითხება მოხუცი.

— სერ?

— წარმოშობით ჯორჯიიდან ხომ არ იყვნენ თქვენი წინაპრები, ყმაწვილო? — სერიოზული გამომეტყველებით მეკითხება ჰერკულესი. — კავკასიის "ჯორჯიიდან"?

— დიახ, სერ. მამა მეუბნეოდა მაგას, მახსოვს.

— ენაც ხომ არ გასწავლათ?

— არა, სერ. ენა არ ვიცი.

— მე კი მახსოვს, — ალმაცერად ჩაიცინა, — მაგრამ თითქმის აღარავინაა, ვისაც "ტკბილქართულად" დაველაპარაკებოდი.

— "ნიუ-ჯორჯიაზე" შეგიძლიათ გადასახლდეთ, — ვეუბნები, — თავის დროზე მამამ მითხრა, ძალიან ლამაზი პლანეტააო.

— არა, მე აქედან წამსვლელი არა ვარ... — ხელი ჩაიქნია მოხუცმა, კიდევ ერთხელ მოხსნა სახელური ხელჯოხს და სულმოუთქმელად დაეწაფა. ერთი წამის მერე განაგრძო, — ნოსტალგია და ეგეთი სენტიმენტები არ მაწუხებს. მე ფილოსოფოსი ვარ!

— და მერე რა მოხდა, სერ?

— მერე, ორუელმა გააგზავნა მსახური, რომ მისთვის ნამდვილი სანადირო, სპილოებზე სანადირო თოფი მოეტანა. სპილო ამ დროს, როგორც უთხრეს, ბრინჯის ნათესებში გადასულიყო და მშვიდად ძოვდა.

— და რომ არ მოეკლა, არ შეიძლებოდა?

— თოფი, პირველ რიგში, თავდაცვისთვის სჭირდებოდა. სპილოს მოკვლა სულაც არ უნდოდა. მაგრამ გაცოფებული სპილო საშიშია. შეტევაზე თუ გადმოვა, ვეღარც გაექცევი. მოკლედ, მოუტანეს თოფი და ხუთი ტყვია.

— რატომ, ხუთი?

— არ ვიცი. ასე წერს. ამ დროს მის ზურგსუკან ბირმელების ბრბო შეგროვდა. სულ ცოტა, ორი ათასი კაცი მაინც იქნებოდაო. ყვიროდნენ, ხელებს იქნევდნენ, საოცრად აღგზნებულები იყვნენ. ეს მათთვის უფასო სანახაობა იყო. "საჰიბმა" (ეს მათ ენაზე ევროპელ ბატონს ნიშნავს) სპილო უნდა მოკლას! თანაც უფასო ხორცის, სპილოს ხორცის დათრევის იმედიც ჰქონდათ. მხარზე თოფით ორუელი გაემართა იქით, სადაც სპილო უნდა ყოფილიყო, ბრბო უკან მოჰყვებოდა. თავს იდიოტად ვგრძნობდიო, იხსენებს ორუელი. ხრეშიან გზაზე ფეხით მიდიოდა, (ცხენი დატოვა, რადგან მას გაცოფებული სპილოსი შეიძლება შეშინებოდა და აეწყვიტა) გარშემო წყლით დატბორილი ბრინჯის ველები იყო. ბირმელები ისე ახლოს მიჰვყევბოდნენ, ლამისაა კეფაში ასუნთქებდნენ. იარა, იარა და გზის პირას დაინახა სპილო, რომელიც მშვიდად იდგა და ბალახს ჭამდა. დაინახა და სრულიად ცხადად გააცნობიერა, სპილო არ უნდა მოკლას.

— და მაშინ, რატომ მოკლა? — გავაწყვეტიენე.

— სწორედ ეგაა საქმე! — ხელჯოხი შემართა ჰერკულესმა, — მომისმინეთ. ყმაწვილო და გაიგებთ!

— უკაცრავად, სერ.

— დიახ. მიხვდა, არ უნდა ესროლოს. უნდა დაელოდოს, იმ სპილოს "მაჰოუტს", რომელიც ადრე თუ გვიან მოვიდოდა და სპილოს მოარჯულებდა (მხოლოდ მას დაემორჩილებოდა). თუმცა სპილო უკვე თავისით მშვიდდებოდა. აღგზნებამ თითქმის გადაუარა. აგრესიულობის პერიოდი დასასრულს უახლოვდებოდა. ორუელი წერს, სპილო, რომელიც ბალახს ძოვდა, ძროხასავით უვნებელი ჩანდაო. ორუელმა გადაწყვიტა, იქ დარჩება, დაელოდება "მაჰაუტს". შეხედავს, ხომ არ გაცოფდება სპილო ისევ.

— გაცოფდა?

— ნუ მაწყვეტინებთ, ყმაწვილო! არა, არ გაცოფებულა, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც ეს გადაწყვიტა, ორუელმა უკან მიიხიდა და ბრბო დაინახა. იმდენი იყვნენ, გზა მთლიანად ჩაეხერგათ — ტევა არ იყო. ორუელი უყურებდა ყვითელი სახეების ზღვას — აღგზნებულ, ბედნიერ სახეებს, — დარწმუნებული იყვნენ, რომ "საჰიბი" სპილოს მოკლავს და სიამოვნების მოლოდინში წინასწარ ილოკავდნენ ტუჩებს. ისე უყურებდნენ, როგორც ილუზიონისტს, რომელმაც საოცარი ფოკუზი უნდა აჩვენოს. მათ ორუელი სძულდათ, მაგრამ თოფით ხელში მათი ყურადღების ღირსი გახდა. და უცებ ორუელმა გააცნობიერა, სპილო უნდა მოკლას. მოუწევს!

— რატომ? ხომ არ უნდოდა მოკვლა? ხომ მშვიდად იყო სპილო? არ გაცოფებულა?

— საქმეც ისაა, რომ იქაურები ელოდნენ, მოკლავს და ამიტომ უნდა მოეკლა, ვალდებული იყო, მოეკლა. ორი ათასი ყვითელკანიანის ნება უბიძგებდა, აიძულებდა გაესროლა. და სწორედ იმ მომენტში გააცნობიერა ორუელმა აღმოსავლეთში თეთრკანიანი ადამიანის ბატონობის მთელი ამაოება და უაზრობა. ევროპელი დგას თოფით ხელში უიარაღო აბორიგენების წინაშე — თითქოს იგია ამ დრამის მთავარი გმირი, მაგრამ, სინამდვილეში, მხოლოდდამხოლოდ მარიონე-

ტია, რომლის ნებას ყვითელკანიანთა ბრბო წარმართავს. და მაშინ მიხვდა, როდესაც თეთრკანიანი ადამიანი ხდება ტირანი, იგი საკუთარ თავსუფლებას სპობს და ანადგურებს. "საჰიბი" მარიონეტის ფუტურო, პირობით ფიგურად იქცევა. რადგან მისი მმართველობის წინაპირობაა ისე ცხოვრება, აბორიგენებზე მუდმივად შთბეჭდილებას რომ ახდენდეს, და ყოველ კრიზისულ სიტუაციაში ისე იქცეოდეს, როგორც ამას მისგან ადგილობრივები ელიან. იგი ნიღაბს ატარებს და ნიღაბი მის სახედ იქცევა. ორუელი ვალდებული იყო სპილო მოეკლა, რადგან თოფი მოატანინა. "საჰიბი" ისე უნდა მოქმედებდეს, როგორც "საჰიბს" შეჰფერის, უნდა იყოს მტკიცე და უდრეკი. მას მერე, რაც თოფით ხელში, ბრბოსთან ერთად გაიარა გზა, იპოვა სპილო, უკან დახევა აღარ შეეძლო. ეს სრულიად წარმოუდგენელი გახლდათ. ბრბო დასცინებდა, აბუჩად აიგდებდა. არადა, მთელი მისი ცხოვრება, ყოველი თეთრკანიანის ცხოვრება გამუდმებული ბრძოლა იყო იმისითვის, დასაცინი რომ არ გამხდარიყო.

— და მხოლოდ მაგიტომ მოკლა? — ეჭვით ვიკითხე.

— დიახ. სხვა გზა არ ჰქონდა. იძულებული გახდა. გადატენა თოფი (გერმანული წარმოების, ოპტიკურსამიზნიანი, ჩინებული თოფი ჰქონდა) დაუმიზნა და ესროლა. ბრბოს ბედნიერი შეძახილი აღმოხდა, როგორც იქნა, ეღირსათ სანახაობა!

— რა მარაზმია! — ჩავიბურტყუნე.

— "მარაზმი"? საიდან იცით ეგ სიტყვა, ყმაწვილო? აღარავინ ხმარობს. — მოხუცმა ინტერესით გამომხედა.

— მამაჩემი ხმარობდა. ჩამრჩა.

— მწერალი იყო, თქვით, მგონი? მოვძებნი სპეისნეტში მის რომანებს. რა ერქვა?

— ნიკ ნიკოლსონ-უფროსი. თუმცა ზოგჯერ ასეც აწერდა: "ნიკა ნიკოლაძე".

— ოკ. დავიმახსოვრებ. როდის გავფრინდებით?

— ალბათ, ხვალ. დღეს არ გამოვა, XX საუკუნის 30-40-იანი წლებს ქრონოტაიფუნმა გადაურა. ეს, რასაკვირველია, პირობითი გამოთქმაა, უბრალოდ, ადამიანს რომ მივახვედროთ, რაზეა ლაპარაკი, ამიტომ ვამბობთ ასე. მაგრამ ხვალ, წესით, უკვე უნდა გამოიდროვოს. პროგოზს თუ დავუჯერებთ. იმ საღამოს ორუელზე სრული და ამომწურავი ინფორმაცია მოვძებნე სპეისნეტში, ეგ ესეც წავიკითხე — "შჰოოტინგ ან ლეპჰანტ" — მერე კი ძილში, გიპნოგოგის მეშვეობით, "ცხოველთა ფერმა" და "1984" შევითვისე.

მეორე დღეს, მართლაც გამოიდროვა. ბატონი ჰერკულესი ზუტად 12 საათზე მობრძანდა. ამჯერად ხაკისფერი, მრავლობითჯიბიანი, მრავლობითელვაშესაკრავიანი კომბინეზონი ეცვა, ზურგზე მომცრო ჩანთა ეკიდა. მხარზე კი — ჰოლოგრაფიული კამერა. მივესალმეთ ერთმანეთს, ბოქსიდან ქრონოპლანი გამოვიყვანე, ჩავსხედით. ღილაკს დავაჭირე, კვაზიენერგოველი აკაკსადა და უცებ დაბნელდა. წარსულში გავფრინდით.

ციფრები დისპლეიზე წარმოუდგენელი სისწრაფით ცვლიდნენ ერთმანეთს. ათვლა, ბუნებრივია, 2215 წლიდან დაიწყო და დროში უკან წავიდა. სიბნელე ხანგამოშვებით საოცრად ხასხასა და კაშკაშა, თვალსიმომჭრელი ფერადი ზოლებით იცვლებოდა, თითქოს უცხო სამყაროს ფერების უსასრულო, მაგრამ თანაც ნაფლეთ-ნაფლეთი, წყვეტილი სპექტრიაო, — ფერების, რომელთაც ადამიანთა ენაზე სახელი არ გააჩნიათ... მეოცე საუკუნის 60-იან წლებს როცა მივუახლოვდით, სიჩქარეს ვუკელი, ფერადი ზოლებიც უფრო დიდხანს იდგა ჩვენს თვალწინ, უფრო ნელა იცვლებოდა. მივადექით 1936 წელს.

— თვე მითხრით, — ვეუბნები ჰერკულესს. მანამდე სრულ სიჩუმეში მივფრინავდით.

— სექტემბერი. — მოკლედ მომიგო.

— რიცხვი?

— ზუტად არ ვიცი, ჩემი ვარაუდით, თვის ბოლო დეკადა უნდა იყოს.

დიდხანს ვეწვალე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს მივაგენი ქვედა ბირმასაც, ქალაქ მოულმეინსაც და იმ დღესაც. სხვათა შორის, 5 ოქტომბერი აღმოჩნდა.

ორუელი, ცოტა არ იყოს, სევდიანი თუ მელანქოლიური გამომეტყველების მქონე მაღალი, გამხდარი წაგრძელებულსახიანი კაცი აღმოჩნდა. ყველაფერი ზუსტად ისე ხდებოდა, როგორც სერ ჰერკულსმა მომიყვა და როგორც ესეში ეწერა. და, აი მივადექით გადამწყვეტ მომენტს. ორუელმა თოფი მხარზე მიიდო, დაუმიზნა. ვეება სპილო გვერდულად იდგა, ბალახს ბღუჯობით წყვეტდა ხორთუმით, მუხლზე იბერტყავდა, მიწისგან რომ გაეწმინდა, და ხახაში უშვებდა. დროდადრო ყურებს აპარტყუნებდა. სრულიად მშვიდი იყო, უწყინარი, არავის და არაფერს აქცევდა ყურადღებას, სერიოზული საქმით იყო დაკავებული. პაუზა წარმოუდგენლად გაიწელა. ბირმელებსაც და ჩვენც სუნთქვა შეგვეკრა. აი, ახლა იქუხებს, აი, ახლა. და უცებ სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა — ბრბო ყვირილით გაარღვია ვიღაც გრძელჯოხიანმა გამხდარმა კაცმა და ორუელს გადაუდგა, თოფის ლულა მკერდზე მიებჯინა.

ორუელმა თავი სასწაულად შეიკავა, სასხლეტს

რომ არ გამოჰკრა. წამის მეასედიღა რჩებოდა. თოფი მოწყვეტით დაუშვა და გაგულისებით შეჰყვირა ინგლისურად: "გაგიჟდი?! რას აკეთებ?! ვინ ხარ?!" კაცმა ლამისაა განწირული ხმით უპასუხა: "მაჰაუტი ვარ, მაჰაუტი!" და სპილოსკენ გაიქცა. იმავე წამს ბრბომ უკმაყოფილოდ იღრიალა, ლანძღვა-გინება და სტვენა მორთო. სანახაობაც ჩაეშალათ და მუქთა ხორცის დათრევის შანსიც დაეკარგათ.

ღილაკს ხელი დავაჭირე, დრო გავაჩერე და ჰერკულსს მივუბრუნდი:

— სერ, ეს რას ნიშნავს?

მოხუცმა პირი დააღო. რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. ნაპირზე ამოგდებული თევზივით უხმოდ ამოძრავებდა ყბებს. მერე თავი ენერგიულად გააქნია, ხელჯოხს დასწვდა, სახელური მოხსნა, ზორბა ყლუპი გააკეთა, ჩაისუნთქა, ამოისუნთა და მითხრა:

— არ ვიცი. იქნებ პარალელურ სამყაროში მოვხვდით?

— არა, სერ, ნამდვილად ჩვენს სამყაროში ვართ, ჩვენი დრო-სივრცის კომტინუმში .— ვეუბნები ხისტად, — აი, შეხედეთ, ტემპორონავიგატორი ზუსტ კოორდინატებს აჩვენებს.

— მაშინ არ ვიცი, — ხელები უმწეოდ გაშალა.

ღილაკს დავაჭირე. დრო დაიძრა. ვუყურეთ, როგორ მისცა "მაჰაუტმა" სპილოს რაღაც თეთრი — ალბათ, ნატეხი შაქარი, — როგორ უბრძანა რაღაც, როგორ დაიჩოქა მის წინ სპილომ, როგორ შეახტა 'მაჰაუტი" და ქედზე მოაჯდა. სპილო ნელა წამოიმართა და ტაატ-ტაატით გაგვშორდა. ამასობაში ბრბოც დაიშალა, ორუელმა თოფი მსახურს გადასცა და გატრიალდა, წასვლა დააპირა.

დრო კიდევ ერთხელ გავაჩერე. უფრო ზუსტად დროის კონკრეტულ მომენტში დავეკიდეთ უძრავად.

— ესე იგი, რა გამოდის, სერ, ორუელს სპილო არ მოუკლავს?

მოხუცმა არაფერი მიპასუხა. მხრები აიჩეჩა და რატომღაც შუბლზე მოისვა მარჯვენა. მერე კი მითხრა:

— არა, არ მჯერა, რომ გამოიგონა სპილოს მკვლელობა.

— რატომ არ გჯერათ? მწერალი იმის მწერალია, რომ რასაც უნდა, იმას გამოიგონებს.

— არა, ისე აქვს აღწერილი სპილოს აგონია, ამას ვერ გამოიგონებდა. ეს უნდა ენახა. სხვანაირად ვერ დაწერდა!

— სერ, თქვენ ადამიანის ფანტაზიას, ეტყობა, სათანადოდ ვერ აფასებთ.

— არა! არა და არა! — პატარა ჯიუტი ბავშვივით გააქნია თავი ჰერკულესმა. — არა, როგორმე უნდა დაველაპარაკოთ ორუელს. უნდა გავარკვიო!.

— როგორ უნდა დაელაპარაკოთ? ეს სასტიკადაა აკრძალული. წარსულში ჩარევა კატასტროფულ შედეგებს გამოიწვევს. მაგრამ, რაც მთავარია, ეს ფიზიკურადაც შეუძლებელია.

— ფიზიკურად კი, მესმის, შეუძლებელია, — დაფიქრებით ჩაილაპარაკა მოხუცმა, — მაგრამ იქნებ ფსიქიკურადაა შესაძლებელი?

— კი მაგრამ, სერ, თქვენ ხომ პრინციპულად წინააღმდეგი ხართ ვინმე შემოუშვათ თქვენს გონებაში. ბლოკატორიც დაიყენეთ. ახლა კი ორუელის გონებაში გსურთ შეაღწიოთ?

— ეს. . . ეს მეცნიერებას სჭირდება! ჩემს თეორიას ვერ ავაგებ, თუკი სიმართლე არ მეცოდინება! ესენციას ვერ გამოვადნობ! უნდა გავიგო, ნამდვილად მოხდა ეს თუ არ მოხდა!

— და როგორ გაიგებთ?

— ხომ შეიძლება, ორუელის გონებაში შევაღწიოთ, როდესაც დაიძინებს? ჩავაგონოთ, რომ სიზმარშია, დაველაპარაკოთ! ეს ხომ შესაძლებელია თეორიულად? მე ეს სპეციალურად გავარკვიე. მონსეშანის მონოგრაფიაც კი წავიკითხე — "ტემპორალურ-ვირტუალური მოგზაურობის რეალური ასპექტები".

ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა შევხედე:

— სერ, მე მეგონა, თქვენ არაფერი იცოდით ტემპორონავტიკის შესახებ. ეგ ნაშრომი ჩვენი კლასიკაა. მაგრამ თუ ეგ წიგნი წაიკითხეთ, მით უფრო ცხადი იქნება თქვენთვის, რომ მსგავსი რაღაცის გაკეთება სასტიკად აკძალულია!

— კანონები იმისთვის იწერება, ფილოსოფოსმა რომ დაარღვიოს!

— ეგ ვისი ბრძნული გამონათქვამია, სერ? პლატონის?

— პლატონიც კი არა, ჩემი! — ეწყინა მოხუცს, —

ჩემი, ჰერკულეს ლაონელლის!

ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, დავთანხმდი. თუმცა ბოლოს და ბოლოს, რატომ დავთანხმდი, იმ ახირებული ფილოსოფოსისთვის არ გამიმხელია. საქმე ის იყო, რომ გამიელვა, შესაძლოა, ამ ექსპერიმენტის შედეგად პარალელური სამყაროების შესახებ ისეთი რაღაცა გავიგო-მეთქი, რაც მამაჩემის პოვნაში დამეხმარებოდა.

მოკლედ, გავყევით წარსული დრო-სივრცის ზიგზაგურ, დაკლაკნილ მრავალაგზომილებიან დინებას, ისევ ვიპოვეთ ორუელი და როდესაც დაიძინა, მიმართული, ფოკუსირებულ -კონცენრირებული ტელეპატიური სიგნალი გავუგზავნე: ”სერ, კითხვა მაქვს!”

ორუელის საძინებელში ბნელოდა, მაგრამ ღამის ხედვის აპატარში დავინახე, როგორ შეიშმუშნა. თუმცა არ გაღვიძებია. რამდენიმე წამი ვაცალე და ფრთხილად გავიფიქრე, ოღონდ მის გონებაში. “სერ ჯორჯ...” “ვინ ხართ?!” – შეშფოთდა, “მე თქვენი სიზმარი ვარ, მომავლიდან მოსული სიზმარი...” პაუზა. (ამ დროს ჩვენი დიალოგი მონიტორზე იწერებოდა, ჰერკულესს რომ სცოდნოდა, რას ვამბობთ, უფრო სწორად კი, რას ვფიქრობთ). “და რა გნებავთ. მომავლიდან მოსულო სიზმარო?” – თითქმის მშვიდად, აუღელვებლად, ინტერესით მეკითხება ორუელი. “სერ, თქვენ ხომ არ გინდოდათ სპილოს მოკვლა?” პაუზა. “რა თქმა უნდა, არ მინდოდა, გულზე მომეშვა, როდესაც მაჰაუტი გამოჩნდა.” – მპასუხობს. “მსგავსი შემთხვევა სხვა დროს გგქონიათ, სერ?” “არა, რასაკვირველია არა.” “და მომავლაში რომ განმეორდეს მსგავსი სიტუაცია, როგორ მოიქცევით, სერ?” – ცოტა არ იყოს, სულელური კითხვა დავუსვი. “მომავალში მსგავსი სიტუაცია ველარ განმეორდება, რადგან დღეს გადავწყვიტე, პოლიციაში სამსახურს და ბირმას დავემშვიდობო, ლონდონში ვბრუნდები”. პაუზა. “სერ, თქვენ მე არ დამიჯერებთ, რადგან სიზმარი ვარ.” – ფრთხილად დავიწყე. “და რა გქვიათ?” – გამაწყვეტინა. “სიზმარა დამიძახეთ, “დრიიმი”... – ვპასუხობ გონებაში. “დემონი ხართ, დრიიმი?” – უშიშრად მეკითხება. “არა, სერ, ადამიანი ვარ, ოღონდ მომავლიდან მოსული, ოღონდ, სინამდვილეში, გესიზმრებით.” “ნუ ცრუობთ, დრიიმი... ეს სიზმარი არაა. ესე იგი, უელსის ოცნება ახდა? დროში მოგზაურობა შესაძლებელია?” “გარკვეულწილად შესაძლებელია, ოღონდ ეფემერულად, არამატერიალურად, სერ.” პაუზა. “და რა გნებავთ ჩემგან, დრიიმი?” “სერ, თქვენ ძალიან ცნობილი მწერალი გახდებით და დაწერთ ესეს დღევანდელი შემთხვევის შესახებ, დაწერთ, რომ სპილო მოკალით”. პაუზა. ”მწერალი? ცნობილი მწერალი? მ, ცოტა უცნაურია ამის გაგება. თუმც კი, სასიამოვნო. და რატომ დავწერ, რომ მოვკალი, როცა არ მომიკლავს?” “მეც ეგ მაინტერესებს, სერ!” “მე არ მინდოდა სპილოს მოკვლა, მადლობა ღმერთს, გადავრჩი ამას, მაჰაუტმა მომისწრო.“ პაუზა. “სერ, ერთი ფილოსოფოსია ჩემს გვერდით, ვერაფრით დაუჯერებია, რომ არ გინახავთ სპილოს აგონია, რომ მისი მოკვლის სცენა უბრალოდ გამოიგონეთ. იქნებ სხვის მიერ მონადირებული სპილოს აგონია გაქვთ ნანახი?” “არა, მსგავსი არაფერი მინახავს. და არც წამიკითხავს. დრიიმი, შეგიძლიათ წამიკითხოთ, რას დავწერ სპილოს აგონიაზე?” “წაგიკითხოთ? მმ, რატომაც არა, სერ, ერთი წამით!” ესეს ტექსტი დისპლეიზე გავშალე, საჭირო ფრაგმენტი მოვძებნე და დავიწყე კითხვა, თანაც ორუელს ტელეპატიურად გადავცემდი:

“როდესაც ჩახმახს თითი გამოვკარი, გასროლის ხმა არ გამიგია და არც კონდახის უკუგება მიგრძნია, – ასე ხდება ყოველთვის, მიზანში როცა ახვედრებ, – მაგრამ გავიგონე ჯოჯოხეთური ღრიალი, რომელიც ბრბოს აღმოხდა. და იმავე წამს, რომელიც, კაცმა რომ თქვას, მეტისმეტად ხანმოკლე იყო იმისთვისაც კი, ტყვია მიზანს რომ მისწვდომოდა, სპილოს გასაოცარი, გაუგებარი მეტამორფოზა დაემართა. არ განძრეულა, არ დავარდნილა, მაგრამ მისი სხეულის ყველა ხაზი, ყველა კონტური უცებ შეიცვალა, სხვანაირი გახდა, ვიდრე იყო ერთი წამის წინ. სპილო უცებ დაჩამიჩდა, დაბეჩავდა, წარმოუდგენლად დაბერდა, თითქოს ტყვიასთან საზარელმა კონტაქტმა მისი პარალიზება გამოიწვია, თუმცა მიწაზე არ დაუგდია. ბოლოს, – მეგონა, დიდი დრო გავიდა, არადა, ხუთ წამზე მეტი არ იქნებოდა გასული, – მთელი სხეული მოეშვარა და მუხლებზე დაეცა. პირიდან დუჟი წამოუვიდა. საზარლად დაძაბუნდა და მოფახფახდა. იფიქრებდი, რამდენიმე ათასი წლისააო. ისევ ვესროლე იმავე ადგილას. მეორე გასროლის შემდეგაც არ დაცემულა, პირიქით, წამოდგა, წარმოუდგენლად ნელა, და გაჭირვებით გასწორდა. მუხლები ეკეცებოდა. თავი უვარდებოდა. მესამეჯერ ვესროლე. ამ გასროლამ ბოლო მოუღო. ეტყობოდა, რომ აგონიაშია, მთელი სხეულით ცახცახებდა და უკანასკნელ ძალას კარგავდა. თუმცა მიწაზე დაცემის მომენტშიც კი ისე ჩანდა, თითქოს შეეცადა, წამომდგარიყო. უკანა ფეხები მოეკვეთა, უკანა ფეხებზე დაეცა, გეგონებოდა, კლდესავით წამოიმართაო, ხორთუმი მაღლა ასწია, ვერტიკალურად, ხესავით. პირველად და უკანასკნელად ამოუშვა დაგუდული ბღავილი. მერე კი მიწას დაენარცხა, მუცლით ჩემსკენ. ისეთი ხმაურით, ისეთი ძალით, მიწა თითქოს იქაც კი აზანზარდა, სადაც

ჩაწოლილი ვიყავი თოფით ხელში".

"ეს მე დავწერე? დღევანდელ შემთხვევაზე?" – დაფიქრდა ორუელი. "სერ, ჯერ არ დაგიწერიათ, მაგრამ, დაწერთ. და კიდევ ძალიან მაგარ რაღაცებს დაწერთ, "ცხოველების ფერმას" და რომანს "1984", რომელსაც თავიდან დაარქმევთ "უკანასკნელი ევროპელი," – პატარა ბავშვივით ავტიტინდი გონებაში. პაუზა. "და რატომ მეუბნებით ამ ყველაფერს, დრიიმი?" პაუზა. დავფიქრდი. "სერ, მინდა რომ ჩემს სამყაროში იყოს ეს წიგნები. ვერ ავიტან იმას, თუ დავბრუნდი და აღმოჩნდა, არავითარი მწერალი ორუელი არ არსებობს!" – წამოვროშე, რასაც ჰქვია. პაუზა. "და განა ეს შესაძლებელი, დრიიმი? თუკი თქვენს დროში ჩემი წიგნები უკვე არსებობს, სად წავა? როგორ გაქრება?" პაუზა. "არ ვიცი, სერ, მეშინია, რომ ჩემს სამყაროში დავბრუნდები და სხვა, პარალელურ სამყაროში აღმოვჩნდები" პაუზა. "და ასეთი რამ შესაძლებელია, დრიიმი? "არ ვიცი, სერ, XXIII საუკუნეში ყველაფერი შესაძლებელია. დრო თქვენი სპილოსავით გაცოფდა და არ ვიცი, როდის დაწყნარდება. ანკი დაწყნარდება საერთოდ?"

უცებ ტემპორონავიგატორმა მანიშნა, რომ ქრონომორევს ვუახლოვდებით. მართალია, მიკროსკოპული იყო ზომით, მაგრამ თუ ჩაგითრევს, ვეღარც ამოაღწევ. სასწრაფოდ, დაუმშვიდობებლად გავწყვიტე ტელეპატიური საუბარი, ღილაკს ხელი დავაჭირე და ტუმბლერი ბოლომდე გადავწიე. მაქსიმალური სიჩქარე



ავკრიფეთ, შეგვაქანა. ქრონოპლანი მართლა ატრაქციონის კაბინას დაემსგავსა, – იყო ეგეთი გასართობი, დიდ სიმაღლეზე აგიყვანდნენ და მერე უფსკრულში გადაგაგდებდნენ. აი, ასეთივე შეგრძნება დაგვეუფლა, სადღაც მივქროდით, ვვარდებოდით, ვყირავდებოდით და ეს ხან უკუნ სიბნელეში ხდებოდა, ხანაც ისეთ ღაჟღაჟა ფერებსა და ფორმებში, გეგონებოდა, გიგანტურ კალეიდოსკოპში მოვხვდით, რომელსაც არც თავი აქვს და არც ბოლო.

გამოვაღწიეთ. ჰოპ და, ისევ ჩემს ოფისში ვართ. საათს გავხედე კედელზე. ერთი წუთიც არ გასულიყო ჩვენი გამგზავრებიდან. ქრონოპლანის საათის მიხედვით კი, თითქმის მთელი დღე მოგზაურობაში გაგვიტარებია. უცებ ვიგრძენი, საოცრად დაღლილი ვარ და – მშია! წარსულში მოგზაურობისას საჭმელი არც კი გამხსენებია, მაგრამ ახლა ისეთი შიმშილი ვიგრძენი, სპილოს გადავსანსლავდი. ჰერკულესს გავხედე. თვალდახუჭული, გაუნძრევლად იჯდა. იფიქრებდი, ჩათვლიმაო.

– სერ, მოვედით! სახლში ვართ! გაიღვიძეთ!

თვალი გაახილა, თავი გააქნია და პატარა დამფრთხალი ბავშვივით იკითხა:

– სადა ვარ?

– სახლში ვართ, დამშვიდდით, სერ. ყველაფერი კარგადაა!

– რა არის კარგად?! ვერაფერიც ვერ გავიგეთ! რა აზრი ჰქონდა ამ ყველაფერს?! – გაგულისებით წამოიძახა ჰერკულესმა. ქრონოპლანში ხელი მოაფათურა, ხელჯოხი ამოიღო, სახელური ისე მოხსნა, არც შეუხედავს, გადაჰკრა, ჩაისუნთქა, ამოისუნთქა და გააგრძელა, – ჯობდა საერთოდაც არ მოვსულიყავი აქ! სრული კრახი! კრახი!

წამოდგა, ქრონოპლანიდან გადავიდა და კარებისკენ დაუმშვიდობებლად წაბანცალდა.

– სერ, ერთი წამით! – გავაჩერე.

– რა გნებავთ, ყმაწვილო? – მობრუნდა.

– სერ, პატარა ექსპერიმენტი ჩავატარე... მართალია, ვერ გავიგეთ, ნამდვილად მოხდა, რაც ორუელმა აღწერა, თუ გამოიგონა, მაგრამ ახლა გვაქვს საშუალება გავარკვიოთ, იცვლება თუ არა მომავალი წარსულში ვირტუალური ჩარევის შედეგად.

– ექსპერიმენტი? რა ექსპერიმენტი?!

– როდესაც ორუელს მის დაწერილს, უფრო სწორად, მომავალში დასაწერ ტექსტს ვუკითხავდი, ერთი სიტყვა დავუმატე.

– რა სიტყვა? რატომ?

– თოფი. "მიწა თითქოს იქაც კი აზანზარდა, სადაც ჩაწოლილი ვიყავი თოფით ხელში". "...წიტჰ ა

ცრასჰ ტჰატ სეემედ ტო სჰაკე ტჰე გროუნდ ევენ წჰერე I ლაყ.'' ანუ ''თოფით ხელში'' ორუელის ტექსტში არ არის. მე დავუმატე ბოლო მომენტში. თუკი ახლა გავხსნით ტექსტს და იქ ეს ორი სიტყვა აღმოჩნდება, ცხადი გახდება, რომ ორუელმა ის დაწერა, რაც ვუკარნახე.

— მმ, ვნახოთ, ვნახოთ! — დაინტერესდა ჰერკულესი. ამოიღო ბლოკნოტი, სადაც თავისი ხელით (ხელით!) ჰქონდა ესეს ტექსტი გადაწერილი. მოძებნა, ჩაიკითხა — არა, არავითარი ''თოფი'' არაა!

ამასობაში მეც გავხსენი ეკრანზე ესეს ტექსტი. ''თოფით ხელში''. მართლაც არ ეწერა.

— კიდევ კარგი! — შვებით ამოვისუნთქე, — თორემ გამოვიდოდა, რომ მომავალი შევცვალე!

— დიდი წარმოდგენა გაქვთ საკუთარ თავზე, ყმაწვილო! რისი შემცვლელი ხართ? აი, მე, სულ სხვა საქმეა!... ევრიკა! იდეა მომივიდა! გენიალური! მართალია, ჩვენს დღევანდელ გასეირნებას არავითარი პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია, პირიქით ახალი თავსატეხი გამიჩინა, სად ნახა ორუელმა მომაკვდავი სპილო, როდესაც სპილო საღ-სალამათი დარჩა.

— ჩვენ ვუკარნახეთ, — ჩავურთე.

— გინდათ თქვათ, წარსულში რომ არ ჩასულიყავით და ეს ციტატა არ წაგვეკითხა, ორუელი არ დაწერდა, როგორ მოკლა სპილო? მაგრამ ეს ხომ პარადოქსია! თუ ჩვენ დავაწერინეთ, მაშინ რამ გააჩინა ეგ ტექსტი მანამ, სანამ წარსულში გავემგზავრებოდით?

— სერ, იქნებ დუბლირება ხდება? იქნებ ერთ-ერთ პარალელურ სამყაროში მართლა მოკლა სპილო, დაწერა ამის შესახებ და ის ტექსტი, რაღაც მანქანებით მოხვდა ჩვენს სამყაროში, სადაც არ მოუკლავს სპილო?

— რაღაც მანქანებით! — გამომაჯავრა მოხუცმა, — დედაბერივით მსჯელობთ, ყმაწვილო, დედაბერივით!.. თქვენგან არც ექსპერიმენტატორი გამოვა და არც ნამდვილი მეცნიერი! არა, იმედი არ გქონდეთ!

— რატომ. სერ?

— რატომ და იმიტომ, რომ ცნობისწადილი გაკლიათ! თქვენ უნდა იყოთ ის, რაც ხართ, ანუ მძღოლი. პილოტი!... უნდა მომემსახუროთ! იდეა მაქვს გენიალური! წარსულში გაფრენა ისევ მოგვიწევს! უახლოეს ხანში! მზად ხართ, ყმაწვილო, რომ გადამაფრინოთ?

— სადაც მეტყვით და როცა მეტყვით, სერ!

— ძალიან კარგი. ახლა კი გენიალური იდეის ინკუბაციაზე ვიმუშაოთ! — თქვა და კარებისკენ გადადგა ნაბიჯი.

— სერ, ერთი კითხვა მაქვს, თქვენი აზრით, რატომ მაკლია ცნობისწადილი?

— რატომ, ყმაწვილო, და იმიტომ, რომ ერთხელაც არ დაინტერესდით, როგორია ჩემი ვისკი! ერთხელაც არ მთხოვეთ, გამასინჯეო!

დამანშავესავით გავუღიმე. აბა, რა უნდა მეთქვა? ხომ არ ვეტყოდი, გულში რას ვფიქრობდი ყოველ ჯერზე, როდესაც გადაჰკრავდა ხოლმე.

''რა ჟმოტია, რა ჟმოტი!''

ნათია როსტიაშვილი

ღმერთს
მგე ღარჩა ჩართული

მგე აჭერს უბედურად. დღისითაც და ღამითაც. თუმცა, სადღაა ღამე?..

გაუნძრევლად წვანან. თემო გვერდზეა გადატრიალებული. მის ზურგს უკან სიცხისგან მისავათებული თეო წევს გულაღმა. ოდნავ განზე გაწეული ხელებიც გულაღმა უწყვია, ანუ ხელისგულებით ზემოთ. შუშის თვალებით მისჩერებია ჭაღს, რომელზეც თეოს თვალებისფერი შუშის მძივებია ჩამოკონწიალებული.

– რა გახდა ერთი ხეირიანი ასტროლოგი ან ღმერთი?! ან, რა ვიცი, ვინმე ციურ სხეულთა სპეციალისტი? – ჩუმად თქვა თეომ.

– ციურ სხეულთა სპეციალისტი არა, მეიხტიოზავრე...

თემო საწოლიდან ადგა, მიხურული სარკმლის ღრიჭოში გარჭობილი სიგარეტი ფრთხილად გამოაცურა, დახედა და ისევ ღრიჭოში დააბრუნა.

– მოეკიდა?

ჭაღისთვის თვალი არ მოუცილებია, ისე ჰკითხა

თეომ.

– ნუ... იცი, როგორი რამეა?

– რა, სიგარეტი?

– ოოო... მზეზე ვამბობ.

– ...

– აი, შენ რომ გაზზე ქვაბს დგამ და მეზობლებში გადიხარ...

– მილიონი წელია, მეზობელთან არ გავსულვარ.

– ასაკის დაკონკრეტება საჭირო არ იყო.

– შენზე ათას ერთი ღამით ახალგაზრდა მაინც ვარ.

– შენ არ გესმის... პრობლემის ანალიზი გვეხმარება. შეიძლება პრობლემის მოგვარებაში არა, მაგრამ რაღაცაში გვეხმარება, ხვდები? შიშის დაძლევაში, დროის გაყვანაში... მოკლედ, შენთვის გასაგებად რომ ავხსნა, ასეა: როგორც შენ, პირობითად, მეზობელთან გადიხარ და ჩართულ გაზზე ქვაბი გრჩება, ეგრე გავიდა ღმერთი და მზე ჩართული დარჩა.

– ხვდები, რომ სისულელე თქვი?

თემომ არაფერი უპასუხა. ეს ჩხუბიც მობეზრდა უკვე. რაღაცნაირად აღარ გამოდის. ცოლად რომ მოიყვანა, ურთიერთობა კარგად აეწყოთ. ან იქნებ პირიქით, ურთიერთობა ისე კარგად აეწყოთ, რომ ცოლად მოიყვანა. მერე თითქოს ველარ უგებდნენ ერთმანეთს. ეგ კი ზუსტად ახსოვს, რომ ვერგაგების ამბავი მას შემდეგ იყო, რაც ცოლად მოიყვანა.

„კონფლიქტსაც ისევე სჭირდება ორივე მხრიდან ხელშეწყობა, როგორც ურთიერთშეთანხმებას, – ფიქრობდა თემო, – თავიდან გამოგვდიოდა, ზუსტად ვიცოდით, როგორ შეგვეძლო ერთმანეთის გაცოფება. ახლა ველარ ვეწყობით. ზუსტად არ ვიცით, რა არ გვესიამოვნება ერთმანეთისგან“.

მზე ზღვარგადასულად ვარვარებს. რაღაც ვერაა რიგზე. გარეთ მხოლოდ თვითმკვლელები გადიან.

„სიყვარულით გართობა მოგვბეზრდა, ჩხუბი აღარ გამოგვდის, ასანთი და ზაჟიგალკა გამოვცალეთ. რა ვაკეთოთ? ახლა გაბუტვა სიგიჟეა. თუ არ ვილაპარაკე, გავგიჟდები“, – თემო „ვენტილატორს“ თვალს არ აცილებს.

– უნდა დავმშვიდდეთ, თეო. ძალიან გაგვიმართლა, რომ მეთექვსმეტეზე არ ვცხოვრობთ. ვინც მაღლაა, უფრო მალე ჩადნება.

„რა კაია, რომ მეცხრეზე ვართ! არ ჩავდნებით“! – მას მერე, რაც „ღმერთს მზე დარჩა ჩართული“, ეს პირველი პოზიტიური ფრაზა იყო, რომელიც თემომ გაიფიქრა.

– მეცხრეზეც ბლომად ჩადნებიან, – უთხრა თემომ „ვენტილატორს“.

თეო პირქვე გადატრიალდა, მოიკუნტა, ცხელი შუბლი გასაგრილებლად თბილ მუხლებს მიაჭირა.

– ვხუმრობ. უფრო სწორად, ვგონებამახვილობ. ცხრასართულიანები ვიგულისხმე, – თემომ „ვენტილატორს“ მიწებებული თვალები აახლიჩა და თეოსკენ გადაბრუნდა. გაოფლილი თითი ხერხემლის მალებზე ხტუნვა-ხტუნვით ჩამოაყოლა. გამხდარი იყო თეო... თემომ ამწუთას, ხერხემალზე „ჩამორბენის“ დროს იგრძნო, რომ თეო ისევ ძალიან უყვარს. შეიძლება იმაზე მეტადაც, როცა თვლიდა, რომ საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმუმით უყვარდა.

„ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია“, – გაიფიქრა.

– რა კარგია, რომ მეცხრეზე ვართ, – თეომ მეორე წრეზე დაატრიალა პოზიტივი, – რა კარგია, რომ ცხრასართულიანის კი არა, თექვსმეტსართულიანის მეცხრეზე ვცხოვრობთ.

– ანო!

თეო უცებ საწოლიდან წამოხტა და ტელეფონს ეცა.

...სახლის ყიდვა რომ გადაწყვიტეს, ამ სადარბაზოში ორი ოჯახი ყიდდა ბინას: მეცხრეზე და მეთექვსმეტეზე. თეომ მეთექვსმეტე აირჩია. სახურავზე სახელოსნოს გაკეთება უნდოდა.

– რაღაცნაირად, შენთვისაც კარგია, – უთხრა თემოს, – აი, ძმაკაცები რომ მოვლენ და ეტყვი: ჩემი ცოლი სახელოსნოშია, მაღლა, ხატავს. რაღაცნაირად, ამაყად ჟღერს. რა, არა?

– ნუ სულელობ, – ჩაეხუტა თემო. მაშინ ურთიერთობა აწყობილი ჰქონდათ, ჩხუბის აწყობის საჭიროება არ იყო, – იმაზე დაფიქრდი, ანოს რომ დაიბარებ საჭორაოდ, სადარბაზოში შემოვა და ლიფტი გაფუჭებული დახვდება. ეგ თავისი ასსამოცდათვრამეტსანტიმეტრიანი ქუსლებით მეთექვსმეტეზე ამოვა ფეხით? ეგრევე უკან გაბრუნდება!

– მეცხრე აქვეა, უცებ ამოირბენს, არა? – გაიცინა თეომ. ეგეთი პერიოდი იყო, თეო შეკამათების მაგივრად იცინოდა. თითქოს თვალებიც მაშინ უფრო ღია ცისფერი ჰქონდა. მერე ჩაუმუქდა

ყველაფერი, თვალებიც, ხასიათიც...

ჰო, ბინა მეცხრეზე იყიდეს. მერე თემოს ძმაკაცმა ვანომ თეოს დაქალი ანო ცოლად შეირთო და ის ბინა იყიდეს, მეთექვსმეტეზე. ოროთახიანი ბინა და ორი წყვილიც დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი, ანოსთვის.

– ანო!

თეო უცებ საწოლიდან წამოხტა და ტელეფონს ეცა. ვიდრე ნომერს კრეფდა, თემო ნერვიულად ისრესდა გაოფლილ შუბლს:

„რაღაც ხდება. არა, რაღაც რომ ხდება, გასაგებია, მაგრამ პლუს პირადად ჩემს თავს ხდება რაღაც. უფრო სწორად, „თავს“ კი არა – თავში. აზროვნებასა და მეხსიერებაში მერხევა. საერთოდ არ გამხსენებია ვანო და ანო. ვთქვი „მეთექვსმეტე სართული“ და საერთოდ არ გამხსენებია ეგენი“.

– ზარი გადის, არ პასუხობენ... – შეშინებულმა თეომ თემოს გახედა, – ჩ... ჩადნნენ?!

მზე იყო შეუბრალებელი და ხარბი. მთელ ცაზე გადაფაშვულიყო და არხეინად ვარვარებდა.

– რომ ჩამდნარიყვნენ, ზარი არ გავიდოდა.

თემო ზანტად წამოდგა, „ფორთოჭკის“ ღრიჭოდან სიგარეტი ნერვიულად გამოაცურა, დახედა და უკან შეაცურა.

რა ლოგიკა იყო ამ „რომ ჩამდნარიყვნენ, ზარი არ გავიდოდაში“? იყო კი საერთოდ რამე ლოგიკა? ან ლოგიკური იყო კი ლოგიკით ხელმძღვანელობა, როცა მზე სრულიად ულოგიკოდ დამხობოდათ თავზე?

სანამ თემო ნერვიულობდა, თეო დამშვიდდა. აიწონა-დაიწონასავით ჰქონდათ ნერვები.

„რა კარგია, რომ მეთექვსმეტეზე არ ვიყიდეთ, – გაიფიქრა თეომ და ორჯერ ზედიზედ შერცხვა: პირველად – სინდისისა და ანოს, მეორედ კი თემოს წინაშე, – ჩემი ყველა უთანხმოება თემოსთან, ქვეცნობიერად, იმის ბრალი იყო, რომ გულის სიღრმეში ვერ ვპატიობდი, ბოლო სართულის ყიდვა და სახელოსნოს გაკეთება რომ გადამაფიქრებინა. არადა, ფაქტობრივად, მისი დამსახურებაა, ამწუთას გადარჩენის იმედი რომ მიბქუტავს გულში თუ ტვინში.“

თეო თემოს გვერდით, მის გაშლილ მკლავზე წამოწვა და მშვიდად იკითხა:

– ნეტა, რამდენი დღეა, რაც გარეთ არ გავსულვართ? – თან ჭაღს უყურებდა. დაწოლისთანავე ჭაღის ყურება რაღაცნაირად, ბუნებრივ მოქმედებად ექცა. ისევე, როგორც ადგომისთანავე ფეხის ჩუსტში გაყოფა.

– დღეებს დაღამება-გათენების მიხედვით ითვლიან... – იმავე ჭაღს ასჩურჩულა თემომ.

– ესე იგი მხოლოდ ერთი დიდი დღეა, რაც სახლში ვართ, – გამშრალი ტუჩი გაღიმებისას გადაუსკდა და სისხლის წვეთი ამოეზარდა თეოს.

„ორივენი ჭერს რომ ვუყურებთ, ამიტომაც დავიწყეთ ერთმანეთის გაგება, – გაიფიქრა თემომ, – წეღან რომ ამეხედა, ან თეოს ეყურებინა, ჩემსავით, ვენტილატორისთვის, „ღმერთს მზე დარჩა ჩართული“ სისულელედ არ მოეჩვენებოდა. იქნებ, სისულელეცაა, მაგრამ თეოს სისულელედ არ მოეჩვენებოდა“.

მოგუდული ყმუილი შემოესმათ.

– პაკოა, – თეო დაიძაბა, – როცა ძაღლი ყმუის, მისი პატრონის სიკვდილს მოასწავებს. პაკო ქუჩისაა, მთელი კორპუსი მაგის პატრონები ვართ. ყველანი დავიხოცებით.

თვალის კუთხიდან ცრემლის წვეთი ამოუგორდა. ნელა, ზანტად. თითქოს მლაშე წყლის კი არა, ქელატინის წვეთი იყო. ტუჩზე ისევ ედო სისხლის წერტილი. არ ჩამოეღვარა, იქვე შედედდა.

– ორგანიზმიდან წყალი ამომეხაპა, ნერწყვიც გამისქელდა და ცრემლიც, – გამსკდარ ტუჩზე მიკრულ წვეთზე არაფერი იცოდა ჯერ, – თან პაკოც ყმუის. რატომ არ ვნერვიულობ? არა, კი ვნერვიულობ, მაგრამ ეს რა არის, ბევრად სერიოზულ „იზმენაში“ უნდა ვიყო. რატომ არ ვარ?! ესე იგი, რაღაც ვერ მაქვს მწყობრში.

ეს „რატომ არ ვარ?“ აუცილებლად „დაიზმენებდა“ იმ დოზით, რამდენითაც ასეთ სიტუაციაში (თეოს აზრით) უნდა იყოს ნორმალური ადამიანი, მაგრამ თემომ არ აცალა, ხმამაღლა წამოიყვირა:

– პაკოა! ხვდები, ეს რას ნიშნავს?

თემომ მკლავი შემოხვია, თავზე აკოცა.

– მაგას კი ვხვდები, მაგრამ შენ რა გიხარია, ამას – ვერა.

– თეო, გადავრჩებით, თეო!

თემო ჩაეხუტა და ისე ძლიერად შეანჯღრია, თეოს წეღანდელი ცრემლი მძიმედ, მაგრამ მაინც ჩამოუგორდა ლოყაზე.

– ყმუის, პაკო ყმუის! პაკო ცოცხალია. ყმუილი ცოცხლების თვისებაა, თეო! გარეთ სიცოცხლე არ ჩამკვდარა!

სანამ თემო ბოლო ხმით გაჰყვიროდა, მოგუდული ყმუილი მოთქმა-ტირილში გადაიზარდა.

„გოდერძაა!“ – ზუსტად ერთდროულად

გაიფიქრეს. მარტოხელა, მოხუცი მეზობელი გოდერძა... ამათი ჭერი იმის იატაკი იყო.

თეო აკანკალდა. შუბლიდან წარბებისკენ ხტუნვა-ხტუნვით, მკვრივად დაიძრნენ ოფლის წვეთები.

– დამშვიდდი, აი, ხომ ხედავ, გოდერძაც ცოცხალია... – თქვა გაფითრებულმა თემომ.

– პაკო, ალბათ, სადმე გდია დაჩუტული... – თეომ წვალებით ჩაიგდო ნერწყვის თანთალა მასა საყლაპავ მილში, – აი, რომ გადავრჩებით, თუ გადავრჩით... მოვლენ დასუფთავებიდან და გზებზე დაყრილი ძაღლების ჩენჩებს ნიჩბებით აკრეფენ, როგორც ბლინებს ცხელი ტაფიდან.

– თეო!

– არ ვნერვიულობ, პოეტურ რაღაცას ვამბობ.

– რა არის პოეტური, დაჩუტული ძაღლების ტყავები?!

– არა, ეგ საშინელებაა. პოეტური ისაა, რაც მათგან დარჩება.

– დამშვიდდი-მეთქი!

თემომ თითები აათამაშა. ნერვიულად წამოხტა საწოლიდან, სქელი ფარდები ოდნავ გადასწია, გაიჭყიტა. მილიონი პროჟექტორის ეფექტით ანათებდა მზე. თეო აღარ კანკალებდა, მშვიდად განაგრძობდა:

– და იცი, რა დარჩება პაკოს მეგობრებისგან? – ნახატები. მზისგან ჩამუქებულ, დაზაგრულ მიწაზე თეთრად დარჩება მათი პორტრეტები. ადგილები, რომლებზეც მათი ტყავები ეყარა, ნეგატივივით გამოჩნდება ჩვენი აივნიდან. ეს უნდა დავხატო.

თემომ მუშტი დაარტყა კედელს:

– გაჩუმდი!.. მოდი, დავკონცენტრირდეთ პრობლემაზე. რადგან პრობლემა გლობალურია, დავიყვანოთ ის ჩვენთვის გასაგებ, გამარტივებულ მოდელზე.

– გასაგებია. მე გავედი მეზობელთან, ღმერთს მზე დარჩა ჩართული... მერე?

– ჰო... და ხდება ამ დროს? რა ღღეში არიან ქვაბში მყოფი პროდუქტები? ჯერ არაფერი, მერე ცხელდებიან, დუღდებიან, წყალი შრება. მაგრამ მაქამდე საქმე არ მიდის ხოლმე. შენ, დიასახლისი, პასუხს აგებ შენს ქვაბზე. ამიტომ დიდი ალბათობაა, გამოიქცე მეზობლისგან და გამორთო.

– ჩვენ რა ეტაპზე ვართ, ვდუღვართ?

– არა, ჯერ მხოლოდ შევთბით, დრო გვაქვს...

– მეჩვენება, რომ სიკვდილის გეშინია, თემო...

თემოს სახეზე სიწითლემ გადაუარა. იგრძნო, რომ თეო ვიღაცაა. სხვა პლანეტიდანაა. არაფერი აკავშირებს ამ ქალთან, სულ გვერდით რომ უწევს და გვერდში არასდროს უდგას. ამ ქალს მისი არ ესმის, გარემოს ადეკვატურად ვერ აფასებს. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა მხოლოდ ჭაღზე მზერამიყინულობისა და გესლის ნთხევის საშუალებას იძლევა. მას ფარული, ჩუმი ისტერიკა სჭირს.

„ცოდოა!“ – დაასკვნა ბოლოს და სიბრაზემ გაუარა.

– კაი და, გავერთე მეზობელთან და სულ არ მახსოვს ეს ჩემი ქვაბი? მაშინ რა ხდება? დავშრებით, დავიწვებით, გავიჭვარტლებით, დავიხრუკებით... ასეა?

– გეყო! იცი, რა განსხვავებაა ჩემსა და შენს შორის?!

– არავითარი. უკვე არავითარი, თემო. ორივენი ერთ ქვაბში ვიხრაკებით...

ისევ ყმუილი.

– პაკოა, მოვკვდებით! – დაიძაბა თეო.

– პაკოა, გადავრჩებით! – გაუხარდა თემოს.

ყმუილი შეწყდა და ზედა სართულზე რაღაც დაბრახუნდა. ჭაღი ოდნავ შეირხა.

– ჩვენი ჭერის ამოტრიალება რომ შეიძლებოდეს... გიფიქრია, ამაზე, თემო? თეთრი ჭერის მაგივრად გოდერძას მოუხეხავი იატაკი რომ ჩაჯდეს... და ჩვენი ეს უბრალო ჭაღი როგორ სამოთხის ჯადოსნურ ხესავით გამოჩნდება გოდერძას ხრიოკ ოთახში...

თემო უსიტყვოდ დაწვა. თეოს ზურგი შეაქცია და ისევ „ვენტილატორს“ მიაშტერდა.

– მიყვარხარ, – ჩუმად თქვა თეომ და მოეჩვენა, რომ მისი პირიდან ამოსულ სიტყვას, მზეზე გახურებული ასფალტივით, ბული აუვიდა.

– თემო, იცი, გამოსავალი მოვიფიქრე, ანუ საშველი, იმ შემთხვევაში, თუ მე და ღმერთი გამოსართავად არ მოვბრუნდებით.

თემო ხმას არ იღებს. „ვენტილატორის“ ერთფეროვან მოძრაობას მისჩერებია და ფიქრობს: „ჩვენც ასე, წრეზე ვტრიალებთ მთელი ცხოვრება. ახლა – მით უმეტეს...“

– აუცილებელი არაა ერთმანეთში ჩაშუშულები დავიხრუკოთ. მისმინე: როცა ქვაბი სავსეა (ჩვენი „ქვაბი“ კი ნამდვილად სავსეა. ჯერ მარტო ჩინელები რამდენნი არიან?!), დუღილისას წყალი ქვაბიდან გადმოდის და გაზს აქრობს. ჰოდა, მორჩა ხარშვა. წავედით სამსახურებში.

„ეს ვარიანტი როგორ ვერ მოვიფიქრე?! ღმერთის ნების გარდა, სამყარო ფიზიკაა, ქიმიაა, მექან-

იკაა... საშველი ყოველთვის არის!“ – დამშვიდებულ-დაიმედებულმა თემომ ხმამაღლა სულ სხვა რამ თქვა:

– ეგ არაა გამოსავალი. მერე გაზის სუნი წავა.

„რატომ ვუდგები ჯიბრში თეოს? რაღა აზრი აქვს?“ – თემო გულაღმა გადატრიალდა. ეს ორი მდგომარეობა ამოიჩემა: მარცხენა გვერდზე და გულაღმა. ჭერში ყურება უფრო ოპტიმისტურად განაწყობდა, ვიდრე ბალიშში თავის ჩარგვა. გაცხელებული გამაგრილებლის, იგივე „ვენტილატორის“ ყურებაც, აშკარად უფრო სასიამოვნო იყო, ვიდრე ხორცცხელი და გამომეტყველებაგაყინული ცოლისა.

– არ გინდა, აღიარო, რომ გაჯობე და გამოსავალი მოვძებნე. განსხვავებას ვერ ხვდები? დამწვარი ცოლი გირჩევნია თუ სუნიანი?

„რატომ მიდგება ჯიბრში თეო, რაღა აზრი აქვს?“

– პირადად ჩემთვის ორივე ერთნაირი დისკომფორტია, ცოლო.

„რამდენი ხანია, წყალი არ მოდის. ორივენი სუნიანები ვართ... – გაიფიქრა თემომ, – და მალე ორივენი დავიწვებით, ამხელა სიცხეს ვერ გავუძლებთ,“ – თემოს გახედა.

– რატომ არ გვწყურია, თემო? ან სიგარეტს რომ ვერ ვეწევით, რატომ არ გადავდივართ ჭკუიდან?

– მაგას თვითგადარჩენის ინსტინქტი ჰქვია. ჩვენმა ტვინმა იცის, რომ არჩევანი არ გვაქვს, ამიტომ, რომ დაგვიცვას, მოთხოვნის სიგნალებს არ უგზავნის ჩვენს სხეულს. ჩვენს უიმედო „მინდას“ ბლოკავს, – თვალები დახუჭა. – „რა სისულელეები ვილაპარაკე!“

– მიყვარხარ, – თქვა თემომ და ისევ მოეჩვენა, რომ სიტყვას ალმური აუვიდა. ეს უკვე მეორედ და ისევ „მიყვარხარს“. ვითომ იმიტომ, რომ ყველაზე ცხელი სიტყვაა? იქნებ სხვა სიტყვებზეც ეგრეა და არ დაკვირვებია?

– თოვლი, – დაიჩურჩულა თემომ.

– რა?

– არაფერი.

არანაირი ბუღი, ალმური და ოხშივარი. ის კი არა, თითქოს ოდნავმა სიგრილემაც კი დაუარა ტუჩებზე.

შეთანხმებულებივით ერთდროულად დახუჭეს თვალები. ასეთ დროს თვალების გახელა-დახუჭვა ბევრს არაფერს ცვლის.

დამწვრის სუნი შეეზლაზნათ ცხელ ნესტოებში. სქელი ბოლი დახუჭული თვალებითაც იგრძნეს.

თემო წამოხტა და სიგარეტს ეცა. მერე ოთახს მოავლო თვალი.

– მოეკიდა? – შეშინებულმა იკითხა თეომ.

– ნწ... ვენტილატორი გადაიწვა.

– კიდევ კარგი, – ამოისუნთქა თეომ.

– რა „კიდევ კარგი“?.. უვენტილატორობაც თითქმის იგივეა, როგორ ვერ ხვდები!

– შენი თეორია გვიშველის. ტვინი დაბლოკავს ჩვენს სურვილს „მინდა გაგრილება“.

„აიწონა-დაიწონა“ ძალაში რჩებოდა. თეოს მშვიდად დაწყობილი ნერვები თემოს ნერვების ყალყზე შედგომას მოითხოვდა.

– ეს კატასტროფაა! დასასრულია! კოსმოსი წყობიდან გამოვიდა და ჩვენი ვენტილატორივით მალე ბოლს გაუშვებს. საშველი არაა!

– დამშვიდდი, – ჭაღს უთხრა თემომ, – სიგარეტის ეგ ღერია ჩვენი საშველი. იფიქრე მასზე, როგორც მაშველ რგოლზე. რადგან არ ეკიდება, ესე იგი, გარეთ არც ისე უსაშველოდ ცხელა. იფიქრე ამაზე და დამშვიდდი. მოეკიდება თუ არ მოეკიდება, ეს ღერი ჩვენი იმედია, თემო.

– არ მოეკიდა, გვიხაროდეს და რომ მოეკიდოს, მაინც? – ასე ირონიული ჩაცინება მხოლოდ მაშინ იცოდა, როცა არ უნდოდა, მისი სასოწარკვეთა ვინმეს შეემჩნია.

– თუ მოეკიდება, მოვწევთ. არ თქვა, რომ ახლა ერთი ღერის მოწევაში სიცოცხლეს არ დათმობდი.

თავის მოტყუება იყო ეს ჭერში ყურებით ყურით მოთრეული ოპტიმიზმი. თემო პირქვე ჩაემხო ბალიშში. თეოს უშფოთველი ტონი აღიზიანებდა. როდის გაცვალეს როლები? სიმშვიდის შენარჩუნება და გამოსავალის ძებნა ხომ თემოს როლი, თემოს უპირატესობა იყო?!

– იცი, შენი რომელი ფრაზა მიყვარდა ყველაზე მეტად?.. – თეოს გამაღიზიანებლად მშვიდი ხმა ჰქონდა. – „ჩემი მზე ხარ“...

– უნდა ვილოცოთ, – საკუთარი თავისთვისაც მოულოდნელად თქვა თემომ.

– ღმერთო, გამორთე მზე. ალლელუია... – თეოს ისტერიკული სიცილი აუვარდა. მშრალი ყელიდან სტვენისმაგვარი ხმა ამოსდიოდა.

გაღიზიანებული თემო მისკენ რომ გადაბრუნდა, თეო უკვე ტიროდა.

– დამშვიდდი, – თეოს თავი მკერდზე მიიდო თემომ, – თითქოს ისე აღარ ჩახჩახებს.

„ღმერთო, გამორთე მზე, ალლელუია...“ – გულში მექანიკურად გაიმეორა თეოს „ლოცვა“.

– უბრალოდ, თვალი შევაჩვიეთ... ამას აღარაფერი ეშველება, თემო. ისღა დაგვრჩენია, ბოლო ფრაზა ვთქვათ. რამე ამ სტილში: „სიგიჟემდე მომენატრები, მეგობარო...“

თემო საწოლიდან წამოხტა. ფანჯრის ჩარჩოს მუშტი სთხლიშა.

„ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია...“

ხელი სარკმლისკენ გაიწოდა და გაქვავდა.

– მოეკიდა? – დაიჩურჩულა თეომ.

– მოეკიდა? – თქვა.

– მოეკიდა?! – იყვირა.

– გადავარდა... – დაიჩურჩულა თემომ.

თეო საწოლიდან წამოხტა.

– მოკიდებული იყო და გადააგდე, ჩემთვის რომ დაგემალა? – ტუჩები არ გაუნძრევია, თვალებით ჰკითხა.

– დამშვიდდი. შეგნებულად არ მიქნია, მუშტი რომ დავარტყი, ეტყობა, მაშინ გადავარდა, – თვალიც არ დაუხამხამებია, ისე უპასუხა.

თეომ არ დაიჯერა.

„დაძაბულმა მიპასუხა. დარწმუნებული ვარ, მოკიდებული იყო და გადააგდო, რომ არ შემშინებოდა. თუ შეგნებულად არ გადაუგდია და სიგარეტი გაქრა, ესე იგი, მოეკიდა და ჩაიწვა. ორივე შემთხვევაში გარეთ ყველაფერი დუღს და მალე ყველაფერი დამთავრდება...“

თემომ ჩაიმუხლა. იდაყვებით ფეხებს დაეყრდნო, სახეზე ხელები აიფარა. წინ და უკან რწევას მონოტონური ხმა ააყოლა:

– ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია... ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია... ღმერთო, გამორთე მზე! ალლელუია... ღმერთო, გამორთე მზე!..

სადარბაზოსთან დავარდნილი სიგარეტი რამდენჯერმე დაყნოსა, თათი გაჰკრა და თავი მიანება პაკომ...

ნათია როსტიაშვილი

დავიბადე, გავიზარდე, ჯერ სკოლა დავამთავრე, მერე - უმაღლესი. ეს „დავამთავრე“-ები რომ დავამთავრე, მერე „დავიწყე“-ები დავიწყე: მუშაობა დავიწყე, მოთხრობების გამოქვეყნება დავიწყე... ახლა ვზივარ და ვფიქრობ, ეს ძალიან ჩვეულებრივი ბიოგრაფია-ამბები, ყველას რომ თითქმის ერთნაირად „გვჭირს,'' როგორ დავწერო ისე, ფანტასტიკის ქანრისათვის რამე გამოდნეს...

2013 -ში ვერცხლის „წერო“ რომ გადმომცეს, იმან მაინც გაშალოს ფრთები, ბუმბული ააწკარუნოს, აქ დასაწერად რომ ღირდეს...

2014 -ში წიგნი რომ გამოვეცი „ჭაღის ანგელოზი,“ ერთ დილასაც, წიგნიდან ჭერში აფრენილმა მართლა მაინც გადმომაფინოს ოქროს დალალები და გამაოცოს...

გოდერძი ჩოხელის კონკურსში გამარჯვებისთვის (I და II პრემია) მოოქროვილი მედალიონი რომ გადმომცეს - ერთარსებად ქმნილი მზე და მთვარე, ერთხელ მაინც დავლანდო ისეთი ნამდვილ ცაზე...

ეგებ ერთ-ერთ იანვარს მოხდეს: ყველა ჟურნალ-გაზეთიდან, სადაც კი ჩემი მოთხრობები დაბეჭდილა, გადმოვიღნენ ჩემი შექმნილი პერსონაჟები, მომიკაკუნონ კარზე და თქვან: დაბადების დღეს გილოცავთ, მეგობარო!..

ერთხელაც იქნება ახდება... და ჩემი ბიოგრაფია აღარ იქნება ამ მთვლემარე ტექსტის ამარა: დავიბადე, გავიზარდე, ჯერ სკოლა დავამთავრე, მერე - უმაღლესი...

წერილები

ნინო აბაკელია

მითის, როგორც განცდილი რეალობის, და ფენტეზის, როგორც შეუძლებელი რეალობის, მიმართებისთვის

ფიქციური სამყარო, ზოგადად, შედგება ორი აუცილებელი კომპონენტის ან სისტემისგან, რომელიც უხეში იდენტიფიკაციითენის ლექსიკისა და სინტაქსის – სამყაროსა და ისტორიის (ამბავის, არაკის) ექვივალენტურია. პირველი შეიცავს – ფიქციურ საუფლოს. ისტორია/ამბავი – ერთმანეთთან აკავშირებს სამყაროს შემქმნელ არსებს და მათ კომბინირებას ახდენს(მალმგრენი: 1988. 259–281).

შესაბამისად, ფიქციის განმსაზღვრელი, დამახასიათებელი თვისება მოიაზრება არა ისტორიაში, არაკში, არამედ – მის სამყაროში. ფიქციის ბუნებისა და კოგნიტური შესაძლებლობების გასაგებად მისი სამყაროების უნიკალური, უჩვეულო კონფიგურაციები იკვლევა და შესაძლებელი/დასაშვები ნარატიული სამყაროების შესწავლა ადვილდება ბაზისური ნარატიული სამყაროს განსაზღვრით, რომელთან მიმართებაში სხვა დანარჩენი მის ალტერანატივად ისახება.

ბაზისურ ნარატიულ სამყაროსშეესაბამება ფაქტობრივი, ემპირიული სამყარო, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ (იხ. დოლეზელი : 1976, 9–10).

ამგვარად, ფიქციისთვის დამახასიათებელია საკუთარი თავის თავისუფლად მოთავსება იმ სამყაროებში, რომელიც განსხვავდება ბაზისური ნარატიული სამყაროსგან. ფენტეზი როგორც ალტერნატიული სამყაროს ლიტერატურა თავისი სიუჟეტური ქარგის მოსაქარგად იყენებს იმგვარ ელემენტებს, როგორებიც არიან ჯუჯები, ელფები, ფერიები, დრაკონები, ურჩხულები, ჯადოსნური საგნები, ჯადოსნური საკვები და სასმელი და სხვ., რომლებიც მას ხალხურ რწმენა-წარმოდგენებთან, მითებთან, ლეგენდებთან, ჯადოსნურ ზღაპრებთან აკავშირებს. ამ უკანასკნელთ, როგორც კულტურულ ფენომენებს, იკვლევენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები: ფოლკლორისტები, ანთროპოლოგები, ლიტერატორები, ფილოსოფოსები და სხვ. და მათი განსხვავებული რაკურსით შესწავლის შედეგად მრავალი თეორია იქმნება.

სხვადასხვა დისციპლინის კვლევებსა და მითითებებში გამოყენებული კონცეპტები (მითი, ზებუნებრივი, საკრალური, რეალური და სხვ.) ძალიან ხშირად ერთმანეთს ემთხვევა და ყოველგვარი არგუმენტაციის განვითარების გარეშე ქმნის არეულობას, უზუსტობასა და ბუნდოვანებას.

რამდენადაც ლიტერატურის კრიტიკაში და ანთროპოლოგიაში აღნიშნული კონცეპტები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა და ფარავს, საჭიროა ამ ტერმინების ძირითადი პოსტულატების დაზუსტება შემდგომი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად.

ფენტეზი და რეალობა:

ჭვრეტით ლიტერატურაში, რომელიც ლიტერატურის პერ სე ნაირსახეობას წარმოადგენს, ორი სახის განშტოება განირჩევა: მეცნიერული ფანტასტიკა და ფენტეზი. ჟანრის იდენტიფიკაციისთვის მეცნიერულ ფანტაზიას ასხვავებენ ფენტეზისგან და ორივეს - რეალისტური ლიტერატურისგან. პირველში სამყარო ჩვეულებრივია და მასში რადიკალურად არაფერი იცლება; შესაბამისად, არც ისტორიის წიგნებს სჭირდებათ შეცვლა. მეორეში - პირიქით, ყველაფერი სახეცვლილია. მაგ.: მეორე მსოფლიო ომის შედეგები, შესაძლოა, სულ სხვაგვარად იყოს წარმოდგენილი, ვიდრე ის სინამდვილეში იყო. თუ შესაძლებელია მოვლენის ადგილის, დროის ქრონოლოგიის დადგენა და რუკის შედგენა, მაშინ ეს სამეცნიერო ფანტასტიკაა. მაგრამ, სიტყვაზე რომ ითქვას, ლუისის ნარნია - ფეტეზია (იხ. ვოლკ : 1990 26–31).

მეცნიერები ფენტეზიში აღიარებენ „ შეუძებელ რეალობას “, რომელშიც იგულისხმება მწერლის მიერ გამოგონილი და აღწერილი სამყაროები, რომლებიც არსებობას იწყებენ “რეალობის“ პირობითი კონცეფციისთვის აუცილებელი ნორმებისა და ფაქტების დარღვევით, რათა შექმნან იმაგინაციური/ წარმოსახვითი კონტრ-სტრუქტურები ან კონტრ ნორმები (იხ.: ფრედერიკსი: 1978 33–44).

კრიტიკოსები მახვილს „კონტრ-რეალურ“ (რეალურის საპირისპირო) პრინციპზე აკეთებენ,როგორც აუცილებლობაზე. მაგრამ წარმოდგენილი ირეალობის მიუხედავად, სხვა ლიტერატურისდაგვარად, საჭიროდ მიიჩნევენ ფენტეზის განხილვას ადამიანურ რეალობასთან მიმართებაში, რითაც მას რეალობაზე ორიენტირებულ ფუნქციას ანიჭებენ.

ამგვარად, ფენტეზის საფუძველში რეალურის კატეგორია მოიაზრება.ფენტეზი ანუ „შეუძლებლის ლიტერატურა“ (ირვინის ტერმინოლოგიით), როგორც

ლიტერატურული ჟანრი, უპირატესად, განისაზღვრება იმგვარი კონცეპტებისა და ტერმინების მეშვეობით, როგორებიცაა რეალური/ არარეალური (ირეალური) (იხ. ირვინი:1976).

ფენტეზიში ალტერნატიული სამყაროების არსებობის აღიარებას ეხმარება ზებუნებრივის ჩენა რეალურ სამყაროში, რომლის კანონებსაც ის არღვევს. ლიტერატურასა და სოციალურ ცხოვრებაში შემოჭრილი ზებუნებრივი, მოქმედების განსავითარებლად გამოიყენება, რომლის საყრდენებს გონებრივი და ბუნებრივი ლანდშაფტები წარმოადგენენ, შესაბამისად.

ზებუნებრივი, ჩვეულებრივ, დაკავშირებულია თხრობასთან. საოცრის/უჩვეულოს ელემენტიის ნარატიული მასალაა, რომელიც ყველაზე კარგად ასრულებს კონკრეტულ ფუნქციას (ტოდოროვი:1975). მას შეაქვს ცვლილება წინმსწრებ სიტუაციაში და არღვევს დამყარებულ წონასწორობას (ან მის უქონლობას) და სოციალური და ლიტერატურული ფუნქციების ერთიანობის მაჩვენებელია; ორივე შემთხვევაში - როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ასევე მონათხრობშიც - კანონი ირღვევა ზებუნებრივი ელემენტის ჩარევით, რაც ყოველთვის იწვევს წინასწარ დადგენილი წესების სისტემის რღვევას.

ლიტერატრულ ნაწარმოებში სტრუქტურალისტები ზებუნებრივის სამ ფუნქციას ასხვავებენ (ტოდოროვი: 1975). პირველი ფუნქცია პრაგმატულია: ზებუნებრივი აღელვებს, აშინებს ან უბრალოდ დაძაბულობაში ამყოფებს მკითხველს. მეორე ფუნქცია სემანტიკურია: ზებუნებრივი საკუთარი თავის მანიფესტირებას ახდენს, ეს ერთგვარი თვით–მონიშვნაა. მესამე ფუნქცია სინტაქსურია. ზებუნებრივი წარმოადგენს მიმდინარე თხრობის შემადგენელ ნაწილს .

ფენტეზის განსაზღვრებაში ორაზროვნებაა: რეალობა თუ სიზმარი?, მართალი თუ ილუზია? ადამიანთათვის კარგად ნაცნობ სამყაროში, სადაც არც ეშმაკები, არც სილფები, არც ვამპირები არ არსებობენ, რაღაც მოვლენა ხდება (იჩენს თავს), რომელიც ვერ აიხსნება საყაოს კანონებით. მკითხველმა უნდა აირჩიოს ორიდან ერთერთი გადაწყვეტილება: რომ ეს მცდარი გრძნობებია, ილუზიაა, წარმოსახვის შედეგია და მაშინ სამყაროს კანონები უცვლელი რჩება, ან რომ მოვლენა ნამდვილად განხორციელდა, ის არის რეალობის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ეს რეალობა ექვემდებარება ადამიანთათვის უცნობ კანონებს. ეშმაკი ან მხოლოდ ილუზიაა, წარმოსახული არსებაა, ან ის ისეთივე რეალურია, როგორც სხვა რეალურად ცოცხალი არსება, მხოლოდ იმ განსხვავებით რომ მას იშვიათად ხედავენ. ფანტასტიკური არსებობს, მანამდე, სანამ დაურწმუნებლობა არსებობს; როგორც კი რომელიმე პასუხი აირჩევა, ფანტასტიკური ქრება და ხდება - უჩვეულოს ან სასწაულის ჟანრში შესვლა. ფანტასტიკური - მერყეობაა, ყოყმანია ბუნებაზე დამკვირვებელი და მისი კანონების მცოდნე ადამიანისთვის, რომელიც მას ზებუნებრივად ეჩვენება, ესახება.

ფანტაზიის ჟანრი განიხილება, როგორც „მქრქალი წყობა (კომპლექტი), რომელიც განისაზღვრება არა საზღვრებით, არამედ ცენტრით, რომლის „საზღვრები“ დაფარულა, შეუმჩნეველია (არ არის მნიშვნელოვანი) (ვოლქ: 1990, 26–31).სპეციალური ლიტერატურიდან გამომდინარე, ირონია და იუმორი გამოგონილი, აბსურდული ისტორიის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რომელიც სრულიად წარმოუდგენელია, მაგრამ აბსოლუტურად არ აკვირვებს არც ნარატორს და არც პროტაგონისტს.

ირონია აღნიშნულ ლიტერატურაში ინტერპრეტირებულია როგორც მუდმივი პარაბაზისი, ტროპი, რომელიც მუდმივად ჩნდება და ანგრევს (წყვეტს) ნარატივს.

ირონია აღიწერება როგორც თვით-რეფლექსირებადი მეტაფიქცია - რომელიც ნათლად მოგვითხრობს ისტორიის მოყოლის პროცესს და აბუნდოვნებს, გადარეცხავს ტექსტისა და რეალობის საზღვრებს (ვოლქ: 1990, 26–31; გაიმენი: 2008, 317–334).

გაკვირვების უქონლობა ლიმინალურ ფანტაზიაში მიმანიშნებელია ფაქტისა, რომ ისტორია, ამბავი, რომელსაც მკითხველი კითხულობს არ არის დასრულებული, ზუსტი, რადგან ისინტერვალებს, გარღვევებს ემყარება (ფრედერიკსი 1978, 33–44).

ინტერაქცია ტექსტსა და მკითხველს შორის დარდება კომუნიკაციას ადამიანებს შორის, რამდენადაც ორივე - დაწერილი და ზეპირსიტყვიერი - კომუნიკაცია შედგება „არაფრისგან“, უცოდინრობისგან და ინტერვალებისგან, გარღვევებისგან. ხალხმა არაფერი იცის ერთმანეთის პერსპექტივაზე, მაგრამ გარკვეული დასკვნები (გზამკვლევი გორგლის ძაფი), პირობითობები და სტერეოტიპები მათ ეხმარებათ ურთიერთობაში.

ანალოგიურად, კითხვის პროცესში, როგორც კი ხიდი გაიდება უფსკრულზე (გარღვევაზე) მკითხველი კომუნიკაციას იწყებს. უფსკრული, გარღვევა ფუნქციონირებს ღერძისდაგვარად, რომელზეც მთელი ტექსტი და მკითხველი ტრიალებს .

ხშირად, ტექსტობრივი ინტერვალები მანიფესტირდება დისტანციით; ის იქმნება ნარატორის პერსპექტივასა (რომელიც პროტაგონისტივით, ფანტასტიკურს ნორმად თვლის) და რეალურ/ ფაქტობრივ მკითხველს შორის (რომელმაც იცის, რომ ფანტასტიკური (სხვა)დანარჩენი ისტორიის, რეალისტური პასაჟების კონტრასტულია). ამის შედეგად, იმპლიციტური მკითხველი მერყეობს ორ ხედვას შორის, რომელიც თვით-რეფლექსური აქტია; ამ დროს მკითხველი „მუდმივად ერთვება ტექსტის პერსპექტივებში, თითოეული გადართვა, წარმოადგენს მომენტის კითხვის აქტს, არტიკულაციას.

ანაქრონისტული ფიგურის, როგორიც შეიძლება იყოს მაგ.: სერ გალაადის აღწერითი და დახვეწილი ენა წარსულზე, ასევე, გამრღვევი და დასაცინი საშუალებაა; წარსულისა და აწმყოს, საკრალურისა და პროფანულის, ფანტასტიკურისა და რეალურის ინტერაქციაა, რომელიც აქცენტირებულია ცვლადი ენით, განსხვავებული სტილებით, რაც ტექსტს ირონიული ობერტონებით აძლიერებს (იხ. : გაიმენი: 2008, 317–334).

როდესაც ჯადოსნური ზღაპრები თავიდან იწერება და ფენტეზის მწერალი, ცვლისან აორმაგებს ტრადიციული ნარატივის პერსპექტივებს, ფრაგმენტებს და სხვადასხვა სტილის კომბინირებას ახდენს, მაშინ იგი შეიძლება აღქმულ იქნას როგორც თანამედროვე ლიტერატურის პოსტმოდერნისტი, ინოვატორი, ემბლემატური ავტორი.

ხაზგასმით აღსანიშნავია, რომ ლიტერატურა იქმნება ლიტერატურის საფუძველზე და არა რეალობის საფუძველზე, იქნება ეს მატერიალური თუ ფსიქიკური რეალობა და რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები კონვენციაა. ლიტერატურული ნაწარმოები, ისევე როგორც მთლიანად ლიტერატურა, ქმნის სისტემას, მასში არაფერი არ არის შემთხვევითი. მასში ასხვავებენ სინქრონიასა და დიაქრონიას; ლიტერატურული ანალიზის დროს აუცილებელად კეთდება სინქრონული ჭრილი ისტორიაში, ხოლო თითოეულ ჭრილში მაშინვე იძებნება სისტემა (ფრაი:1961).

მითი და რეალობა:

მეოცე საუკუნის მითის თეორიის მკვლევრების (ბ.მალინოვსკი, კ. კლაკჰონი,, პ.კოენი, მ.ელიადე, ჯ კირკი და სხვანი) პოზიციების ჩამოყალიბებამ გამოკვეთა არსებითი სხვაობა, რომელმაც გამოარჩია ისინი მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალებისგან. სხვაობა, ზოგადად, მდგომარეობდა იმაში, რომ

მე–19–ე საუკუნის მკვლევრებს მითი მიაჩნდათ გამონაგონ, შეთხზულ არაკად და სწავლობდნენ მასთან დაკავშირებული რიტუალისგან დამოუკიდებლად, ხალხის ცხოვრებისგან მოწყვეტით. მეოცე საუკუნის მკვლევართაგან ბ. მალინოვსკი პირველი იყო, რომელმაც წინა პლანზე წამოწია მითისა და რიტუალის, საკრალური ტრადიციისა და სოციალური სტრუქტურის ნორმების მიმართების საკითხები რომლის აზრით, მითის მხოლოდ ტექსტებით შემოფარგვლა ფატალური იქნებოდა (აბაკელია: 2001, 5–9). ეთნოგრაფიულმა მასალამ ტრობრიანდელებზე, რომელიც ველზე უშუალო მონაწილეობითა და დაკვირვებით იქნა მოპოვებული, მას საშუალება მისცა შეექმნა თეორია (1926), რომლის მიხედვით მითი არ არის მოგონილი ისტორია, ფუჭი რაფსოდია, არამედ – რეალობაა, საკრალური ისტორიაა, რომელსაც გააჩნია ძლიერი სოციალური ფუნქცია და ქმედითი კულტურული ძალა; ეს ისტორიები მალინოვსკისთვის კულტურის შემადგენელ და განუყოფელ ნაწილებს ქმნიან. მათი არსებობა არა მარტო ნარატივის ფარგლებს სცილდება, ისინი არა მარტო ყოფიდან და მისი ინტერესებიდან საზრდოობენ, არამედ ისინი, ასევე, მართავენ და აკონტროლებენ მრავალ კულტურულ ელემენტს; ისინი პრიმიტიული ცივილიზაციის დოგმატურ ხერხემალს ქმნიან. ბ.მალინოვსკი ამტკიცებს (და შესაძლოა, ეს ყველზე მნიშვნელოვანი თეზისი იყოს), რომ არსებობს რიტუალში მორალსა და სოციალურ ორგანიზაციებში განხორციელებული საკრალურ ისტორიათა მთელი წყება, რომლებიც ქმნიან პრიმიტიული კულტურის ინტეგრალურ და აქტიურ ნაწილს. აღნიშნული ისტორიები უბრალოდ კი არ არსებობენ, როგორც ფიქტიური ან თუნდაც ნამდვილი ნარატივები, არამედ ისინი ადგილობრივი მოსახლეობისთვის უფრო მნიშვნელოვანი პირველქმნილი რეალობის არგუმენტებია, რომელნიც განსაზღვრავენ მათ ყოფას, ბედისწერასა და აქტივობას, რომლთა ცოდნაც ადამიანს რიტუალებისა და ქცევის წარსამართავად მოტივს აძლევს. ბ. მალინოვსკის თეორია მითის შესახებ, ძალიან მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება შეჯამდეს:

მითი არის კულტურული ძალა. მაგრამ ის არის, ასევე, ფაქტების თანმიმდევრული გადმოცემა, თხრობა, ნარატივი და ამ თვალსაზრისით მას გააჩნია ლიტერატურული ასპექტი – ასპექტი, რომელსაც მეცნიერთა უმრავლესობა მეტწილად, გაუმართლებლად გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაგრამ ეს ასპექტი, რა თქმა უნდა, არ უნდა იყოს მთლიანად უგულვებელყოფილი. მითი ნამდვილად შეიცავს მომავალი ეპიკის, სარაინდო რომანისა და

ტრაგედიის მარცვლებს (აქ ფენტეზიც შეიძლება ჩაემატოს– ნ.ა.) და ის ამ მიზნით გამოყენებული იქნა ხალხთა ცნობიერ ხელოვნებაში... მითსა და ბუნებას შორის ორი დამაკავშირებელი რგოლი უნდა ჩაიდგას –ადამიანის პრაგმატული ინტერესი გარე სამყაროს გარკვეულ ასპექტებთან და რაციონალურ–ემპირიული კონტროლის საჭიროება გარკვეულ ბუნებრივ ფენომენზე მაგიის გზით... ხალხური შემოქმედება, ისტორიები, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემა ადგილობრივ საზოგადოებაში ცოცხლობს, „ცხოვრობს“ თემის კულტურულ კონტექსტში და არა მხოლოდ ნარატივში...

მითის, ლეგენდისა და ზღაპრის ფუნქციები განსხვავებულია: თუ უბრალო ზღაპრებში სოციოლოგიური კონტექსტი უფრო ვიწროა, ლეგენდა უფრო ღრმად იჭრება საზოგადოების სათემო ცხოვრებაში, ხოლო მითს კი ყველაზე მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს. მითი პირველქმნილი რეალობის დადასტურებაა, რომელიც დღემდე ცოცხლობს, ქმნის მორალური ღირებულების რეტროსპექტულ მოდელს, ამყარებს სოციოლოგიურ წესრიგს, ამიტომაც ის არ არის უბრალო მონათხრობი, ნარატივი, არც ახსნა–განმარტების მქონე ისტორია. ის ასრულებს ფუნქციას სუი გენერის , რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული ტრადიციასთან, კულტურის გაგრძელებასთან, ახალგაზრდებისა და მოხუცების ურთიერთობასთან და, საერთოდ, კაცობრიობის დამოკიდებულებასთან თავის წარსულთან.(მალინოვსკი: 1926).

ბ. მალინოსკის ზედმიწევნითი აღწერილობა და ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ მითის შინაარს იგი იგნორირებას არ უკეთებს. მაგრამ მისი მნიშვნელობა მისთვის არც სიმბოლურ რეპრეზენტაციაშია და არც ახსნის ძალაში, არამედ გამამართლებელ, განმამტკიცებელ გზავნილშია (ჯუსტიფიცატორყ მესსაგე).

აღნიშნული თეზისი ასევე, გულისხმობს იმას, რომ მითოლოგიის მატარებლებისთვის მითში საუბარია იმაზე, რასაც ადგილი ჰქონდა ინ ილლო ტემპორე და აქედან გამომდინარე, რაღაცაზე, რაც უნივერსალურია, სამყაროს არსის გამომხატველია, რაც მითოლოგიური ფორმებით გამოიხატება. მაგრამ რომელზეც მალინოვსკის ნაშრომი არც ხოს და არც არას ამბობს ამის საპირისპიროდ.

ზემოთ თქმულის განვითარებად მიგვაჩნია მ. ელიადეს თეორია (2009), რომლის მიხედვით, მითი, „საწყისთა დროის საკრალური ამბავი (რომელიც ყოველთვის რაღაცის შექმნას ეხება),მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ ზებუნებრივ არსებათა მეშვეობით როგორ იქცა რეალობა არსებობად, იქნება ეს საყოველთაო რეალობა, კოსმოსი თუ მისი რომელიმე ერთი ფრაგმენტი: კუნძული, მცენარის ჯიში, ადამიანთა ქცევა თუ ინსტიტუტი. მოთხრობილია, როგორ წარმოიშვა რაღაცა და როგორ დაიწყო მან ყოფნა. როგორ გაცხადდა ის სრულად. მითების პერსონაჟები ზებუნებრივი არსებები არიან. ისინი ცნობილნი გახდნენ იმით, რაც გააკეთეს „საწყისთა“ საარაკო დროში. შესაბამისად, მითები წარმოაჩენენ ამ არსებათა შემოქმედებით აქტივობას და ფარდას ხდიან მათი ქმედების საკრალურობას (ან უბრალოდ „ზებუნებრივობას“). მოკლედ, მითები აღწერენ სხვადასხვა, ხანდახან საკრალურის (ან ზებუნებრივის“) დრამატულ შემოჭრას სამყაროში. სწორედ საკრალურის ეს შემოჭრაა სამყაროს რომ რეალურადაფუძნებს და აქცევს მას იმად, რაც დღეს არის. (გვ.1–11)

დასკვნა:

და მაინც, რა ფუნქცია აქვს მითს ლიტერატურაში და მითს კულტურაში? რა არის ერთის საფუძველი და რა არის მეორის საფუძველი? რა მიმართება არსებობს ტრადიციულსა და პოსტ-მოდერნულს შორის.

წინამდებარე სტატია ორგანიზებულიდისკურსისთვის არსებითი საპირისპირო კონცეპტების (რეალური / ფანტასტიკური, არსებული / არ არსებული, რეალური / იმაგინაციური, ბაზისური და ალტერნატიული და სხვ.) მიმართებაზე, შემდეგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

მითებს, ზღაპრებსა და ფენტეზის შორის სხვაობის პოვნა რამდენიმე ხერხით შეიძლება, რომელთაგან სამი ყველაზე ნაყოფიერად ითვლება: ონტოლოგიური, სტრუქტურული და ეპისტემოლოგიური.

პირველი განმასხვავებელი ნიშანი მითსა და ფენტეზის შორის არის ის, რომ ხალხისთვის რომელიც ქმნის ისტორიას, ეს ისტორია ჭეშმარიტია, საკრალური და რეალური და ბუნებრივ ლანდშაფტშია ჩართული, ხოლო ლიტერატურული ჟანრისთვის ეს სამყარო არის ფანტაზია, შეთხზული, „შეუძლებელი რეალობა“ და მისი საფუძველი – გონებრივი ლანდშაფტია. მითი ცოცხლობს, ფუნქციონირებს თემის კულტურულ კონტექსტში და არა მხოლოდ ნარატივში...

ძირითადი დაპირისპირება, ალბათ იმაგინაციასა (წარმოსახვასა) და რეალობას შორის არის. მიუხედავად იმისა, რომ მწერლის იმაგინაციაში გამოყენებულია იგივე ელემენტები, რაც ჯადოსნურ ზღაპრებში, მითებსა და ხალხურ რწმენა-წარმოდ-

გენებში (ჯუჯები, ჯადოქრები, გენიები, დრაკონები, ჯადოსნური ჯოხები, ხმლები, ჩირაღდნები, ჯადოსნური საკვები და სასმელი და სხვ.) ის მოქცეულია მწერლის წარმოსახვაში, რომელიც განსხვავებულ სტრუქტურას ქმნის დაგანსხვავებულ მნიშვნელობას იძენს. ლიტერატურა იყენებს მითიურ ელემენტებს, მაგრამ მითსა და ლიტერატურას სხვადასხვა წარმომავლობა და ფუნქცია აქვთ:

1. მითი, საკრალური ისტორია, მრავალგანზომილებიანი კულტურული ფენომენია, ფენტეზი,ფუნქციებიდან გამომდინარე, „მითისდაგვარი“ ლიტერატურული ფენომენია.

2. მითი არქაული საზოგადოებისთვის რეალური რეალობაა, ლიტერატურისთვის – შეუძლებელი რეალობაა.

3. ფენტეზი ემყარება ურწმუნოებას, მითი - რწმენას.

4. ფენტზი ინდივიდულურია (ამა თუ იმ ჟანრის აღწერისას, ერთადერთ განსაკუთრებულობას, სპეციფიკას წარმოადგენს ის, რომ ნაწარმოები, რომლის ანალიზიც კეთდება არის პირველი, საბოლოო და ერთადერთი მისი მაგალითი), მითის უკან კოლექტივია; ის არ ითვლება ადამიანური იმაგინაციის პროდუქტად. ის ითვლება ზებუნებრივთან ურთიერთობის პროდუქტად (რომლის საკომუნიკაციო არხებია გამოცხადება, სიზმარი და სხვ.).ერთ მხარეზე გვაქვს ინდივიდი და ინდივიდუალური, მეორეზე - კოლექტივი და კოლექტიური, ასევე ცნობიერი და არაცნობიერი, შესაბამისად.

5. ფენტეზი ემყარება წარმოსახვას, მითი - გამოცხადებას, სასწაულჩენას.

6. ფენტეზი ანუ „ შეუძლებლის / წარმოუდგენლის “ ლიტერატურა დასაბამს იღებს ლიტერატურული გარემოდან, მითი - რეალობიდან.

7. ფენტეზი მეორადია (შეიძლება გამოიყენოს ტრადიციული სიმბოლოები...),მითი პირველადი, რამდენადაც ის უშუალო განცდას ემყარება.

8. ფენტეზიში იუმორს, სატირას წამყვანი როლი აქვს, მითში, როგორც საკრალურ ისტორიაში, ის საერთოდ არ არის.

9. ფენტეზი უნიკალურია თავისი ხედვით, მითი – საზოგადეობის მიერ გაზიარებული რეალობაა , შესაბამისად, ფენტეზი პირადულია, მითი - საყოველთაო.

10. უფრო ფართოდ რომ შევადაროთ, ფენტეზისა და მითს შორის იგივე მიმართება არსებობს, რაც თეატრალურ წარმოდგენასა და ხალხურ დღესასწაულს შორის. პირველს ჰყავს მაყურებელი (ლიტერატურის შემთხვევაში -მკითხველი), ხოლო მეორეში - ყველა თანამონაწილეა მისტერიის. პირველ შემთხვევაში დეკლამატორს მსმენელი, მხილველი გადაჰყავს ჟამიდან უჟამობაში, მეორე შემთხვევაში - ადრესატი თვითონ ტექსტში.

11. სხვაობა არსებობს დროით–სივრცულ მიმართებებშიც, რომელსაც აქ გაკვრით შევეხებით. ბაზისური ნარატიული სივრცე საზოგადოების მიერ განცდილი რეალობაა, რომელსაც გარკვეული ადგილი აქვს მინიჭებული ადგილობრივ საკრალურ ტოპოგრაფიაში.

მწერალი ფანტასტიკურ სივრცეს იკვლევს შიგნიდან; ის მჭიდრო კავშირშია წარმოსახვასთან, ცხოვრებისეულ შიშებთან, გადარჩენის იმედთან (შნაიდერი:1964, პ. 248-149.).

12. არქაულ საზოგადოებასთან და, შესაბამისად, არქაულ აზროვნებასთან დაკავშირებული მითები და ხალხური ზღაპრები, დაკავშირებულნი მათ მატარებლებთან, „ გადაადგილდებიან „ დროსა და სივრცეში, მაშინ როდესაც ლიტერატურული ჯადოსნური ზღაპრები და ფენტეზი ნადვილად თანამედროვე (მოდერნული) დროის ქმნილებებია.

რეალურ და ჯადოსნურ დროს შორის მიმართება ფენტეზიში ზუსტად საპირისპიროა ჯადოსნური ზღაპრისა. ხალხური ზღაპრის უკვდავების ქვეყანაში მოხვედრილი გმირისთვის დრო უფრო ნელა გადის დასაკუთარ სამყაროში დაბრუნებული აცნობიერებს მრავალი წლის გასვლას. აქ ჯადოსნური, მითური დრო იკუმშება, იპრესება და ხდება უმნიშვნელო (იხ. ბაქ:1989.62–67). ამის საპირისპიროდ, ფენტეზის, მოქმედი გმირები ადვილად ატარებენ მთელ ცხოვრებას იმაგინაციურ (წარმოსახვით) სამყაროში, ისე რომ მათ რეალობაში არანაირი დრო არ გადის.

ფენტეზი როგორც ეკლექტიკური ჟანრი, რომელიც სხვადასხვა ელემენტებს სესხულობს რომანიდან, სარაინდო ლიტერატურიდან, გოთური რომანიდან, მისტერიებიდან, სამეცნიერო ფანტასტიკიდან და სხვა ჟანრებიდან და ერთად აქუცმაცებს თითქოსდა შეუთავსებელ ელემენტებს ერთსა და იმავე ნარატივში, მაგ. წარმართულ და ქრისტიანულ სახეებს, ჯადოსნურ ჯოხებს და ლაზერულ თოფებს (ნიკოლაევა: 2003, 138–156). ჯადოსნური ზღაპრისგან განსხვავებით, ფენტეზი მჭიდრო კავშირშია მოდერნულობის ცნებასთან და, როგორც ასეთი, ასახავს პოსტმოდერნული ადამიანის წყვეტილ და ამბივალენტურ სამყაროს.

ამიტომაა ფენტეზი, როგორც ლიტერატურული

ცნობიერი შემოქმედება ყოველთვის ასე იდეოსინკრეტული და რეალობის ასახვისას უნიკალურად ინდივიდუალური სტილის და ხედვის მქონე.

ფენტეზი შეიძლება ინსპირირებული იყოს მითოლოგიით ან ჯადოსნური ზღაპრებით, მაგრამ ისინი სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნებიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაკელია 2001: ნინო აბაკელია, მითისა და რიტუალის მიმართებისათვის, ენა და კულტურა, №2, თბ.,2001.

ბაქ 1989:Bak Krzysztof . Die Zeitmodalitaten im Marchen von der Insel der Gluckseligkeit. Die Zeit im Marchen. Ed. Ursula Heindricks.Kassel:Roth,1989.

დოლეზელი 1976: Lubomir Dolezel Narrative Modal—ities. Journal of Literary Semantics,5 (1976).

ელიადე 2009: მ. ელიადე, მითის ასპექტები, ილიას სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბ., 2009

ვოლქ 1990: Anthony Wolk. Challenge the Boundaries: An Overview of Science Fiction and Fantasy. The En—glish Journal. Vol.79.No.3 (Mar., 1990).

ირვინი 1976: W.R. Irwin. The Game of the Impossible: A Rhetoric of Fantasy. Urbana: Illinois UP,1976.

კლაფკსიკი 2009: Sandor Klapcsik, Neil Gaiman's Irony, Liminal Fantasies and Fairy Tale Adaptations, Hungarian Journal of English an American Studies (HJEAS),Vol.14 No.2 (Fall,2009).

მალმგრენი 1988: Carl D. Malmgren. Towards a Def—inition of Science Fantasy . Science Fiction Studies, Vol.15No.3., 1988) pp.259—281.

მალინოვსკი 1926: B.Malinowski. Myth in Primitive Psychology, L., 1926.

ნიკოლაევა 2003: Maria Nikolaeva. Marvels and Tales. Vol. 17.No 1, Considering the Kunstmarchen: The History and Development of Literary Fairy Tales (2003).

ტოდოროვი 1975: Tzvetan Todorov. The Fantastic: A Structural Approach to a Literary Genre, Cornell Univ. Press, 1975.

შნაიდერი 1964:Scneider M. La litterature fantastique en France. Paris, Fayard, 1964

ფრაი 1961: Frye N. Fables of Identity. New York, Har—court, Brace& World, 1961.

ფრედერიკსი 1978: S.C. Fredericks. Problems of Fan—tasy. Scientific Fiction Series,5 (1978): 33—44.

ნინო (ყველა იცნობს როგორც ნუკას)
აბაკელია

დაიბადა ქ. თბილისში 1950 წლის 3 ნოემბერს. ამ თარიღის გამო საკუთარი თავის განსაკუთრებულ მფარველად წმ . გიორგის მიიჩნევს. 1968 წელს დაამთავრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური მუსიკალური სკოლა (საფორტეპიანო განხრით); 1973 დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტი, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი (ინგლისური ენა და ლიტერატურა). 1974 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაშინ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებაში აკად გ. ჩიტაიასთან და თარგმნიდა სამეცნიერო სტატიებს ინგლისურიდან ქართულად. თარგმანმა მიიყვანა ჯერ კულტურულ ანთროპოლოგიასთან, ხოლო შემდეგ საკუთარი კულტურის ფესვების კვლევასთან. 1987 დაიცვა სადისერტაციო ნაშრომში: მითი და რიტუალი დასავლეთ საქართველოში. ხოლო 1997 წელს - სადოქტორო დისერტაცია სიმბოლო და რიტუალი ქართულ კულტურაში. 1974 დან 2010 წლამდე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა როგორც ეთნოლოგი სხვადასხვა თანამდებობაზე. 1993-2005 წლებში თბილისის აპ. ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში ატარებდა მითოლოგიასა და რელიგიების ისტორიაში სალექციო კურსს როგორც მიწვეული პროფესორი. 2006 წლიდან არის ილიას სახ. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი. 2009 წელს ჰილარის სემესტრის დროს (7.01-25.03) მიეცა საშუალება დამოუკიდებელი კვლევა ეწარმოებინა ოქსფორდის უნივერსიტეტში და წარმოედგინა კვლევის შედეგები ოქსოფრდის უნივერსიტეტის სოციალური და კულტურული ანთროპოლოგიის ინსტიტუტში და საერთაშორისო გენდერული კვლევის ცენტრში. მონაწილეობა აქვს მიღებული სლივენის, ფლორენციის, მონპელიეს და სხვა საერთშორისო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში.

არის 100 -მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც ეხება მითსა და რიტუალს, სიმბოლოს, კულტურულ მეხსიერებას, კულტურულ იდენტობას და სხვა საკითხებს.

სტატია პირველად დაიბეჭდა კრებულში: „კარს მიღმა“ (ფენტეზის ჟანრის თანამედროვე ქართული პოეზია), ილიას სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2013

ლევან გელაშვილი

ქართული ფანტასტიკის სათავეებთან

პირველ ქართულ ფანტასტიკად, ალბათ, 1887 წლის 12 დეკემბერს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებული ფელეტონი უნდა მივიჩნიოთ, რომლის სათაურია „უცხოთა შორის", ავტორია იაკობ მანსვეტაშვილი (ფსევდონიმით "დონ იაგო"). ფელეტონში მთვარეზე მოგზაურობაა აღწერილი.

საბჭოთა საქართველოში ფანტასტიკა, როგორც ჟანრი, ლიტერატურის მარგინალურ მოვლენად აღიქმებოდა. მკითხველთა ფართო წრეს მის მიმართ ხშირად ირონიული და დამცინავი დამოკიდებულება ჰქონდა. მას საბავშვო ჟანრად, არასერიოზულ, გასართობ ლიტერატურად მოიზრებდნენ. საბჭოთა ტრადიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მკითხველთა თაობების ლიტერატურული გემოვნება განსაზღვრა.

გაზეთი „საბჭოთა მასწავლებელი" 1941 წლის 19 აპრილს სტატიაში „შევუქმნათ ბავშვებს მეცნიერულ-ფანტასტიკური ლიტერატურა" წერდა: „ბავშვს იტაცებს ზღაპარი, რადგან მასში ბევრი ფანტასტიკაა, მაგრამ დგება პერიოდი, როდესაც ბავშვს ზღაპარი უკვე აღარ იზიდავს, აღარ აკმაყოფილებს, რადგან ზღაპრის ფანტასტიკა მისთვის უკვე მეტად პრიმიტიულია. ბავშვის განვითარებული გონება ახლა სხვაგვარ მასალას თხოულობს... პრიმიტიულ ზღაპარს მეცნიერულ-ფანტასტიკური მოთხრობები და რომანები ცვლიან, სადაც გასაგებ და მიმზიდველ ფორმებში მოცემულია მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარების გზები, მიღწევები... საბჭოთა კავშირის გმირული ცხოვრება და გრანდიოზული მშენებლობა აუარებელ თემას იძლევა მეცნიერულ-ფანტასტიკური ნაწარმოებების შესაქმნელად".

საბჭოთა რუსეთში ეს ჟანრი განვითარდა, საბჭოთა კავშირის პერიფერიებში კი სრულიად იგნორირებული იყო. საბჭოთა პერიოდში გამოდიოდა საბავშვო წიგნების სერიები, რომელიც მთლიანად ფანტასტიკას ეძღვნებოდა, „პიონერში" იყო რუბრიკა, რომელიც რეგულარულად ბეჭდავდა ფანტასტიკის ჟანრის საბვშვო თხზულებებს. სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო ამ ჟანრის "სადიდო" სეგმენტში. მთელი რიგი უცხოელი მწერლები, რომლებმაც ფანტასტიკას ისტორია შექმნეს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართულად არ ითარგმნებოდა. ამასთან მოქმედებდა პრინციპი, ის, რაც რუსულად არ იყო თარგმნილი, არავითარ შემთხვევაში ქართულად არ უნდა თარგმნილიყო. უცხოელი ფანტასტი მწერლების რუსული თარგმანები კი მკაცრ იდეოლოგიურ ცენზურას გადიოდა. იმ დროს თარგმნილ რომანებში შეცვლილია მთელი რიგი პასაჟები და ეპიზოდები, ამოღეულია ან გადაკეთებულია მთლიანად თავები.

ძირეული მიზეზი, თუ რატომ ვერ განვითარდა ეს ჟანრი ქართულ ლიტერატურაში, ცალკე საკვლევი თემაა, ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ. ტოტალიტარიზმის ბუნებაშია საძიებელი.

საბჭოთა ტოტალიტარიზმს ნაციზმისგან ინტერნაციონალობის გარდა, ოკულტური მიდგომის უარყოფა ანსხვავებს. ნაციზმი სამყაროს მოდერნიზაციისას ოკულტურ-ეზოთერული განზომილებების მეთოდებს იყენებდა. საბჭოთა ტოტალიტარიზმი კი მსოფლიოს ტრანსფორმაციისას მეცნიერულად დასაბუთებულ მეთოდოლოგიურ სისტემას ანიჭებდა უპირატესობას. მარქსისტული ლიტერატურისმცოდნეობა ლიტერატურის, უფრო კონკრეტულად კი მოდერნის, უმთავრეს ნაკლად სწორედ ბუნდოვანებას, მიღმურის შეცნობის სურვილს და რეალისტური მეთოდების უარყოფას მიიჩნევდა. ამ მხრივ, ტოტალიტარიზმისთვის ფანტასტიკის ყველაზე მკვლელი სუბჟანრი უტოპია და ანტიუტოპია გახლავთ, რომელიც იდეოლოგიურ დისკურსშიც კი მკითხველს აძლევს აზროვნების ისეთ გასაქანს, რაც არღვევს ტოტალიტარიზმის გარსს. ზოგადად, ფანტაზიას რაც ავითარებდა, იმის მიმართ სისტემა პანიკურ შიშს განიცდიდა.

სტატიაში „შევუქმნათ ბავშვებს სამეცნიერო ფანტასტიკური ლიტერატურა" პირდაპირ წერია: „ფანტასტიკური ნაწარმოები უნდა იყოს დაწერილი სადა, გასაგები და ლიტერატურული ენით, რომ მკითხველისთვის ის ადვილი მისაწვდომი იყოს. მართალია მეცნიერებაზე სადა ენით წერა არც ისე ადვილია, მაგრამ საბავშვო მწერლის ღირსება იმაში მდგომარეობას, რომ მან შეძლოს ამ სიძნელის გადალახვა". ამდენად მკაფიო თხრობა და მიღმურის შეცნობის ძაგება ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში.

ფანტასტიკის უარყოფის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება ისიც იყოს, რომ ფანტასტიკა არნახულად განვითარდა ამერიკელი მწერლების ხელში და საბჭოთა ბანაკში ეს ჟანრი აპრიორი აღიქმებოდა, როგორც ბურჟუაზიული სამყაროსთვის დამახასიათებელი.

საბჭოთა ტოტალიტარიზმი „მოთვინიერების" ორ მეთოდს იყენებდა: 1. ე.წ. "გადაბირების", საკუთარ

ნიადაგზე "დამყნობის" და 2. უარყოფა-ლიკვიდაციას. ტოტალიტარიზმმა არ უარყო რეალიზმი (რადგან მის მეთოდებს გარკვეულწილად იზიარებდა), ის, უბრალოდ, მოაქცია საკუთარ ჩარჩოებში სოციალისტური რეალიზმის სახელდების ფუნქციით, ხოლო მოდერნის იდეოლოგიზაციას ვერაფრით შეძლებდა, ამდენად ის ჯერ უარყო და შემდეგ გაანადგურა ლიტერატურული სკოლების გაუქმებით. მაშინ, როცა მწერლობის განვითარების მიზნით მწერლებს კონკრეტული დირექტივები ეძლეოდათ, ფანტასტიკა სრულიად იგნორირებული იყო, მისი ნებისმიერი გამოვლინება კი მთლიანად იდეოლოგიზირებული რაკურსში მოიაზრებოდა.

მოდერნის და ფანტასტიკის მიერ ცნობიერად მითორელიგიური კატეგორიების გამოყენება ნეომითოლოგიზმისეული ქრონოტიპის პლანის შემოტანა ნაწარმოებში, მითის, როგორც „საწყისთან მიბრუნების" ტოლფასი მოვლენა, არქაული ადამიანის დისკურსის აღდგენა იყო. ფანტასტიკამ ჭეშმარიტების, საწყისის ძიების ხანგრძლივი პროცესი სამეცნიერო მითოსური არქეტიპებით განახორციელა, რამაც ავტორის ლიტერატურული რეგისტრიც განსაზღვრა; ფანტასტი ავტორი არის არა თანამედროვე სკრიპტორი, არამედ ახალი დროის დემიურგი.

30-იანი წლების შემდეგ ამ ჟანრის ფარგლებში შემქნილ ტექსტებს სპორადული ხასიათი ჰქონდა. ქართული ფანტასტიკა ჟანრული მრავალფეროვნებით ნამდვილად ვერ დაიკვეხნის.

მოკლედ მიმოვიხილოთ ქართული ფანტასტიკის პირველი ნიმუშები, რომლებიც მეოცე საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდა: ალექსანდრე აბაშელის „ქალი სარკეში" და დიმიტრი ყიფიანის „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ".

ირივე რომანი მკაფიოდ გამოხატული ხისტი სამეცნიერო ფანტასტიკის ნიმუშებს წარმოადგენს. რომანის „ქალი სარკეში" პირველი ნაწილი დაიბეჭდა 1930 წელს ჟურნალ „მნათობში". (მეორე ნაწილის გამოსვლამდე მკითხველები წერილს წერილზე აგზავნიდნენ რედაქციაში და რომანის გაგრძელებას ითხოვდნენ).

გამომცემლობამ „ფედერაცია" 1937 წელს გამოსცა ივანე ყიფიანის რომანი „ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ".

ალექსანდრე აბაშელის რომანს „ქალი სარკეში" დახვეწილი, ლაკონური სტილი და ამბის საინტერესო თხრობა ახასიათებს. საბჭოთა კრიტიკა პირველ ქართულ ფანტასტიკას ალ. ტოლსტოის „აელიტას" გამოძახილად მიიჩნევდა. თუმცა თითონ აბაშელი მიგვანიშნებს, თუ რა იქცა მისთვის შთაგონების წყაროდ, – ესაა უცხოური ფანტასტიკური ნაწარმოები. იგი თავის გმირის კამარელის შესხებ ამბობს: „რამდენჯერ აძგერებულა მისი გული ჟიულ ვერნისა და ჰერბერტ უელსის გმირთა გაბედული გეგმებით და მათთან ერთად მოხიბლულა ფანტასტიკური ოცნების რეალური განცდით".

აბაშელის პროზაში სამი მნიშვნელოვანი სამეცნიერო იდეაა მოწოდებული: 1. ატომური ენერგია, როგორც მოძრაობის და სითბო-სინათლის წყაროს გამოყენება (ლეტარგინი). 2. შორეული ხილვების ეკრანი (ინტერნეტი) და 3. საპლანეტაშორისო კავშირი. აბაშელი მოვლენას კი არ აღწერს, არამედ მის მეცნიერულ ახსნას იძლევა პოპულარული ენით, განსაკუთრებით კარგად აქვს ახსნილი საპლანეტაშორისო ფრენა.

მწერალი სიუჟეტს აგებს კოდების გახსნის ხერხზე. საიდუმლოებათა მოულოდნელი გახსნის ხერხი მკითხველში მოუთმენელ ინტერესს იწვევს. რაც ძალიან ეფექტურია და მკითხველზე დიდ ემოციურ გავლენას ახდენს. მაგალითად მოულოდნელია ვაისმანის ლაბორატორიაში კამარელის მიერ ტელევიზიის ეკრანის ხილვა და ამაზე უფრო მოულოდნელი – ეკრანზე მშვენიერი ქალის გამოჩენა. ამასთან, ქალი სარკეში და თვით ვაისმანი კარგახანს საიდუმლოებით არიან მოცულნი, მწერალი ამით აღვივებს მკითხველის ინტრესს. საიდან გაჩნდნენ ეს პერსონაჟები და ვინ არიან?

„ქალი სარკეში" თანმიმდევრულად მიყვება საბჭოთა ნარატივის ძირითად დოქტრინებს. შევეცდებით ტექსტის საბჭოთა ნარატივისადმი რამდენიმე ძირითადი მიმართება გამოვყოთ.

ტოტალიტარიზმისთვის დამახასიათებელია: მითორელიგიური კატეგორიების გამოყენების პარალელურად ადამიანთა ცნობიერებიდან რელიგიური გრძნობის განადგურება ან სუბლიმაცია ტოტალიტარიზმის იდეოლოგიურ ალუზიაში.

რომანში კომეტის მოლოდინთან ერთად, რომელიც განადგურებით ემუქრება დედამიწას, შემოდის რელიგიური პირების, რომის პაპის და ვატიკანის პოზიცია, რომლებიც სარდაფში იმალებიან გადარჩენის იმედით. ბიბლიური ციტატები კი, რომლებსაც კრების დელეგატები კითხულობენ, აბსურდის მნიშვნელობით შემოტანილ ეპიზოდს უფრო ჰგავს. რომანის მიზანსცენა ნათელია: როცა საბჭოთა მეცნიერებაზე დაყრდნობით მეცნიერები იბრძვიან ბუნების სტიქიის წინააღმდეგ. დედამიწის მოსალოდნელი კატასტროფით შეშინებული უსუსური სამღვდელოება მიწის

ქვეშ იმალება.

საბჭოთა ტოტალიტარიზმის ლენინის მიერ ინტერპრეტირებული იდეოლოგია (მარქსიზმი) ემყარებოდა ერთადერთ მონოიდეოლოგიურ, კლასთა ბრძოლის კონცეფციას, ნებიმიერი გადახვევა აღნიშნული პოსტულატიდან აღკვეთილი იყო ნებისმიერი მეთოდით და მტრულად მიიჩნეოდა. ტოტალიტარული იდეოლოგიის ერთ უმთავრეს ფუნქციას ადამიანის ტრანსფორმაცია, მის ცნობიერებაზე, იდეებზე, აზრებსა და ოცნებებზე, მთელ შინაგან სამყაროზე, მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე მკაცრი კონტროლის დამყარება წარმოადგენს. განათლების, აღზრდისა და საქმიანობის კონტროლის უზარმაზარი განშტოებული აპარატი პიროვნების ფორმირების ყველა ეტაპზე ზემოქმედებდა ადამიანის ცნობიერებაზე იმ მიზნით, რომ ინდივიდუალური საწყისების უნიფიკაციით და შემდგომ მისი სტანდარტიზაციით რეჟიმისთვის სასურველი პიროვნება ჩამოყალიბებულიყო. ინდივიდუალური საწყისების უნიფიკაციასტერილიზაცია ემსახურებოდა ე.წ. „ახალი ადამიანის“ აღზრდას, რომლის განმსაზღვრელი ნიშანი უნიფიცირებული ფსიქიკური წყობა, აზრობრივი და ქცევითი მახასიათებელი იყო. „ახალი ადამიანის“ შემდგომი ტრანსფორმაცია, მისი გადაზრდა „საბჭოთა ადამიანში,“ რომელშიც ტოტალიტარიზმის იდეებისადმი ერთგულება უფრო მაღალ ხარისხში იქნებოდა აყვანილი და შესაბამისად, მინიმუმამდე დაქვეთებული ან მოსპობილი ინდივიდუალიზმი, დამოუკიდებელი აზროვნება და ეროვნული ცნობიერება.

ნაციზმისგან ოდენ ინტერნაციონალობით და მეცნიერულ-მატერიალური მიდგომით განსხვავებული საბჭოთა იმპერია უტოპიური იდეის განხორციელების შემდეგ განისაზღვრა, როგორც განსხვავებული ერების და კულტურების ძალისმიერი გაერთიანება, სადაც „ჭრელი მოზაიკიდან“ შექმნეს ერთიანი, სტანდარტული „საბჭოთა ხალხი“.

მიუხედავად იმისა, რომ მარქსიზმი თავისი არსით ძირშივე გამორიცხავს, საზოგადოდ, რელიგიურ რწმენას და ეკლესიისადმი მტრულადაა განწყობილი, იგი სწორედ ფუნდამენტური რელიგიურობის სუროგატულ ფუნქციონალურ როლს ითავსებს გასაკუთრებით ქრისტიანობასთან მიმართებაში. თვით ლათინური წარმოშობის ცნება – კომუნიზმი ქრისტიანობაში გარკვეული ტიპის საზოგადოებებს, გაერთიანებებს აღნიშნავს, რომელთა არსებობა სულიერი ცხოვრების მოწიფულობის ნიშნადაა შეფასებული. ზოგი რელიგიათმცოდნე მარქსიზმს მსოფლიო რელიგიათა რიცხვს მიაკუთვნებს. ყველა რელიგიათმცოდნე თანხმდება მარქსიზმის ქრისტანული ფესვების შესახებ. გავრცელებული აზრის თანახმად, მარქსიზმი იუდაიზმისგან, ხოლო შემდგომ ქრისტიანობისაგან მომდინარე ესქატოლოგიური და მესიანისტური ტრადიციის დამახინჯებას წარმოადგენს, მარქსიზმი იყენებს მილენარიების, ანუ ხილიასტთა სწავლებებს. რწმენა კომუნიზმისადმი–სააქაო სამართლიანი სამეფოსადმი ისევე როგორც ქრისტეს მიწიერი ორიათასწლიანი სამეფოსადმი რწმენა, გავრცელებულ მითოლოგემას ეფუძნება კაცობრიობის ოცნებას დაკარგული სამოთხის დაბრუნებაზე (8,174). ელიადე მიუთითებს რომ, მარქსმა აზია-ხმელთაშუაზღვის სამყაროს ერთ-ერთი ესქატოლოგიური მითი გაიმეორა: როლი მართლის მთქმელისა (ამ შემთხვევაში, პროლეტარიატის), რომელიც მოწოდებულია ტანჯვის გზით მსოფლიოს ონტოლოგიური სტატუსი შეცვალოს. მარქსის უკლასო საზოგადოება ემყარება ოქროს ხანის მითს, რომელიც მარქსმა იუდოქრისტიანული და მესიანური იდეოლოგიით გაამდიდრა. პროლეტარიატს მან მიანიჭა სოტერიოლოგიური ფუნქცია, ხოლო მისი სიკეთე-ბოროტების ორთაბრძოლა ჰგავს ქრისტეს და ანტიქრისტეს აპოკალიფსურ კონფლიქტს, ქრისტეს საბოლოო გამარჯვება რომ მოყვება. იუნგმა კომუნიზმის მარადიულ მითოლოგიურ სუბსტანციურ კონსტანტას „ოქროს ხანაზე“ ოცნების სახელი უწოდა.

აქედან გამომდინარე გასაგებია რომანში რატომ გაისმის დაცინვასავით, როდესაც დელეგატთა მრავალ კითხვას მამა ბენედიქტე მხოლოდ საღვთო წერილით, რომ პასუხობს. სრულიად პროფანული კითხვებია რელიგიის მიმართ დასმული: თუ ქვეყანა იღუპება უფლის ნების გარეშე, მაშინ როგორ შევათავსოთ ეს მოვლენა საღმრთო წერილთან?

როგორც საბჭოთა იდეოლოგიას შეჰფერის, რომანში რაციონალური გონის ადამიანური ინტელექტის ფეტიშია მოცემული, რაც სრულიად გამორიცხავს რამე მიღმურის და ღმერთის, როგორც უმაღლესი გონის არსებობას. ყელაფერი შეიძლება აიხსნას მეცნიერებით და მისადმი რწმენით.

ტოტალიტარიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა: მტრის ხატის შექმნა.

რომანის დასაწყისშივე, როდესაც ინჟინერი გურგენ კამარელი შედის თავის სამუშაო კაბინეტში და შეიტყობს, რომ მასთან სტუმარია მისული, პირველი, რაც თავში მოსდის; ხომ არ არის ეს შანტაჟისტი ამერიკიდან და რომ აუცილებელია გამოიჩინოს სიფხიზლე. თხრობას ფონად გასდევს ნაგულისხმევი

დასავლეთის მტრული გარემო, რომელიც არსად არ მართლდება, მაგრამ ავტორისეული რწმენა მტკიცეა, რომ ის არის მტრული.

საკუთრივ ტექსტუალური კონტექსტი გულისხმობს საბჭოურ რეჟიმს, როგორც იდეალურ წყობას. თუმცა ავტორი არ აღწერს, თუ როგორია იდეალური წყობა, არამედ გვიყვება, რომ სოციალისტური წყობა ეს უპირობოდ იდეალური საოცნებო სისტემაა და განხილვას არ ექვემდებარება. სტუმრის გამოჩენისთანავე იწყება ამის დეკლამაცია. სტუმარი თავის სათქმელს იმით იწყებს, რომ ამერიკაზე კარგი სამუშაო პირობები საბჭოთა კავშირშია. თითქოს მკითხველსაც და მთავარ გმირსაც უქარწყლებს ეჭვს, რომ ის არ არის ამერიკიდან მოგზავნილი შანტაჟისტი. ვაისმანი უცხადებს კამარელს თავის სურვილს - დარჩეს საქართველოს დედაქალაქ თბილისში და რეალობად აქციოს კამარელის თამამი თეორიული მოსაზრებანი ეთერის ტალღების შესახებ, კამარელი თანახმაა.

„რა თქმა უნდა, ყველაფერი, რასაც ჩვენ გავაკეთებთ, კაცობრიობის კეთილდღეობისაკენ იქნება მიმართული, ჩვენ ვიმუშავებთ უანგაროდ, ყურადღებას არ მივაქცევთ მომაბეზრებელ ოქროს საწყაოს, რომლითაც იზომება დღეს ყოველგვარი მეცნიერული და პოეტური აღმაფრენა. ჩვენს ლაბორატორიაში ოქრის ღმერთს ადგილი არ ექნება!" - ამბობს უცხოელი. კამარელი გრძნობს გაურკვეველ სიმძიმეს, გრძნობს სადღაც გულის კუნჭულში, რომ უცხოელის ეს სიტყვები ნამდვილი განზრახვის დასაფარავად არის წარმოთქმული.

შემთხვევითი არ არის, რომ მარსელი ინჟინერი დედამიწაზე რამდენიმე ხნის ყოფნის შემდეგ (იგი პრველად ჩიკაგოში დაბინავდა) საბჭოთა კავშირში ჩამოდის და აქ იწყებს თავის გეგმის განხორციელებას. იგი კამარელს ეუბნება: „თქვენ არ უნდა გაგაკვირვოთ ჩემმა განცხადებამ, მე შემძლო ამერიკაში მუშაობა, მაგრამ აქ ვირჩიე, თქვენთან თანამშრომლობა. მთავარი ის არის, რომ ჩვენ მოვითხოვთ ჩვენი მუშაობისადმი უანგარო ყურადღებას". თურმე ძალიან მოკლე დროში უცხოპლანეტელიც კი დარწმუნდა, რომ მისთვის ყველაზე შესაფერი ადგილი მსოფლიოში სოციალისტური სამყარო იყო. დასავლეთი ეს შეცდომაა, საბჭოთა ბანაკი კი — სწორი არჩევანი.

ტოტალიტარიზმის კიდევ ერთი საგულისხმო თვისებაა საზოგადოების მუდმივი ბრძოლის ჟინით დამუხტვა.

საბჭოთა ნარატივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა პერმანენტული ომი ბურჟუაზიელ ისტორიოგრაფიასთან (კლასიკურ ისტორიულ ნარატივთან). რომანში გამოყვანილია ერთმანეთისგან განსხვავებული ორი თანამედროვე სოციალური სისტემა - სოციალისტური და კაპიტალისტური. ორივე მათგანის წარმომადგენლები თავგამოდებით იბრძვიან თავთავიანთი სოციალური წყობის დასაცავად. მარსელმა ინჟინერმა მოქმედების ასპარეზად საბოლოოდ საბჭოთა ქვეყანა აირჩია. რადგან იგი ხედავს, რომ დედამიწაზე დამყარებულ ამ ახალ სოციალურ წყობას აქვს ყველა უპირატესობა და ამიტომ უფრო გაბედული პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა შეუძლია წინ, მეცნიერების და ტექნიკის დარგში.

რომანი იმდროინდელი სოციალური პათოსითაა გაჯერებული. რომანში ორ შრესთან გვაქვს საქმე: ერთია ფანტასტიკა, როგორც მეცნიერული ცოდნის გამოყენება, ფანტასტიკის კონტექსტში და მეორე — სოციალურ-პოლიტიკური დისკურსი, რომელიც მტკიცედ არის დაკავშირებული პირველთან და ერთ მთლიანობას ქმნის. რომანი თავისთავად გულისხმობ ორი სამყაროს არსებობას ერთ-ერთ ქვეთავს პირდაპირ ჰქვია: „ორი ბანაკი", სადაც მოიაზრება ორი, მტრულად განწყბილი, კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების დაპირისპირება. კაპიტალისტური სამყაროსთვის დასაშვებია, როგორც პირდაპირი ასევე შენიღბული მეთოდები. საბჭოთა ქვეყნის მიღწევები, მისი იდეურ-ზნეობრივი უპირატესობა აიძულებს უცხოეთის ქვეყნებს აღიარონ საბჭოთა კავშირის გამარჯვება, სოციალისტური წყობის გამარჯვება. მსოფლიო ხალხთა კონგრესზე უცხოეთის წარმომადგენლები აცხადებენ: საბჭოთა ქვეყანა იმარჯვებს ჩვენ უნდა ვიცნოთ ამ ქვეყნის იდეურ-ზნეობრივი უპირასტესობა და თავი დავხაროთ მის წინაშე. (1.128)

აბაშელი აღწერს, ერთი მხრივ, უცხოეთის შეშფოთებას საბჭოთა ქვეყნის წარმატებათა გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ამხელს მის აგრესიულ ზრახვებს. კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიულ პოლიტიკას.

გადარჩენის მისია, როგორც უმაღლესი სიკეთე.

რა შეიძლება იყოს იმაზე მნიშვნელოვანი და ტრაგიკული, ვიდრე მსოფლიოს დაღუპვაა. მარსის ობსერვატორიამ წინასწარ შეიტყო მეზობელი პლანეტის - დედამიწის მოსალოდნელი კოსმოიური კატასტროფის მოახლოება: 1933 წლის 25 ნოემბერს, საღამოს 6 საათსა და 43 წუთზე, კომეტა ბიელა უნდა დაეჯახოს დედამიწას, რაც ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლის მოსპობას გამოიწვევს და რადგანაც მარსელების მიერ შენიშნულია დედამიწაზე სიცოცხლის ნიშნები, მარსელებმა დიდი მსჯელობის შემდეგ გადაწყვეტეს, იხსნან მეზობელი პლანეტა.

ვაისმანად მონათლული ინჟინერი, კარო, მარსიდან იმ მიზნით მოფრინავს, რომ დედამიწა მოსალოდნელი დაღუპვისგან გადაარჩინოს. კატასტროფის თარიღი დაადგინეს მარსზე, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის დონით დედამიწისგან დიდად წინ წასულა. მეცნიერი ქალის გედა ნუავეს დაჟინებული მოთხოვნით, კარო გამოგზავნა დედამიწაზე. იგი დაუკავშირდა საქვეყნოდ ცნობილ მეცნიერს, გურგენ კამარელს, რათა ამ უკანასკნელის თეორიული მოსაზრებანი პრაქტიკულად განეხორციელებინა. მართლაც, კარომ პრაქტიკულად გამოიყენა ატომური ენერგია, აქცია იგი მოძრაობისა და სინათლის წყაროდ, ააგო ტელევიზიის ეკრანი. აგრძნობინა კამარელს შორეული ხილვის გასაოცარი ძალა და ამ ეკრანის გზით მარსელი ქალისადმი სიყვარული განაცდევინა.

იმავე კარომ დედამიწის მცხოვრებთ შესთავაზა ერთადერთი გზა კატასტროფის თავიდან ასაცილებლად და ბრწყინვალედაც განახორციელა ჩანაფიქრი – დაამუხრუჭა დედამიწა.

კარომ მოაწყო დედამიწის დელეგაციის გაფრენა მარსზე, განაცდევინა კამარელს პლანეტათშორისი ფრენის თავისებურება და მარსელ სატრფოსთან მოსალოდნელი დაახლოებით გამოწვეული სიხარული. მთელ სამყაროში უცხოპლანეტელების მიერ დასაყრდენი მხოლოდ საბჭოთა ბანაკი და გურგენ კამარელია. კარო ვერაფერს გააკეთებდა, რომ არ ყოფილირო კამარელი. ეს არის უმნიშვნელოვანესი მიზეზ-შედეგობრივი სიუჟეტური რგოლი, რომელიც ხსნის კოდს სიკეთის ემანაციას საზოგადოებაში.

და ზუსტად ამ დროს თავს იჩენს საბჭოთა პატრიოტიზმი: „ის თბილი და ჟრუანტელის მომგვრელი გრძნობა, რომლითაც იმსჭვალებოდა საქართველოს მოგონების დროს, თანდათან, მისთვის შეუმჩნევლად სცილდებოდა პატარა საქართველოს საზღვრებს და ხანძარივით გადადიოდა მეზობელ ქვეყნებზე, რათა ბოლოს დედამიწას მოსდებოდა მშობლიური სიყვარულის ალი". რომანის მიხედვით, რევოლუციის მშობელი ჩვენი ქვეყანა არის შთამაგონებელი მსოფლიო რევოლუციისა.

ფეტიში, როგორც დაცინვა.

სოციალური კონტექსტის გამოცვლის გამო საბჭოური ნარატივი ახალი კულტურული კოდების რიგით დაიტვრთა, რომელიც საკუთრივ სისტემის ფეტიშს დასცინის და ირონიულ დიკურსში ანადგურებს მას. საბჭოთა ბანაკის უპირატეობის აღიარების მიუხედავად მსოფლიო კონგრესზე მარსიანელი ადამიანი ინგლისურ ენაზე გამოდის სიტყვით, ივანე ყიფიანის რომანში: „ამონი" მოქმედება რეალური ოცადაათიან საბჭოთა დროში მიმდინარეობს მთავარ გმირს გაყინავენ და ათასი წლის შემდეგ გააღვიძებენ მას თავი ამერიკაში ან ინგლისში ჰგონია. იმდენად პერიფერიული და ფასადურია საბჭოთა კონტექსტი, გრჩება შთაბეჭდილება ავტორი იძულებით რთავს თხრობაში საბჭოთა სისტემისადმი ხოტბას რომ ხარკი გაიღოს ტოტალიტარული სისტემის მიმართ.

ამ თვალსაზრისით ტექსტი, როგორც ეპოქის კულტურული პროდუქტი არაპირდაპირ გვაჩვენებს სოციალური ეპოქის ხატს. მწერალმა ნაწარმოებს კომპოზიციაც ისეთი შეურჩია, რომ ფანტასტიკურ ამბავს თითქმის რეალობად აღვიქვამთ. მხოლოდ ნაწარმოების ფინალში ირკვევა, რომ ყველაფერი, მასში მოთხრობილი, სიზმარია. ამის შესახებ მკითხველმა ბოლომდე არაფერი იცის. რაც კამარელმა სიზმრად იხილა, რომანში რეალურ სინამდვილედაა წარმოდგენილი. ნაწარმოების დასაწყისში მინიშნებულ ზოგიერთ მომენტს მკითხველი მხოლოდ ფინალის წაკითხვისას აქცევს ყურადღებას; მაგალითად; ინჟინერი ვაისმანი სთხოვს აუდიენციას კამარელს, შეხვედრა დანიშნულია 10 საათზე. ცხრას აკლია ოცი წუთი, როცა კამარელი ითხოვს, არავინ შეუშვან მასთან, რადგან იგი მთელი ღამის უძილოა. ჩაესვენება რბილ სავარძელში და ფიქრობს. ფინალში კამარელს მოახლე ქალი აღვიძებს და ატყობინებს ვაისმანის მოსვლას. ამით ირკვევა, რომ კამარელს ვაისმანზე ფიქრში ჩასძინებია. ამგვარად, მთელი ნაწარმოები სიზმარს წარმოადგენს.

შესავალში აბაშელი აღნიშნავს: „მთელი ეს ამბავი მოგონილია თავიდან ბოლომდე, მაგრამ მაინც დაწურული ფაქტოლოგიაა". ავტორი მეცნიერული ცოდნის ფანტაზიის დისკურსში გამოყენებას გულისხმობს.

გამოდის, რომ მთელი რომანი ერთი დიდი სიზმარია, რომელიც გაღვიძებისთანავე გაქრება, ამის ფონზე სისტემის გაფეტიშება, თანამედროვე გადასახედიდან, ირონიულად მოჩანს.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ ყიფიანის რომანზე "ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ". მთავარი გმირი, ექიმი გიორგი მოგელი მეოცე საუკუნის მცხოვრები მნიშვნელოვან ცდებს აწარმოებს ადამიანის უხრწნელობის ანუ დაბალზამების პრობლემაზე. მან ამ მიზანს მიაღწია - გამოიგონა ისეთი წამალი, რომელიც ადამიანის სხეულს ინახავს საუკუნეების განმავლობაში. ეს საიდუმლოება მოგელმა მხოლოდ თავის მეგობარს, სარდიონს გააცნო, და ერთ მშვენიერ დღეს 1930 წლის 27 აგვისტოს გიორგი მოგელი მოუ-

ლოდნელად გარდაიცვალა. სარდიონმა გიორგი მის მიერვე გამოგონილი წამლით დაბალზამა და ისე დაასაფლავა. რამდენიმე დღის შემდეგ სარდიონიც მოულოდნელად დაიღუპა. საიდუმლოება დაფარული დარჩა.

გაივლის ათასი წელი. არქეოლოგიური გათხრების დროს გიორგის მოგელს იპოვნიან და 2930 წლის 27 ივლისს გიორგი მოგელი იღვიძებს. იგი მოხვდება სრულიად უცნობ ქვეყანაში, დადის ამ უცხო მხარეში, ხედავს, რომ ქართულ ენაზე არავინ საუბრობს. ენა, რომელიც მას ესმის, სრულიად სხვანაირია. იგი გაფაციცებით ათვალერებს ყველაფერს. თავი ჰგონია ამერიკაში ან ინგლისში. ბოლოს მიადგება ერთ ვებერთელა შენობას, სადაც ხალხი ბუზებივით ირევა, ავტორის გადმოცემით, გიორგი აქ ხედავს ლენინის და სტალინის ძეგლებს და მხოლოდ ამით ხვდება, რომ იმყოფება საბჭოთა კავშირში. გიორგი შევა შენობაში, როგორც გამოირკვევა, ის იმყოფება დიდ ინტერნაციონალურ საღამოზე. ხედავს, რომ სცენაზე ხან ერთი პოეტი გამოდის და ხან მეორე. ხალხი ტაშს უკრავს და ყვირის „მარაა ჰომიროს! მარაა რუსთაველი!''. გიორგი მოგელი სცენისკენ წავა, მოულოდნელად გრძნობას დაკარგავს და დაეცემა. და როდესაც გაეღვიძება სრულიად უცნობ ოჯახში უცნობ ადამიანებს შორის აღმოჩნდება. ესაა კარიოზის და აირას ოჯახი. ადამიანები, რომლებიც მუდამ მის გვერდით იქნებიან მთელი რომანის განმავლობაში და უყვებიან თანამედროვე მიღწევების შესახებ. კარიოზმა მრავალი პროფესია გამოიცვალა და ბოლოს ლინგვისტიკას მოკიდა ხელი. მანაც და მისმა ცოლმაც კარგად იციან ქართული. ისინი უამბობენ გიორგის, როგორ აღამოაჩინეს არქეოლოგიური გათხრების დროს და იხსენიებენ დიდი პატივისცემით, როგორც დაბალზამების გამომგონებელს.

მთელი რომანის განმავლობაში მთავარი გმირი და მასთან ერთად მკითხველიც ეცნობა ახალ ფანტასტიკურ იდეებს, მაგრამ მწერალი ამას კი აღწერს, არამედ გვიყვება. ყიფიანის რომანის სამეცნიერო იდეები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთის გარშემო ცალკე წიგნებია დაწერილი. ყიფიანთან ჩამონათვალივით გხვდება სამეცნიერო იდეების მთელი კალეიდოსკოპი.

გიორგი გაოცებულია, როდესაც ხედავს ბაღების მეტამორფოზას, როდესაც ისინი ელექტრო მექანიზმების მეშვეობით სრულიად იცვლიან დეკორაციულ სახეს. მარსზე გაფრენა მაღაზიაში პურის საყიდლად წასვლასავითაა. გემს ელასტიური საცურაო ფეხები აქვს. ჩვეულებრივი პრაქტიკაა საჰაერო ნავი და ''ჯიპიარესის'' მსგავსი სისტემა,რომელიც წამებში ადგენს, თუ სად რომელი ადამიანი იმყოფება. გამოგონილია ასევე რადიო აზრების მიმღები, რომელსაც შეუძლია ადამიანის აზრების პორტირება.

რომანში ვეცნობით ''ჯადობეჭედის'' მეშვეობით ფსიქოსომატური არსების დანაყრების შესაძლებლობას. დანომრილი მინერალური წყლები ონკანში მოედინება, და სურვილებისამებ რომელსაც გინდა დააგემოვნებ. მომავლის სამყაროში დედამიწას ასკანირებენ ტერესკოპით, რაც დედამიწის ქერქის ქვეშ არსებული ყველა პროცესის ანალიზის საშუალებას იძლევა.

წიგნები პატარა ფირფიტებია, რომელთაც სპეციალურ მოწყობილობაში ათავსებენ. სისტემა ტელეპატიურად გადასცემს ინფორმაციას ადამიანის ტვინს. დღევანდელ რელობასთან რომ გავავლოთ პარალელი, ეს კომპიუტერის დისკისა და ადამიანის ურთიერთობის მომავლის ეტაპია.

ამონში გამოდის მხოლოდ ერთი გაზეთი, „სამყარო''. ნებისმიერ საკითხი ამ გაზეთში იბეჭდება და თემების გარშემო ოპონირებაც ისევ ამ გაზეთში ხდება. ადამიანები კალმით არ წერენ, ასანთის ხელა კოლოფს კარნახობენ და ის კრეფს ტექტს. საინტერესოა რომ მსგავსი ტექნოლოგია დღეს უკვე არსებობს.

მომავლის სამყაროში ნებისმიერი წარსულში არსებული მწერალი შეგიძლია ელექტრონულად ჩართო და მოუსმინო. ხდება ე. წ. მწერლების აღდგენა. ესაა დღევანდელი კიბერპუშკინის ან კიბერგალაკტიონის ანალოგია.

მომავლის სამყაროში ეროვნებები აღარ არსებობს, მაგრამ მთელი რომანის განმავლობაში ძალუმად გამოსჭვივის საქართველოს დაუფარავი პატრიოტული განცდა. შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვას შეუერთეს, ახალ რიონს არიონს უწოდებენ. წყლის აფეთქების ტექნოლოგიით ევროპა და აფრიკა ერთმანეთთან დააკავშირეს.

ადამიანებმა მიაღწიეს ხელოვნური წვიმის მოყვანას. შექმნეს ხელოვნური მზე და ღამე ოთხი საათით შეამცირეს. მყინვარები დაადნეს. შექმნეს მზის სადგურები ე. წ. „მზის ყაჩაღები''.

ამონში ფულის ერთეული აღარ არსებობს. აღარ არსებობს არც ვაჭრობა. პროდუტი პირდაპირ ფაბრიკებიდან ნაწილდება ხალხში. ჯილდო მხოლოდ საერთო დაფასება და ყურადღებაა. აღარ არსებობს სავალდებულო სწავლა და სკოლები. არ არსებობს პოლიცია და სასამართლო. შეცდომის ჩამდენი პირი

ყოველმხრივ სწავლობს საკუთარ შეცდომას, არკვევს, რა გარემოებამ შეუწყო ხელი ამ შეცდომას, რომ მომავალში არ გაიმეოროს. არავითარ სადამსჯელო ორგანიზაცია და სახელმწიფოებრივი აპარატი არ არსებობს. უმმართველობა კომუნიზმის მეორე საფეხურზე გახდა შესაძლებელი. ეს არის ჰეკასტოარქია.

ავტომატები – რაც დღევანდელი გაგებით, ხელოვნური ინტელექტი უნდა იყოს, – ნებისმიერ რთულ კითხვაზე სცემენ პასუხს.

გაზარდეს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა. ადამიანი სამას ?ლამდე ცოცხლობს, მიაღწიეს ასევე გაფენიქსებას, ე.წ. "ფენიქსოლოგია" სწავლობს გვამის გაცოცხლებას. შესაძლებელია ასევე ადამიანის თავის სხვა ტანზე გადანერგვა. რომლის ოპერაციაც საქართველოში ჩატარებულა და თბილისის საზოგადოებას იდღესასწაულა ეს დიდებული სამეცნიერო წარმატება.

ცალკე უნდა აღინიშნოს ადამიანის დაბადება და გენეტიკაში მიღწეული წარმატებები.

„ჩვენი სახელმწიფო (იგულისხმება საბჭოთა კავშირი) ხელს უწყობდა მოსახლეობის გამრავლებას, - დაიწყო გიორგიმ. – იგი ეხმარებოდა მშობლებს, ათასობით ხსნიდა სამშობიაროებს, ბავშვთა ბაგებს, აგებდა თავშესაფრებს, სანატორიუმებს, სკოლებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სადაც სწავლა უსასყიდლოდ სწარმოებდა.

- საბჭოთა კავშირში? . . რა თქმა უნდა, - უპასუხა კარიოზმა, - მაგრამ სხვაგან ხომ მასეთი წესი არ ყოფილა? მაშინ თქვენთან საამური ცხოვრება იწყებოდა, თქვენ უკვე სოციალიზმის მიჯნასთან იმყოფებოდით, შვილის ყოლა თქვენ ზედმეტ ტვირთად კი აღარ გეჩვენებოდათ, როგორც ეს იყო კაპიტალისტურ ქვეყნებში, არამედ სასიამოვნო მოვლენად. ამას გარდა, თქვენ გქონდათ უზარმაზარი ტერიტორია, სადაც კვების ძნელ პირობებშიც ათასჯერ უფრო მეტ მოსახლეობას დაარჩენდით".

მომავლის სამყაროში არსებობს ევგენიკური ინსტიტუტი, რომელიც ოცი ათას რუსთაველს, დავით აღმაშენებელს და სხვა ცნობილ მოღვაწეებს უშვებს.

ევგენიკური ინსტიტუტის ჩანახთა განყოფილებაში ასეულობით ადამიანი მზადდება მანქანების მიერ. კარიოზი თავის თავზე გადმოგვცემს: „ბაასე, უნიჭიერესი ადამიანი ცხოვრობდა 25-ე საუკუნეში, ლამაზი ქალი დიანა კი 24-ე საუკუნეში, თურმე ბაასეს სპერმატოზოიდი გარდაცვალებიდან 300 წლის შემდეგ შეხვდა ულამაზეს ქალის დიანას კვერცხს და ჩავისახე მე, ცხრა თვის შემდეგ დავიბადე ამ ინსტიტუტის შენობაში. ნამდვილ ჩემ დედად წელან მე ვახსენე ეგ ინსტიტუტი. (ევგენიკური ინსტიტუტი), იმან ითავა ჩემი გაჩენა, ის ზრუნავდა ჩემზე. იგი მინახავდა, მივლიდა ჩანსახში და იმანვე დამბადა".

მიღებული პრაქტიკაა ასევე ადამიანის გაყინვა და მისი გაღვიძება საუკუნეების შემდეგ.

მწერალი სიუჟეტს კოდების გახსნის ხერხზე აგებს. საიდუმლოებათა მოულოდნელი გახსნის ხერხი მკითხველში მოუთმენელ ინტერესს იწვევს. რაც ძალე ეფექტურია და დიდ ემოციურ გავლენას ახდენს. რომანის მოულოდნელი, თითქოს უწერტილო დასასრული ზრდის მკითხველის როლს და პასუხისმგებლობას მის იდეურ-მხატვრული შინაარსის გაანალიზებისას.

ივანე ყიფიანის ნაწარმოების საკუთრივ ტექსტუალური კონტექსტი გადაირეცხა და სტრიქონებს შორის იკითხება ახალი კონტექსტი, რომელიც კომუნიკაციას ამყარებს თანამედროვე მკითხველთან. ავტორის მიერ მოგონილი ალტერნატიული სამყაროს ტექსტი კომბინირებაში შედის უკვე არსებული ეპოქის „რეალობასთან". მწერლის შეუძლებელი რეალობა ფიქციად აქცევს ეპოქის ქრონოლოგიურ რუკას. ეს არ არის კონტრრეალური ტექსტი, როგორადაც შეიძლება მივიჩნიოთ: „დიდი იოსები" ან „ჯაყოს ხიზნები" ეს არის საბჭოთა რეალობის იგნორირების კუთხით შექმნილი ნარატივი. საკუთრივ სამეცნიერო ფანტასტიკა, რომლის ჭვრეტის არეალში ერთდროულად თავსდება ორი კონტექსტი. ეს არის ან განვითარების ახალ საფეხურზე არსებული საბჭოთა საზოგადოება (საბჭოთა ფანტასტიკა, რომელიც აღწერს საბჭოთა ფანტასტიკის ფორმაციას) ან საბჭოთა რეჟიმის ალტერნატიული გარემო.

ალტერნატიული რეალობა იქმნება არა რეალობის აღწერის საფუძველზე, არამედ ტექსტისა და მკითხველის არ არსებული ინტერაქციის საფუძველზე. ესაა თვითრეფლექსირებადი მეტაფიქცია, როცა ტექსტი, როგორც ეპოქის კოდი თვითდახშულ ინტერაქციას განიცდის. ნარატიულ კომპოზიციაში მოვლენის რეალობამ, როგორც გარდასული ეპოქის გამონაგონმა იცვალა კულტურული კოდი და გახდა ინტერაქციული აქტი.

ადრეული ქართული ფანტასტიკის ნიმუშების ლიტმცოდნეობითი ანალიზი საშური საქმეა. ქართული ფანტასტიკის, როგორც ლიტერატურის ჟანრის, განვითარების თვალის გადევნება – რა არქიტექტონიკას შეიცავს ის სინამდვილე, რომლის სასარგებლოდაც კეთდება რომანში არჩევანი? აღწერილი

მოვლენები ბიოლოგიის, ფიზიკის და ქიმიის უკვე ცნობილ კანონებს ეწინააღდეგება, მაგრამ როგორია არარსებულის არსებულად წარმოჩენის მიღმა დარჩენილი ადამიანური სამყარო? ახალი ტექნოლოგიები ქმნიან ახალი რეალობის სისტემებს. ყიფიანის ნარატივი აშკარად შეიცავს მერყეობის და გაურკვევლობას რეალობის სისტემებისადმი. რომანის შინაარსის გავლით ვწვდებით ადამანური არსებობის შინაგან სამყაროს. სამყაროს, რომელიც სრულიად დაცლილია საბჭოთა სულისკვეთებისგან. რომანი ფანტასტიკური იდეების ჩამონათვალის შემდეგ ნელნელა რეალობის სისტემურ ჩიხში შედის.

ავტორმა გააჩინა ილუზია, რომ ეს არის კომუნიზმის განვითარების მესამე საფეხური. რომ საზოგადოებაში ყველა პრობლემა გადალახულია, რაც განვითარების პირველ საფეხურზე იყო.რომანში „ქალი სარკეში'' სწორედ ეს პრობლემებია აღწერილი. ბრძოლის სიდიადე და საბჭოთა ტოტალიტარიზმის პოსტულატების დაცვა უგულებელყოფილია ყიფიანთან. ნარატივი სისტემური ოცნების ტკბობის ფაზაშია გადასული. ტექსტში გადაწყვეტილების მიღების წერტილი თავის უჩინარი საწყისებით გვაგრძნობინებს, რომ ოფიციალური და არაოფიციალური სამყარო გამორიცხავს ერთმანეთს. ამ თვალსაზრისით ტექსტი, როგორც ეპოქის კულტურული პროდუქტი, არაპირდაპირ გვიჩვენებს სოციალური ეპოქის სახებას.

საინტერესოა, ყიფიანის რომანში ცივილიზებული დასავლეთი როგორ კონტექსტში არის ნახსენები: „გიორგის თვალწინ გადაიშალა ვებერთელა გასაოცარი სილამაზის ქალაქი, მრავალგვარი სტილისა და ფერის სახლებით. პირველ ყოვლისა, გიორგი ამ ქალაქის მოძრავმა ქუჩებმა გააკვირვა. ქუჩები დიდძალი ხალხით იყო სავსე. გიორგიმ გაიფიქრა: „ალბათ, ამერიკის უმთავრეს ქალაქ ნიუ-იორკში მოვხვდიო''.

ახალგაღვიძებული გიორგი იმდენად აღფრთოვანებულია ქალაქის იერსახით რომ იმას კი არ ფიქრობს რა შესანიშნავად განვითარებულა საბჭოთა სამყარო, არამედ იმას რომ ეს იმდენად კარგია, უთუოდ ამერიკა იქნებაო. საბჭოთა ქვეყანას ის მხოლოდ ძეგლებით ცნობს:

„გიორგი განაგრძობდა ტელეგრაფის ძებნას, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს მიადგა ერთ ვებერთელა შენობას, სადაც ხალხი მაღალი კიბით სხვადასხვა კარებიდან განუწყვეტლივ შედიოდა და გამოდიოდა. უცებ მან დაინახა ლენინისა და სტალინის ძეგლები. გიორგის გულს მოეშვა, თავი თითქოს საკუთარ სახლში იგრძნო. ძეგლებთან გახარებული მივიდა: არ გამიკვირდა! საბჭოთა კავშირში ვყოფილვარ! – სიხარულით ფიქრობდა გიორგი''.

საინტერესოა რომ აბაშელთან დედამიწაზე ჩამოსული უცხოპლანეტელი პირველად ამერიკაში დასახლდება. ამავე რომანში ერთსა და იმავე პასაჟში, როდესაც მთელი მსოფლიო აღიარებს საბჭოთა ბანაკის უპირატესობას საერთაშორისო კონგრესი ინგლისურ ენაზე მიმდინარეობს. 1887 წლის ივერიაში გამოქვეყნებულ ფანტასტიკურ პაფლეტში მთვარეზე მოგზაურობა ამერიკელების სახელს უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკა ადრეული ქართული ფანტასტიკის არაოფიციალური სამყაროს ცენტრია.

ყიფიანის ტექსტის სწორედ ეს გამოვლინებები არ მოეწონა საბჭოთა კრიტიკას, რომელიც აღნიშნავდა: „როცა საბჭოთა მწერალი ფანტასტიკურ რომანს სწერს, უნდა იყოს ღრმად ჩვენს დღევანდელ საზოგადოებრივ წყობაში და გამოდიოდეს მარქსენგელს-ლენინ-სტალინის დიად მოძღვრებიდან. მწერალი უნდა იცნობდეს ჩვენს ცხოვრებას, უნდა იცოდეს მისი მომავალი განვითარების პერსპექტივები. . . . ივანე ყიფიანის რომანი კომუნისტური საზოგადოების სურათის უხეშ დამახინჯებას წარმოადგენს. . . . ჩვენ არ ვართ ფანტასტიური რომანების წინააღდეგი, ჯერ კიდევ 1922 წლის 22 მარტს ამხ. ლენინი თავის საბოლოო სიტყვაში რ.კ.პ. ც.კ.-ის მოხსენების გამო ამბობდა: „ტყუილად ფიქრობენ თითქო ფანტაზია მარტო პოეტისათვის იყოს საჭირო. ეს სულელური ცრუ აზრია! მათემატიკაშიაც კი საჭიროა იგი''. ცხადია ლენინის ეს სიტყვები ჯანსაღ ფანტაზიას შეეხება. ივანე ყიფიანის რომანი კი ავადმყოფური ფანტაზიის შედეგია''.

ფანტასტიკა,როგორც ჟანრი პოლიპერსონალური ლიტერატურული ფენომენია, მისი განვითარება ლიტერატურაში მრავალ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ტოტალიტარიზმი ადამიანის კულტურული ცხოვრების ყველა ეტაპზე აქტიურად მონაწილეობს განსაზღვრავს მის გემოვნებას და განვითარების მიმართულებას, ამდენად ბუნებრივია, რომ ფანტასტიკისადმიც მკაფიო დამოკიდებულება ჰქონდა. ქართული ფანტასტიკა, როგორც ჩანასახში არსებული ჟანრი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად საბჭოთა ნარატივის დოქტრინებს მიყვება, თუმცა ამ კუთხით შექმნილი ტექსტიც კი როგორც კულტურის ინფორმაციული კოდი სისტემის იგნორირების და დაცინვის დისკურსს გადმოგვცემს.

ქართული სამეცნიერო ფანტასტიკის ნიმუშები, რომლებიც ჩვენ განვიხილეთ პირველი წარმატებუ-

ლი ლიტერატურული მცდელობებია, რომლებმაც ლიტერატურის ისტორიაში თავის ადგილი დაიკავეს. შესაძლოა, ეს ტექსტები დიდი მხატვრული ღირსებით არ გამოირჩევა, მაგრამ უაღრესად საინტერესოა წმინდა სამეცნიერო ფანტასტიკის კონტექსტში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსანდრე აბაშელი, ქალი სარკეში; ივანე ყიფიანი, ამონი ანუ ათასი წლის შემდეგ. ქართული საბჭოთა რომანი, მერანი, თბილისი 1987 წ.

2. ბენაშვილი დიმ., ალ აბაშელი (ცხოვრება და მოღვაწეობა). მნათობი 1952 წ.

3. გასეტი, ხელოვნების დეჰუმანიზაცია. თბ. "ლომისი" 1992 წ.

4. გიორგობიანი ნათელა, ალექსანდრე აბაშელი. თბ. "საბჭოთა საქართველო" 1978 წ.

5. გომიაშვილი ო. „პოლიტიკური იდეოლოგიები," თბ, 2004

6. ელიადე მ. „მითები კვლავ ცოცხლობენ და ინიღბებიან," "აფრა", № III, 1998

7. ვახტანგიშვილი ი. თბილისის „ჰელიოსი" [საქ. წიგნის მოყვარულთა საზოგადოებასთან არსებული ფანტასტიკის მოყვარულთა კლუბის მუშაობის შესახებ] // წიგნის სამყარო. - 1986. - 2. - გვ.7

7. ლოსევი, დუმილი თბ.1993 წ. 6.

8. კარლო მელაძე - სიბრძნე-სიცრუე ყიფიანისა, ლიტერატურული საქართველო, 1937 წ.

9. მოდებაძე ი. „უძღები შვილის დაბრუნება - ქრისტიანობა და მარქსიზმი," ჟურნ. "სვანი", V, 2004

10. ფერაძე რ. აბაშელის "ქალი სარკეში", საქართველოს პედაგოგიური ინსტიტუტი 1974 წ. I გვ.237-244

10. ლევან ცაგარელი – რა არის ფანტასტიკური ლიტერატურა. ჟურნ. „სვანი" თბილისი 2006 წ. № 7. გვ. 27

11. „შევუქმნათ ბავშვებს სამეცნიერო ფანტასტიკური ლიტერატურა" საბჭოთა მასწავლებელი 1941 წ. 19 აპრილი № 31 გვ. 2

12.История Всесоюзной коммунистической партии (большевиков). Краткий курс. М., 1938. С. 329—331.

13. Медведев Р. Сталин и "Краткий курс истории ВКП(б)" // Медведев Р. Что читал Сталин? Люди и книги. Писатель и книга в тоталитарном обществе. М., 2005. С. 196—248.

14. Сталин И.В. О проекте Конституции Союза ССР: Доклад на Чрезвычайном VIII Всесоюзном съезде Советов 25 ноября 1936 а // Сталин И.В. Сочинения. Т. 14. М., 1997. С. 119—147, 126—127.

15. Статья 130 (цит. по: История советской конституции / Сборник документов 1917—1957. М., 1957. С. 358).

16. Фром Э. Человееская ситуаця М, 1992

17. http://en.wikipedia.org/wiki/Science_fiction

გამომცემელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "ფანტასტი".
რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 18/03/2015
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405092448

მთავარი რედაქტორი **ირაკლი ლომოური**

სარედაქციო საბჭო:

ალექსანდრე ელერდაშვილი
არჩილ კიკვაძე
თამარ კოტრიკაძე
ინა იმედაშვილი
ინგა მილორავა
ირაკლი ბაკურიძე
ლევან ბეიტრიშვილი
ლევან გელაშვილი
მალხაზ რუსაძე
მამუკა ხანთაძე

დიზაინი და ილუსტრაციები –
ანა ჩიქოვანი, მალხაზ რუსაძე,
ალექსანდრე ელერდაშვილი

ილუსტრაციები შესრულებულია
კოლაჟური კომპოზრაფიკის ტექნიკაში.